# ივერია

1879

№ 3 მარტი.

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა
1879

I. სიყვარული მხატვრობს, კომედია მოლიერისა (ნამდვილიდამ გადმოთარგმნილი დ. ყიფიანისაგან) . . . . . . . . . . 5

II. მასალა საქართველოს ისტორიისათვის (პიეტრო-დელლავალლეს მოხსენება საქართველოზედ). . . . . . . . . 29

III. ფშაური ლექსები (როსტომაშვილის-მიერ შეკრებილი) . . 65

IV. ზარხოში (სცენისათვის), რაფ. ერისთავისა. . . . . . . . 68

V. ორიოდე სურათი მოთხრობიდამ, შაქროსი . . . . . 70

VI. ოცნება, ლექსი . . . . . . . . . . . . . . . . . . 86

VII. ***, ლექსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 89

VIII. წერილი კახეთიდამ (კორრესპონდენცია „ივერიისა"), რ. ძამსაშვილი — ც. . . . . . . . . . . . . . . . . . . 90

XI. ცხოვრება და კანონი (წერილი მეექვსე) ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 99

X. ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე (ნეკროლოგი). . 117

XI. ფიქრი და შენიშვნა
გლოვა ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალებაზე. ზოგიერთი რამ ჩემის ნახსომიდამ. ბესარიონის უმთავრესი ღვაწლი ჩემის აზრით. სულიერი საზრდო ღოღობერიძისა და ერთი ხანა რუსეთის ისტორიისა და ლიტერატურისა. ნ. დაკითიშვილისა . . . . . 129

5974

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი

---

წელიწადი მესამე.

№ 3.

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა.
1879



цензурою. Тифлисъ 7 Марта 1879 г.

# სიყვარული მხატვრობს

(L' Amour Peintre.)

## მოლიერის ერთ-მოქმედებიანი კომედია

ნამდვილიდამ ნათარგმნი

მოლიერი ამბობს: „კომედია საკითხავად კი არა, წარმოსადგენად იწერება; საქმე წარმოდგენაა“:

## მოქმედნი პირნი კომედიაში:

დონ-პედრო, სიცილიელი აზნაური.
ადრასტ, ფრანცუზი, აზნაური.
იზიდორა, ბერძნის ქალი, დონ-პედროს ნაყიდი.
ზაიდა, ახალ-გაზრდა ქალი, სხვისი ნაყიდი.
ერთი სენატორი.
ალი, თათარი, ადრასტის მსახური.
ორი სხვა მსახური.

### ბ ა ლ ე ტ შ ი:

მოსაკრავენი (მუზიკანტები).
მონანი მომღერალნი,
მონანი მოთამაშენი.
არაბნი და არაბის ქალები.
მოთამაშენი.

---

## გამოსვლა პირველი

ალი, მოსაკრავენი.

ალი. ჩუმათ! აქეთ ნუღარ მოხვალთ, მანდ იყავით მანამდის მე დაგიძახებდეთ.

## გამოსვლა მეორე.

ალი მარტო.

ალი. თითქო ორმოში იყოო, ისე ბნელა აქა. ცას ნაბადი წამოუსხამსო ვაცი იტყვისა, — ერთი ვარსკვლავიც აღარსადა სჩანს, რომ შუქზე ცხვირი მაინც გამოჩნდებოდეს ვისიმე. ეჰ, რა ყოფაა ეს ჩვენი ყოფა! შენი დღენი სულ იმას ადგე, რაზედაც ბატონმა დაგაყენა; შენი ნება არაფერში იქონიო, თუ არ იმისი; რა გუნებაზედაც ის იყოს, შენც იმ გუნებაზედ იყო; შენი თავისთვის არა იზრუნო რა, თუ არ ბატონის ნაბძანები; რაც იმას უნდა, გინდა თუ არა შენც ის გინდოდეს; — რაღა გავაგძელო, ის ბატონი და შენ ყმა. — აქაო და მე ქალს ვეტრფიო, შენ ჩემთვის დღე და ღამე უნდა სტეხო და მოსვენება რასა ჭქვია არ იცოდეო. ამისთანა სიცოცხლესაც რა უთხრა? მაგრამ აგერ სინათლე მოჩანს რაღაცა, უთუოდ თითონ მოდის.

## გამოსვლა მესამე

ადრასტი, ორი მსახური, რომელთაც ჟინჟლილები უჭირავთ, ალი.

ადრასტ. ალი, შენა ხარ მანდა?

ალი. სხვა ვინ უნდა იყოს? ამ დროს თქვენსა გარდა ბატონო,

და ჩემს გარდა ვის გაებედება აქაურ ქუჩებში გარეთ გამოსვლა და სიარული?

ადრასტ. არც მე მეგულება ვინმე, რომ სიყვარულის ცეცხლით ისე იყოს მოდებული, როგორც მე ვარ. მარტო დაუდევრობა რომ იყოს სატრფო ქალისაგან, ან მიუკარებლობა იმისი, ეს მაინც გექნებოდა კიდევ ნუგეშათა, რომ ბედს უჩივლებდი და ოხვრა-ხვნეშას მიანებებდი თავსა. მაგრამ ვერას გზით შემთხვევა ვერ იშოვო, რომ სატრფოს ხმა გამოსცე; ვერას გზით ვერ შეიტყო, მშვენიერმა თვალებმა რომ გულში სიყვარულის ცეცხლი ჩამოგიგდეს, იმ თვალების პატრონისათვის საამოა ეს შენი წვა და დაგვა, თუ არა;—ერთი მოთხარით, ამ მწუხარებას რა მწუხარება უნდა უდრიდეს? მერე ვისგანა ვარ ამ გაჭირვებაში ჩავარდნილი? ერთი გადახწეული ბერი-კაცისაგან; პატრონია ჩემი სიცოცხლე ქალისა და ფეხს არ იცვლის, რომ თვალი მოაცილოს როგორმე.

ალი. მიჯნურების გამოლაპარაკება რამდენ ნაირად მოხერხდება ვინ მოსთვლის! თქვენ და თქვენ სატრფოს მარტო თვალებით რამდენი რა შეგიტყობინებიათ ამ ორ თვეში ერთმანეთისათვის, მე რა ვიცი!

ადრასტ. მართალია, თვალებით ბევრჯელ გვილაპარაკნია მე და იმასა, მაგრამ როგორ შევიტყო, სწორეთ ისე მივხვდი იმის ნალაპარაკევს, როგორცა მგონია, თუ არა? ან ის ჩემს ნალაპარაკევს ისე მიხვდა, როგორც ჩემი თვალები ეუბნებოდნენ თუ არა, როგორ შევიტყო?

ალი. მაშ ისეთი გზა უნდა გამოძებნოთ რამე, რომ ლაპარაკი სხვა ნაირათაც შეიძლებოდეს.

ადრასტ. მოსაკრავენი მოიყვანე?

ალი. დიაღ!

ადრასტ. აქ მოვიდნენ. (მარტო) მინდა გათენებამდის ვაკვრევინო და ვამღერო აქა, ეგება ამ მუზიკაზედ ერთ-ერთ ფანჯარას მოადგეს და გამოიხედოს.

## გამოსვლა მეოთხე

ადრასტ, ალი, მოსაკრავენი.

ალი. აი, ბატონო! რა დაუკრან?

ადრასტ. რაც თითონ ერჩიოთ.

ალი. გუშინ წინ რომ უკრავდნენ ის დაუკრან?

ადრასტ. არა, მე რომ მინდა ეგ ის არ არის.

ალი. ოჰ, ბატონო! მშვენიერ ბეკარზეა.

ადრასტ. მშვენიერი ბეკარი რაღა ეშმაკია?

ალი. ბეკარი ცოტა უფრო მაღალი ხმაა; ბეკარი ჭკვობია, ბატონო! მოგეხსენებათ, რომ გამეგება მე ეს საქმე. ბეკარი ყურის დამატკბობია. მუზიკას უბეკაროთ რა საშველი აქვს! აბა, ცოტა ყური დაუგდეთ ამ ტრიოსა. *).

ადრასტ. არა, მე ისეთი რამ მინდა, რომ ნაზი ხმა იყოს და გულის წამტაცებელი; ისეთი რამ მინდა, რომ საამო ფიქრებში და ოცნებაში შემიყვანოს.

ალი. ცხადია ბემოლის მხარე გჭერიათ, მდაბალი ხმისა. მაგრამ ესეც კი შეიძლება, რომ ორივე მხარეზე შეიჯეროს კაცმა გული.—უნდა ერთი პატარა კომედიიდამ ერთი გამოსვლის ხმა დავამღერებინოთ; შევატყე რომ ისინიც ამას აპირებდნენ. ამისს მოკლე ამბავს მოგახსენებთ.—ორ მეცხვარეს მოსდებიათ ტრფიალების ცეცხლი, ცალ-ცალკე ბემოლს უკვრენ და ასე მოსთქმენ თავის მწუხარებას. ერთმანეთის ხმას რო გაიგონებენ, ერთად შეიყრებიან და ერთმანეთს შესჩივლებენ თავ-თავისს სატრფოს უგრძნობელობასა. ამასობაში სხვა ერთი მხიარული მწყემსი მოუდგებათ, საკვირველს ბეკარს უკრავს და ამათის სულ მოკლეობას დასცინის.

ადრასტ. მაშ კარგი, ეგ დააკვრევინე, ვნახოთ ერთი.

---

*) სამ-ხმა.

ალი. აი იმ გამოსვლის წარმოსადგენად სწორედ ზედ გამო-
ჭრილი ადგილი და ეს ორი ყინყლილიც კარგად მიუნათებს.

კომედიის ნაკვეთი

რომელსაც ალი აკვრევინებს და ჰმღერებინებს,

ერთი დამკვრელი ადგენს ფილენს;
მეორე — — ტირცისს.

ფილენ. თუ ჩემის ნაღველის მოთქმითა
გარღვევ თქვენს მდუმარედ ყოფნასა,
ნუ მიწყენთ, კლდენო, აქ მოსვლასა.
რომ გითხრათ ამ ჩემს გულს რაც სდაგავს,
თუმცა რომ ქვანი ხართ, მაგრამ მწამს,
თვითონ თქვენც შეგებრალებოდით.

ტირცისი. რა რომ დღე ინათლებს, ფრინველები
ჰხარობენ, უსტვენენ, ჰგალობენ;—
და მე კი ჩემს ოხვრას მოვჰყვები
და ტანჯვის გამოთქმას. ოჰ! ფილენ?

ფილენ. ტირცის, შენ?
ტირცის. გულ-წყლული!
ფილენ. მეც ვსტირი,
რომ ჩემთვის კლიმენი ყრუ არის;
ტირცის. მე ქლორმა სულაც არ მომხედა.
ორნივე ერთად. უმართლო კანონო! თუ ტრფობას
სატრფონი არ ემონებიან,—
მაშ ნებას რათ აძლევ რომ ჩვენს გულს
ჰსტყუვდნენ უგულო, უგრძნონი.

ალი. ბატონო! შიგნიდამ რაღაც ხმაურობა მომესმა.

ადრასტ. მაშ დაითხოვე ეგენი; ყინყლილები გააქრობინე.

## გამოსვლა მეხუთე

დონ-პედრო, ადრასტ, ალი.

დონ-პედრო. (შინიდამ გამოდის სალამური თავსახურავით და ხალათით; ანთებულ სანთელზე ხელი აქვს მიფარებული და იღლიაში ამოღებული ხმალი უჭირავს.) რამდენიმე ხანია რაღაც სიმღერის ხმა მომესმის აქა და ეს უმიზეზოთ არ იქნება. უნდა კი ამ სიბნელეში გავიგო როგორმე, ვის რა უნდა აქა?

ადრასტ. ალი!

ალი. ბატონო!

ადრასტ. ხმა აღარ მოგესმის?

ალი. აღარა. (დონ-პედრო ამათ უკან მოექცევა დაჩუმებით ყურს უგდებს.)

ადრასტ. როგორ? ვერაფრით ვერ მოვახერხეთ, რომ ამ მშვენიერს ბერძნის ქალს ერთს წამს გამოველაპარაკო? და ამ წყეულმა ბერი-კაცმა, ამ შეჩვენებულმა სიცილიელმა ყოველთვის გზა უნდა დამიფოლდოს ხოლმე?!

ალი. ეშმაკსაც წაუღია იმისი სული, იმ ჯალათისა, ამდენი ჩვენი დაღალვისა და ჯანის გაგდებინებისათვის. ნეტავი ერთი ხელში ჩამივარდებოდეს აქა და მაშინ ვაჩვენებდი, როგორ ამოვიყრიდი იმის ჯავრსა, რომ იმისი მიზეზით მოსვენება აღარა გვაქვს, იმისი უმსგავსო ეჭვიანობის მიზეზით.

ადრასტ. ამასაც უნდა ღონე ვიპოვოთ რამე, გამოვიგონოთ რამე, მოვახერხოთ რამე, რომ ნადირი ხელში ვიგდოთ როგორმე.

ალი. ბატონო! არ ვიცი რას ნიშნავს ესა, მაგრამ კარი ღიაა და თუ თქვენი ნებაც იქნება შევალ, ეგება შევიტყო რა მიზეზია. (დონპედრო კარს უკან მოექცევა.)

ადრასტ. აგრე ქენი, მაგრამ ფრთხილად, არავინ რა შეიტყოს. მე აქვე მოგიცდი; რა გახდება ღმერთი ინებებდეს, რომ იზიდორა იქნებოდეს.

დონპედრო. (სილას გააწნავს ალის) ვინა ხარ ეგა?

ალი. (სილას შეუბრუნებს). მეგობარი!

დონპედრო. არიქა, ეი! ფრანჩესკო, დომინიკე, სიმონ, მარტინ, პიეტრო, თომაზო, ჯორჯი, ბართლემი! არიქა! საჩქაროთ! ჩემი ხმალი, ჩემი ფარი, ჩემი ნაჯახი, ჩემი ტამბაჩები, ჩემი თოფები, მალე, მალე! აბა ჰე, არიქა! არავინ დაინდოთ.

## გამოსვლა მეექვსე

ადრასტი, ალი.

ადრასტ. აქ ჩურჩურებაც აკარჩავისია, ალი!

ალი. (ერთს კუთხეში მიმალული.) ბატონო!

ადრასტ. სად იმალები?

ალი. აღარა ვინ არის ვითამ აქა?

ადრასტ. სულ აღარა ვინა!

ალი. მობძანდნენ თუ კაცები არიან და ვნახოთ როგორ გაიტუიპებიან.

ადრასტ. არა, ყოველი ჩვენი ცდა სულ ასე უნდა ჩაგვეშალოს ხოლმე? ამ საძაგელი ეჭვიანისათვის ყოველთვის სამასხარაოდ უნდა გავხდეთ ხოლმე?

ალი. აქ მომდის სისხლი, რომ ჩემს ოსტატობას მიტრიზავებენ. არა! მოხერხებაში რომ მაჯობოს ვინმე ამას მე არავის ვათქმევინებ. ამდენი ხელის შეშლა მოთმინებას მაკარგვინებს და უნდა ახლა კი გამოვიჩინო, რა გაქნილობის ნიჭიცა მაქვს ღვთისაგან ნაბოძები.

ადრასტ. მე ამის მეტი არა მინდა რა, რომ ქაღალდით იქნება, თუ რითიმე, ქალს ჩემი გულის წადილი შევატყობინო და იმისი გულის პასუხიც გავიგო. სხვა ყველა ადვილია.

ალი. საქმე ჩემზე მოაგდეთ ახლა, მე იმძენ ხერხსა და ხრიკს ვიხმარებ, რომ ბოლოს ერთ-ერთიც არის გამოგვადგეს. ახლა აგერ თენდება კიდეცა, მე ჩვენებს მოვძებნი და აქ მოვიყვან; ბერი-კაცის გამოსვლას უდარაჯონ და მაშინვე შემატყობინონ.

## გამოსვლა მეშვიდე.

დონ-პედრო, იზიდორა.

იზიდორა. ჩემი ასე ადრე გამოღვიძება რატომ ინებეთ არ ვიცი. თითქო დღეისათვის ამბობდით მინდა გადაგახატვინოო და ჩემს გადახატვას სისხამ დილაზე ჩემი წამოგდება რაში უნდა გამოადგეს? ფერს მომიმატებს, თუ თვალების ელვარებასა?

დონ-პედრო. მე ერთი ისეთი საქმე გამიჩნდა, რომ შინიდამ ახლავე უნდა გავიდე.

იზიდორა. არა მგონია მაგ საქმისათვის ჩემი გამოღვიძება მაინცა და მაინც ძალიან საჭირო ყოფილიყო; ხელს რაში შეგიშლიდათ რომ დილის ტკბილი ძილი არ გაგეტეხინებინათ?

დონ-პედრო. დიაღ, მართალია, მაგრამ მე მინდა ყოველთვის ჩემთან იყო! სიფრთხილისაგან კაცს თავი არ ასტკივდებაო, არ გგონია? აი, ამაღამაც, — მოსულიყვნენ ვიღაცა და ჩვენს ფანჯრებს წინ იმღერიდნენ.

იზიდორა. დიაღ, მართალია, რაღაც მშვენიერი მუზიკის ხმა მესმოდა.

დონ-პედრო. შენთვის უკრავდნენ და იმღერიდნენ, განა?

იზიდორა. ნეტავი დამაჯერებინა რასაც ამბობთ.

დონ-პედრო. მერე იცი ვინ იყო, ეს სერენადა *) რომ გაგიმართა?

იზიდორა. რა ვიცი ვინ იყო; მაგრამ ვინც უნდა იყოს, მაინც გულითა ვმადლობ.

---

*) სერენადა—ღამური არშიყის მუზიკა.

ᲓᲝᲜ-ᲞᲔᲓᲠᲝ. ჰმადლობ?

ᲘᲖᲘᲓᲝᲠᲐ. რასაკვირველია! იმას არა ცდილობს ვინც არის, რომ მე მაამოს?

ᲓᲝᲜ-ᲞᲔᲓᲠᲝ. მაშ საამოთ მიგაჩნია რომ გეარშიყებოდეს?

ᲘᲖᲘᲓᲝᲠᲐ. დიაღ, რატომ არა? საწყენი რა არის აქა?

ᲓᲝᲜ-ᲞᲔᲓᲠᲝ. მერე გამარჯვება ყველასთვისა გსურს ვინც მაგას ადგია?

ᲘᲖᲘᲓᲝᲠᲐ. უეჭველად.

ᲓᲝᲜ-ᲞᲔᲓᲠᲝ. ეგ კარგი გამოტეხილი ლაპარაკია!

ᲘᲖᲘᲓᲝᲠᲐ. დამალვა რა საჭიროა? ვინც რა უნდა სთქვას, ყოველთვის სასიამოვნოა, რომ ტრფიალებით გეკიდებოდნენ. ჩვენი სილამაზის ქება არას დროს არ არის ჩვენგან დასაწუნარი. რაც უნდა ითქმოდეს, ქალისათვის ისე თავის მოსაწონი არა იქნება რა, მე მერწმუნეთ, როგორც ის სიყვარული, რომელსაც გულში აუნთებთ კაცსა. ეს არის ყოველი ჩვენი ზრუნვა და მეცადინეობა და ჩვენში არავინ იშოვება, რომ გულით არ უხაროდეს, ჩემმა თვალებმა სიყვარულის ცეცხლი მოსდეს ამა და ამ კაცსაო.

ᲓᲝᲜ-ᲞᲔᲓᲠᲝ. შენ თუ მაგაში სიამოვნებასა ჰხედავ, შენა, რომ გეარშიყებოდნენ, ის კი აღარ იცი, რომ მე არაფრათ მეპრიანება ესა, მე, შენი არშიყი რომა ვარ.

ᲘᲖᲘᲓᲝᲠᲐ. რატომ არ ვიცი. მაგრამ მე რომ მიყვარდეს ვინმე, ისე არა მიამება რა, რომ სხვებსაც ყველას უყვარდეს. ამაზედ უკეთესი დამოწმება რაღა იქნება, რომ მე შემცთარი არა ვყოფილვარ და ისიც სწორეთ ღირსი ყოფილა ჩემი ტრფიალებისა. უფრო არ მოვიწონებ თავსა, რომ ჩემი საყვარელი სხვებსაც მიაჩნდეს საყვარლათა?

ᲓᲝᲜ-ᲞᲔᲓᲠᲝ. ყველამ თავისებურათ იცის სიყვარული; და მე თუ მკითხეს, ჩემთვის სასიხარულო უფრო ის იქნებოდა, რომ შენსას სხვა ვერავინ იტყოდეს ლამაზიაო. იძულებული ვიქნები, მგონია, გარეთ გასვლა დაგიშალო, რომ უცხოს აღარავის დაენახვებოდე.

იზიდორა. ვითამ მანდამდის ეჭვიანობდეთ?

დონ-პედრო. სწორეთ ვეჭვიანობ და როგორ ვეჭვიანობ, რომ იცოდე, როგორც ფოცხვერი, და თუ მეტი გინდა, როგორც ქაჯი. ჩემს სიყვარულს შენ მარტო ჩემთვის უნდიხარ. სხვისი ერთი გაღიმება, სხვისი ერთი შეხედვა შენი, აშფოთებს ამ სიყვარულსა. ყოველი ჩემი სიფთხილე მარტო იმაზედ არის მიქცეული, რომ შენკენ ყველას ამოკვეთილი ჰქონდეს ფეხი და გული იმაზე დავაჯერო, რომ სხვისი გასაზიარებელი შენში მე, ბეწვი რა არის, ბეწვიც არა მეგულებოდეს რა.

იზიდორა. გინდათ მართალი გითხრათ? სწორე გზაზე ვერა მდგარხართ. ვისაც სხვისი გულის მოგება უნდა, დიდად საეჭვო იქნება ეს მოგება, თუ ძალდატანებას ხმარობენ. ჩემთავათ მე ეს აღმიარებია, რომა, კაცი რო ვიყო და ისეთ ქალს ვეტრფოდე, რომელიც სხვის ხელთ არის, ყოველს ჩემს ჭკუა-გონებასა და გამოცდილებას იმაზე მოვიხმარებდი, რომ იმის პატრონისათვის ეჭვი ამეღებინებინა და დღე დაუდგამე თვალ-დაუხამხამებლად მედარაჯებინებინა, რომ ჩემთვისიმ ქალზედ ზედაც არ შეეხედებინა. საქმის წინ წასაყვანად ჩემთვის ამაზედ უკეთესი არარა იქნება, რაც ქალი აშფოთდება, გაჯავრდება, ჟინში ჩადგომა გულს განერისხებს და მაშინ რაღა დაუშლის, რომ სიყვარული თავისს ბედნიერ დღეს ეწიოს?

დონ-პედრო. მაშ, შენ რო მაგ ყოფაში ეგულებოდე ვისმე, შენც მზა-მზარეულათ დახვდები, რომ ყური დაუგდო და გაამარჯვებინო?

იზიდორა. მაგაზედ მე არას გეტყვით, მაგრამ ქალებს არ უყვართ, რომ აწუხებდნენ და დიდი წინ-დაუხედავობა იქნება, თუ ეჭვიანობა შეამცნევინეს და კარი გამოუკეტეს.

დონ-პედრო. არაფერი სიკეთის დახსომება აქვს ნაყიდი გოგოსაგან, რომელიც განათავისუფლეს, ქალად გამოიყვანეს და ისე [illegible], რომ ცოლადაც უნდათ.

იზიდორა. ვითამ რა დავალება გქონიათ, რომ ქალი მონებიდამ გამოიყვანოთ, თავისუფლად ხელის განძრევის ნება კი არ მისცეთ და სამუდამოდ დატუსაღებული ამყოფოთ ოთხ-კედელ შუა.

დონ-პედრო. სიყვარულისაგან არის ეგა!

იზიდორა. თქვენებური სიყვარული თუ ეგ არის, ნეტავი მომიძულებდეთ.

დონ-პედრო. დღეს როგორღაც ამრეზილს გუნებაზედა ხართ და ეგ სიტყვები იმიტომ მოგეტევებათ, რომ დიდის ძილის შეშლით გაწყენინეს.

## გამოსვლა მერვე.

დონ-პედრო, იზიდორა, ალი (ოსმანლურად მორთული, მრავალს სალამს აძლევს დონ-პედროს)

დონ-პედრო. გაათავეთ ახლა ეგ სალამი! რა გნებავთ?

ალი (დონ-პედროსა და იზიდორას შუა დგება. რასაც დონ-პედროს ეუბნება, ყოველს სიტყვაზედ იზიდორას მიუბრუნდება ხოლმე და თითქო ანიშნებს, თქვენთან სხვა საქმე მაქვსო). ბატონო! თუ ქალ-ბატონის ნებაც იქნება, — მე ამას მოგახსენებთ, — ქალ-ბატონის ნება-დართვით, — რომ იმისთვისა ვარ თქვენთან მოსული, — თუ ქალ-ბატონიც ინებებს, — რომ გთხოვოთ, — თუ ქალ-ბატონმა გამაბედვინა, — ერთი წყალობა მოიღოთ, — ქალ-ბატონის ნება-დართვით...

დონ-პედრო. ბალ-ბატონის ნება-დართვით — ცოტა აქეთ გადმოდით (და თითონა დგება ალის და იზიდ. შუა)

ალი. ბატონო, მე ერთი მუზიკაში დახელოვნებული დამკვრელი გახლავართ.

დონ-პედრო. ამ ჟამად ჯიბეში არა მაქვს რა რო მოგცეთ, და...

ალი. მე მაგას არა გთხოვთ. რადგან მუზიკისა და თამაშობის ზედ-მიწევნით ცოდნასა ვჩემობ, — მე ეს საქმე რამდენსამე მოხას

გასწავლე და ახლა იმათა ჰსურთ ისეთი ბატონი იპოვნონ, რომ ეს ხელობა მოსწონდეს, — და რადგან გაგონილი მაქვს რომ დიდი კაცი ბძანდებით, ამისა გთხოვთ ნახოთ ისინი და ყური დაუგდოთ, რომ მერე ან თქვენ იყიდოთ თუ ინებებთ, ან თქვენი მეგობარი მიასწავლოთ ვინმე იმათი მყიდველი.

იზიდორა. ეგ სხვა არის. შემოაყვანინეთ, ვნახოთ ერთი.

ალი. შალა ბალა... სულ ახალთ-ახალი სიმღერა გახლავთ; ყური დაუგდეთ კარგათა: შალა-ბალა!

## გამოსვლა მეცხრე.

დონ-პედრო, იზიდორა, ალი, მონანი თურქნი.

(ერთი მონა უმღერს იზიდორას)

მთელს ქვეყანაზედ ტრფიალი მისდევს
მხურვალის გულით თავის სატრფოსა
და თუ საძაგი იჭვნეულება
თვალს არ აცილებს მშვენიერებას,
რა ქნან ტრფიალთა, თუ არც თვალებით
უხმოვანად ილაპარაკონ.

(ახლა დონ-პედროს.)
შირი ბირი და უნ ალლა!
სადექ კაი თურქი ალლა!
შალა-ბალა და ექ ალლა,
შალა-ბალა და ბირ ალლა,
შალა-ბალა შალა-ბალა!

დონ-პედრო. ესენი, მე ვიცი, შემომელახებიან და დამჩრჩებიან [illegible] (იზიდორას). შევიდეთ, შინ შევიდეთ. [illegible] როგორღაცა და დღეს მე აღარსად წავალ. (ალის რომელიც გამოჩნდება) აჰა, შე მაცდურო, შენა!

**ალი.** მართალი გინდა და აი მართალიცა. ჩემ ბატონს გაგიჟებით უყვარს ქალ-ბატონი და, თუ ქალ-ბატონის ნებაც იქნება, ცოლათ უნდა ითხოვოს.

**დონ-პედრო.** დიაღ, დიაღ! სულ იმისთვის არ ვჰნახავ?

**ალი.** ნუ გენაღვლება, მაინც წავიყვანთ.

**დონ-პედრო.** რაო, რაო?

**ალი.** წავიყვანთ მეთქი, წა, რამდენიც უნდა აღრაჭუნონ კბილები.

**დონ-პედრო.** ავიღო ერთი...

**ალი.** ძალიან კარგად უღარაჯებ, მაგრამ დამიფიცნია წავიყვანთ მეთქი და წავიყვანთ კიდეცა.

**დონ-პედრო.** მაცალე! ერთი მოგიმწყვდიო!

**ალი.** შენ ვერა და ჩვენ კი მოგიმწყვდევთ. ცოლათ გვინდა, საქმე გადაწყვეტილია. (მარტო) უნდა ან თავი მოვიკლა და ან ეს საქმე თავს მოვიყვანო.

## გამოსვლა მეათე.

ადრასტ, ალი, ორი მსახური.

**ალი.** ბატონო! მე ცოტა არ არის დავადექ საქმესა, მაგრამ...

**ანდრასტ.** ნუღარა სწუხდები. მე ალალ-ბედზათ მივაგნე რასაც ვეძებდი და ახლა პირ-და-პირ უნდა მივიდეთ იმასთან, რომ ჩემი სიცოცხლის ნახვით დავსტკბე. დამონ-მხატვარს შევხვდი, დღეს რომ იმისი ხატვა უნდა დაეწყო. ჩემი დიდი ხნის სარწმუნო მეგობარია, და რასაკვირველია ჩემს მოხმარებას მოინდომებდა. ახლა თავის მაგიერად მე მგზავნის იქა; პატარა ბარათსაც მატანს, რომ ეჭვი არა აიღონ რა. შენ ხომ იცი, რომ მე ხატვა სიყრმითგანვე მიყვარს და სამხატვრო კალამიც ამიღია ხოლმე ხან-და-ხან ხელში, თუმცა საქ-

რანგეთში კი არ მოსწონთ, რომ აზნაურშვილი ამ გვარ ხელობას ადგეს რასმე. დღეს ეს შემთხვევა მეძლევა, რომ ჩემი სატრივო თავისუფლათა ვნახო. მაგრამ იმისი იმედი კი არა მაქვს, რომ საძაგელი ეჭვიანი ბერი-კაცი მოგვცილდეს და ქალთან გამოლაპარაკებაში ხელი არ შემიშალოს. სწორე უნდა გითხრა და გამოგიტყდე, რომ მე უფრო სხვა ანგარიში მაქვს. ერთი მუახლე მოვიმხრე და იმის შეწევნით უნდა გამოვიხსნა ბერი-კაცის ხელიდამ მშვენიერი, თუ თითონაც დამყვა ამაზედ.

ალი. გამიშვით ერთი მე ჩემებურად მოგეხმაროთ ქალთან გამოლაპარაკებაში. როდი მინდა რომ ამ საქმეში მეც არ ვერიო. თქვენ როდის მიხვალთ?

ადრასტ. ახლავე; რაც საჭირო ყველა მზათა მაქვს.

ალი. მაშ მეც ახლავე მოვემზადები და წავალ.

ადრასტ. მე დროს აღარ დავჰკარგავ! გაიგონეთ, კი! ნუღარ ვიგვიანებთ!

## გამოსვლა მეთერთმეტე.

დონ-პედრო, ადრასტი, ორი მსახური.

დონ-პედრო. ამ სახლში რას ეძებთ, უფალნო?

ადრასტ. მე ვეძებ უფალს დონ-პედროს.

დონ-პედრო. აგერ გახლავარ!

ადრასტ. მაშ გაისარჯეთ და ეს ბარათი წაიკითხეთ.

დონ-პედრო. (კითხულობს), „თქვენ რომ იცით იმ სახის გა-„დასაღებად გიგზავნით ამ ფრანცუზს აზნაურშვილს, რომელსაც და-„ვალება ჰსურს საპატიო ხალხისა და სიამოვნებით მიიღო ჩემგან ეს „დასაქმება. უეჭველია პირველთაგანი არის ამ გვარს ხელოვნებაში და „თქვენ უმეტესად როგორ დავავალებდით, რომ ამისთანა მხატვარი „არ გამომეგზავნა. დარწმუნებული ვარ რომ თქვენის სატრფოს პორ-

„ტრეტი ყოვლითურთ ძრული გამოვა. მაგრამ ამაზედ კი გაიფთხი-„ლებით, რომ შრომის სამაგიერო არა გაუხსენოთ რა, თორემ ისე-„თი კაცია რომ დიდად იწყენს, რადგან გამოსარჩენად კი არა სწევს „ჯაფასა, მხოლოდ სახელისათვისა სწევს.“

**დონ-პედრო.** ბატონო ფრანცუზო! ეს დიაღ დიდი დავალება იქნება თქვენგან და დიდათაც დაგიმადლებთ.

**ადრასტ.** ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ყოველს ღირსეულსა და სახელოვან კაცს ვემსახურო შეძლებისა და გვარად.

**დონ-პედრო**, ახლავ შემოვიყვან, ვიზედაც ლაპარაკია.

## გამოსვლა მეთორმეტე.

იზიდორა, დონ-პედრო, ადრასტი, ორი მსახური.

**დონ-პედრო.** (იზიდორას) აი, კეთილშობილი ფრანცუზი, დამონის მაგიერი. შრომის გაწევას აპირებს, რომ თქვენი სახე გადიღოს. (ადრასტს, იზიდორას რომ მისალმებაზედ გადაეხვია). ეეჰუ! უზგალო ფრანცუზო! მაგნაირი მისალმება სრულებით რიგი არ არის აქა.

**ადრასტ.** ეს ჩვენებური ჩვეულებაა, ფრანცუზული.

**დონ-პედრო.** თქვენებური ჩვეულება იქნება კარგოდეს თქვენებური ქალებისათვის, მაგრამ აქაურებისათვის კი დიდი კადნიერებას ჰგა!

**იზიდორა.** ეს სალამი მე დიდის სიამოვნებით მივიღე. შემთხვევა მაკვირვებს და სწორე უნდა ვსთქვა, რომ ასე სახელოვანსა და განთქმულს მხატვარს მე არას დროს არ მოველოდი.

**ადრასტ.** ქვეყანაზედ არავინ იპოვება რომ ამისთანა საქმის ხელის მოკიდება ძალიან სასიამოვნოდ არ მიაჩნდეს. მე მაგდენი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ სადაც ამისთანა დედანი არის გადასაღები, იქ უსათუოდ მშვენიერება რამ უნდა გამოვიდეს.

**იზიდორა.** დედანი არაფერია; საქმე მხატვრის ხელოვნებაა, რომ რაც დედანს ნაკლულევანება აქვს დაჰფაროს.

**ადრასტი.** მხატვარი ნაკლულევანებას ვერასა ხედავს და სხვა ამას არა ენატრება რა, რომ გადასახატავი თვალების საოცარი ეშხი ისე გადაიღოს, როგორიც არის, რომ ქვეყანამ ნახოს და დაიჯეროს, მართლა ყოფილა ამისთანა დედანიო.

**იზიდორა.** თუ თქვენი კალამიც ისეთი შემამკობელია, როგორიც ენა გქონიათ, თქვენ ისეთს რასმე დაჰხატავთ, რომ მე სულ არა მგავდეს.

**ადრასტი.** დედანი უზენაესს ისე შეუქმნია, რომ კიდევ მეტად შესამკობი აღარა გაუშვია რა.

**იზიდორა.** უზენაესს, რაც უნდა სთქვათ, არა...

**დონ-პედრო.** დავანებოთ მაგაებს თავი, ღვთის-გულისათვის. პირ-მოთნეობა გადავდვათ და ხატვას მივჰყოთ ხელი.

**ადრასტი.** (მსახურებს) აბა, შემოიტანეთ! (შემოაქვთ რაც ხატვაში მოსახმარისია).

**იზიდორა.** (ადრასტეს) სად გნებავთ დამსვათ?

**ადრასტი.** აი, აქა! ეს მალიან კარგი ადგილია და სავანის სინათლე საკმაოდ მიადგება.

**იზიდორა.** (რომ დაჯდება) ასე კარგათა ვარ?

**ადრასტი.** დიახ! ცოტა აიწიეთ, თუ თქვენი ნება იქნება. ცოტა ცოტა აქეთ! ტანი ოდნავ ჩემსკენ გამოიბრუნეთ! თავი ცოტა მაღლა, რომ ყელის მოყვანილობა ჩნდეს. ეს ცოტა გადიხსენით (ყელს უფრო უჩენს). კეთილი! ცოტა კიდევ! ერთი ბეწვა კიდევ.

**დონ-პედრო.** (იზიდორას) მეტად გაჭირდა ეგ თქვენი დასმა; ჯერ არ მოახერხეთ რომ რიგიანად გეჭირათ თავი?

**იზიდორა.** ეს სულ ახალი ამბავია ჩემთვის. ამათი საქმეა, როგორც უნდა ისე დამსვან.

**ადრასტი.** (მჯდომარე) უკეთესი აღარ შეიძლება, როგორც ახლა ხართ და თავიც საუცხოოთ გიჭირავთ (ცოტა თავისკენ კაბრუნებს) ასე, თუ თქვენც ინებებთ.

**დონ-პედრო.** კარგი და პატიოსანი.

ადრასტ. ცოტა აქეთ თვალები ჩემსკენ, გთხოვთ, მე შემომაჩერეთ.

იზიდორა. მე სხვებივით არა ვარ,—ანგარიშით რომ ეხატვინებიან მხატვრობაც დავიწყნოთ და მხატვარიცაო, თუ პორტრეტი ნამდვილს ისე არ ემჯობინება, როგორც დღე ღამესაო. იმათი გულის შესაჯერებლად პორტრეტი ისეთი უნდა დაიხატებოდეს, რომ სახეს ფერი ზამბახისა ჰქონდეს და ვარდისა, ცხვირი სწორე და ლამაზათ მოყვანილი; პატარა წმინდა ტუჩები და დიდი ცოცხალი თვალები; მეტადრე პირის-სახე რომ მუშტზედ მეტი არ გამოვიდეს, რაგინდ ფართოეც იყოს. მე თქვენ ისეთ პორტრეტსა გთხოვთ, რომ მე ვიყო და ვისი არისო არ იკითხებოდეს.

ადრასტ. ადვილი არ იქნება თქვენი პორტრეტისა, ვისიაო, იკითხონ. ისეთი სახის-მოყვანილობა გაქვთ, რომ არა მგონია თქვენს გარდა მსგავსება კიდევ გამოვიდეს ვისიმე.

დონ-პედრო. ცხვირი, მგონია, ცოტა მსხვილი მოდის.

ადრასტ. კარგათ არ მახსოვს სად წამიკითხავს, რომ აპელლესს უხატავს ალექსანდრე მაკედონელის სატრფო ქალი, რომელიც ისეთი საოცარი მშვენიერი თურმე ყოფილა, რომ ხატვაში აპელლესი გაგიჟებით შესტრფია; ალექსანდრეს კი ისეთი სულ-გრძელება თურმე გამოუჩენია, რომ დაუთმია მხატვრისათვის თავისი საყვარელი (დონ-პედროს) შეიძლება რაც აპელლესს იქ დამართვია, აქ მე დამემართოს; მაგრამ თქვენ კი იმდენი სულ-გრძელება იქნება ვერ იქონიოთ. (დონ-პედროს ეს არ მოეწონება).

იზიდორა. ეს გვარ-ტომობის თვისებაა, ფრანცუზების ზდილობა ისეა გათქმული, რომ ყოველგან ვრცელდება.

ადრასტ. ამ გვარს საქმეში შეცთომა არ შეიძლება და თქვენ მეტად გონიერი ბძანდებით, რომ რაც გესმით, იმისს წყაროს ვერა ჰხედავთ. გარწმუნებთ, ალექსანდრე მაკედონელი რომ აქა ყოფილიყო და თქვენ იმისი სატრფო ყოფილიყავით, მე მაინც ვერა დამაშლევინებდა რა თქვენთვის ამის თქმასა, რომ ჩემს სიცოცხლეში ისე-

თი მშვენიერება არსად მინახავს, როგორსაც ახლა შევჰყურებ და რომელიც...

**დონ-პედრო.** უფალო ფრანცუზო! ლაპარაკი მგონია თქვენს საქმეს უშლიდეს და მაგდენს არ უნდა ლაპარაკობდეთ.

**ადრასტ.** არა ჩვეულებად მაქვს ლაპარაკი როდესაც ვხატავ და საჭიროც არის ამ შემთხვევაში საუბარი, რომ გადასახატავი მხიარულად იქნებოდეს და სახის-გამომეტყველებაც ცხოველათ ჰქონდეს.

## გამოსვლა მეცამეტე.

ალი ისპანიელად მორთული, დონ-პედრო, ადრასტ, იზიდორა.

**დონ-პედრო.** ამას რაღა უნდა და დაუკითხავათ აქ შემოსვლის ნება ვის მიუცია, ნეტავი?

**ალი.** (დონ-პედროს) დაუკითხავად შემოსვლა მართალია, მაგრამ აზნაურობაში ეს კადნიერება ყოველგან არის მიღებული, უფალო! მიცნობთ მე თუ ვერა?

**დონ-პედრო.** ვერა, უფალო!

**ალი.** მე გახლავარ დონ ჟილეს დ'ავალოს და ჩემი ღირსება ისპანიის ცხოვრებაში გექნებათ ამოკითხული!

**დონ-პედრო.** ჩემგანა გნებავთ რამე.

**ალი.** დიაღ! რჩევასა გთხოვთ ერთს საქმეზედ, რომელიც ღირსებას შეეხება. ვიცი რომ ამისთანა შემთხვევაში თქვენზე უფრო განვითარებული მსაჯული, თითქმის, არსად იპოვება; — მაგრამ გულსმოდგინებითა გთხოვთ ამათ ცოტა მოშორდეთ და ისე ვილაპარაკოთ; ყველას კი არ მინდა შევატყობინო.

**დონ-პედრო.** აი, ახლა კარგა მოშორებითა ვართ!

**ადრასტ.** (დონ-პედროს, რომელმაც თვალი მოჰკრა რომ მეტად ახლო ეჩურჩულებოდა იზიდორას) ლურჯი თვალები ჰქონია.

**ალი.** (დონ-პედროს, რომელიც კიდევ იქით მიჰყავს, რომ ადრასტს და იზიდორას მოაცილოს) უფალნო! საქმე ეს არის, რომ მე სილა გა

მარტყეს, ხომ მოგეხსენებათ სილა რაც არის: გაშლილი ხელის-გულით რომ ლაწანს გაადენენ თქვენს ლოყასზედ? მე გამარტყეს ამისთანა სილა, და ახლა რა მმართებს არ ვიცი; ხმალში გამოვითხოვო, თუ ისე მოვკლა?

დონ-პედრო. მოკლა, რასაკვირველია, უფრო შეამოკლებს საქმესა. ვინ არის ეგ თქვენი მტერი?

ალი. ცოტა დაბლა ვილაპარაკოთ, თუ თქვენი ნება იქნება (რომ ელაპარაკება ისე აყენებს რომ ადრასტი ვერ დაინახოს).

ადრასტ. (დაჩოქილი იზიდორას წინ, მანამდის დონ-პედრო და ალი ჩუმათ ლაპარაკობენ). დიაღ, მშვენიერო იზიდორა, აგერ ორი თვეა რაც ჩემი თვალები მოგახსენებენ ამასა. მიყვარხართ, რომ უმეტესი სიყვარული აღარ შეიძლებოდეს, — და სხვა განზრახვა, ღმერთმა ხომ იცის, მე არა მაქვს რა, სხვა არა მწადია რა და არა მენატრება რა, რომ სიკვდილამდის თქვენი ვიყო, თქვენი ვიყო სამარადისოდ.

იზიდორა. არ ვიცი, გულით ამბობთ მაგასა თუ არა, მაგრამ მაჯერებინებთ კი.

ადრასტ. იქამდის მაინც გაჯერებინებთ თუ ვერა, რომ ცოტაოდენი წყალობა გინდოდეთ ჩემთვის?

იზიდორა. მე ამას უფრო ვერიდები, მეტად ბევრი არ მინდოდეს.

ადრასტ. გენდომებათ ბედენი, შეუდარებელო იზიდორავ, რომ რაც ნატვრა მოგახსენე, იმისი ახდენა იყვნებულოთ?

იზიდორა. მაგას ჯერ ვერ გეტყვით.

ადრასტ. რას ელით?

იზიდორა. ჯერ ვერ გადმიწყვეტია.

ადრასტ. სადაც სიყვარულია, იქ გადაწყვეტა ადვილია.

იზიდორა. მაშ აგრე იყოს, — მიყვარხართ.

ადრასტ. გნებავთ რომ ახლავე შესრულდეს საქმე?

იზიდორა. სადაც ერთხელ საქმე გადაწყდება, იქ შესრულება რაღამ უნდა შეაყენოს?

დონ-პედრო. (ალის) ჩემი რჩევა ეს არის და ახლა თქვენ იცით.

ალი. უვალოო! ერთხელაც არი თუ სილა თქვენც მოგხვდათ როდისმე, მეც რჩევის კაცი ვარ, მეინახეობა მეც შემიძლია და სიამოვნებით გადაგიხდით მაგიერსა!

დონ-პედრო. მიხვალთ, მაგრამ მე ვერ გამოგაცილებთ; კეთილშობილთა შორის ეს კადნიერებაც არის მიღებული.

ანდრასტ. (იზიდორას) არა, ისეთი არა იქნება რა, რომ ჩემი გულიდამ ამოიყვხრა შეიძლოს... (დონ-პედროს, რომელმაც თვალი მოჰკრა, რომ მეტათ ახლო უჯდა იზიდორას) ნიკაპზედ პაწაწა ნაკვენს უშინჯავდი, შორიდამ რომ ხალი მეგონა.—დღეს ამითი გავათავოთ და სხვა მერე იყოს. (დონ-პედროს, რომელიც მხატვრობის ნახვას ეტანება) არა, ჯერ ნურას გაშინჯავთ, გთხოვთ შემაკვრევინოთ. (იზიდორას) და თქვენ ამას ჯავრებით არ დაიზაროთ და გული მხიარულად იქონიოთ, რომ ეს ჩვენი საქმე კარგად დავასრულოთ.

იზიდორა. მხიარულათ ვიქნები, რამდენიც შესაძლებელი იქნება.

## გამოსვლა მეთოთხმეტე.

დონ-პედრო, იზიდორა.

იზიდორა. თქვენ რას იტყვით? ამისთანა ზრდილობიანი კეთილშობილი მე არა მგონია სხვა იყოს სადმე და სწორე უნდა სთქვას კაცმა, რომ ფრანცუზებს ისეთი რამ განვითარება და ისეთი რამ მასიამოვნებლობა აქვთ ხასიათათა, რომ სხვა ხალხში არ იპოვება.

დონ-პედრო. მართალია, მაგრამ ცუდი ეს არის, რომ ყოველგან მეტად კადნიერათ არიან და ვისაც არა გგონია პირში ქეჩას უშედგენ.

იზიდორა. იციან, რომ ქალებს ამითი თავს აწონებინებენ.

დონ-პედრო. მაგრამ კაცებს კი სულაც არავინ მოუწონებს, რომ ცოლსა თუ საყვარელს, პატრონის ცხვირ წინ ელაქუცუნებოდნენ.

იზიდორა. სულ გულის გასაყოლებლათ კი მოსდით, რასაც ამბობენ და რასაც ჩადიან.

## გამოსვლა მეთხუთმეტე.

ზაიდა, დონ-პედრო, იზიდორა.

ზაიდა. დამიფარეთ, ბატონო, ღვთის გულისათვის, გაცეცხლებულ ქმარს გადამარჩინეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ! იმისი ეჭვიანობა არ გამოითქმის და გაბრაზებულმა დანდობა აღარ იცის. პირობაზე მუდამ გეფაროსო და ერთი ბეწვა გადახდილი რომ მნახა ისე გაგაპასდა რომ ხმალი იშიშვლა და გამომეკიდა; აქ რომ არ შემოვარდნილიყავი სწორედ დამჩეხდა. აგერა ჩანს! ოჰ! ღვთის გულისათვის გადამარჩინეთ.

დონ-პედრო. (ზაიდას იზიდორასაკენ ანიშნებს.) აიქ შედით ამასთანა და ნურაფრისა გეშინიათ!

## გამოსვლა მეთექვსმეტე.

ადრასტ, დონ-პედრო.

დონ-პედრო. როგორ, უფალო! თქვენა ხართ ეგა, კეთილშობილი ფრანცუზი და აგრე ეჭვიანი? მე მეგონა ეჭვიანობა მარტო ჩვენა გვჭირს მეთქი.

ადრასტ. ფრანცუზები ყოველ საქმეში აღემატებიან სხვებსა და ერთხელაც არის თუ ეჭვი აგვაღებინეს სიცილიელებზედ ერთი ორად უფრო ვეჭვიანობთ. რა რომ თქვენ შემოგეკედლათ, იმ უპატიურსა ჰგონია რომ ხელი ვეღარავინ ახლოს? თქვენ მეტად გონიერი ხართ,

რომ ჩემი უფლება შეურაცხ ჰყოთ. გთხოვთ გამიშვათ, ისე მოვექცე, როგორც შეჰფერის.

**დონ-პედრო.** ღვთის გულისათვის დადექით! მაგისთანა უბრალო საქმეზედ აგრე გაანჩხლება თქვენგან არ მიკვირს.

**ადრასტ.** ამისთანა საწყენი საქციელი უბრალო საქმეზედ ჩაუდენიათ თუ ბრალიანზედ, ამითი კი არ გაიზომება; დანაშაული ბძანების დამრღვევი არის და ვინც ბძანებას არ ემორჩილება, განუკითხავათ არის დასასჯელი.

**დონ-პედრო.** იმის სიტყვით, რასაც თქვენ იმასა სწამებთ, განზრახვით კი არ უქნია, უნებურათ მოსვლია; დიდათა გთხოვთ აპატიოთ და ისევ შერიგდეთ.

**ადრასტ.** როგორა! იმისს მხარეს იჭერთ თქვენა, თქვენა, იმ ნაირ ყოფა-ქცევაზედ რომ თითონ თქვენა ხართ ძალიან გაფთხილებული?

**დონ-პედრო.** დიახ, იმისს მხარეს ვიჭერ და ჩემი დავალება თუ გინდათ გული დაიმშვიდეთ და შერიგდით; ეს ერთი შემთხვევა ღმერთს დაამადლეთ, დიდათა გთხოვთ და ამ თხოვნას თუ შეიწყნარებთ ამ მეგობრობის დამოწმებად მივიღებ, რომელიც მსურს ჩვენში არსებობდეს.

**ადრასტ.** მაგ პირობით მე უარი აღარ გამებედება და იყოს ნება თქვენი.

## გამოსვლა მეჩვიდმეტე.

ზაიდა, დონ-პედრო, ადრასტი კუთხეში.

**დონ-პედრო.** (ზაიდას) აბა გამოდით აქა! თქვენი საქმე გავარიგე, უკეთესს ვერას იქმოდით რომ აქ შემოხვედით.

**ზაიდა.** ისე ვარ თქვენგან დავალებული რომ მეტი არ შეიძლება; მაგრამ პირ-ბადე დამრჩა იქა; როგორ შემიძლია უმისოდ დავენახო.

## გამოსვლა მეთვრამეტე.

დონ-პედრო, ადრასტ.

დონ პედრო. ეხლავ გამოვა ისევე. დიდად გაიხარა საზრაჯომ, საქმე გაგირიგე მეთქი რომ უთხარი.

## გამოსვლა მეცხრამეტე.

იზიდორა, (ზაიდას პირ-ბადით.) ადრასტ, დონ-პედრო.

დონ-პედრო. (ადრასტს) რადგანაც თქვენი გულის წყრომა მე მაპატიეთ, ნება მიბოძეთ ხელი-ხელს აქვე ჩაგითვალოთ და ორთავე შემოგევედროთ, რომ ამას იქით ერთობა და თანხმობა შეურყეველად იქონიოთ ჩემის პატივისცემისათვის.

ადრასტ. გაძლევთ პირობას, რომ თქვენის პატივისცემისათვის ისეთის თანხმობით ვიცხოვროთ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდეს.

დონ-პედრო. საგრძნობელად დამავალებთ და არც დავივიწყებ ჩემს სიცოცხლეში.

ადრასტ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ბატონო დონ-პედრო, რომ თქვენი სიყვარულისათვის ისეთის პატივითა და ფუფუნებით შევინახოთ, რომ მეტი არ შეიძლებოდეს.

დონ-პედრო. დიდად, დიდად მავალებთ! (მარტო) სასიამოვნოა ხალხის დამშვიდება და თანხმობის ჩამოგდება. იზიდორა! გამოდი აქა!

## გამოსვლა მეოცე.

ზაიდა, დონ-პედრო.

დონ-პედრო. ეს რას ნიშნავს?

ზაიდა. ეს რასა ნიშნავს და იმასა, რომ ეჭვიანი კაცი გარეული მხეცივით ეჯავრება ყველასა და ქვეყანაზედ არავინ იქნება, რომ

იმისთვის ზარალი არ ამოსვლ რაშიაც უნდა მოუვიდეს. ვისაც რაც უნდა ურდული უყაროს, რაც უნდა კლიტე ადვას, მაგითი ვერავის დაამწყვდევს თუ რომ გული არა აქვს მოგებული! ფიგუეროა ახლა ჩემ კაცის ხელშია, რომელიც უყვარს, რომელსაც უყვარს და რომელმაც თქვენ ეს არის პირში ჩალა გამოგავლოთ.

დონ-პედრო. როგორ თუ? მერე დონ-პედროს ჰიტახოს ესა? არა, არა! სხვა არა იყოს რა, სამართალი ხომ არის აქა. აი, ჯგერა დგას ერთი სენატორი. (კარს ურეკს აშფოთებული).

## გამოსვლა მეოცდაერთე.

სენატორი, დონ-პედრო.

სენატორი. ოჰ! უფალს დონ-პედროს ვახლავარ! რა კარგს დროს მოხვედით!

დონ-პედრო. ერთს შეურაცხებაზედ მინდა შემოგჩივლოთ, ახლა რომ მომაყენეს.

სენატორი. ისეთი კარგი მასკარადი იმართება აქა, რომ სწორედ თქვენი მოსაწონი.

დონ-პედრო. ერთმა თავხედმა ფრანცუზმა თქვენს მტერს რაც მე საქმე დამმართა.

სენატორი. გარწმუნებთ რომ ამისთანა შექცევას არსად შესწრებიხართ,

დონ-პედრო. ნასყიდი ქალი მომტაცეს, რომელიც განთავისუფლებული მყავდა.

სენატორი. რამდენ ნაირს ტან-საცმელს აქა ნახავთ, რომელი ერთი მოგითვალოთ.

დონ-პედრო. აი, ამისთანა საქმეებს ჩადიან აქა! სამართლის შემწეობასა გთხოვთ ახლა!

სენატორი. რაო? რასა ბძანებთ?

დასავლეთით შავი ზღვაა, ჩრდილოეთით ყასპიის მთები—კავკასიის ტოტები, რომელნიც ერთის ზღვიდგან მეორემდი მიაღწევენ და სადაც ჰსცხოვრებენ ერთ-გვარნი ბარბაროსულნი და ავაზაკნი ხალხნი, წოდებულნი ლეკებათ (Lezghi, ბ Legzi). ესენი უმეტეს ნაწილად არიან მაჰმადიანები, სხვები კი მგონია არიან კერპთ-თაყვანის მცემნი, ან სრულებით ულმერთონი; ეგენი ადვილად შეიძლება იყვნენ სტრაბონის სვანები (Soani) ან ფთიროფაგები 2). უკანასკნელად, სამხრეთით მდებარებენ სომხეთის ნაწილები, რომელთა მხრით საქართველოის სამზღვრად არის მიდია. სამხრეთ-დასავლეთით, ე. ი. ტრაპიზონისაკენ, თუ არ ვსცდები, კაპადოკიის რამოდენიმე ნაწილია.—მთელი ეს ქვეყანა დღეს ჰხმარობს მხოლოდ ერთს მისს საკუთარს ენას, რომელიც ყველა იქ მცხოვრებ ხალხების საზოგადო ენაა, ამ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ჯორჯიას (Georgia) და იქაურები საქართველოს (Cardueli), უწინ ჰყოლობდა მხოლოდ ერთი მეფე, ვიდრე ერთმა მეფეთაგანმა არ გაუყო სახელმწიფო თავის ოთხ შვილს 3) და არა ჰქმნა ყველა იგინი ერთნაირად დამოუკიდებელ და სრულ მთავრებათ თავიანთ სამფლობელოებში. მხოლოდ ერთს მათგანს, რომელსაც მისცა შუაგული და უდიდესი ნაწილი თავის სახელმწიფოისა, დაუტოვა ერთ-გვარი უპირატესობა სხვებზე; ამიტომაც დღემდი ამ ნაწილის მთავარი დიდად პატივ-ცემულია სხვა მთავრებისაგან, რომელნიც მას უწოდებენ მეფეთ-მეფეს, რაიცა მათ ენაზე ნიშნავს ხელმწიფეების ხელმწიფეს; თვითონ კი თავიანთ თავს ჰრაცხვენ საქართველოის ლიტონ

---

2) ამისთანა განგულებას არავითარი საფუძველი არა აქვს, როგორც ადვილად მიხვდება ქართველი მკითხველი. (მთარგმ.)

3) საქართველოის განაწილება მოხდა მეხუთმეტე საუკუნეში. პიეტრო დელლავალლე შემცდარია, როცა ამბობს, რომ საქართველო ოთხ სამეფოთ და ორ სამთავროთ გაიყოვო. ნამდვილად საქართველო განაწილდა სამ სამეფოთ: ქართლი, კახეთი და იმერეთი, და ხუთ სამთავროთ: სამეგრელო, გურია, სამცხე-კლარჯეთის საათაბაგო, აფხაზეთი და სვანეთი. როგორც შემდეგ მოთხრობიდგან ჰსჩანს, პიეტრო დელლავალლე მეოთხე მეფეთ ალბათ ჰსთვლის სამცხე-კლარჯეთის ათაბეგს.

(მთარგმ.)

მთავრებათ და ამით კმაყოფილდებიან. ამ ჟამად საქართველოში ექვსი მთავარია, რადგანაც გარდა იმ ოთხისა, რომელნიც, როგორც ზემოდ ვთქვი, მეფის შთამომავლობისანი არიან, ორნი კიდევ სხვანი არიან, რომელნიც უწინ იყვნენ მეფეთ-მეფის მოურავებათ (Ministri) და მისის სამეფოის ორის დიდ ნაწილების მმართველებათ შავის ზღვის ნაპირზედ. ისინი განუდგნენ რა მეფეთ-მეფეს, დაისაკუთრეს ის მხარეები, რომელნიც მათ ჰქონდათ ჩაბარებულნი სამმართველოდ და შემდეგ ამისა თვითონ შეიქმნენ სრულ მთავრებათ. როცა თან-და-თან მათი გავლენა და სახელი გავრცელდა, მაშინ იგინი არამც თუ გაუსწორდნენ, არამედ დაუმოყვრდნენ კიდევაც ყველა მთავრებს. ამიტომაც დღეს ყველა მთავრები ეპყრობიან მათ, როგორც თავის სრულ თანასწორებს. იმათ ახსოვსთ დღემდი მხოლოდ მეფეთ-მეფის უპირატესობა. მაგალითად, როცა მეფეთ-მეფე ცხენზედ ჰჯდება და ის ორი მთავარი, რომელნიც უწინ იყვნენ მის მოურავებათ და ერისთავებათ (Vassalli), სასახლეში ჯრიან, მაშინ ერთი მათგანი ცხენს უკავებს და მეორე აბჯანდსა.

შემდეგ იმისა, როცა ქვეყანა გაიყო ექვს მთავრებ შუა და ეს მთავრები სრულ ბატონებათ შეიქმნენ, მეფეთ-მეფე ჰფლობდა და დღემდისაც ჰფლობს იმ მხარეს, რომელსაც იქაურები უწოდებენ იმერეთს და რომელიც მდებარეობს, როგორც ვსთქვი, შუაში და არის უძლიერესი სხვა ნაწილებზე. სწორედ ეს მხარე არის იბერია. მთავარს, რომელიც ეხლა იქ მეფობს, ჰქვია გიორგი ესე იგი (იტალიანურად) ჯორჯიო. მეფეთ-მეფეს მაგიერ, როგორც მას უწოდებენ მხოლოდ წერილებში, საზოგადოდ ლაპარაკში მას ეძახიან გიორგი-მეფეს, ან გიორგის, მაგრამ თურქები, როგორც ამ მეფეს, ეგრეთვე ქვეყანას და ხალხს ამ ქვეყნისას, ეძახიან, არ ვიცი რატომ, ბაშაჩიუკს, რომელიც თურქულად ნიშნავს თავ-ღიას, ან თავ-შიშველს.

იმერეთის აღმოსავლეთით მდებარეობს მეორე თემი, წოდებული კახეთათ, რომელიც, თუ არა ვცდები, არის ეგრეთვე იბერიის ნაწილი და შეიძლება ალბანიისაც და შეადგენს იმ მეფის უმცროსის

შვილის შთამომავლობის სამეფოს, რომელმაც თავისი სახელმწიფო პირველად გაუნაწილა თავის ოთხ შვილებს. დედა-ქალაქი ამ თემისა იყო ზეგანი (Zagain), თუმცა მთავრებსა და ადგილობრივ კეთილ-შობილებსა (Nobili), რომელთაც უწოდებენ აზნაურებს, უფრო მოს-წონსთ ცხოვრება სოფლებში, როგორც საფრანგეთის კეთილშობი-ლებს, ვიდრე ქალაქებში. სხვა აღმოსავლეთის ბარბაროსულ ხალხების წესის წინააღმდეგ ქართველებს ჰყავსთ თავისი თავად-აზნაურობა (nobilita), რომელსაც ჰსცნობენ და არჩევენ მდაბალ ხალხისაგან, რო-გორც ჩვენ, ევროპიელები, გვაროვნობის შთამომავლობით და იმ ჩვეულობის შემწეობით, რომ თავად-აზნაურობა და მდაბალი ხალხი ერთმანეთს არ ემოყვრებიან. თავად-აზნაურები, ვამბობ მე, არ ჰსცხოვ-რებენ ქალაქებში. მათის აზრით ქალაქებში უნდა იცხოვრონ მდაბალ ხალხის კაცებმა და ხელოსნებმა, რომელთაც შეუძლიანთ იქ მიეცნენ ვაჭ-რობას ან აღებ-მიცემობას. ეს აზრი ისე გავრცელებულია ქართველებში, რომ იმისთანებსაც, რომელნიც არ არიან აზნაურები, ეძაგებათ ქალაქ-ში ცხოვრება და ხელობის და ვაჭრობის ვარჯიშობა; როგორც ხე-ლობას, ისე ვაჭრობას ქართველები უთმობენ უცხო ქვეყნელებს, მა-გალითად სომხებს, ურიებს, რომელნიც ბლომად არიან მათს ქვეყა-ნაში, და სხვებს ამათ მსგავსებს. თვითონ კი თავის ცხოვრებას ატა-რებენ ან ომიანობაში, როცა საჭიროა, ან ეკკლესიის სამსახურში, სა-კუთრად ისინი, რომელნიც სამღვდელოებას ეკუთვნიან, ან და უმეტესი ნაწილი ეძლევა თავიანთ მიწების შემუშავებას. მათი მიწები ფრიად ნაყოფიერნი არიან ყოველ-გვარის ხილთათვის. სოფლებში ბლომად მოჰყავსთ აბრეშუმი. სოფლის მამული ბევრი თუ ცოტა, თითქმის ყველას აქვს. ამიტომაც ძველი ბერძნები სამართლიანად უწოდებდნენ ქართველებს გეორგს, რომელიც ნიშნავს მიწის მუშაკს. ამიტომაც ამ ქვეყანაში ცოტაა ქალაქები და არაფრად შესანიშნავნი, მაგრამ სოფ-ლებში კი ყოველგან ძლიერ ხშირი მოსახლეობაა და ეგრეთვე კარგნი შენობები, თუმც უმეტესი ნაწილი მაღებურად ხისგან არის გაკეთებუ-ლი. არც სხვა-და-სხვა გვარი და კარგად აშენებული ეკკლესიები აკლიათ,

მაგრამ ჩვეულებისამებრ ცუდად ინახვენ. მეფეს, რომელიც ჩვენებურე-
ბის სიტყვით, მეფობდა ზემოხსენებულს კახეთში, ჰქვიან სახელად
თეიმურაზ და ეხლაც ცოცხალია, მაგრამ, როგორც ქვემოდ ვსთქვი,
სახელმწიფო მას ჩამორთმეული აქვს. როცა თეიმურაზს პირველი ცო-
ლი მოუკვდა, სპარსეთის ხელმწიფემ შაჰაბაზმა, რომელიც მაშინ მისი
მეგობარი იყო და რომელიც დღესაც ხელმწიფობს, გაუგზავნა მას
სამძიმრის სათქმელად პატრი ფრა ჯოვან-თადეო წმინდა ელისეის
კარმელიტანელი ფეხ-შიშველი [4]). ეს პატრი ეხლა სპარსეთშია და
უწინ იქაურის მისსიის უფროსი იყო. თეიმურაზ მეფემ განუცხადა
მას მეგობრობა და დიდი პატივისცემა არამც თუ როგორც სპარსე-
თის ხელმწიფისგან გამოგზავნილს, არამედ როგორც კაცად-კაცს და
როგორც ჩვენებურ ქრისტიან სამღვდელო პირს; მას საჯაროდ აწირ-
ვინა თავის უმთავრეს ეკკლესიაში, იმ ქვეყნის მიტროპოლიტის თან-
დასწრებით. მეფეს თვითონაც უნდოდა დასწრებულიყო, მაგრამ არ ვიცი
რამ დაუშალა. გარდა ამისა მეფემ უბოძა და ჩააბარა მას მიწა-ადგილი
იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში მას, თუ ისურვებდა, გაეკეთებინა თავის
რჯულის მონასტერი და ეკკლესია. ერთის სიტყვით, როგორც მე-
ფემ ისე ალავერდ მიტროპოლიტმაც, რომელიც ითვლებოდა რო-
გორც ფრიად გონიერი კაცი და რომის საქმის ერთგულად მსახური,
გამოიჩინეს, თვითონ პატრის სიტყვით, რომის ეკკლესიისადმი ისე-
თი გულ-მიდრეკილობა, რომ მეტი აღარ შეიძლება.

მეფის შთამომავლობის მესამე მთავარი მეფობს იმ თემში, რო-
მელიც კახეთის და იმერეთის (?) სამხრეთით არის და რომელსაც
ჰქვიან ქართლი (Cardel ბ Carduel). ეს არის დიდ სომხეთის ნა-
წილი და მისი დედა-ქალაქი არის ტფილისი (Teflis). ჩვენის პატრე-
ბის დროს აქ მეფობდა სიმონი, რომელიც შემდეგ ტყვეთ

[4]) ეს პატრი ეკუთვნოდა იმ დასს (ორდენს), რომლის წევრები ფეხშიშ-
ველნი დადიან.

(მთარგმ.)

მოკვდა კონსტანტინოპოლში [5]). ეს მეფე ძლიერ სახელ-განთქმული იყო იმ ომების გამო, რომელნიც მას ჰქონდა, როგორც მოგვითხრობენ ჩვენი ისტორიები, თათრებთან და ძლიერ ერთგული იყო რომის წმინდა საყდრისა, როგორც ცხადად გამოაჩინეს მისმა წერილებმა (თუ ისინი იყვნენ, როგორც მე ვფიქრობ, ამავე სიმონისა) ნეტარ ხსენებულ პაპი პავლე მეხუთესთან. ერთი ამ წერილთაგანი და ეგრეთვე მოხსენება იმ წერილისა (con la nota anco di quella), რომელიც ხსენებულმა მღვდელთ-მთავარმა უწინ მისწერა მას, დაბეჭდილია პატრის ფრა თომასო კარმელიტანელ ფეხ-შიშველის წიგნში „De procuranda salute omnium gentium".

ჩვენს დროში ამ ქვეყანაში უფლობდა ზემოხსენებულის სიმონის შვილის-შვილი (nipote cio è figlio del sopradetto Simone [?]) ლუარსაბ, მეფე ახალ-გაზრდა და დიდის იმედის მომცემი, მაგრამ ცოტა ხნის წინედ, სანამ მე სპარსეთში ჩავიდოდი, მან იქ საწყალ ობლად დალია თავისი დღენი. იგი მოჰკლეს ციხეში, რომელშიაც რამოდენიმე წელიწადი დამწყვდეული იყო. მას არ დარჩენია არავითარი შთამომავლობა, რადგანაც ცოლი ჯერ მოყვანილი არ ჰყავდა, თუმცა საცოლო კი დანიშნული ჰყავდა. ლუარსაბის შემდეგ მის ქვეყანას ჰფლობდა მისივე გვარის მეფე, რომელიც იყო მისი მმისწული თუ ბიძა-შვილი [6]). ეს მეფე იყო მაჰმადის სარწმუნოებისა და თავის სამეფოში აღარ იყო სრული ბატონი, არამედ გახდა სპარსეთის ხელმწიფის ერის-თავად, როგორც ეხლავე ვიტყვი.

მეოთხე მთავარს მეფის შთამომავლობისას ჰქონდა თავისი სამეფო დასავლეთისაკენ, მიდიის საზღვარზე, რომელსაც შეადგენდნენ როგორც ქართლის, ისე, ჩემის აზრით, სომხეთის და კაპადოკიის

---

[5]) ეს იყო სვიმონ I, რომელიც მოჰკლეს კონსტანტინოპოლში 1611 წ.

[6]) აქ ლაპარაკია უსათუოდ ბაგრატ მე-VI-ზედ, რომელიც იყო ლუარსაბის მამის, გიორგი მე-X-ის ბიძა-შვილი და არა თვითონ ლუარსაბისა.

(მთარგმ.)

ნაწილებთ. მხოლოდ ეს სამეფო ეხლა აღარ არსებობს, როგორც შემდეგ აიხსნება.

რაც შეეხება უკანასკნელ ორს მთავარს, რომელნიც არიან მოურავების შთამომავლობისა, და არა მეფისა, და რომელთა სამთავრონი არიან შავის ან ევქსინის ზღვის ნაპირად, ერთი მათგანი ჰფლობს იმ მხარეს, რომელიც არის უფრო ჩრდილოეთით და მიემხრობა კასპიის მთებს 7) და ეგრეთვე დადიანებს 8), ე. ი. მოსიარულეთა და მლოცველთა, ეგრე უწოდებენ მათ, იმიტომ რომ მეულად ისინი უსახლ-კაროდ გადადიოდნენ ერთ ადგილიდგან მეორე ადგილას, როგორც არაბები თავის კარვებით; მაგრამ შემდეგ მათ გამოიცვალეს თავისი ჩვეულება, და დღეს ეს მხარე საუკეთესო მხარეა, სადაც მოსახლობა უფრო ბევრია, ვიდრე საქართველოის სხვა ნაწილებში. ეს არის ძველ ხალხების კოლხიდა. თურქები კი მას უწოდებენ მეგრელიას. დღეს იქ ჰფლობს ახალ-გაზრდა მთავარი, რომელსაც ჰქვიან, თუ კარგად მახსოვს, ლევან.

ერთი კონსტანტინოპოლელ იეზუიტთაგანი პატრი, რომელიც წასულიყო სამეგრელოში ქრისტიანობის მდგომარეობის გამოსაცნობლად, დაბრუნდა იქიდგან 1615 წელს, როცა მეც კონსტანტინოპოლში ვიყავი. დაბრუნების შემდეგ მან იცოცხლა მხოლოდ სამი თუ ოთხი დღე, რადგანაც წავიდა თუ არა კონსტანტინოპოლში, მას შეე-

---

7) ამ სახელით აქტორი, როგორც ზემოდ ჰსჩანს, უწოდებს კავკასიის მთებს.

8) დადიანების გვარის თავდაპირველ მნიშვნელობაზე ათიოდე სხვა-და-სხვა ახსნა არსებობს. ყველაზე უფრო უსაფუძვლო პიეტრო დელლავალლეს ახსნა არის, რომელსაც საბუთად აქვს მხოლოდ ხმების შემთხვევითი მსგავსება და არა რამე ნამდვილი ფილოლოგიური ან ისტორიული საბუთი. უფრო საფუძვლიანი ის განგულება არის, რომ „დადიანი“ უნდა წარმომდგარიყოს სპარსულის სიტყვისაგან „დად“, რომელიც ნიშნავს „მსაჯულს“ და შემდეგ ეს თანამდებობის სახელი უნდა გადაქცეულიყოს გვარად. ეს აზრი, რომელმაც გამოიწვია პოლემიკა ბროსეს მხრით, ვრცლად აქვს განმარტებული ნემეცს კოხს თავის წიგნში რუსეთის და კავკასიის შესახებ, რომელიც გამოვიდა ტიუბინგენში 1843 წ.

(მთარგმ).

ქარა უშველებელი ჭირი, რომელიც მაშინ იქ გავრცელებული იყო. ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში მან მოკლედ მიამბო, რომ ზემოხსენებული მთავარი ვნახეო, რომელიც მაშინ იქნებოდა თორმეტის წლისაო და ამიტომ ქვეყანას განაგებდა მისი დედაო. ისინი ჰსცხოვრებდნენ უბრალოდო და რამდენადმე ბინძურადაცაო, როგორც სოფლელებიო. ერთს დღეს ვნახეო, რომ მთავარმა ეკკლესიაში მიიტანა შესაწირავად ერთი დიდი ველურის ღორის თავიო, რომელიც იმას ნადირობაში მოეკლაო. მე ძლიერ მეფერებოდაო და მესიყვარულებოდაო მთავარი, მაგრამ რადგანაც მისი ენა არ ვიცოდიო, ვერც ვლაპარაკობდითო და ვერც ერთმანეთის გავიგეთ რაო. ამის მეტი იმ პატრის მოგზაურობისაგან იმ ადგილებში მაშინ არ შეიძლებოდა შეტყობა, ჯერ იმიტომ რომ ის პატრი, როგორც ვსთქვი, მოკვდა, და გარდა ამისა მისი ნაწერები ზღვაში დაიღუპნენ ღელვის დროს; მაგრამ მე მინდა ვაიმედო თავი, რომ კონსტანტინოპოლელ ჯეზუიტებს,—რომელნიც ისე მეზობლად არიან ამ ქვეყანასთან, რომ რვა დღეში, და უფრო ადრეც, თუ კარგი ტაროსი იქნა, შეუძლიანთ იქ წავიდნენ ზღვით,—არ მიუტოვებიათ ეს მისსია, არამედ იქნება კიდევაც გაგზავნეს იქ სხვები. ან და მზად არიან მაინც შემდგომისათვის გაგზავნონ.

ამ სამთავროის სამხრეთით, ეგრეთვე შავის ზღვის ნაპირზე, ტრაპიზონის და კაბადოკიის სამზღვრებზედ, არის მეორე სამთავრო, რომელსაც ჰქვიან სახელად გურია (Guriel). ეს არის, ჩემის აზრით, ან კაპადოკიის და ან კოლხიდის ნაწილი. ამ ქვეყნის მთავარი მეორე მთავარია არა მეფის შთამომავლობისა. ეხლანდელ მთავარს, თუ არ ვცდები, ჰქვიან იესე [9]). მე მგონია, რომ ამისვე გვარის უნდა იყოს

[9]) გურიელების სქემა აქვსთ მოყვანილი ბროსეს ქართლის-ცხოვრების ფრანციულ თარგმანში და დ. ბაქრაძეს თავის ახალ წიგნში: Археологическое путешествіе по Гуріи и Адчарѣ,—მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ახსენებს ამ იესეს. მხოლოდ უკანასკნელი ახსენებს იესე გურიელს, რომელიც ეხლა ჰსცხოვრობს და არის ოზურგეთის უეზდის თავად-აზნაურობის წინამძღოლი. ეს ადგილი პიეტრო დელლავალლესი გვარწმუნებს, რომ ამ სახელით ვინმე გურიელი უნდა ყოფილიყო, თუ ავტორის დროს არა, წინედ მაინც. (მთარგმ.)

მიტროპოლიტი, რომელიც ეხლა ჰმართავს ეკკლესიას ქართველებისას იმ ადგილებში, რომელნიც არ ემორჩილებიან სპარსეთს, რადგანაც იმ ნაწილებში, რომელნიც უფრო აღმოსავლეთით არიან და სადაც უფლობს სპარსეთის ხელმწიფე, ამ უკანასკნელმა დააყენა თავის ნებით მეორე მიტროპოლიტი. ეს იყო იმ ალავერდის მოადგილე, რომელიც მე ზემოდ ვახსენე, და ჰსცხოვრებდა ჩემს დროს. სახელად ამასაც ალავერდი ერქვა, თუ ვინიცობაა ეს სახელი არ წარმოსდგება თვით კათედრიდგან და არ მიეცემა ყველას, ვინც იქ იჯდომილებს [10]. ერთი და ამ მიტროპოლიტისა დღეს ჰსცხოვრებს სპარსეთში, სადაც ის სხვების რიცხვში წაიყვანეს ქართველების შესანიშნავ გარდასახლების დროს, რაზედაც გაკვრით ვიტყვი რამოდენიმე სიტყვას. ეს იყო მიცვალებულ დიდ ალავერდის დის-წულის ცოლი. ამ დიდ ალავერდის სამი და ერთად წაიყვანეს სპარსეთში ხსენებულ გარდასახლების დროს და დღეს ჰსცხოვრებენ ისპაჰანში. ერთს მათგანს მე სამი შვილი მოვუნათლე. იგინი მრავალი წელიწადი, როგორც მე თვითონ ვნახე, ჰსცხოვრებდნენ ძლიერ გაჭირვებულად და საცოდავად, იმიტომ რომ არ გამოიცვალეს თავისი სარწმუნოება. ხელმწიფე მათ არც აძლევდა რასმე, არც პატივს ჰსცემდა. ყოველი ესე მათ მიეცემოდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგინი დასტოვებდნენ თავიანთ რჯულს. თუმც ისინი მიჩვეულნი იყვნენ საქართველოში კარგად და მდიდრულად ცხოვრებასა, მაგრამ, რადგანაც სპარსეთიდგან აღარ უშვებდნენ მათ, ისინი დიდის სულგრძელობით ითმენდნენ სპარსეთში ღარიბ ცხოვრებას. როცა მათ დახარჯეს და დაყიდეს რისაც წამოღება შეიძლეს თავის ქვეყნიდგან, მაშინ მათ თავი უნდა დაემდაბლებინათ და დაეწყოთ თავის რჩენა თავიანთ ხელსაქნარით და ხშირადაც ჩვენის სპარსეთში მცხოვრებ ბერებისაგან მიწოდებულ მოწყალებითა. ჩვენები არ აკლებენ მათ თავის მფარველობას და ეგრეთვე სხვა ეკრო-

---

10) მხოლოდ ეს უკანასკნელი აზრია მართალი. ეს მღვდელ-მთავარი იჯდა ალავერდში და ამიტომ იმას ალავერდელი ერქვა.

(მთარგმ.)

პრელებსაც. სინამდი ჩვენები იქ იყვნენ, არ დაზარებიათ თავიანთ შემძლებისა-დაგვარად მათი შეეწეობა.

რაც შეეხება საერო (temporale) ცხოვრებას, საქართველო თითქმის ჩვენს დრომდი არის იმ მდგომარეობაში, რომელზედაც ზემოდ ვლაპარაკობდი. რომ საქართველოს ამ მდგომარეობაში თავი შეუნახავს, ესეც საკვირველია, და არა მცირედი მიზეზი ამისა არის ქართველების მამაცობა. რიცხვით საქართველოს ხალხი ძლიერ მცირეა და ამასთანავე დაყოფილიც რამოდენიმე მთავრების შუა, რომელნიც, მის მაგიერ რომ ერთად ებრძოლონ მტერს, ხშირად ერთმანეთს ებრძვიან. გარდა ამისა ქართველებს არა აქვსთ არავითარი არტილერია; თოფებსაც (archibugeria) ცოტად ხმარობენ ან თითქმის სრულებით არ ხმარობენ. ამდენ წვალებულებასთან, ვამბობ მე, მათ მაინც დაიცვეს თავის-თავი უცვლელად და თავისუფლად; აგრეთვე მათ დღემდი დაიცვეს თავისი რჯული, თუმც ყოვლის მხრით გარს შემორტყმულნი იყვნენ ურჯულოებით და მტრებით. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ისინი მარტოკა იყვნენ ორ უძლიერესთა, სპარსეთის და თურქების იმპერიათა შუა, და არსაიდგან არავითარ შემწეობას არ ელოდნენ. როგორც სპარსელებს, ისე თურქებს მუდამ მათის გაქრობის და დამხობის განზრახვა ჰქონდათ, უფრო მათის რჯულის სიძულვილის გამო, ვიდრე სხვა რამე მიზეზით. ამიტომაც მე მგონია, რომ ისინი არამც თუ ღირსნი არიან ქებისა, არამედ მთელი ეკკლესია რამდენადმე დავალებულია მათგან იმ სათნოებით და იმ მხნეობით, რომელიც მათ მრავალჯერ გამოიჩინეს ომებში და რომლის შემწეობით მათ არა ერთხელ დაამარცხეს ან უკუაქციეს მთელი ჯარები, ხან სპარსელებისა და ხან თურქებისა. უფრო სამძიმო ის არის, რომ ასეთის სიმტკიცის შემწეობით იგინი მუდამ იცავდნენ და იფარვიდნენ, რამდენადაც შეეძლოთ, ქრისტეს სარწმუნოებას. რომ სიტყვა არ გამიგრძელდეს ამის მაგალითებს აღარ მოვიყვან. ამ ჩვენს საუკუნეში კი, რომლისამე მათის ცოდვის გამო, ღვთის სამართლიან განგებით, ქართველები დიდად შევიწროებულნი

დარჩნენ. უფრო შინაურ განხეთქილების გამო, ვიდრე სხვა რამე მიზეზით, იმათ ძალას ბევრი მოაკლდა, თუმცა არა მცირედი ძალა კიდევ დარჩათ. აი რად დაიღუპა ერთი იმ მთავართაგანი, რომლებზედაც მე ვლაპარაკობდი ზემოდ. ეს მთავარი იყო მეფის შთამომავლობისა და ჰქონდა თავისი სამყოფი სომხეთის და კაპადოკიის შუა, არა მოშორებულად თავრიზისა (Tabril) და მიდიის სამზღვრებისა [11]. იმ განუწყვეტელ ომებში, რომელნიც მრავალ წელიწადს ერთმანერთთან ჰქონდათ სპარსელებს და თურქებს, ეს მეფე იძულებული იყო ხან ერთს მისდგომოდა, ხან მეორეს, რადგანაც მისი სამეფო მთლად ღია და თითქმის თურქის მიწებ შუა იყო. თურქებმა ცოტ-ცოტად გამოაცალეს მას მიწები და ბოლოს მისი სამეფო სრულ გააქრეს.

მათ ეს სამეფო დაიპყრეს, როგორც მე მგონია, იმ მიზეზით, ვითამ ეს ყოფილიყოს ამ განხეთქილების მიზეზი. მე მითხრეს, რომ ამ მეფის შთამომავლობის ერთი ახალგაზდა მთავარი დღეს ჰსცხოვრებსო იმავე თურქების კარზე და ელისო,—მაგრამ, როგორც დღემდი ჰსჩანს, ამაოდ,—რომ ისინი მისცემენ მას საბძანებლად სხვა ქვეყანას, სამაგიეროდ იმისა, რომელიც მას დაეკარგა. რამოდენიმე წლის წინედ იმგვარისავე შემთხვევისა გამო, ესე იგი, სპარსეთის და თურქების შორის აღძრულ ომის გამო, ცოტათი წინედ ჩემის სპარსეთში ჩამოსვლამდი, დაეცნენ ორნი ქართველნი მთავარნი, რომელნიც ეკუთვნენ ეგრეთვე მეფის შთამომავლობისა. თუმცა მათი სამეფონი სრულებით გამქრალნი არ არიან, მაგრამ ცუდი ბოლო დაადგებათ, თუ რამე ბედნიერმა შემთხვევამ, რაზედაც მე იმედი აღარ მაქვს, არა აღადგინა ისინი. ეს მეფენი იყვნენ თეიმურაზ და ლუარსაბ, რომელნიც თითქმის ყოველთვის სპარსეთზედ იყვნენ დამოკიდებულნი, რადგანაც მათი სამეფონი სპარსეთს ესამზღვრებოდნენ. გარდა ამისა უმეტესი ნაწილი ამ ქვეყნების მეფეებისა იზრდებოდნენ სპარ-

[11]) იხილე სხოლიო 3. (მთარგმ.)

სეთის ხელმწიფის კარზე, როგორც მაგალითად თეიმურაზ და ლუარსაბ, რომელნიც უმაწვილობიდგანვე რამოდენიმე ხანს იქ გამოზრდილან. ამიტომაც იმ ოსმანობის დროს, რომელიც მე გახსენე, როცა თურქები და სპარსელები თავიანთ ჯარებით მეფეებს ძლიერ დაუახლოვდნენ და თითქმის მათ ქვეყანაში შევიდნენ და დაიწყეს მორიგებაზე ლაპარაკი, მაშინ სხვათა შორის იმაზეც დაიწყეს ბაასი, თუ ვის უნდა ემორჩილებოდნენო თეიმურაზ და ლუარსაბიო. თურქები ამტკიცებდნენ, რომ ამ მეფეებს ჩვენი მხარე უნდა ეჭიროსთო; სპარსეთის ხელმწიფე თავის მხრით ეუბნებოდა თურქის ელჩს, რომელიც მეცადინეობდა შერიგების მოხდენას, რომ თეიმურაზ და ლუარსაბ არიან და ყოველთვის იყვნენ ჩემსკენო; დასამტკიცებლად ამისა მე შემიძლიანო ყოველთვის, როცა ვისურვებო, ისინი ჩემს ბანაკში დავიბაროო: ელჩი არ ერწმუნა მას და მოითხოვა, რომ სპარსეთის ხელმწიფეს გამოეცადა და დაებარებინა.

სპარსეთის ხელმწიფემ დიაღ დაიბარა მეფეები, მაგრამ რადგანაც ესენი ხედავდნენ, რომ თურქის ჯარი ეგრე ახლო იდგა, იმათ ველარ გაბედეს ცხადათ გამოეჟღავნათ მათი სურვილი და ვერაგობდნენ (tergiversando) ხან ერთთან და ხან მეორესთან; სპარსეთის ხელმწიფის წინაშე ზრდილობიანად დიდს ბოდიშს იხდიდნენ, მაგრამ მის ბანაკში კი არ მივიდნენ. მათი ამისთანა მოქმედება კარგად იგრძნო სპარსეთის ხელმწიფემ და ამიტომაც თურქებთან ცოტა შერცხვენილი დარჩა. თუმცა მაშინ მან დაფარა თავისი გრძნობა და იმ ჟამად არაფერი არ უყო მათ, და არც არა შეეძლო; მაგრამ როცა შერიგება მოხდა და თურქების ჯარი წავიდა და იარაღი დაჰყარა, მაშინ ხელმწიფე ეცადა, რომ თავის ახალ გამოგონილ ზომებით განხეთქილება ჩამოეგდო ლუარსაბისა და თეიმურაზის შორის. იმდენად იხმარა მან თავისი ჩვეულებრივი მზაკვრობა, რომ თითქმის ისინი შეატაკა ერთმანეთს, თუმცა ეს მეფეები ერთმანერთის მოყვრები იყვნენ (თეიმურაზის მეორე ცოლი ლუარსაბის და იყო). იგინი უსათუოდ შეეტაკებოდნენ ერთმანეთს (რადგანაც გამოსულნი იყვნენ უკვე ბრძოლის

ველზე თავიანთ ჯარებით ერთი მეორეს წინააღმდეგ), რომ ბოლოს
არ გამოჩენილიყვნენ ერთგულნი თავად-აზნაურები და ერისთვები და
ამათ არ ემეცადინათ მათი შერიგება. ამათ დაანახვეს მეფეებს, რომ
მათი უთანხმოება სპარსეთის ხელმწიფის ქმნილებაა, რომ ამითი იმას
ჰსურდა ორივესი დაღუპვა. ისიც გამოაშკარავდა, რომ მას თითოეულს
მათგანისთვის ცალკე გაუგზავნია ფარულად ჩვეულებრივი წერი-
ლი ან ბრძანება, მაგრამ ორივესთვის ერთისა და იმავე შინაარსი-
სა. ამ წერილებში თითოეულს მათგანს იგი უბრძანებდა, რომ
მოეკლა მეორე და დაეპყრა მისი სამეფო; ჰპირდებოდა თავის მხრით
შემწეობას და მეორის სამეფოში მაგრად ფეხის ჩადგმევინებას. ამის
გარდა იმას, ვისაც წერილს ჰსწერდა, უცხადებდა მეგობრო-
ბას და მეორის შესახებ კი მტერობას, და ამის მიზეზებსაც
ჰსთვლიდა. ყოველი ესე საკმაოდ არ დარჩა მეფეების გასაფრთხილებ-
ლად; ეგრე სიწრფელით და ადვილად დაენდობიან ხოლმე სხვას ქარ-
თველები.

გარდა ამისა სპარსეთის ხელმწიფემ მტრობა თუ არა სამდურავი
მაინც ჩამოაგდო თეიმურაზისა და მის დედის შორის, რომელსაც ერქვა
ქეთევან დედუფალი (Ketevan Dedupali, cioè la Regina Ketevan).
ქეთევან იყო ლუარსაბის გვარისა და მისი ნათესავი. მას ჰქონდა დიდი
ნიჭი სახელმწიფოის მართვისა. რამოდენიმე წლის განმავლობაში,
როცა თეიმურაზ მცირე წლოვანი იყო, ქვრივი ქეთევან ჰმართვიდა
სახელმწიფოს, რომელიც მასთანავე დიდებულად დაიცვა თავის მაზლის
(cognato) კონსტანტინე მაჰმადიანისაგან [12]). შემდეგ იმისა, რო-
მოჰკვდა დავით, ქმარი ქეთევანისა და ძმა კონსტანტინესი, ამ უკა-
ნასკნელმა უწყალოდ მოკლა თავისი მოხუცებული მამა ალექსანდრე
და მეორე თავისი ძმა და განიზრახა კახეთის დაპყრობა; კიდევაც
დაიპყრობდა უსათუოდ, რომ ქეთევანს მამაცურად არ გამოეჩინა წი-

---

12) ეს იყო კონსტანტინე III, რომელმაც მოჰკლა თავისი მამა ალექსანდრე II და ძმა გიორგი. (მთარგმ.)

წინააღმდეგობა, არ მოეკლა იგი ბრძოლაში [13]). და არ დაემარცხებინა იგი მრავალ სპარსელებით, რომელნიც მას ეხმარებოდნენ. აი, ამისათვის ქეთევან ყოველთვის ძლიერ უყვარდა მის ხალხს და პატივცემული იყო მისგან. სპარსეთის ხელმწიფემ, ვამბობ მე, დაამდურა ქეთევან თავის შვილს. მან ჩააგონა თეიმურაზს რომ დედას მისას განზრახვად აქვსო რომ ქმრად შეირთოსო ერთი გამოჩენილი სარდალი, რომლის ვაჟკაცობით და სახელმწიფო საქმების ცოდნით იმან ბევრი ისარგებლაო. ამ შემთხვევაში ის ეცდებაო, რომ მას უწინააღმდეგოსო იმისათვის, რომ სახელმწიფო მოუმზადოსო სხვა შვილებს, რომელნიც ეყოლებაო მეორე ქმრის ხელშიო. ამით მოტყუებულმა თეიმურაზმა მოაკვლევინა ეს სარდალი, რომელიც იყო საუკეთესო თავი ამ ქვეყნისა; მმართველობა გამოგლიჯა ხელიდგან თავის დედას, მაგრამ რადგანაც იყო ჯერ ძლიერ უმაწვილი, მცირე გამოცდილებისა და აკლდა პატივისცემა თავის თავად-აზნაურებისაგან, ის დარჩა ხიფათში გაბმული. ამასთანავე სპარსეთის ხელმწიფე მუდამ აჩხუბებდა მას თავის თავად-აზნაურებთან, რომელთა წინაშე იგი აძაგებდა თეიმურაზს, როგორც თითქმის ბავშვს. თავად-აზნაურებს, რომელნიც მივიდოდნენ იმ დროს სპარსეთში, ხელმწიფე პატივს ჰსცემდა, დიდის სიყვარულით ელერსებოდა და აძლევდა ძვირფას საჩუქრებს. სარწმუნოების მხრით იგი ყველას უთავსდებოდა თითოეულის სიამოვნების და-გვარად. ამ გვარმა სპარსეთის ხელმწიფის მათთან მოქცევამ მათ დაუკარგა თავის ბუნებითის მეფისადმი სიყვარული და მაგივრად შეაყვარა მათ ეს ხელმწიფე, რომელიც ჰსურდათ ჰყოლოდათ ბატონათ, რადგანაც ჰფიქრობდნენ რომ ის მოუტანდა მათ უმაღლეს ბედნიერებას.

რამოდენიმე ხანი ეგრე იმოქმედა სპარსეთის ხელმწიფემ და შემდეგ, თუ არ ვსცდები, 1613 წელს [14]), უცებ წარემართა უმძლავ-

---

13) ეს ამბავი, ვითამ ქეთევანს თვითონ მოეკლას კონსტანტინე ბრძოლაში, არ ეთანხმება ქართლის ცხოვრებას. (მთარგმ.)

14) შაჰაბაზ პირველად შემოვიდა საქართველოში 1615 წ. (მთარგმ.)

რესის ჯარითა საქართველოზედ. მიზეზად ის აიღო, რომ თეიმურაზმა წაიყვანა ცოლათო, მის ნება დაურთველად, ლუარსაბის და, ხორეშანიო, რომელიც მას ჰყავდა წინედ შეპირებული [15]. როცა დაუახლოვდა მათის ქვეყნების საზღვრებს, მან დაიბარა ორივე, თეიმურაზ და ლუარსაბ, რომ მოსულიყვნენ მის ბანაკში, პასუხი ეგოთ ამისთანა მოქმედებისათვის, მოეყვანათ მისთვის ცოლი, რომელიც ყოველ შემთხვევაში მას თავისთვის უნდოდა. თხოულობდა რომ იმ ქალის და თეიმურაზის ცოლ-ქრმობა დარღვეულიყო, თუმცა ეს ცოლქმრობა დიდის ხნის წინედ მოხდა, თითქოს ქრისტიანებში შესაძლო ყოფილიყოს ის, რაც მათში, მაჰმადიანებში, ადვილად მოხდებოდა ხოლმე. საქართველოის მეფეებს სწორედ თავ-ზარი დაეცათ, რადგანაც იგინი მოუმზადებელნი იყვნენ და ამ დროს სულ სხვაზე ჰფიქრობდნენ. ყველაზე უარესი ის იყო, რომ მათ მრავალმა თავად-აზნაურებმა უღალატეს, რომელთაც თავისის ნდომით და სურვილით მისცეს გზა ხელმწიფეს და შეიყვანეს იგი შიგ ქვეყანაში, იქნება უამისოდ, გზების და ადგილ-მდებარეობის სიმაგრის გამო, ის ვერას დროს ვერ შესულიყო იქ. ამიტომაც მეფეები დაიბნენ და არ იცოდნენ რა ექნათ. ლუარსაბმა, რომელიც იყო უფრო უზრუნველი, გადასწყვიტა დამორჩილებულიყო, წავიდა დაბარებისა-მებრ ხელმწიფესთან და მიეცა მას. ხელმწიფემ გაგზავნა ის ესტერაბადში, რომელიც არის კასპიის ზღვაზე საქართველოზე კარგად დაშორებული. ამ ქვეყანაში ლუარსაბი იყო რამოდენიმე ხანი იქაურის ხანის ზედამხედველობის ქვეშ. მას ეპყრობოდნენ პატივისცემით და ეძლეოდა თავისუფლება რომ ვარა სადაც უნდოდა. ის იყო უფრო დაკავებულსა-

---

15) ამ გარემოებაზე სრულებით არაფერს ამბობს ქართლის ცხოვრება. პირიქით, ქართლის ცხოვრება ამბობს, რომ შაჰაბაზს წინედ ჰყავდა შერთული ცოლად ლუარსაბის ერთი და, თინათინ. მეორე და, ხვარაშან, შეირთო თეიმურაზმა თვითონ შაჰაბაზის რჩევით; ლუარსაბ უარს ეუბნებოდა თეიმურაზს, რადგანაც ეს ნათესავი იყო მისი, მაგრამ ბოლოს შაჰაბაზის ბრძანებით მას უნდა მიეცა თავისი და ცოლად თეიმურაზისთვის. მიზეზი შაჰაბაზის შემოსვლისა საქართველოში, როგორც ამბობს ქართლის ცხოვრება, იყო კონსტანტინეს მოკვლა. (მთარგმ.)

ვით ვიდრე ტყვეთ მის ქვეყანაში, რომელშიაც ხელმწიფე არ შესულა და რომლისთვისაც არაფერი არ უვნია, იმან გაგზავნა მმართველათ ვიღაც რაირე ან ბაგრატ მირზა. ეს ბაგრატი იყო ლუარსაბის გვარისა, მისი ბიძა, თუ ბიძაშვილი [16]), მაგრამ თავის სარწმუნოებას უარ ჰყო სპარსეთში და დიდის ხნის წინედ გაჰხდა მაჰმადიანი. ჩემ დროს იქ ჰფლობდა ამისი შვილი [17]), ეგრეთვე მაჰმადიანი, რომელიც დაბადებიდგანვე ამ სარწმუნოებისა იყო. ის სრულ მეფეს კი არ წარმოადგენდა, არამედ იყო, როგორც სხვა ხანები, სპარსეთის ხელმწიფის დამოკიდებულებაში, მორჩილებაში და თითქმის მის მონათაც. მართალია, რომ უმეტეს ნაწილად მის ჯარში სარდლები ქრისტიანები იყვნენ, რომელთა შორის ზოგიერთებს მე ვიცნობ, და ეგრეთვე ხალხის უმეტესი ნაწილიც ქრისტიანია. ამ მიზეზის გამოც ხელმწიფემ გადაიყვანა ლუარსაბ ესტერაბადიდგან სადაც ამ უკანასკნელმა გაატარა რამოდენიმე წელიწადი იმ მდგომარეობაში, რომელზედაც მე ზემოდ ვლაპარაკობდი, ფარსის თემში, ან ფარსისტანში, ესე იგი, საკუთრად წოდებულ სპარსეთში. ეს ძლიერ შორს არის საქართველოზე. ხელმწიფეს ამით უნდოდა, რომ ლუარსაბ უფრო მტკიცედ ჩაეგდო ხელში. ამ ქვეყანაში ლუარსაბ რამოდენიმე ხანი დამწყვდეული იყო ძლიერ შევიწროებულად ციხეში, რომელიც დედაქალაქის შირაზის სიახლოვეს არის. ბოლოს, 1621 წელს დაახლოვებით, როცა მის თანა მემამულეებს უფრო იმედი ჰქონდათ მისის განთავისუფლებისა, როცა მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხელმწიფე ერთს დღეს ნახავსო ლუარსაბს და შეიწყალებსო, საქმით სულ წინააღმდეგი მოხდა. თურმე ხელმწიფე იყო ჩაგონებული ერთის გამოჩენილ და ძლიერის ქართველ მოურავისაგან, რომელიც გამწყრალი იყო ლუარსაბზე, იმიტომ რომ წინედ იგი შეჰპირდა მისის დის ცოლად წაყვანას და მგო-

16) აქ არის ლაპარაკი ბაგრატ მეექვსეზე, რომელიც ლუარსაბის მამის გიორგი მეთერთმეტის ბიძაშვილი იყო. (მთარგმ.)

17) სვიმონ II, რომელმაც იმეფა 1619—1629 წ. (მთარგმ.)

ნია კიდევაც დაიწერა ჯვარი, მაგრამ შემდეგ უარჰყო და ეს ქალი აღარ ინდომა, ამის გამო ის მტრად გაუხდა ლუარსაბს და მთელს საქართველოს და იყო მიზეზი იმ უბედურებისა, რომელზედაც ეხლა მე ვამბობ [18]. ამასთანავე მან დიდი გავლენა შეიძინა სპარსეთის ხელმწიფის წინაშე. სპარსეთის ხელმწიფეს, ვამბობ მე, ამისაგან ჰქონდა ჩაგონებული ის აზრი, რომ ლუარსაბის ქვეყანა არ იქნებოდა მის ფლობელობაში წყნარად და მოსვენებულად, სანამ თვითონ ლუარსაბი ცოცხალი იქნებოდა, რადგანაც ხალხს უყვარსო ეს თავისი მეფეო და ყოველთვის იმედი ექნებაო, სანამ ის ცოცხალი იქნებაო, რომ ერთ დროს იგი ხელახლავ თავის მეფეთ იყოლიოსო; ხალხის გული და სული მუდამ მისკენ არისო. ამით იყო შეშინებული, თუ იმ შეთქმულობით, რომელიც ვითამ იმ დროს სხვა ქართველებს ჰქონდათ იმის მოსაკლავად, ხელმწიფემ გადასწყვიტა მოესპო მათთვის ეს მიზეზი, რომელსაც შეეძლო სხომის წაექეზებინა იგინი ამისთანა მოქმედებებზე. მან მშვილდის ბაწრით წაახჩობინა საწყალობელი ლუარსაბ თვით იმ ციხეში, რომელშიაც ის ტყვეთ იყო [19].

თეიმურაზ უფრო ფრთხილად იყო. ის არას გზით არ დაენდო ხელმწიფეს. როცა ამან დაიბარა, იგი არ წავიდა; ბოდიში მოითხოვა და შეუთვალა, რომ ვერ გიახლებიო, რადგანაც მეშინიან თქვენის რისხვისაო მას აქეთ, რაც თქვენ ფიქრობთო, რომ ვითომ მე შეურაცხება მოგაყენეო; ვერც ჩემს ცოლს გაახლებთო, რადგანაც შეუძლებელია ქრისტიანებშიო, რომ დაიშალოსო ცოლ-ქმრობა; გარდა ამისა არც ჩემი ღირსება მაძლევსო ნებას, რომ ჩემი საკუთარი ცოლი სხვას მივსცეო. მაგრამ რომ დაინახოთო რა პატივის-მცემელი ვარ თქვენიო, გიგზავნითო (მართლაც გაუგზავნა) ჩემს საკუთარს დედასო, ორს ჩემს ახალ-გაზრდა და გაუთხოვარ დებსო და ორს პატარა ბავშვებს, რომელიც ჩემი ცოლის ხელში მეყოლაო. ეგრე მოიქცა თეიმურაზ იმ იმედით, რომ მის დედას ქეთევან დედოფალს, რო-

---

18) იხილე სხოლიო 15. (მთარგმ.)
19) ქართლის ცხოვრების სიტყვით ეს მოხდა 1622 წ. (მთარგმ.)

გორც ძლიერ ჭკვიანს ადამიანს და რამოდენიმე-ჯერ სპარსეთში ნამყოფს, ხელმწიფის ხასიათის მცოდნეს, შეეძლო მისი დამშვიდება და შერიგების მოთხოვნა. მაგრამ ყოველივერი ამაოდ დარჩა. ხელმწიფე ულმობელად დარჩა და, თითქოს ძლიერ შეყვარებული ყოფილიყოს, დაჟინებულად თხოულობდა ხვარამზან დედოფალს, თუმცა კი იცოდა რომ ეს ურცხვი მოთხოვნილება იყო, და თეიმურაზს დათმობა ამაში არც შეეძლო არასოდეს და არც ისურვებდა. ამასთანავე ამბობდა, რომ თეიმურაზ თვითონ მოვიდესო და დამიმორჩილდესო. რადგანაც ეს არ მივიდა, ხელმწიფემ დააკავა ქეთევან დედოფალი და არამც თუ აღარ გაუშვა უკან, არამედ გაგზავნა იგი თავის შვილის-შვილებით შირაზში, სადაც ჩემ დროს მას პატივის-ცემით ეპყრობოდნენ. სპარსეთის ხელმწიფემ კი განაგრძო მსვლელობა საქართველოსკენ, ე. ი. კახეთისაკენ, რომელიც თეიმურაზის ბრძანებლობის ქვეშ იყო. მას მიუძღოდნენ მრავალნი, თავად-აზნაურები, რომელთაც უღალატეს თავის მეფეს და დაიჭირეს სპარსეთის ხელმწიფის მხარე, რადგანაც ბევრს რასმე მოელოდნენ ამისაგან. ამათ უჩვენეს მას გზები საქართველოში შესასვლელათ და გაუადვილეს საშიშ ადგილებზე მსვლელობა.

თეიმურაზ მოულოდნელად დიდ გასაჭირში დარჩა: მას არ ჰყავდა იმისთანა ჯარი, რომელსაც შესძლებოდეს სპარსელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, არც დრო ჰქონდა ერთად შეეყარა თავისი ჯარები; თავისიანების ნდობა აღარ ჰქონდა და მისი საფუძველიც ჰქონდა. სხვა სახსარი აღარ იყო: ამ მდგომარეობაში მას მხოლოდ გაქცევა უშველიდა. მართლაც, იგი თავის ცოლით და რამოდენიმე ერთგულ კაცებით, რომელნიც მას გაჰყვნენ, გადავიდა უფრო შიგნით მდებარე და უფრო მაგარს ქვეყანაში, იმერეთში; ჯერ იქაურ მეფესთან და მერმე ოდიშის ანუ დადიანის მთავართან შეიფარა თავი. მრავალნი თავად-აზნაურნი, რომელთაც გულში ჩაუვარდათ ამაო იმედი, მიეცნენ თავისის ნებით სპარსეთის ხელმწიფეს; უარესი კიდევ ის იყო, რომ მათ უღალატეს რა თავის სარწმუნოებას, ჩადგნენ სპარსე-

ლის ჯარში. სხვები, რომელთაც არ უნდოდათ იგივე ექმნათ, ძალით იყვნენ დამორჩილებულნი. მთელი ხალხი კი, უთვალავის რიცხვით, დარჩა მძლეველის ხელში გასაოხრებლად. როცა სპარსეთის ხელმწიფე შევიდა საქართველოში, ნახა ადგილების სიმაგრე და დაფიქრდა, თუ რა შეეძლოთ ქართველებს, რომ იგინი ერთობით ყოფილიყვნენ, დარჩომილიყვნენ თავიანთ სახლებში და ჰქონოდათ რიგიანი მართებლობა, — ის არამც თუ აღარ ეცადა ამ ქვეყნის ხელში ჩაგდება — იცოდა, რომ ვერას გზით ვერ ჩაიგდებდა — არამედ მოუთმენლად ისწრაფა იქიდგან გამოსვლა და უსაშიშო ადგილზედ დაბანაკება. მაგრამ თუ ხელში ჩაგდება ქვეყნისა არ შეეძლო, არც ეგრე ხელიდგან გაშვება უნდოდა ამ მშვენიერის ნავრისა (bella preda), რომელმაც შექმნა ამოდენა ხალხი; იქნება ეს ხალხი უფრო ბევრად ჰღირდა, ვიდრე თვით ქვეყანა. აი ამიტომ მან მსწრაფლად მოაცილა მთელი ხალხი თავის სახლ-კარს და ძალით წაიყვანა თან. ადვილად წარმოსადგენია რა არეულობა იქნებოდა მთელ ქვეყნის ხალხის გადასახლების დროს [20]. ამათ შორის იყვნენ მამა-კაცები და დედა-კაცებიც, თავად-აზნაურები და გლეხებიც, დიდები და პატარებიც; ყოველ წლოვანებისა, ყოველ წოდებისა და ყოველ მდგომარეობისა. ესენი თავიანთ ხიბაკით, რამოდენის წამოღებაც შეეძლოთ, დააყენეს ჯარის წინ და სიჩქარით წაიყვანეს სპარსეთისაკენ, სადაც მშვიდობით მიიყვანეს. აქ იმათ მიუჩინეს ის ადგილები, რომელნიც ძლიერ დაშორებულნი იყვნენ საქართველოზედ და რომელთაც უფრო ეჭირვებოდათ დასახლება. აი, საიდგან არის ის, რომ დღეს საკუთრად თქმული სპარსეთი, მაგალითად კირმანი ან კარმანია, მაზანდერანი კასპის ზღვის ნაპირზე და სპარსეთის სახელმწიფოს სხვა ადგილები სავსენი არიან ქართველებით და ჩერქეზებით. უკანასკნელები რამოდენიმე ხნით წინ გადმოვიდნენ თეიმურაზის სამეფოში, თავის ქვეყნის სიახლოვედ და დასახლენ

---

20) წარსულ საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გიორგი—ჯანიძე ამბობს, რომ შაჰ-აბაზმა ამ დროს გადაასახლა 80,000 კაცი.

(მთარგმ.

ქართველებთან, რომელთანაც იგინი დანათესავდნენ და სრულებით
შეერთდნენ, და როგორც ქართველები, იგინი მეფის ქვეშევრდომნი
გახდნენ. მაგრამ ზემოხსენებულ არეულობის დროს, როგორც ვსთქვი,
იგინიც წაიყვანეს სპარსეთში და დაასახლეს სხვა-და-სხვა მხარეებში.
დღეს იგინი თავისუფლად სცხოვრებენ სპარსეთის ქვეყნებში, რო-
გორც სხვა ქვეშევრდომები სპარსეთისა. უმეტეს ნაწილად იგინი არიან
ფარსისტანში და მაზანდერანში და უჭირავთ არამც თუ ქალაქები და
მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც, რომელშიაც მათ გარდა ვერა-
ვის ვერ შეხვდებით. თავს იგინი ირჩენენ იმ მიწებით, რომელნიც
დაუნიშნა მათ სპარსეთის ხელმწიფემ და რომელთაც იგინი ამუშავე-
ბენ. ამ მიწებისთვის იგინი იხდიან, როგორც სხვა მაჰმადიანები, მცი-
რე ღალას.

უმეტესი ნაწილი ამ ხალხებისა არიან ქრისტიანები და ქრის-
ტიანებათ დარჩნენ ჩვენს დრომდი, მაგრამ აგერ-ახლა ისინი თითქმის
არაფერს არ ემსახურებიან. იქნება ამის მიზეზი ის იყოს, რომ მათ
არ ჰყავთ მღვდლები და უფროსები, რომელთაც მათი სწავლება შეეძ-
ლოსთ; რაც არიან, ისინი არ ჰკმარან ამდენის ხალხისთვის, რომე-
ლიც მასთანავე ამდენ სხვა-და-სხვა ადგილებზე გაფანტულია; ან იქ-
ნება ამის მიზეზი იყოს მათი უგუნურება. თავად-აზნაურებმა, რო-
მელნიც არ არიან დაჩვეულნი მოთმინებას, მხედრობის უმეტესმა
ნაწილმა და ბევრმა ხალხთაგანმაც მიიღეს მაჰმადიანობა, ზოგმა პა-
ტივის მოყვარეობის გამო და ზოგმა სიხარბის გამო, რადგანაც
რჯულის გამოცვლისათვის მოელიან რამე საჩუქარს ხელმწიფისაგან,
რომელიც ამ შემთხვევაში ძლიერ გამცემია და თავის რჯულისკენ
სხვების მიზიდვისათვის ყოველთვის უხვად ჰხარჯავს. ზოგიერთები კი
იძულებულნი არიან მაჰმადიანობა მიიღონ, რომ შიმშილით არ მოკ-
ვდენ. ეს ამბავი ყოველ დღე ჰხდება მათ შორის და ამისთანა მაჰმა-
დიანებით ხელმწიფის ჯარი გავსებულია. მათი რიცხვი თან-და-თან
მატულობს შაჰაბაზის მოხერხებულობით, რომელსაც ყოველთვის მიზ-
ნად ჰქონდა, რომ ამისთანა უცხოეთელ მომხრეების შემწეობით,

რომელთაც იგი მონებს უწოდებდა, დაემდაბლებინა ამაყი ყიზილბა-შები და დაადვა ამათთვის ლაგამი. ამ გვარად დღეს ხელმწიფის მხედ-რობაში ოც და ათი-ათასზე მეტი ქართველია, რამდენიმე ჩერქეზი და ცოტაოდენი სომეხი. უკანასკნელებსაც თავისი რჯული მიტოვებუ-ლი აქვსთ. ესინი ჩარეულნი არიან პირველთა შორის და ითვლებიან ერთად უცხო-ქვეყნელებად და მონებად. ზოგიერთ მათგანს უჭი-რავსთ გამოჩენილი ადგილები როგორც მხედრობაში, ისე ქვეყნის პო-ლიტიკურ მმართველობაში და შეიქმნენ კიდევაც სულთნებათ, ხანებათ და სხვა წარჩინებულ პირებათ.

გარდა ზემოხსენებულ ქართველებისა, რომელნიცა სპარსეთში ცხოვრობენ თავისუფალად, არიან მრავალნი იმისთანანი, რომელ-ნიც მონად ჩაუვარდნენ სპარსელებს იმ არეულობის დროს, რო-მელიც მოხდა სპარსეთის ხელმწიფის შემოსვლისა და მცხოვრებთა სამშობლოიდამ ძალ-დატანებით გარდასახლების თაობაზედა. ამათი რიცხვი ისე დიდი იყო, რომ დღეს არ იპოვება არც ერთი სახლი მთელს სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქარ-თველებით, მამა-კაცებით და დედა-კაცებითაც. იქ არ არის იმის-თანა დიდი-კაცი, რომელსაც არ ესურვოს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ესენი მშვენიერები არიან, თვითონ ხელმწიფეს გავსებული აქვს თავისი სასახლე მათის კაცებით და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს. მაგრამ ეს უბედურები, მაგ რომელნიც მონად არიან წავარდნილნი, ყველამ,— თუ სიყვარულის თუ ძალადობისათვის,— მიატოვეს თავისი რჯული, მაგრამ გარეგნად მაინც აჩვენებდნენ, ვითომ დამივატოვეთო. მე ბევრს ვიცნობდი იმისთანებს, რომელნიც, მალვით ინახავდნენ თავის სარწმუნოებას, ისინი მოკლე-ბულნი იყვნენ იმ ცრუ, მაგრამ ძლიერ გავრცელებულ აზრით, რომ ღმერთის წინაშე ესეც კმარაო.

ეს მდგომარეობა მოჰყვა ამ სპარსულ გადასახლებას, რაც წყვე-ტა-ყლეტა, რამდენი სიკვდილი, ნამდვილი ტანჯვისაგან, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალა-დატანება, რამდენი ჩვილი ყმაწვილები თავიანთ

მამებმა დაახრჩვეს ან წყალში ჩაუგდეს სასო-წარკვეთილებისაგან! რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის-კაცებმა იმიტომ, რომ სასიცოცხლო არ იყვნენ! რამდენი ძალად მოჰგლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცების საჭმელად ან მხედრობის ცხენებისა და აქლემების სასრესად! მხედრებს არა ერთხელ უვლიათ ლეშებზედ. რამდენჯერ მამა შვილს, ქმარი—ცოლს, ძმა—დას მოაშორეს და წაიყვანეს სხვა-და-სხვა შორ ქვეყნებში, ისე რომ დაშორებულებს იმედიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის შეხვედრისა! ამ შემთხვევაში რამდენი ქალი და კაცი იყიდებოდა ყველგან პირუტყვზედ უფრო იაფად! რამდენი ამისთანები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის.

ვიტყვი მხოლოდ, რომ თეიმურაზ რო წავიდა თავის ქვეყნიდამ, რამოდენიმე დღე იარა სხვა-და-სხვა ქართველ მთავრების ქვეყნებში და ბოლოს კი თავი შეაფარა თურქების ქვეყანაში, სადაც ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სცხოვრებდა. თუ მართალი მითხრეს მე, თურქებსა მისთვის მიუციათ ქალაქი გონია (la citra di Cogni) და სხვა ადგილებიც კაპადოკიისა, სადაც უმეტეს ნაწილად სახლობენ ქრისტიანე ბერძნები; აქ სცხოვრებდაო და თავს ირჩენდაო თეიმურაზ. იგი სცდილობდა და მუდამ სცდილობს შური უყოს შაჰ-აბაზს. მისის მუდამ თხოვნის გამო მოხდა ის, რომ 1618 წელსა თურქების და თათრების უშველებელი ჯარი, რომელზედაც უდიდესი სპარსეთში არას დროს არ მისულა, შევიდა შიგ სპარსეთში, თითქმის არდებილამდი. რადგანაც ეს ქალაქი წარმოადგენდა სპარსელების წმიდა ადგილს, სადაც სპარსეთის წინდელ ხელმწიფის გვარისშვილები იმარხებოდნენ, ამიტომ თეიმურაზს, რომელიც თან მიჰყვებოდა ჯარს, ძლიერ სურდა მისი დანგრევა, სამაგიეროდ იმისა, რომ საქართველოში საქრისტიანო ეკლესიები დაანგრიეს სპარსელებმა. ამ ომიანობის დროს, რომელზედაც უფრო საშიში შაჰ-აბაზს თავის დღეში არ შეხვედრია, მე ვიყავი ომსთან და ვნახე ყოველიფერი, მაგრამ ბოლოს თურქებმა, რომელთაც ბევრი რამ შეეძლოთ,

არ ვიცი რა უგუნურების გამო, რამოდენიმე წლის წინედ დად-
გენილ ჩვეულებისამებრ, არა გააკეთეს რა და ისე დაბრუნდნენ თითქო
მტერს გამოექცნენო. მათ შეეშინდათ დახოცილთა სიმრავლისა მა-
თის მხრით. ნამდვილი მიზეზი ამისთანა ყოფა-ქცევისა არის ის,
რომ მათ, როგორც ეხლა ეტყობა, დაჰკარგეს ძველებური სათნოება
და ძველებური კარგი მართებლობა. სპარსეთის ხელმწიფე ამის გამო
დაბრუნდა სასახლეში, როგორც გამარჯვებული. თეიმურაზ კი წავიდა
იმ მხარეში, რომელიც მის გამგეობის ქვეშ იყო. იგი არავითარ მოძ-
რაობას აღარ ახდენს. როგორც მგონია მე, ის ელის უკეთესს დროს
და უკეთესს შემთხვევას. თუ სხვაფრივ არა, ეს შემთხვევა უსათუოდ
მიეცემა მას შაჰ-აბაზის სიკვდილის გამო, რომელიც ბევრად უფრო
მოხუცებულია მაზედ. ამ შემთხვევაში ის გარემოებაც დაეხმარება,
რომ სპარსეთში მყოფნი და თავის რჯულის უარ-მყოფელნი ქართვე-
ლები უკმაყოფილონი არიან ხელმწიფისა. თვით იმ თავად-აზნაურებ-
მაც, რომელნიც შეაცდინეს და აღალატებინეს თეიმურაზისთვის და
რომელთაც ჰსურდათ სპარსეთის ხელმწიფე ჰყოლოდათ თავის ბა-
ტონად, ვერ ჰპოვეს ის, რაც ჰსურდათ. ხელმწიფემ მათ არ
მისცა, რასაც ესენი მოელოდნენ; მან ის პატივი არ ჰსცა და არც
ჰსცემს მათ სპარსეთში, რა პატივსაც იგი უწინ ჰსცემდა, როცა
იგინი ჯერ მისი ქვეშევრდომები არ იყვნენ. შესახებ რჯულისაც, მა-
თის მოლოდინების წინააღმდეგ, ძალას ატანდა მათ, თუ შეიძლება
ეგრე ითქვას, რადგანაც არავის მათგანს არ იღებდა თავის სამსახურ-
ში, არც-ერთს მათგანს, არც აზნაურს, არც ჯარის-კაცს ცხოვრების
სახსარს არასოდეს არ აძლევდა, თუ იგინი მაჰმადიანობას არ მიიღებ-
დნენ. ამიტომაც თითქმის ყველანი გაჯავრებულნი არიან და ნანობენ
რაც უქნიათ; ასე რომ იგინი ხმა-მაღლა აღიარებენ, რომ მოტყუე-
ბულნი დავრჩითო და ხელახლად დასაწყები რომ იყოსო ჩვენი მოქ-
მედებაო, სხვა გვარად მოვიქცეოდითო. ეხლანდელ მდგომარეობის
დაცვა მხოლოდ შაჰაბაზს შეუძლიან თავის სიცოცხლეში, რადგანაც ის
გონიერი კაცია და მისი ყველას ეშინიან. იმის სიკვდილის შემდეგ კი, —

მეტადრე თუ იგი მოკვდა, როგორც ადვილად შესაძლებელია, იმ ქართველთა სიცოცხლის დროს, რომელთაც ახსოვთ თავისი სამშობლო და დაესწრნენ მის დანგრევაზე,—თეიმურაზ უსათუოდ მოახდენს დიდს მოძრაობას სპარსეთში და ქართველები დიდ ომს გასწევენ ამ სახელმწიფოის დასაპყრობლად, თუ კი საერთოდ ამოქმედებენ და ეყოლებათ მოთავეც; მაგრამ ამაში კი ეჭვი მაქვს, რადგანაც ვიცი მათი ბუნებითი ხავ-ქარიანობა. მე სხვაგან მითქვამს, რომ სპარსეთის ხელმწიფის დამარხვა ისე არ ჩაივლის, რომ ხმალი არ იხმარონ და რამე არეულობა არ მოხდეს მეთქი. შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში ლუარსაბის სამეფო ისევ რომელსამე ქრისტიანს მეფეს დაუბრუნდეს, იქნება თვითონ ეხლანდელმა მეფემ მიატოვოს მაჰმადიანობა, ან და იქნება სხვა ქრისტიანი მეფე შემოვიდეს ამ ქვეყანაში და ეს მაჰმადიანი მეფე გადააყენოს ქრისტიან მეზობლების შემწეობით, როგორც ხშირად მომხდარა საქართველოში ამისთანა არეულობის დროს. თეიმურაზის დედა ქეთევან დედოფალი, როგორც ვსთქვი, წაყვანილი იყო თავის პატარა შვილის-შვილებით შირაზში, სადაც ჩემს დროს მას კარგად ეპყრობოდნენ. მთელის თავის სახლით (მას ჰყავდა მრავალი მოსამსახურე ქალი თუ კაცი,) დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებას, რომელსაც ასრულებდა, რამდენადაც იცოდა და შეეძლო, დიდის გულ-მოდგინებით: ძვირფასს საეკლესიო ნივთებს, წიგნებს და სამოსლებს დიდის თაყვანის-ცემით ინახავდა. მაგრამ იმ დროს მას არა ჰყავდა არც-ერთი თავისიანი მღვდელ-მთავარნი წირვა-ლოცვის შემსრულებელი. ერთი კი ჰყავდა წინედ, რომელიც, ვფიქრობ, იყო რაღაც საეკლესიო თანამდებობისა; მაგრამ რადგანაც ის იყო ძლიერ კეთილი ქრისტიანე და მაჰმადიანებს ეგონათ, რომ ის იმაგრებსო დედოფალს და რა კი მოშორდება დედოფალიც გადუდგება თავის სარწმუნოებასაო, და ამისათვის მას შესწამეს, არ ვიცი, რაღაც დიდი დანაშაულობა და მოკლეს. ის მოკვდა ცეცხლზედ დამწვარი შირაზში თავ-დადებული სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა. მეორე მღვდელთაგანი, რომელიც

ქეთევან დედოფალს თან ჰყავდა, როცა მე იქ ჩავიარე, იყო ვითარცა მოურავი; განაგებდა მთელს მის სახლს და უფრო კარის-კაცთა ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა რამეთ; უცოდინარობისა, თუ სხვა რამე მიზეზის გამო, არ ვიცი, ის არასოდეს არ ჰსწირავდა. გარდა ამისა ჰყავდა კიდევ ერთი ბერი, მაგრამ წმინდად ჩურჩუტი, და ერთი ერის კაცი, რომელიც ამისთანებში ვერაფრათ გამოადგებოდა. მე ვფიქრობ რომ მას აქეთ, რაც ჩვენს პატრებს კარმელიტანელ ფეხ-შიშვლებს და აგრეთვე ავგუსტინიანებს აქვსთ შირაზში დგომა და ეკკლესია, ისინი არ დააკლებდნენ იმას ნუგეშს და გაამხნევებდნენ ყოვლის გვარის სულიერ შემწეობით. მე გავიგონე აგრეთვე, რომ დედოფალს არასოდეს, ვიდრე ცოცხალი იყო, არ დაუკლია მათთვის უხვი საწირავები და სხვა გვარი შემწეობაც. მე ვამბობ ვიდრე ცოცხალი იყო მეთქი იმიტომ რომ რამდენიმე თვის წინედ ინდოეთიდგან დაბრუნებული ბაზორაში რო ჩაველ, იქ მე შევიტყე შემდეგი ამბავი. 22 [21]). სეკტემბერს 1624 წელსა ქეთევან დედოფალი სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებისამებრ დიდის წვალებით მოუკლავსთ, ქრისტეს რჯულზე სიმტკიცით დგომისათვის, იმავე ქალაქს შირაზში, სადაც ამდენი ხანი დაკავებული იყო. არ ვიცი რა მოქმედებას ფხოულობდნენ მისკან. სიკვდილს შეხვდა იგი მხნედ, ვითარცა უდიდებულესი მოწამე. ამ ცნობების საფუძვლად მე ვასახელებ ღირსეს პატრი ფრა გრიგორი-ორსინო დომინიკანელის მოხსენებებსა. იგი იყო სამხრეთის მთავარი ვიკარი და თავის მოგზაურობის დროს გადასულიყო სპარსეთში, სადაც ცოტა ხნის წინედ ეს შემთხვევა მომხდარიყო, ბაზორაში მას შევხვდი მე, და პირველად მან მიამბო მე ეს ამბავი. გარდა ამისა მან ამის შესახებ რომში მიიტანა ვრცელი მოხსენება.

თუმცა პატარა შვილის-შვილები ზემოხსენებულის დედოფლისა, რომელთაც ჰქვიათ, თუ კარგად მახსოვს, ერთს ლევან და მეორეს ალექსანდრე, იყვნენ იმავე ქალაქს შირაზში, მაგრამ მაჰმადიანები იმათ

---

[21]) ე. ი. 10 სექტემბერს (ჩვენებურად). (მთარგმ.)

არასოდეს არ ანახვებდნენ დედოფალს, რადგანაც ხელმწიფეს ჰქონდა განზრახვა აღეზარდა იგინი და რათა დედოფალს ამ უღვთო რჯულის სიყვარული არ გაექარვებინა მათში და სხვა გზაზე არ დაეყენებინა იგინი. იმავე წელს, როცა ლუარსაბ მოჰკლეს საპყრობილეში, ხელ-მწიფემ გამოიჩინა უშველებელი უწყალოება და ორივე იგინი გახადა საჭურისებად (Eunichi); ამ გზით იმას უნდოდა, რომ იგინი უფრო საიმედოდ ჰყოლოდა ხელში და სრულებით მოესპო მათთვის მთა-მომავლობის იმედი და მასთანავე ყოველი განზრახვა და ყოველი სურვილი (რომელიც შეიძლებოდა მოსვლოდათ მათ შემდეგ) სამშობ-ლო სახელმწიფოში დაბრუნებისა.

მათმა ბებიამ ეს არ იცოდა ჩემს დროს. მას ეს ამბავი არ უთხრეს, რომ მითი მეტის მეტად არ შეეწუხებიათ, და როცა მე ვიყავი ში-რაზში და შემიხვდა მასთან მისვლა ყველაზე პირველად მისიანებმა იმაზე გამაფრთხილეს, რომ მე არ მეთქვა მისთვის ამისთანა ცუდი ამბავი. თეიმურაზს კიდევ ჰყავდა მეორე ცოლის ხელში სხვა შვილე-ბი ვაჟებიც და ქალებიც. ალბად ღმერთს არ უნდოდა რომ მისი გვა-რი სრულებით ამოვარდნილიყო.

თუ მართალია ის ამბავი, რომელიც ხმამ გაავრცელა ალეპოში, როცა რამოდენიმე თვის წინად მე იქ მგზავრათ გავიარე, თეიმურაზი წასულა ბოლოს თურქების ქვეყნიდგან, რომელთაც როგორც მაჰმე-დიანებს მოინდომეს მისი გადაბირება, და შეუფარებია თავი მოსკოვ-ში [22]), რომლის მთავარი ქრისტიანია ეგრეთვე და, როგორც ის, ბერძნის ტიპიკონისაა. თეიმურაზი ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ, გა-მოეხსნა თავისი დედა ამ მთავრის შემწეობით, რომელიც იყო მეგო-ბარი სპარსეთის ხელმწიფისა და რომელიც ხშირად უგზავნიდა ამ უკანასკნელს დესპანებს. ზოგიერთები ჰფიქრობენ, იქნება არც უსა-ფუძვლოდ, რომ ამ გარემოებამ მოაკვლევინა სპარსეთის ხელმწიფეს ქეთევან დედოფალი, რადგანაც მისი გაშვება არ უნდოდა და არ

[22]) თეიმურაზ ამ დროს არ ყოფილა წარსული მოსკოვში. იგი წავიდა იქ მხოლოდ 1658 წ., ალექსი მიხაილოვიჩის დროს. (მთარგმ.)

გაეშვა არ იქნებოდა. ამისთვის მას დედოფალი ან უნდა ძალით გაეხადა მაჰმადიანად და მაშინ შეეძლო მისი გაშვება თავიდამ აეცილებინა და ბოლოს შიშის მოსახდელი მიზეზიც ექნებოდა, ან და, როგორც მართლადაც ჰქმნა, უნდა მოეკლა. ამის შემდეგ თეიმურაზმა გადასწყვიტა ომის დაწყება. მას იმედი ჰქონდა, რომ მას დაეხმარებოდნენ ამ შემთხვევაში მოსკოველები, რომელთაც შეეძლოთ საქართველოში ჩასვლა ჩერქეზეთით და ყასპიის მთებით, რომელნიც არიან მოსკოველების და ქართველების ქვეყნების შუა. თეიმურაზ დაბრუნდა საქართველოში და დიდის წარმატებით თავზე დაეცა არამც თუ თავის ქვეყანას, არამედ განსვენებულ ლუარსაბისასაც. ამისი გზა გაუხსნა მას, მრავალ მაჰმადიანების გაწყვეტით, თვით იმ ქართველმა დიდ მოურავმა [23]); რომელიც, როგორც ზემოდ ვამბობდი, იყო მიზეზი ამდენის უბედურობისა. ეს მოურავი განაგებდა ლუარსაბის სამეფოს ახალგაზდა მთავრის შემწეობით, რომელიც იყო სპარსეთის მორჩილი, ბოლოს მოურავს დაეკარგა სპარსეთის ხელმწიფის ნდობა, შეიძლება იმიტომ რომ იგი დიდ უფლებას იჩენდა აღმოჩნდა; რომ ამ მიზეზით სპარსეთის ხელმწიფე უმზადებდა მას სიკვდილს. მან ინანა თავისი შეცთომილებანი და ლუარსაბის წამება, რომელიც მეტის-მეტად დასჯილი დარჩა. ამბობენ, რომ მოურავმა უარ ჰყო მაშინ ცუდად მიღებული რჯული, აღიარა ისევ ქრისტეს სარწმუნოებაო: მოჰკლაო ვერაგობით რამოდენიმე უმთავრესნი სპარსეთის სარდლები, რომელნიც უკანასკნელ დროს გამოგზავნილნი იყვნენ იმ ქვეყანაში; განაგდო ეგრეთვე ახალგაზდა მაჰმადიანი (თუ არ მოჰკლა კიდევაც) და ეცადა ყველა მხარეების პატრონად შექმნილიყო თეიმურაზ [24]) და ხალხი განთავისუფლებულიყო სპარსეთის

---

[23]) გიორგი სააკაძე. (მთარგმ.)

[24]) თეიმურაზს თვითონ მოურავი არ ეხმარებოდა, არამედ ეწინააღმდეგებოდა. მას ეწეოდა არაგვის ერისთავი ზურაბ, რომელიც იყო მოურავის ცოლის ძმა და მისი გაზრდილი. ესენი მუდამ ერთად მოქმედებდნენ საპოლიტიკო ასპარეზზე, მაგრამ ბოლოს მტრებმა წაჰკიდეს იგინი. როცა თეიმურაზ დაბრუნდა კახეთში თავის სამეფოს ასაღებად, ზურაბ მას მიუდგა; მოურავმა კი ბრძოლა გაუწია, რომელშიდაც ეს უკანასკნელი დამარცხდა. მაშინ, ქართლის ცხოვრების სიტყვით, მოურავი წავიდა სტამბოლს, სადაც მან მიიღო მაჰმადიანობა. ჰქონდა მას წინედ სპარსეთში მიღებული მაჰმადიანობა, თუ არა, ამაზედ ქართლის ცხოვრება არას ამბობს. ეს ამბავი მოხდა თეიმურაზის რუსეთში წასვლამდი. (მთარგმ.)

მტარვალობისაგან და შეჩვენებულ მაჰმადიანობის რჯულისაგან, — მე უნდა დავსძინო, რომ ამ ამბის სინამდვილეს და უეჭველობას არ ვამტკიცებ, არამედ, როგორც მითხრეს იგი (საეჭვოდ და აბნეულად) ისე მომყავს მე.

მაშ ეგრე ჩამოკარდნენ თავიანთ ტახტებიდგან, როგორც ზევით ვსთქვი, ორნი მეფენი, თეიმურაზ და ლუარსაბ. ეს უკანასკნელი რომ მოჰკლეს მისი სამეფო ხელუხლებად დარჩა, როგორც უწინ, მისივე გვარტომობის მთავრის ხელქვეშ, მაგრამ მისი მოადგილე მაჰმადიანია და სპარსეთის მორჩილი. თუ ზემოხსენებული ამბავი მართალი არ არის, თეიმურაზ დარჩენილა მოკლებული თავის მამულ სამეფოისაგან. მისი ხალხი და მისნი შვილები სპარსეთში დატყვევებულნი უნდა იყვნენ; დედა მოუკლეს; ქვეყანა მისი უხალხო და გაოხრებულია, რომელსაც არ ჰყოლობდნენ დღემდი არც იგი და არც სპარსეთის ხელმწიფე, რადგანაც უფრთხებდნენ, თუ რას იზამსო მომავალში ბედ-იღბალი, ან უკეთ ვსთქვათ, ღვთის განგება.

დანარჩენნი ქართველნი მთავრები, ესე იგი იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, ყოველთვის აყვავებულნი იყვნენ და ეხლა კიდევ უფრო აყვავებულან. მათ დაიცვეს თავიანთი ქვეყნები საუკეთესო მდგომარეობაში და ქრისტეს სარწმუნოებაში, ისე რომ მაჰმადიანებისაგან არავითარი აყალ-მაყალი არ მომხდარა მათს ქვეყნებში. ორს მათგანს, ოდიშის და გურიის მთავრებს, აქვსთ სამთავროები შავის ზღვის პირად და ამიტომ მათ უფრო მიწვდებიან თურქის ჯარები. მაგრამ სამაგიეროდ ეს მდგომარეობა მათთვის ძლიერ სასარგებლოდაც ჰრჩება, იმათ დიდი ვაჭრობა აქვთ კონსტანტინე-პოლთან და მთელ საბერძნეთთან აბრეშუმისა და სხვა რამეებისა. იგინი აღიარებენ, რომ არავითარ ზარალს არ ჰხედავენ იმაში, როგორც მათ აქვსთ მეგობრობა და შეკავშირებულება თურქებთან, რომ სიმშვიდე და მოსვენებული ცხოვრება უნდა იყიდონ საჩუქრებითა და მუდამის მორჩილებითა, რადგანაც თურქებს მაინც არ აძლევენ ნებას, რომ შემოვიდნენ იმათ ქვეყნებში არამც თუ საბრძანებლად, არამედ ჯარების სხვაგან გასატარებლა-

დაც. თითქმის იქამდე დაიცვეს საკუთარი თავისუფლება, რომ პოლ-შის ყაზახებს (casachi), რომელნიც ცხოვრებენ დნეპრის შავს ზღვასთან შესართავზე, დიდის სიყვარულით იღებენ თავიანთ ქვეყნებში, როგორც ქრისტიანებს, თუმცა ეგინი არიან თურქებისა დიდი მტრები და დიდს ზარალს აძლევდნენ და აძლევენ ეხლაცამათ, გარდა ამისა, როგორც მე შევიტყვე, ეს ორნი ხალხნი ემოყვრებიან ერთმანეთს; თვითონ პოლშის ხელმწიფესაც, როგორც ამბობენ, აქვს ამ მთავრებთან მეგობრობა და მიწერ-მოწერა. ხშირად ერთ ქვეყნიდგან მეორეში დადიან სავაჭრო ხომალდები. ამ გარემოებას შეიძლება დიდი შედეგი მოჰყვეს ქართველებისათვის, რადგანაც ყაზახები დღეს შავის ზღვის პატრონები არიან და ბევრად ძლიერნი; პოლშის ხელმწიფეს შეუძლიან კიდევ ამგზით, რომელიც ძლიერ მოვლეა, დიდად დაეხმაროს ქართველებს ყოველ გაჭირვებაში, რომელსაც მათ მიაყენებენ ან სპარსელები, ან თურქები. ქართველებს თავის მხრით შეუძლიანთ მათის ნავსადგურებით და უსაშიშო თავშესაფარ ადგილებით, რომელნიც აქვსთ ზღვის ნაპირებზედ, დიდად დაეხმარონ ყაზახებს მათ საქმეებში. ამით ქართველები ჩვენებისათვისაც ძლიერ გამოსადეგნი იქმნებიან, თუ ჩვენ ოდესმე დიდი რამ საქმე დავიწყეთ, ზღვით ან ხმელეთით, ოსმალეთისა და განსაკუთრებით კონსტანტინოპოლის წინააღმდეგ.

რაც შეეხება იმერეთის მეფეს, ის არ იმყოფება იმდენად არც სპარსელებისა და არც თურქების დამოკიდებულებაში, რადგანაც მისი სამეფო არის, როგორც ვსთქვი ზევით, უფრო შუაგულ ქვეყანაში, მოშორებული თურქებზე და სპარსელებზედაც და გამაგრებული ყოვლის მხრით მთებით, მდინარეებით და საშიშო ადგილებით, თუმცა იგი გარეგნად, როგორც ერთს, ისე მეორეს უჩვენებს თავს მეგობრად, გულით კი არც ერთს არ ენდობა და არც ერთის ჯარს არ უშვებს თავის ქვეყანაში, კარგადაც ეშინება, რადგანაც ერთიც და მეორეც, სპარსელებიც და თურქებიც, როგორც სხვა რჯულისანი, გააოხრებდნენ მის სამეფოს, რომ შეეძლებოდათ, თუმცა მაჰმადიანები თავს სხვაფრივ აჩვე-

ნებენ და მრავალ ჯერ მეგობრობასაც აცხადებენ, მაგრამ არასდროს არ დაჰზოგავენ ქრისტიანებს, რაც შეუძლიათ, თუ კი რამე დიდმა მათმა სარგებლობამ ან საჭიროებამ არ მოითხოვა ქრისტიანების სიცოცხლე. უდავალავ მაგალითებს ამისას ყოველ ჟამს ვხედავთ; ქრისტიანე მრავალთაგანი, ვინც კი დაენდო მათ, ყველანი გასწყვეტილ იქმნა, მაგალითად კონსტანტინოპოლელი ბერძნები, უკანასკნელი ვენგრიის ხელმწიფეები და მრავალნი სხვანი, რომელნიც მთელს ქვეყანას ახსოვს.

მე გადავიმალეთ ვრცელი სურათი საერო (temparale) მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება საქართველო. ეხლა ვიტყვი რასმე სასულიერო მდგომარეობაზედაც. ქართველებმა ძველის დროიდგან მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება, რომლითაც იგინი გაანათლა ერთმა უცხო ქვეყნიდგან ჩამოსულმა მხევალმა. ამ ქალის მრავალ და შესანიშნავ სასწაულებს მოგვითხრობენ ქართველები, მაგრამ დღემდი ვერ შევიტყე, რა ერქვა მას. მისი სახელი არც ქართველებმა იციან, თუმცა ისტორია მისი კი იციან [25]. მხოლოდ ჩვენს მარტიროლოგებში უწოდებენ მას ქრისტეს წმიდა მხევალს. მე ვფიქრობ, რომ მათ მიიღეს სარწმუნოება ბერძნებისაგან კონსტანტინოპოლის იმპერატორების დროს, და თავიდგანვე მიიღეს ბერძნების ტიპიკონი, რომელსაც დღემდი ასრულებენ. მხოლოდ წირვა-ლოცვა საკუთარს ენაზედ აქვსთ. მათ ენაზე ორგვარი მწიგნობრობა არის: ერთს ჰქვიან ხუცური, რომელსაც ხმარობენ მხოლოდ ეკკლესიაში და საღმრთო წერილში; მეორეს ჰქვიან მხედრული, რომელსაც საზოგადოდ ყოველ ჟამს მიწერ-მოწერაში ჰხმარობენ; საღმრთო წიგნებიც აწერიებიან ხოლმე მხედრულით ერის კაცებისთვის. რადგანაც ქართველები მიყვებოდნენ ბერძნების ტიპიკონს და ეკკლესიას, ამიტომ იმათ მიითვისეს ის შეცთომილებანი, რომელნიც აქვსთ ბერძნებს თავის სარწმუნოებაში. მართალია რომ ბერძნებს უფრო ნაკლები აქვსთ შეცთომილებანი, ვიდრე დანარჩენ აღმოსავლეთის ხალ-

25) ცნადია, რომ აქ ლაპარაკი წმ. ნინოზედ არის. (მთარგმ.)

ხებს. მე გაბედვით ვიტყვი, რომ ქართველებს კიდევ ნაკლებ აქვსთ შეცდომი-ლებანი ვიდრე ბერძნებს. ეს, იქნება, იმიტომ არის ასე, რომ ქართველები ცოტად ეტანებიან მწიგნობრობას, უფრო ბევრს დროს ატარებენ ომში და ამის გამო უფრო უმეცარნი არიან; ნაკლებ შეუძლიანთ იცოდნენ და ნაკლებ იციან კიდევ ამისთანა საგნები, იგინი მხოლოდ ესცხოვრე-ბენ კეთილის განზრახვით: ამისაგამო მათ შორის უფრო ადვილად შეხვდებით უძლეველს მარტივ უმეცრებას, ვიდრე ბერძნების შორის, რომელთაც უყვართ თავის წიგნების ფურცვლა. ამიტომაც ქართველებს ბევრი მოეტევებათ. ამის მიზეზი, იქნება, კიდევ ის არის, რომ იმ უკანასკნელ კრებაში, რომელშიაც ბერძნებმა გამოი-ჩინეს ჟინიანობა თავის რაღაც შემცდარ აზრებში, ქართველები მაშინ იქ არ იყვნენ და ამ შეცდომებში არავითარი მონაწილეო-ბა არ მიუღიათ, როგორც ცხადად ამტკიცებენ ბერძნები თავის მარ-ტირიკაში და კიდევ გიბრიელ პრატეოლო თავის „მწვალებლების ალფა-ბეტურ სიაში", რომელნიც ამ შეცდომილების შესახებ ქართველებს უფრო ამართლებენ, ვიდრე ბერძნებს. ამასთანავე ქართველები არ მედიდუ-რობენ, როგორც ბერძნები, თავის ეკკლესიის უპირატესობით. თუმცა იგინი არ ეუცხოვებიან კონსტანტინოპოლელ პატრიარხს, მაგრამ პირ-და-პირ მის დამოკიდებულებაში არ არიან, რად-განაც თავიანთ მიტროპოლიტებს თვითონ აყენებენ; აქვს, თუ არა რამე უფლება საქართველოში კონსტანტინოპოლელ პატრიარქს, არ ვიცი. გარდა ამისა მათ დიდი პატივისცემა აქვსთ რომისადმი, წმინდა პავ-ლეს და წმინდა პეტრესადმი და რომის მღვდელ-მთავრისადმი. მათ არ აქვსთ ის რაღაც ძულვა ურთიერთშორის, რომელიც აქვსთ ბერძნებს უპირატესობისთვის; არ არიან ისე ამაყნი, როგორც ბერძნები, არც ჟინიანნი, არც ცუდლუტები ან მატყუარნი საქმეებში; არამედ არიან მშვიდნი, წყნარნი, კეთილის გულისანი, წრფელნი. მათი დაჯერე-ბა და რაიმე საქმეში დაყოლიება ისე ადვილად შეიძლება, რომ, რო-გორც ზემოთ მოგახსენეთ, მარტო ამ თვისების გამო (ამათ ბევრი ზარალი ნახეს მაჰმადიანობისაგან. გარდა ამისა, ამათ ჰყავთ, როგორც

ვსოფქვე, ქრისტიანნი მთავრები, აქვთ საკუთარი სახელმწიფო (Republica) და მართებლობა საერო და სასულიეროც. ეს დიდი საქმეა. აბა რას უნდა მოველოდეთ რომლისამე ხალხისაგან, რომელსაც არც მეთავე ჰყავს, არც სახელმწიფო აქვს, არც რაიმე მართებლობა აქვს და, როგორც თითქმის ყველა დანარჩენნი აღმოსავლეთის ქრისტიანენი, ურიც დამოკიდებული ურჯულო მთავრებზე, რომელნიც საუკეთესოდ ჩვენი მტრები არიან, ამისთანა ხალხთან როგორ შეიძლება საზოგადო შეერთება, კრების ქონა? ან და რა კეთილ განჩინებას დაადგენს ამ კრებაში ამისთანა ხალხი? რომ კიდევაც დაადგინოს, ვინ შეასრულებს, ან ვის შეეძლება შეასრულებინოს ეს განჩინებანი? ამისთანა შემთხვევაში უფრო საკვირველია ხოლმე, რომ უკანასკნელს და უბოროტესს მათგანს, რომელიც არ ეთანხმება სხვებს, შეეძლება ცილის-წამების შემწეობით მაჰმადიანების (Mori) წინაშე დაშალოს ყოველივერი და დიდი ზარალი მოუტანოს სხვებს. ქართველებს შორის კი ყოველისფერის გაკეთება შეიძლება, რადგანაც მათ აქვსთ თავისი მმართებლობა, სარწმუნოება და ჰყავსთ ხელმწიფე თავის ხალხოსნობისა, მათი ხელმწიფე ჰმართავს ქვეყანას აღმოსავლეთურად; მისი უფლება უფრო დესპოტურია და უფრო განუსაზღვრელია, ვიდრე ჩვენის ევროპის ხელმწიფეებისა. ამიტომაც მათის მოწყალებით და შემწეობით იმედია მათს ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდეს. ყველა ეს მიზეზები მართლაც აადვილებენ მათს ჩვენთან შეერთებას, თუ მხურვალე მეცადინეობა არ დააკლდა ამ საქმისადმი, თუ იმათ გასანათლებლათ წავლენ ჩვენგან ნიჭიერნი პირნი, იცხოვრებენ მათ შორის და კარგად შეისწავლიან მათს ენას. მაგრამ არ ვიცი რად არ ჰსწყალობენ ეგრე ქართველებს, რომ დღემდე ამის შესახებ არავითარი მეცადინეობა არავის არ გამოუჩენია. იქმნება ამის მიზეზი ისაა, რომ მათ ცოტა დამოკიდებულება ჰქონდათ ევროპასთან, ან ის, რომ მათი ენა ჩვენთვის თითქმის უცნობია. მაშინ როდესაც სამოციქულო ტახტმა (la sede Apostolica) ამოდენი იზრუნა ყველა სხვა აღმოსავლეთის ხალხების შეერთებისათვის და ამოდენი დახარჯა ამ საგნისთვის ფულები და

სხვა ხალხების შესახებ, ქართველების შესახებ კი არავის არაფერი გახსენების, თუმცა ესენი არც უფრო შორს და უფრო მიუწდომელნი არიან სხვებზე, არც ღვთისა ნაკლებად საყვარელნი, არც რომის ეკკლესიის წინაშე ნაკლები ღირსება აქვსთ მათ. ჩვენების ამისთანა გულ-გრილობამ ქართველებისადმი, რომელიც ჰსუფევს ჯერაც, მაიძულა მე მომეხსენებინა მათი ამბავი; ვინაიდგან მე შევიტყე მათი გარემოება და მაქვს მრავალი ქართველებთან როგორც სულიერი ნათესაობა, ისე მეგობრობაც, მე ჩემს ვალად ვთვლიდი მომეხსენებინა თქვენის სიწმიდისთვის მდგომარეობა და საჭიროება ამ ხალხისა, და კიდევაც მოგახსენეთ. ამასთანავე დიდის გულ-მოდგინებით გევედრებით, რომ ინებოთ მათი დახმარება. რამდენად ეხლა ნაკლებად აქვსთ მათ შეცდომილებანი, იმდენად თქვენს უწმიდესობას მეტი დამსახურება ექმნება ღვთის წინაშე და მეტი სახელი ქვეყნის წინაშე.

ხოლო, რაც თქვენმა უწმიდესობამ იცოდეს თუ რა საშუალებანი უნდა იქმნენ ხმარებულნი ამ საქმეში და რა გზით შეიძლება მათი მიშველება, მე მოგახსენებთ, რომ ჩვენებს შეუძლიანთ საქართველოში წასვლა სამის გზით, პირველი და უფრო მოკლე არის კონსტანტინოპოლის გზა, რომლითაც წასვლება საქართველოში რვა თუ ხუთ დღეში, ტაროსით დაუკავრად კონსტანტინოპოლიდგან, სკუტარიში (უზიკამია) მივა კაცი უსაშიშოთ ყარავნებით, ესე იგი, სავაჭრო ამხანაგობებთან, რომელნიც ყოველ დღე ძალიან ტრაპიზონის გზაზე. ეს ადვილად შეუძლიანთ კონსტანტინოპოლის ვიზიტორებს პატრებს და აგრეთვე დომენიკანელებს და ფრანცისკანელებს, რომელთაც აქვსთ იქ ეკკლესიები და მონასტრები. მაგრამ მართალი რომ ვსთქვათ, უფრო გამოსადეგნი იქნებიან იეზუიტები, რადგანაც მათ განსაკუთრებულ წესად აქვსთ მოუვლით მიაქციონ ყურადღება, ასწავლონ მრევლები და მისიონები გახსნან როგორც გამოცდილება გვასწავლის ეს საშუალებანი ყველა

სხვებს სჯობიან. კონსტანტინოპოლით საქართველოში წასვლას მხოლოდ ერთი დაბრკოლება ექნება, მგონია: — თურქები იქ არ გაუშვებენ ადვილად ჩვენებს, უმეტესად მაშინ, თუ შეიტყეს რომ იგინი არიან ბერები ან მღვდლები, რომელთაც ჩვენ ვიბარებთ ამ საქმისათვის. მაგრამ მე მგონია, რომ გონიერ კაცებს, რომელთაც ეცოდინებათ რამდენადმე ოსმალეთი და იქაური ენა, შეუძლიანთ ცოტ-ცოტად და დრო გამოშვებით დაფარულად ჩაიარონ თუ ტანისამოს გამოიცვლიან და თავს ვაჭრებათ ან სხვა რამეთ უჩვენებენ.

მეორე გზა არის სპარსეთით, საიდგანაც ჩვენს ბერებს კარმელიტანელ ფეხ-შიშველებს და აგრეთვე პორტოგალიის ავგუსტინიანებს, რომელთაც აქვთ აგრეთვე ეკკლესიები სპარსეთში, უფრო ადვილად შეუძლიანთ წასვლა კაიხლებით, ესე იგი, სავაჭრო ყარავნებით, იმ მხარეში, რომელიც წინედ ლუარსაბისა იყო და ეხლა სპარსეთს ემორჩილება. ამ კუთხიდგან იმათ მერმედ შეუძლიანთ გადავიდნენ საქართველოის ყველა სხვა კუთხეებში. ამ შემთხვევაში უფრო გამოსადეგნი იქნებიან ფეხ-შიშველები, რადგანაც მათის მარხულობით და ცხოვრებაში მოჭირვებით იგინი ჰბაძვენ აღმოსავლეთის ბერებს და ქართველებისაგან, ამათის ბერების და მღვდელ-მთავრებისაგან ძლიერ კარგად იქმნებიან მიღებულნი და ძლიერ სამაგალითონი დარჩებიან. გარდა ამისა შეუძლიათ სპარსეთში ამ განზრახულებისათვის დიდი შემწეობა იპოვონ წამებულის ქეთევან დედოფლის კაცებისაგან, რომელნიც ჯერეც შირაზში არიან და რომელთაც იციან, რომ დედოფლის გვამი არის, როგორც ამბობენ, ავგუსტინიანების ხელში. შემწეობას აგრეთვე გაუწევენ მათ მიტროპოლიტის ალავერდის ნათესავები და მრავალნი წარჩინებულნი ქართველნი, რომელთათანაც იმათ მეგობრობა აქვსთ, მაგრამ როგორც იქ წასვლის დროს, ისე მოქმედებაში ძლიერ გონივრულად და სიფრთხილით უნდა მოიქცნენ, რომ

სპარსეთის ხელმწიფემ არ შეიტყოს ეს განზრახულებანი, რომელნიც მას არ ესიამოვნება, რომ ჩვენგან არც თვითონ მათთვის და არც მეგობართ ქართველებისთვის უსიამოვნება არ მოხდეს.

მესამე და უკანასკნელი გზა არის პოლშის გზა. ამ სახელმწიფოის იმ ადგილებიდგან, რომელნიც შავის ზღვის ნაპირზე არიან, ეგრეთვე ადვილად და მალე შეიძლება საქართველოში გადასვლა. ამ ზღვამდიც ადვილად შეიძლება მისვლა შუაგულ პოლშიდგან მდინარე დნეპრით, რომელიც ჩაუვლის კიევს. ზოგიერთების აზრით ეს ქალაქი არის ძველის დროის პონტის თომი (Tomi), სადაც ექსორიად გაგზავნილი იყო ოვიდიო. პოლშიდგან ამ საქმეს ბერები არ დააკლდებათ, განსაკუთრებით ჯეზუიტები, დომინიკანელები და კარმელიტანელი ფეხ-შიშველები, რომელნიც იქაც არიან დამყარებულნი. არც პოლშის ხელმწიფე მოაკლებს თავის შემწეობას; იგი ფრიად კათოლიკეა და ღვთის მოყვარე, და დიდის სიმხურვალით ეცდება ხელი შეუწყოს ამ მისვლა-მოსვლას. ამისათვის ყაზახების ხომალდები ბლომად იქმნებიან, რომლითაც მოსვენებულად შეუძლიანთ საქართველოში წასვლა ჩვენებს, არა მარტო ბერებს, არამედ, როცა საჭირო იქმნება, ეპისკოპოზსაც, ნუნციოსაც და დესპანსაც თავიანთ მოწყობილობით. უკანასკნელად, არა მცირედი შემწეობა ამ საქმეში შეუძლიანთ პოლშის რუთენის კათოლიკებს, რომელთაც ჯერ აქვსთ ბერძნის ტიბიკონი და რომელთაც ამის გამო დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება ექმნებათ ქართველების შორის.

სხვა საშუალებებს და გზებს მოიფიქრებს თქვენი უწმიდესობა, რადგანაც ხართ ყოვლად ბრძენი და წმიდა სულისაგან ჩაგონებული. ჩემის მხრით მე გთხოვთ ეს მცირედი მოხსენება, რომელიც არის ნაყოფი ჩემის გამოცდილებისა, მიიღოთ ნიშნად ჩემის კეთილ-მსახურებისა ამ წმიდა სარწმუნოების მიმართ და ნიშნად იმისა, რომ

მე მსურს ამ სარწმუნოების გავრცელება და ღვთის სამსახური. ამით ვათავებ ჩემს მოხსენებას და თქვენს წმიდის წმიდა ფერხთა ვეამბორები.

ლ. ჭ—ა.

# ფშაური ლექსები.

(როსტომიშვილის მიერ შეკრებილი.)

1.

აღმოსავლეთით ამოჩნდა პირად ლამაზი ქალია,
ამოჰყვა საყურ-ბეჭედნი, უყრიალებდა ქარია,
თან მოყმენ ამოიყოლნა, წითლად ელება კარია.
აკოცეთ ვინაც ბიჭი ხართ, მე ვარ ამ ქალის ქმარია.
აკოცა ბიჭმა რეგვენმა, თავს გადიმტვრივნა ხმალია;
გაუვარდა ქალი ხვარამზე, მაღლა შაშალნა თმანია,
შეჰკაზმა მამის ლურჯაი, შამაავლივნა მთანია;
სალოკვად არ ეყოფიან ცხრანი მარილის ქვანია,
სასმელად არ ეყოფინნეს მტკვარი და ალაზანია,
მტკვარს დაეწაფა, დაშრიტა, დაგლიჯა მოსართავია.

—

2

ფეტვიანთ ყულაკი ვარ, არ დავსდევ სიღარიბესა,
მაუდის ჩოხას ჩავიცვამ, საგულისპირეს წითელსა,
ლეკურად მოვაპარსვინებ ამ ჩემს მორგვივით კისერსა,
ყდელ ხარს მივცემ თოფშია, ჩემს მშობილს ჭრელოთ ციხელსა.
გავმართე შვიდ ღარიანი, ოც-და-შვიდ მოვკალ იმ წელსა,
ერთ რქან ლაშარსაც წავიხვენ, — რომ გამიჭარდეს, მიშველსა.
გამართეს ჭიდილაობა, მე იქ გულთ არას მიმწყვსა...
პირდაპირ მიზის მარწყვა, მიცინის თვალსაც მიცემსა,
თავქანდით ერთურთისაკა, მალმალ საკოცნად მიწევსა,

შავარდი გუნებაზედა, ვაჰ მარხევს როგორც წიფელსა
. . . . . . . . . . . . იღბალს რა მამცემს იმდენსა.

3

ზეცაში დახმენ ღურბელნი, დედა-მიწაზედ წყალნია,
აღარც მოსავალი მოვიდა, დიდი დგას ცოდვა, ბრალია
მრუშობა არის, ქურდობა, დანდობა აღარ არია,
ძმამა ძმა აღარ დაინდო, აღარც ქალი და რძალია.

4

მურთაზამ ჯვარი შეჰყარა, სულ დაძრა დაღისტანია;
ალაზანს ჩამოსულიყო ძაღლის მურთუზის ჯარია;
გიგაის ბინას დაეცნეს, გამოუბრუნეს ცხვარია.
გიორგიმ უთხრა გიგასა: „ძმაო, წაგისხეს ცხვარია,
თოფში ჩაყარე ორი წყე, შარად გაიხვნეს ხმანია,
ეგებ მივიდეს ფშავშია, რომ მოგვაშველონ ჯარია.
გაიგეს ფშავლის შვილებმა, ყველამ გალესა ხმალია;
წამოვლენ თამაშობითა, ღმერთო, დასწერე ჯვარია!...
მარცხნივ კოპალა ჩამოჰყვა, მარჯვნის ლაშარის ჯვარია.
ფარსინს თავს გადახედნებენ, ნისლივითა წევს ჯარია,
ჩეთმის ჭალამდინ ჩამაჰყვეს, ჩალად ჩაჰყარეს მკვდარია,
ჩვენ ჩვენს საქმეში ვილევით, ვაჰ მწყემსნო, თქვენი ბრალია.
მწყემსიც ალასთან მოკვდება, აღარ დაზოგეს თავია,
გამააქუჩეს ვაცები, ვეჟვნებს მააქვის ჩქამია,
სად რა რა გადაჩნდებიან გიგაის ვაცის რქანია...
მურთაზა გამააქციეს, ჩიქილაიან ქალია,
რად მოხვიდოდი, მურთაზო, თუ გული გედვა მხდალია.

5

შეიყრებიან ლაშქარნი ხელმწიფის ბედობაზედა,
ერთი მეც წავალ, დედაო!... ღიჯურ შეჯდება ცხენზედა.

უწინ ჩავიდა ლიჯური დამდგარ ქისტების ცხვარზედა,
თოფი დაგვიკრეს ლიჯურსა, ნათოფარი ჭსჭირს მხარზედა;
ჩამოსულიყო ლიჯურა, დარჩენილიყო გზაზედა
მოძებნეს ქისტის შვილებმა, მოხელეს სისხლის კვალზედა,
დაგვიკრეს დამბაჩეეში მარჯვენას ძუძუს თავზედა.
ემაგის ამხანაგები დასხოდით ლელათ ჯარზედა,
ხელში ფარტენა მიეცით რომ ჩამოართონ ტარზედა.

# ზ ა რ ხ ო შ ი.

(სცენისათვის)

(ერთი, ცოტათ ხან შესული გლეხი შემოდის დაქეიფიანებული).

......ნურას უკაცრავათ, თქვენი ჭირიმეო!... ცოტა ქეიფიანათ გახლავართ!... კვირა-ცხოვლში გახლდით... გწყალობდეთ იმისი მადლი!... (ცოტა ფეხები უსუსტდება, თითქოს ბარბაცებსო.) იტყვიან: ღვინო,—კაცის ყავარჯენიაო... ყავარჯენი კი არა, ე ფეხები სულ მომკვეთა... (ოდნავ, წაბარბაცდება.) ღვინო?... ო...ო...ო...ო!... კარგი რამ არი ღვინო!... ნეტავი ი კაცის ძირში მომკლა!... ღვინო?... ჯანია, ჯანი, ღვინო!... ჯანია გამჩენის მადლმა!... (ბარბაცებს.) ღვინო—სისხლია კაცისა... სისხლი და ღვინო... მაშ?... (ბარბაცებს.) რას იცინით?!... ღვინო, ხომ ღვინოა და სისხლი—სისხლია!... (იმღერის წვრილის ხმით).

ჭო...ო...ო...ოი, კვირა...ცხოველო,
შენ სალო...ცავათ მო...ვე...ლო!...

ერთი ქვრივი ვნახე ი ხატობაში... ასეთი ჟუჟუნა თვალები კი ჰქონდა, როგორც მაყვალი!... ო გამჩენის მადლმა!... ვა...ა...აი, დედი-ჩემის ღმერთსა!... უჰ!... (გულზედ ხელს იცემს და იღიმება სიამოვნებით: მერე ჩამოუვლის და იმღერის:) „კაი შენ კი ჩაგეგრიხე, უსურვაზის წნელივითა!...“ სადღაც გამიგონია: ღვინოვო ბრმას თვალს აუხელსო, კოჭლს—ფეხს აადგმევინებსო და ღარიბს—გაამდიდრებსო... მე კი: (ხელით უარს ანიშნებს) ერთი გროშიც არ მაბადია, თვალები მელულება და მუხლებიც მეკვეცება... ნეტავი ხუთი ჯამის მეტი მაინც დამელიოს რამე!... მართალია, ერთი ყანწიც ზედ დავაყოლე... მაგ-

რამ, რა?... ის იყო და ისა!... ცოტა თავ-მძიმეთ შევიქენ... დავზარხოშდი... ნურას უკაცრავათ თქვენი ჭირიმეთ!... ახლა კი წავალ და ერთი კაი ძილს გამოვაცხობ... თორემ... ღამე მშვიდობისათ!... (გადის.)

რაფ. ერისთავი.

---

# ორიოდე სურათი მოთხრობიდამ

ის იყო ენკენისთვის მზემ ნახევარ შუბის ტარზედ ამოჰყო თვისი ბრწყინვალე სახე. სოფელ პ—ის არე-მარეს ჯერ ისევ ჩრდილი ედგა. როდესაც მას გარეშემო ტყლუშურ ღობესავით შემოვლილ სერების წვერებს ახლად დაბადებული სხივები ესაყვარლებოდნენ... ერთი მთიდგან უზარ-მაზარ მდევივით დიდი ჩრდილი წამოაწვა სოფელს. აი, ამ მთის წვერზედ თეთრად ლაპლაპი დაიწყო პატარა ეკკლესიამ, რომელსაც „ესტატეს" ეძახდნენ ჩვენი გლეხები; დღეს მისი დღეობა იყო და იმიტომ იქიდგან „ოვერხულის" და ზარების წკარა-წკურის ხმა მოისმოდა... ველებში და ვენახებში შაშვები უსტვენდნენ, მინდორში მიმავალი საქონელი ბღაოდა, გვერდით მიმდევი პაწაწა მწყემსები „გოგონას" გასძახოდნენ, ძაღლები იყეფებოდნენ. მთელ სოფელს ყრიამული გაჰქონდა და რაღაც სიხარული მისცემოდა. ან კი როგორ არ უნდა გაჰხარებოდათ მცხოვრებლებს, როდესაც დღეს ახლათ დამჭკრებულ ნუნუაში თავი უნდა ჩაეხრჩოთ, „სუფრულით" ჭკვა უნდა გაექარვებინათ და მორთულ ქალებზედ თვალი უნდა გეხილებინათ...

კაი სოფელი იყო სოფელ პ—ი, თითონ დაბალში მდებარებდა, გარს მთები ერტყა; მშვენიერი ვენახები, ხშირი წყაროები, გაფანტულ-გამოფანტული ჩალური სახლები, ორი ეკკლესია, ექვსი დუქანი, ორი მღვდელი, ერთი გამოჩენილი მკითხავი—კაკალაური, ოღრო-ჩოღრო ორღობეები, საშინელ აუზებით ონანოვის ცხოველისთვის... ეს იყო ამ სოფლის ავიცა და კარგიც. სოფელში იდგა სამი სუფთა ერთ სართულიანი სახლი; ერთში ამ სოფლის ერთად ერთი სომეხი კარაპეტა

ცხოვრობდა, მეორეში ჩასუქებული გლეხი — პეტრე და მესამეში ცხოვრობდა ამ სოფლის სამკაული უმანკო მოკეთე ჩასუქებული აზნაური — გიგო. დღისით ეს დაუდგრომელ ფაცა-ფუცში იყო, ღამე კი ტკბილ ძილს ეძლეოდა ხოლმე და მუდამ ტკბილი სიზმრებიც ელანდებოდა...

სოფ. პ—ში სულ ორასამდე მცხოვრები გახლდათ; ამათ ჯერ თავათვე მინდორი ნაკლებ ჰქონდათ და ეს ხუთი წელია რაც უფრო შეუცოტავდათ. ამ ბედნიერობის მიზეზი გახლდათ ხსენებული აზნაური გიგო თავის გვარითურთ. ბატონებო, გიგოს აზნაურობა დედის მუცლიდან ხომ არ დაჰყვა! ჯერ უბრალო მომაკვდავი გლეხი გახლდათ, როცა მილიციაში შევიდა. იქიდგან, ბატონებო, გლეხი კი არა, გაქნილი სალახანა ტეტია დაბრუნდა. შინ არა ებადა რა, მაგრამ თავის მხნეობით მთელი გლეხების სარჩო თავის ეზოსკენ მიუკეთა. გასუქდა ჩვენი გიგო, გამდიდრდა და ხომ მოგეხსენებათ „ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ჭიანჭველას ფრთები გამოესხასო“, ჩვენმა გიგომაც ჯერ ყვირილი და ახოვანი ხმით ლაპარაკი გამოიჩინა, მერე მოეფიქრნა რომ ამ ოხერ ფულებით ყველაფერს იყიდის კაციო და კეთილშობილობის ყიდვაც კი ადვილიაო, და განიზრახა მისი შესყიდვა. ვიღაც ქიზიყელმა აზნაურებმა ფულისთვის ესენი იმმეს, აწარმოვა ვითომ საქმე, მიიყვანა ხაზინაში თავისი გვარი ცხრაოდე ლატაკი გლეხთა კომლი. ბევრი ეწვალნენ ჩვენი გმირები, უკანასკნელი ცოლის კაბებიც კი დაყიდეს; ბევრი ფულიც ჯადაკვრიხა ამაობაში გიგომ თვისის გვარისა; კინაღამ ჩვენს მამიებლებს შიმშილით სული არ ამოუვიდათ. მაგრამ აი გიგოსა და ღვთის წყალობით ქუდი თავზედ დაეხურათ, „გაკეთილშობილდნენ“... ასე, ეს ხუთი წელიწადია, ჩვენ გლეხებსაც ბატონებიც გაუჩნდნენ. ამათში ეს ამბავი ჯერ სიცილის და ლაზღანდარაობის მეტს არასა ჰბადდა, მაგრამ აი მოუვიდათ „კომისია“, „ზემლამერი“, „პოლნოოჩი“, როგორც გლეხები ამბობდნენ. ახალმა კუდა აზნაურებმა ძრიელ გაიწიეს — შამოუარეს მინდორს და ნახევარი თავიანთათ აჩვენეს; „კომისიამაც“, გლეხების დაუკითხავად, ყორღნები ჩაუსხა. აქ გლეხების ხროვამ დაიყრანტალა: „ნუ

შენი ჭირიმე „პოლნოოჩავ, ზემლამერო“ ნუ გვღუპავთ, ჩვენი ცოდო-ნუ გინდათ შეიჭიიმე, მაგათი აქ არ არის რა, შიმშილით იხოცე-ბოდნენ; წელიწადში სამი დღისას არა ხნავდნენ... ხარჯის მძლეველნი იყვნენ... ეს მამული სახემწიფოა!...

— ციც· დაიყვირა პოლნომოჩიმ: დაგგრან—გაიქეცით, მოქცენ ხელი წაავლეთ; ვინ რას გკითხავთ, თქვე ასეთ-ისეთებო; მე ვარ სა-ხემწიფო მიწის პატრონიო, ეხლავ ყველას ციხეში დაგალპობთო თქვე ვირებო!......

— ჭაი, შენ გამჩენს კი რა უყო! წაიდუდუნეს გლეხებმა: შვი-ლო ფულები რომ ამოგიღეს შენა და ზემლამერსა... თქვენ დედ-მა-მასაც კი გაჰყიდით და სხვას რაღა...

— გამიშვი შენი ჭიიმე ზემლამერო, მეც შიგ მომკალი მაგ მა-მულში, რა კი მაგას სხვას აძლევ; ჩვენ სიკვდილი გვირჩევნია, დაიყვი-რა ყოჩაღმა გლეხმა და გადაერია კორდანთან. დაგვხოცეთ, დაგვხო-ცეთ, შვილო! დაიყვირეს გულმოსულათ ყველა გლეხებმა; აი შვილო, რატო სუ არ გაგანადგურეთ და ღორებივით რათ დაგვსუქეთ—აი გი-გო! უყვიროდნენ აზნაურებს გლეხები.

„ზემლამერმა“ რომ ეს დაინახა, აკანკალდა და ხერხი მოიგონა და ტკბილის ხმით უთხრა გლეხებს:

— თქვენი ცოდო ვის რათ უნდა, შვილო; ეს ჯერ ხომ ამათ არ ეძლევათ, მე მარტო ყორღნებსა ვსხამ, მერე სასამართლოში გალაპა-რაკებენ და რასაც მისცემენ ის ღმერთმა იცის, შვილო; მართლა და სულელი გლეხები ხართ!...

ასე მოატყუეს ჩვენი გლეხები, თუმც ბევრი იმათგანი იძახდა, სადავო რო იყოს, შვილო, ნახშირი უნდა ჩეეყარათ ყორღანშიაო, მაგ-რამ მაინც მოსტყუვდნენ, ნახევარი მამული მღლეტელა აზნაურებმა ჩამოართვეს. გლეხები ეხლაც ქეჩოს იქექენ და ბუტბუტებენ: „რატო შიგ არ ჩავიხოცენითო“!...

## II

ქსტატობა იყო, როგორც მოგახსენეთ...... მზე კარგა მაღლა ამოვიდა, როცა თავის გომურიდგან შავ-ჩოხა ჩაცმული, ხელში ჯოხით და ყალიონის ბოლვით გამოვიდა ქადარა, წელში მოხრილი გლეხი—ჭონოპარტე. კარებზედ დადგა და იღლიაში ფხანვით ჯერ მზეს შეჰხედა, მერე დასავლეთისკენ მობრუნდა და მეზობლის მარნიდგან მაჭრის ჩუხჩუხი მოესმა—სევდა მოუშო ჩვენ ჭონოპარტეს და მხიარულათ გორაზედ წამოსკუპებულ ქსტატეს შეჰხედა. იმ დროს თითქო ათასფერ ყვავილებით მოფენილა მთელი ქსტატეს მთაო, ისე იყო მისი ფერდები და კენწერი მოფენილი, მორთულის სოფლის ქალებითა... ამ სურათმა, მაჭრის დუღილმა, სერიდან გამოძახილ სიმღერის ხმამ რაღაც აღტაცებაში მოიყვანა ჩვენი ჭონოპარტე, რომელიც უნებურად მიტრიალდა და შესძახა თავის ქალს: „შვილო, პელაგ! შენც წადი დღეს ქსტატეში“. იმ დროს კიდეც დაინახა, რომ დუქანთან ხალხი გროვდებოდა, ფერი ეცვალა უბედურ ჭონოპარტეს, გულმა ძაგძაგი დაუწყო... უნებურად მობრუნდა და თავ-ჩაღუნვით წავიდა დუქნისაკენ...

მადიოდა ჭონოპარტე და მუხლები ეკვეცებოდა, რადგან იცოდა რომ წინა დღეს მამასახლისს მეტყევესაგან ქაღალდი მოსვლოდა, რომ რადგან ტყის ყარაულებს ვადა გაუვიდათ, ახლები ამოირჩიეთო. ჭონოპარტე ტყის ყარაული იყო და ძრიელ ეფიქრებოდა და, რომ მიდიოდა გზაზე, ასე ჰბოდავდა ეს უბედური: „ჰეე—ესეც ყრილობა... ი კომთობა დასანგრევი პეტრე ძრიელ მემუქრება ი. რო გამაგდონ, ერთი მტკაველი ვენახი მაქვს, მოდი და იცხოვრე, შინ კატა არ მყავს, გარეთ ნახნავი; ახლა ე წუწულ პელასაც გათხოვება უნდა, საწყალი ს-უ ტიტველაა, მეც პერი კაცი ვარ—ეს ტიალა ფული მაინც მქონდეს მოხელეებს გადავაკვნიტო, ეგებ მეშველოს“... მიუახლოვდა თუ არა ყრილობას და იქიდგან პეტრეს ჭინჭყლიანი ხმა მოესმა: „დაკარგეთ ჭონოპარტე! შვილო, დაბერდა, ტყეში სიარულის თავი აღარა აქვს

და ბატონ „ლესნიჩას“ კი ერთგულობა უყვარს“!... გავაგდოთ, დაუმატეს რამდენიმე ხმამა... ჭონოპარტე ამის გამგონე ის იყო უნდა წაქცეულიყო, მაგრამ ბედზედ მიასწია დუქან წინ მდებ კუნძსა, ხალხში ჩუმათ გაძვრა და თავდაკიდული ჩამოჯდა...

— ჰაი, შვილო, დაიღრიალა მაღალ-მაღალმა ოტლაყემა გლეხმა— იაკოფმა და თანაც შემოდიოდა შუაგულში, გლეხებიც ეცლებოდნენ: ვინც მართლა დასაკარგია, ის დავარჩუნოთ და ჭონოპარტე კი გავაგდოთ?!... აბა რას გიშლით; სხვასავით არავის აბიზღეს და ტყეში რო მიდიოდეთ გეძახით: „წაღდი მაინც დამალეო“. აი, შვილო, თქვენ მოშრეტილისთანეები გიყვართ... განა არ ვიცი „მელას თავის მახჩობელა უყვარსო“. არა, შვილო, თვალები გავახილოთ: მოშრეტილი გავაგდოთ, ჭონოპარტე იყოს, ერი კაცია, ლუკმას ნუ დავუკარგავთ. ჩქარა გავათავოთ და ერთი ესტატეში ჩავსხდეთ, შვილო, დედა-კაცები ხომ არა ვართ აქა ვყაყანებთ; შენ კი, ბუზიყლაპიავ, გაათავე ჩქარა, მოუბრუნდა იაკოფი მამასახლისს... მართალს ბძანებს იაკოფი, ჭონოპარტე იყოს, მოშრეტილი დაიღუპოს, დაიყვირა ხალხმა.

— დიაღაც დააყენეთ, — რო აღარ შეუძლიან?! წამოიძახა ბრაზით პეტრემ.

— რას გიშლის, შე ეტლე გასაქრობო, რო შენ სიმურტლეს არ დაჰკლევ, შეება ერთი ახალგაზდა გლეხი პეტრეს... პეტრემ ხმა ჩაკმინდა და ჩუმათ პირ-გაშავებული შინ წავიდა...

ჭონოპარტეს სიხარულით ცრემლები მოუვიდა; ნელა მოიწმინდა თვალები გამძვალებულ მუშტით და სიამოვნებით შეჰხედა თავის მხსნელს—იაკოფსა. იაკოფი მიჩნეული, წინაკაცი და კაი ოჯახიშვილი იყო, მაღალისა და ახოვანის ტანისა. ნუნუა და უბედობა მისი სული და გული იყო, და ამიტომაც ძრიელ უყვარდა ყველას. — ცოტა გაიარ-გამოიარა იაკოფმა ხალხში, მწერალი კი მინამ მოშრეტილის გაგდების ქაღალდს ჰსწერდა. ვეღარ მოითმინა იაკოფმა, მიჰვარდა მწერალს, წაგლიჯა ქაღალდი და დაუყვირა ხალხს: წავიდეთ ერთი ესტატეში

ჩავსხდეთ, რა დროს აქ ჩონჩქოლდიაო, და მოითრია მამასახლისი კის-რით... მთელი ხალხი გაჰყვა იაკოფს...

იქვე მისდევდა ხალხს ჩვენი ჭონოპარტეც; გვერდში რამდენიმე ახალგაზდა გლეხი ამოუდგა და დაუწყეს კითხვა: „რაო, ბერი კაცო, რას დაღონებულხარ, აბა ერთი უწინდელ დროზე გვითხარი რამე—აი, გინდ დიამბეგობაზედ, გინდ ბატონ-ყმობაზედ."

ჭონოპარტემაც დინჯის, სიამოვნების ხმით დაიწყო ლაპარაკი უწინდელ დიამბეგობაზედ, ბატონ-ყმობაზედ, მერე ეხლანდელი თავის ჯურა კაცების უბედურის ცხოვრების სურათიც დაუხატა ახალგაზდა ბიჭებს, რომლებიც სულ გატრუნულნი ყურს უგდებდნენ. ბევრი საზარელი და უღმრთო უსამართლობა ამ ცრუ წუთი-სოფლისა ამოვიდა ამ საწყალის ბერიკაცის პირიდგან, დიდი წყევლა-კრულვა ძველისა და ახლისა. თან-და-თან უფრო დინჯათ არაკრაკებდა საზარელ სიტყვებს მისი ხმა... არავისზედ არ ბრაზდებოდა, უმეტ-ნაკლებოთ, თითქო საფლავის ქვაზედ წარწერილს კითხულობსო, ისე ამბობდა თავის მოთხრობას ბერიკი ტყის მცველი... მოვა დრო, როდესაც ეს ჭონოპარტეს უმეტ-ნაკლებოდ გადაცემული ამ წუთი-სოფლის უსამართლობა კეთილ კაცებს ისეთივე სიცრუე ეგონებათ, როგორც ჩვენ არაკები ას თავიან დევებზედ...

ჭონოპარტეს გულზედ მოეშო: ერთი წელიწადი ტყუილათ აღარ ვიცხოვრებო, ლუკმა მაინც მექნებაო, ფიქრობდა ჭონოპარტე და თუმც ის ოთხი თუმანი ჯამაგირი ვერაფერია, მაგრამ ჭონოპარტესთვის დიდი იმედი იყო...

ამასობაში გლეხების ხრო ავიდა გორაზედ და მიადგა პატარა ეკკლესიის კარს; ჯერ იაკოფმა მოიხადა დიდი ბუხრის ქუდი, იღლიაში დაიჭირა, კარებს ემთხვია და მერე შიგ შევიდა სანთლების დასანთებათ რომ გამოვიდა ყველამ იგივე გაიმეორა... ცოტა ხანს უკან მთელი ხალხი კარზედ გამოვიდა, ირგვლივ იაკოფს შემოერტყა, რომელმაც განი მისცა და ცოტა ხანს ხელი ხელს გადაბმულებმა „ფერხისი" დაიძახეს:

„დაბრუნდა თუ დაბრუნდები, დადვი პატარა ჯვარა,

შენი გამდელი გაცხონე, შენი პატარა ლალა“...

თან-და-თან გლეხები უფრო ხურდებოდნენ ხტუნვით, მღერის ხმა საშინლად მაღლა და მაღლა ადიოდა. ბოლოს დაქანცული მომღერლები დადგნენ, ხელებიც ჩამოუშვეს. იაკოფმა გლეხები არც კი შააქაქანა, მაშინვე წრე გააკეთებინა, ქალებიც მივიდნენ საყურებლათ, და ერთმა მომღერალმა დაიწყო სათამაშო მაღალ ხმაზედ „ჭი გოგნი—გოგონა“. მეორემ—„გოგონა და სულისა“. ისევ პირველმა „გოგონა და გულისა“... „დამწვარ დადაგულისა“; სხვები ბანს ეუბნებოდნენ და ტაშს სცემდნენ. იაკოფმა ბუქნით დაუარა, მერე სხვა წითელ გულისპირა ახალგაზდა გლეხი გადმოხტა და დაატლინკა ფეხები; მერე სხვამ და ასე ყველამ ითამაშა... თამაშობის შემდეგ იაკოფი მიუბრუნდა ქალებს: „თქვენი ჭირიმე, ქალებო! აბა, ახლა თქვენ გაყუროთ თამაშობაში, განა ჩვენი მუქთი იყო.“

მაშინვე კაცები ქალებს გარს შემოეხვივნენ, ქალები ცოტა აწითლდნენ, მაგრამ მაინც უფრო მათში თამამმა დაირას დაურახუნა, სხვებმა ტაში დაჰკრეს და დაიწყეს თვითეულმა მათგანმა წყნარი თამაშობა, ანუ უფრო ისე უბრალოთ ტრიალი. ახალგაზდა გლეხებმა გადასდეს ხელი ხელს და დაიწყეს ლაზღანდარობა: შეხე მაგ გამჩენ ძაღლ გოგოს მაშოს, რა თეთრი კუნთები აქვს. უთხრა სიცილით ერთმა ახალგაზდამ მეორეს, როცა დააცქერდა ძალათ აწეულ ძვირფას კაბიდგან გამოდგმულ «პოლსაპოჩკიან» ფეხს, რომლის კანჭები თეთრად ანათებდნენ.—ძალათ შვრებაო, წაიდუდუნა მეორემ... სხვა მხრიდგან ისმოდა: შახე იმას ლაზათს... ებეი, ებეი იმი ლოყებს... ახ კურტ... და სხვ...

ამ დროს მაღალ-მაღალი წითური გლეხი გიგია კი ხანჯალზედ ხელ-დაბჯენილი დინჯათ იდგა; წელს ღვინო და პური, ღვთის მადლით, კარგა მოუვიდა, დანიშვნას აპირებდა და იმიტომ ქალებში თავის „საბედოს“ ათვალიერებდა. აავლო-ჩაავლო თვალი ქალებს და ჭონოპარტეს პელას მეტმა ვერავინ მიიზიდა მისი მხედველობა. გიგიამ სა-

შინელის შალით მიაბჯინა პელას თვალებში, მაგრამ პელა ამ დროს სხვა ფიქრებში იყო: ის გიგოს მაშოს გვერდზედ იდგა, მისავით გიჟმაჟურათ აქეთ-იქით არ იცქირებოდა: ის დინჯად ხან მაშოს ძვირ-ფას კაბას აავლებდა ხოლმე თვალს, ხან მიწაზე იმზირებოდა, ლო-ყები ნაკვერჩხლებივით უღვივოდნენ, შავ თვალებში დიდის კარდივით დანამული ჰქონდა: როცა მაშოს ძვირფას კაბას შეჰხედავდა ხოლმე, მერე საწყალოთ თავის გაბოლილ ჩითის კაბასაც დაჰხედავდა და ისე დაჰღუნავდა თავს. დიდხანს, დიდხანს გულსაკლავად უმზერდა მშვე-ნიერ კაბას და გულში ამბობდა: „ერე ერთი ხანია შალიკაბა მქონდა და ვერ მეღირსაო...“

ამ დროს გიგოამ, პელას ეშხით აპილპილებულმა, ვეღარ შეიკავა თავი, მიეპარა უკან და ყანიით უჩქმიტა... პელა მულომივით გაბრაზებული მობრუნდა, მაგრამ ცელქი გიგია რომ დაინა, სიბრაზე გაუქარვდა და რაღაც სიამოვნებამ დაუარა გულში. გიგია მოჰშორდა პელას, მაგ-რამ პელას კი გიგია და მისი ჩქმეტა აღარ ჰშორდებოდა გონებიდ-გან .. ცდილობდა გონებიდგან დაკარგვას, მაგრამ ვერა გზით... პელას ლოყები აენთო და გულმა ჩქარი ბაგი-ბუგი დაუწყო...

გაათავეს გლეხებმა ლხინიც, ახლა კუჭის დაკმაყოფილებას შეუდგნენ... აი ცოტა ხანს უკან მთელი მოედანი მოიფინა წრე და წრე ირგვლივ შამომსხდარ ქალების და კაცების ხროთი, რომლებსაც წინ ხურჯინებზედ ათას-ნაირი ხორაგი ეწყოთ, ტიკებით და სადვი-ნებით მაჭრები ედგათ. იაკოფის კარს შემოესხა ერთი ოცამდე კაცი. აი დაიწყო ნუნუის ტლუშვა, ჯამების ტრიალი და ერთი ჯგუფიდგან მეორე ჯგუფში კერძების მიტან-მოტანა... უნდა გეყურებინათ რა სიამოვნებით დეეწაფებოდნენ ხოლმე შავი მაჭრით სავსე გაქონილს ჯამს, რომელშიაც ბლომათ ცვიოდნენ კალიები და ბუზები; თითქოს კუშაპის გვამშიო, ისე მიჰქონდა ნუნუას ტალღებს გლეხის მუცელში ეს ამოდენა მწერთა მსხვერპლი.—

ჩამოუარეს მახია, კუჭიც დააკმაყოფილეს გლეხებმა. ღვთის წყა-ლობა გაქვს ისინი ნუნუით ლიმცლიმც გაიმსნენ!... აიშალნენ გლეხ-

ბი გაქელენთილნი, დაზრუებულნი და თუმც ფეხი ერეოდათ, მაგრამ ბევრს
გული საშინლათ ერჩოდა. დაიძახეს — განი, და მოედანზე ორი გა-
ტიტვლებული, სარტყელ-შემოჭერებულ ჩოხის ანაზარა ოფლიანი ბი-
ჭები გამოვიდნენ. ხალხში სიჩუმემ ჩამოიარა... ქალებმა ბზვინვას მო-
ჰმატეს... ფალავნები დაიტაკნენ. მხრამ ზანზარი დაიწყო. ბევრი სარ-
მა, ზურგული და თეძო გაცურდა მათ შუა, მარტო თავებზედ ტყა-
ვი გადაჭიმრათ და ძლევა კი არც ერთს არ ეღირსა... აი, შემოიგდო
ერთმა მეორე ლაზათიან ზურგულზედ, მაგრამ ხალხმა აღარ აცადა
და ზედ წააწყდა ფალავნებს. გაგვიშვით, გავათავოთო, უყვიროდნენ
გულზე მოსულნი ფალავნები და რომ ვეღარა გააწყეს რა, დაანებეს
ერთმანეთს თავი და დაუშინეს ხალხს... შეიქნა სახრის ტრიალი,
მუშტის ტყაპა-ტყუპი, ქალების წივილ-კივილი. წითლათ გადმოჭყლდით
ვაჟ-კაცებს სისხლი... ბოლოს დააშოშმანდნენ და იაკოფი გამოვიდა
წინ: — აი თქვენი გამჩენის ჭირიმე, ხალხო, წელს ნუნუა ძრიელ ჭკიპრის,
რო ჭულურჭამდით, მე კი არ ვიცოდი გაომებდათ. არა, შვილო, ისევ
ვენაცვალე ქალებს, არც ჩხუბი იციან და არც არაფერი. ისევ მაგათ
ილხინონ, ჩვენ ვუყუროთ, თორემ ვიოისბაზებთ...

— ვერ მოგართვი, იაკოფ, გაიხუმრა მეორე გლეხმა: აქ არა ჩხუ-
ბობენ ქალები თორემ, შინ უყურე! ჩემმა დედა-კაცმა, კარგია უნალოა,
თორემ ძრიელ წიხლები იცის"... ასე, გლეხები ისევ შარიგდნენ, ქა-
ლების თამაშობას ყური უგდეს; იმათ ეშხმა კიდევ ბევრი გლეხი
აალელვა და ბევრი კილოიანი სიტყვა დაჭმადა ბოლოს ხალხი შინის-
კენ დაბრუნდა. ჩვენი გიგიაც ის იყო თავის სახლში შევიდა და გაბ-
რუებული კერაზედ ჩამოჯდა. მერე მოაგონდა ჯამფილით თხლის შე-
ჭამადი, რომელიც დილითვე დედას გაეკეთებინა და კერას უკან დაედ-
გმევინა, რადგან იცოდა ჩასახურევი ჩამოვალ და დავხვრეტო. მაგრამ
კიდევ შელას ფიქრში წავიდა და ამ დროს უცებ სახლში მათი ჭრე-
ლი ძაღლი წმუკუნით შემოვარდა და შიგ თხლის ჯამფილაში კი წყე-
რია. თურმე ხუ იტყვი მამასახლის ზაქარა გზირი გიგიას მეზობელ-
თან ნარზევის გამოსატენით გამოეგზავნა; მთელ სოფლის ძაღლებს

ზაქარასი ასე ეშინოდათ, რადგან დღეში სამჯერ მაინც მოივლიდა სოფელს დიდი ჯოხით. რომ დაინახვიდნენ უმალვე ძაღლები სახლში წმუკუნით დაკუთებულები გარბოდნენ ასე დაემართა გიგიას ჭრელ ძაღლსაც გზირის სუსხით და ჩავარდა თხლეში. „ცუდი არ არის ეს ამბავი, ამბობდა გიგია, უთუოდ ჩვენ ჭონოპარტეს პელაზედ დავინიშნებით. პელასაც არ დაეძინა იმ ღამეს, სულ გიგია და მისი ჩქმეტა ეზმანებოდა საბრალოს......

III

სადაც ცხვრები არიან, იქ მპარსავებიც უთუოთ უნდა იყვნენ; სადაც ღარიბები არიან, იქ უთუოთ იმათი გულ-შემატკივარი მოკეთეებიც მოიპოვებიან — ასეა ამ წყეულ წუთი-სოფლის ანგარიში და რას იზამ?... ს. პ — შიაც წვრილ-ფეხობა ხომ ბლომა იყო, მაგრამ მოკეთეები უფრო თვალში გეცხირებოდნენ, ანუ ჩვენებურათ „კამში გვიცვივოდნენ“. თუმც ნაკლები იყვნენ რიცხვით და თუმცა ბევრჯელ ყვავების გროვა დაამარცხებს ხოლმე რომელიმე ძლიერ მტაცებელს, ანუ ძაღლების დასი, რომელიმე ნადირს, მაგრამ თვითვეულათ ეს მოკეთეები ჭრეოდნენ მთელს გლეხებს — იმიტომ, ჩემო მკითხველო, ჩვენი სოფელ პ — ის ხორციელი და სულიერი ძალები რომ გაიცნო, უთუოდ აქაურ მოკეთეების ზნე და ძალა უნდა შეისწავლო!!...

აი გათენდა უქმე დღე, გლეხებმა გამოიღვიძეს და თავიანთ საბრალო ქოხებიდგან გამოვიდნენ; ზოგი ჩიხუხის ზოლვით, ზოგი ტყავ მოსხმული და ზოგი გლეხურ ჩემოზედ მოპრანჭული მიეშურებიან... რაო, საყდრისკენ?! — თქვენ არ მომიკვდეთ — დუქნისკენ! სულის საქმეზედ ხორციელ საქმეს უფრო მისდევენ ჩვენი გლეხები, ან კი რა ქნან, როდესაც კარგა ჰხედავენ, რომ თვით მათი მამა ლუკა და მაკლვდელაც ჯიბის და გაუმაძღარ კუჭის საქმეს ყველასა რჩეობენ, — და მოგეხსენებათ, „როგორიც მღვდელიო, ისეთი ერიო“... ამ ჩვენის გლეხების საზრო დუქნები გახლდათ და უქმის სისხამ დილიდგან ყველა იქ იკრიფებოდა: მღვდლები, „სუდიებიო“, მამასახლისი და მოკე-

თუეში ხომ... ყორანი ლეშს მოსძებნისო... მაშინ, რომ შენ, ჩემო მკითხველო, ს. პ—ს განაპირებიდგან ყური დაგეგდო, რომელიმე დუქნის კარებიდგან უთუოთ მაღალ ამპარტავნულ ყროყინს გაიგონებ-დი—ხამდვილად, უიმისოდ ვერ გადურჩებოდით, თქვენმა მზემ! თუმც შესაძლები კი იქმნებოდა რომ სხვისაც გაგეგონათ, მაგრამ ჩვენის ნაცნობის და გლეხების მოგვეთე აზნაურ გიგოს ყროყინს კი მაშინვე იცნობდით. „რატომ არ მაძლევ, შვილო, სიკეთის მაგიერია; შენ მი-ნამ არ მაჩვენებ, ხომ არ იქნება.—დროებას რა უთხრა, თორემ ახ-ლანდელ კაცს ხელი უნდა მოუმართოს კაცმა,“ უყვიროდა ხოლმე რომელსამე შიშით ფერ-მიხდილ გლეხს.

— გაუმართო—შენი ოჯახის დაქცევამ—ნაღდს და ღვთისნიერად ყი აძლევ, ორ მანეთში მავის ცოლ-შვილიც კი შენა გრჩება და, წაი-დუდუნებდნენ ხოლმე გლეხები და ამოიოხრებდნენ...

ასე, გიგომ კიდევ ბევრი მოვალე გლეხი შეტუქსა, მერე მოკ-რიბა და სოფლის მოსამართლეებთან მირეკა. იმათ მაშინვე გზირებს დაავალეს, რომ ხვალვე გიგოს ბრძანება შეესრულებინათ დარბევით.

—„აი თქვე სვინდის-გაწყვეტილებო, ეუბნებოდნენ მოპირდაპირებს მსაჯულები: „ეს კაცობაა, რომ ამდროულა პატიოსან კაცს, სიკეთის მაგიერ საჩივარზედ ატარებთ“!...

— თქვენ მაგისთან სადილად გიჩქარდებათ, იქ წაბძანდით, ჩვენ თავში ქვას ვიხლით და მივცემთ, სამართალი მაგათთვის არის: შარ-შანდელ ერთ კოდ პურში თხუთმეტი მანეთი უნდა მივცეთ, ღმერ-თია, სამართალია და ან შეერგება!... წყევა-კრულვით ამბობდნენ მოპა-სუხენი..

არც მომრიგებელ-მოსამართლესთან უხდებოდა გიგოს საქმე: უბ-რალო საქმეზედ მატანტალასავით დატანტალებდა ის სასამართლოებ-ში და თუმცა ღმერთს მისთვის ნიჭი მოხერხებულის ლაპარაკისა არ მიეცა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, უქმ მომრიგებელ-მოსამართლეს-თან მჭევრ-მეტყველობა, იმიტომ იქაც გიგო, თუმც სულ მტყუანი იყო ხოლმე, მაინც საქმეს იგებდა და ტყავს აძრობდა საწყალ და

მკრთალ გლეხებს — თითონ გიგო დაბალ-დაბალი ჩასუქებული გახ-ლდათ, შავი მარბენელა და ღრმათ ჩასხმული თვალები სალახანურ სა-ხეს აძლევდნენ მის ცატისაებრ მრგვალ პირი-სახეს; ბრიყვი, მყვირა-ლა, ტრაბახა, ამპარტავანი, სხვისა სიტყვის არ მომსმენი და თვითონ სისულელის მოლაპარაკე — მოწიწებაჲ მარხულობაჲ, ეკლესიაში სამას-ხაროდ გულზე ცემა — მისი გარეგანი ქერქი იყო, მაგრამ მოძმეების ყვლეფა-გლეჯა მისის სახარების ფურცლები გახლდათ. ფული იყო მისი ჩასუქებული გვამის სული და მათ მოპოებისთვის საკუთარ მა-მასაც კი გააძრობდა შალვარს. ბევრ ქალს დაჭყენებია შავი დღე ქრმის-გან ამ მხეცის წყალობით და ბევრს გლეხსაც დაუმალავს ამისგან რა-ვისი კეკლუცი ცოლი, მაგრამ ამის უსირცხვილობას კი ვერ გადურ-ჩენია...

სულ სხვა ჯურისა იყო პ—ების მეორე მოკეთე — ერთათ-ერთი სომეხი — კარაპეტა. მამის სიკვდილის შემდეგ იმას დარჩა გლეხების ჯიბის საქაჯავი დუქანი, თავრიელებით, ათი დუჟინი სპიჩკით, ქონის სანთლით, საპნით და არყით, სავსე, ქვეყნის ცოდვით გაქონილი დი-დი „პორტმანი", სუფთა სახლი და დაჯღაბნილი დავთარი. მისი მამა ქალაქიდან გადასახლებულიყო სოფ. პ—ში და რო მოსწონებოდა გლეხების ყვლეფა, იქ დასახლებულიყო, მთელის სოფლის ნათლიობაც ხელ-გაუქნევლად დაჭრჩა მამისგან კარაპეტას. ღვიძლ დედასავით ჩეეკ-რა ჩვენი კარაპეტა ამ დაჯღაბნილ და გაუგებარ დავთარს, ჩალე გაი-გო ყველაფერი რაც შიგ ეწერა — თავისი დიდი შვილი შესვა ერთ ჯაგლაგ ცხენზედ და პატარებს ჯირები შეუგმაზა და დავთრის ძალით ართმევდა გლეხებს პურს, ღვინოს, კვერცხს, ყველს, ლობიოს და სხვა. ასე კარაპეტას მამისაგან გაჩილიკებული გზა დაუხვდა, სატანჯავი არა ჰქონდა რა, დილა-ადრიან ადგებოდა, შვილებს ჯირებით და ცხენით სოფელში გაისტუმრებდა და თითონ გაჭსახლამდა ერთ სახელს თავის ძველის პალტოსსა, დაიჭერდა კრიალოსანს და თავზე გაქონილ შლაპ-კით და ქოშებით — ღიპ გადმოგდებული მიგოგავდა დუქნისკენ, რო-მელიც მის მოხერხებულ მამას გზის პირას აშენებინა... იქ ჩამოჯ-

დებოდა ხოლმე კარაპეტა სკამზედ და გამვლელ-გამომვლელ გლეხებს ემასლაათებოდა და იმ მასლაათობაში ცდილობდა თავის ნათლიას და სხვა გლეხების დაჩრუტნული ჯიბეებიდგან ოფლით ნაშოვნი გროშები ამოეცალა... გამვლელ-გამომვლელი გლეხები უთუოდ დაუძახებდნენ: „კარაპეტას გაუმარჯოს“ და მერე მოვიდოდნენ და ლაპარაკს დაუწყებდნენ, — მისი ლაპარაკი ძალიან უყვარდათ, რადგან მოქნილის ენის პატრონი იყო და ხომ იცით „მელას თავის მახრჩობელა უყვარდა“.

— რაო ნათლი-მამ, ნათლი-დედავ, ხომ კარგა იქმს? ჰკითხავდა ხოლმე რომელსამე გლეხს კარაპეტა და სხვები თუ გაიცინებდნენ, ის კი უმატებდა: კა, სომხის ენამ ბორძიკია.

— ლოგინზედ წევს ნათლია, კაცი ჭკავს — ეტყოდა ხოლმე და გლეხი.

— ლოგინზედ... მადლობაა ღმერთს, ეხლა შოვლის მეტი არა უშავს რა. ნათლი-მამ აი დუქნიდან რაც გინდამ წაიღე; თუ ფული არა გაქვს გაზაფხულზე მიხან, ან პური, ან ღვინო მამე — ნათლობისთვისაც აქედამ წაიღე, კაი ნათლობა კი გაჩრჩლე ჰი, იჯახიშვილი ხარ, სირცხვილია, ამაში ან სახნავი მიწა მამე, ან სხვა რამე, მე ყველას დაგჯერდები — ჩემი ხარ... ეუბნებოდა ხოლმე კარაპეტა.

გლეხიც ეტყოდა: გმადლობ ნათლია, შიროხს ნუ დამიჭერ, კიდევ შენ მომინათლე, ნათლობა რა დამემართება რომ არ გავაჩალო და ვალის გადახდასაც, ღვთის მადლით, შევიძლებ...

მერე სხვა გლეხებს მიუბრუნდებოდა ხოლმე კარაპეტა და მხიარულად დაუწყებდა: მე და ჩემმა სულმა, თქვენი სიკეთემ მანდა, გიგოსავით არაში არ შავიტან სახლში, იმასავით სულში არავის ვატანტალებ, ხომ თქვენ იითონ ხედამთ, და ტუუილად არავის არამ წავართმევ; ფული ვისაც უნდა, შეიდოომ, წაიღეთ ისემ მიყრია, როცამ გინდათ მოიტანეთ გინდ ღვინით, გინდ პურით, გინდ ვენახი, ან სახნავი მიწა დამაგირავეთ და გიგოს ხელში კი ნუ სცვივით, ტყავი გაგაძრობთ, მე და ჩემმა სულმა, და მე ხომ მიცნობთ, არამი არა ვჭამ.

— შენი თავი გვიცოცხლოს, ეუბნებოდნენ გლეხები: ეგ ყველა ვიცით, — იმის ხელში ღმერთმა ჩვენი მტერიც ნუ ჩააგდოს — სად შენა და სად ის...

ასეთი რბილი ქცევით გახლდათ კარაპეტა და ამაობით ძრიელაც იქოდა, მთელი სოფლის ვენახები და სახნავი მიწები მისი გირაო იყო, ყველას ემართა მისი ფული და ყველას კაი კაცადაც მიაჩნდა, თუმცა ასე უსინდისოთ სცარცვავდა ყველას.

გლეხის პეტრეს ბედიც და სიმდიდრის წყაროც დუქანი იყო, სადაც ათი სპიჩკა, სამი ნაჭერი საპონი, ორი ნატეხი მარილი, სამი გრაფინკა არაყი, ქონის სანთელი და თავრიელები იყვნენ გლეხების მზეში გასაბმელათ და როგორც თაგვს დამწვარი ნიგოზი იტყუებს მახეში, ისე ეს ნივთები იტყუებდნენ გლეხებს პეტრეს მახეში. ამ დუქნის წყალობით იმან სუფთა სახლი დაიდგა, ვენახებს ამ დუქნის ნისიებში აკეთებინებდა გლეხებს, გირაო ვენახებიც ამ დუქნის წყალობით ჰქონდა; ყველი, პური, კვერცხი, ღომი, ქათამიც ესენიც ოხრათ მიდიოდნენ ამ დუქანში. მსუქან გლეხ პეტრეს გროშებიც კარგა ეწყობოდნენ; ამ გროშებს ის მამასისხლა სარგებლით ასესხებდა. ხშირათ ხარჯის გადასახადათ თითონ მისი სახელით ხალხივე ისესხებდა ხოლმე და თუმანში თვეში ორ აბაზ სარგებელს აძლევდნენ. ასე ამ ჩვენი გლეხების ჯიბე ამ სამი თავიანთ მოკეთის საქაჯავებ ქვეშ იქაჯებოდა ხოლმე და მთელი წლის ნაშრომი გაუფუჭებლად ამ სამსა ჰრჩებოდა. გლეხებს ეს კარგად არ ესმოდათ და მოკეთეებათ მიაჩნდათ ესენი, თუმც გიგოს, კი როგორც პირ-და-პირ მეველეფავს, უფრო ბევრი ჰსცნობდა. ეს ყველაფერი ყველაზედ კარგა ახალ-გაზრდა გლეხს — ილიკოს ესმოდა, იმიტომ ამ სამს, მეტადრე გიგოს, ძრიელ ეჯავრებოდათ. გიგო ხშირად ეტყოდა ხოლმე ილიკოს: „შენთვის იყავ, თორემ მალე წაიხდენო", მაგრამ ილია არ ემორჩილებოდა და ხალხს პირ-და-პირ იმათ ყველაფერს უმჟღავნებდა.

...ი, გლეხები დუქან-წინ შეკრებილან, ილიაც იქ ზის. უცებ გიგომ ამოიარა, უკან ღრეჯით მოსდევდა ქარტიანით პაპა. გიგომ ცი-

კი უარი უყო და პაპამ ტრეჯით ხალხთან მოვიდა. ილიამ შეჰხედა საცოდავ პაპას, რომელიც დაგლეჯილ ჩოხა-ქალამნით მორთული თავჩაღუნული მშიშარა და საბრალო თვალებით ძირს იყურებოდა. რაო პაპავო, ჰკითხეს გლეხებმა, გიგოს არ უშვებიო, უგანა ჩემის ცოცხალის თავით მაგას მოვშორდები, თქვა დაცინვით პაპამ. ეხლა ერთი კოდი პური ვესესხე და აღარ მომცა, რატომ იმ დღეს სამუშაოთ არ წამომყევიო, ოცი დღე კიდევ გმართებს ჩემიო. მაგ ოჯახ დასაქცევს, შებრალება არა აქვს კაცისა! იმ დღეს აბა ამ იანვარში, ამიტყდა ქვევრში ჩავჯექ, გარეცხეო და ბევრს გამოგიბრიო. ჩავჯექი ყინულ-წყალში, კბილსა-კბილზე მაკაკუნებინებდა მთელი დღე; დილით ერთი არაყი დამალევინა. ის იყო და ის, სულ ვრეცხე. საღამოთი ერთი პური მამცა და შინ წაველი, გავხდი ავათ და გუშინდღამდე ისე ვეგდე, ნეტა მოვმკვდარვიყავ მაინც და მოვშორებოდი ამ შავ დღეობას... აი გუშინ ბიჭი გამოუგზავნა ჩემი წისქვილის არხი ყინულისაგან დაგუბდა და უნდა გაურღვოთ — მიშველეო; აბა იქ რომ ჩავსულვიყავ, ხო მოვკვდებოდი და ჩემ ცოლ-შვილს ის მოუვლის? იმაზე გაწყრა და ქვევრის რეცხაში აბაზს მიბრის, შენ დღეში აბაზათ მყევხარ შარიგებულიო და აღარც პური მასესხა. არ ვიცი ეხლა რა ვქნა — ჩემი ვენახი მაგას აქვს გირაოთ და მეც ყოველ დღე მაგას ვშველი, მკათათვეშიაც კი ექვს შაურათ, თუმც სხვაგან მანეთია მუშა. მოდი და იცხოვრე — წინა დღით რო მიგაქსო, მეუბნებ..."

ილიკოს ბრაზი მოსდიოდა, როცა ამ ლაპარაკს ისმენდა, ბევრს სხვასაც გული შასტკიოდა პაპაზედაც და თავის-თავზედაც. გათავდა თუ არა პაპას ლაპარაკი, ილიკომ გლეხურად ღრმათ დაიწყო ლაპარაკი:

— ჰე, შვილო, ე ცხვრის პარსვა ხომ გინახავთ? დაამწყვდევენ ცხვრებს შამოღობილ ბაკში და მერე შევლენ მპარსავები დასაჭერათ... ცხვრები სულ მირბიან კუნჭულში, და მპარსველი რო მიუახლოვდება, ისინი მარტო ფეხებს აბაკუნებენ. კაციც სტაცებს რომელსამე ხელს და გამოათრევს, მერე რა კი წააქცევს და პარსვას დაუწყებს,

თუმც ფეხ-გაკრული არ არის, მაინც აღარ ინძრევა, მარტო ხვნეშის საწყალი, დიდის მწუხარების მგრძნობი; გაპარსამენ და რო გაუშვებენ გახუზული მირბის, მითომ აქ არა ფერი ამბავიაო... ასე დაპარსეს მთელი ფარა. დარჩა ცოტალა. მაშინ მპარსავი დასაჭერათ რომ შევა, განა მირბიან, არა ის ტიალები თითონვე მისცვივიან მპარსველს დამიჭირეო...

ჩვენც სულ წმიდად ცხვრები ვართ; ვიცით რომ გიგოც და სხვებიც ცხვრებსავითა გვპარსავენ, სულ გვინდა გავექცეთ, მაგრამ იქავე ფეხებს ვაბაკუნებთ. როცა გვიჭერენ გასაპარსავად ჯერ კი ფეხებს ვიქნევთ და როცა გვპარსავენ ცხვარივით ჩუმადა ვართ, ყურს ვუგდებთ; რო გაგვპარსვენ, მერე ფეხებზედ გვკიდია, პარსვაზედ აღარც კი ვფიქრობთ. ასე დღეს პაპასა ჭპარსვენ, ხვალ სხვას გაჭპარსვენ და მერე ვინც დავრჩებით თვითონვე მივალთ ცხვრებივით გასაპარსავად. ეს ოხერი, ცხვრებიდამ ყოჩები მაინც დაეხსნეთ......

შაქრო.

# ოცნება.

ზაფხულის ღამეს ვიწექ გულ-დაღმა და შევჰყურებდი ჩემზედ შეკრულსა
ცისა კამარას უღრუბლ-უმთვაროს, ვარსკვლავებითა აჭრელებულსა;
არც მფრინველთ შტვენა, არცა ბუზის ხმა ჩემსა გარშემო არ მოისმოდა,
და მიძინებულს მშვენიერს ღამეს ნიავიცა კი ძილს არ უფთხობდა.

ვფიქრობდი, ნუ თუ ვინცა შექმნა ცა და ქვეყანა —
შექმნა ჩვენთვისა უთვალავნი ესე ვარსკვლავნი?
ნუ თუ იმისთვის მზე და მთვარე ქვეყნათ მოჰფინა,
რომ მხოლოდ სულდგმულთ ქვეყნიერთა დაგვეტკბოს თვალნი?
ნუ თუ ბუნების სუფრა ჩვენ, კაცთ, გვიშლია წინა
და სანთელთ წილათ გვინათობენ ცის მნათობთ ალნი?
და შემოქმედმა ნუ თუ მხოლოდ ჩვენ მოგვიჩინა,
ჩვენ, მიწიერთა, დედა-მიწის და ზეცის ძალნი?!

არა, არ მჯერა, რომ ესე იყოს ქვეყნიერების განწყობილება.
ეს არის მხოლოთ ამაყი აზრი, ბუნებისადმი ცილის წამება:
დედა-მიწაა ერთი ვარსკვლავი ცისა სიღრმეში გადაკარგული,
ვინ მისცა ამას დანიშნულება სხვა ვარსკვლავთ შორის განსხვავებული?!
მე მჯერა, რომა ერთის გვარს მიზეზზედ ქვეყნის ბრუნვაა დამყარებული,
რომ ციურთ სხეულთ მრავალთ იგივე დასაწყისი აქვთ და დასასრული,
რომ ზოგს მათგანზედ თუმც ჯერეთ კიდევ სულდგმულთ ცხოვრება არ დაუწყვიათ,
მაგრამ კი ბევრთ სხვათ მნათობთ სიცოცხლე განგებისაგან წილათხდომიათ.

მჯერა, რომ ზოგნი სხვებზედ მეტათ მოელვარენი
დედა-მიწისა წარსულს ხატსა წარმოგვიდგენენ,
ჯერ არცა მწერნი, არც ყვავილნი, არც მცენარენი
იქაურთ ველთა არ ამკობენ, არ აჭრელებენ.
მაგრამ რას ვამბობ! იქ რა უნდა ან ველს, ან ტყესა!
ბუნების ძალნი არ არიან ჯერ იქ დამცხრალნი,
იქ გაურჩევლად ერევიან ჯერ ერთმანერთს
ცეცხლისა ალნი, წყლისა ორთქლნი, ქართა ქროლვანი.

მათზედ ყოველნი მიწის კავშირნი მსუბუქს ჰაერათ გადაქცეულან:
რკინა და მიწა, ქვა და შულდგმული იქ სიცხის ბუღში ვერ გარჩეულან.
მჯერა, არიან ეს ვარსკვლავნი ცეცხლით მოცულნი მიწის სახენი,
უზომ-უძირო, დაუსრულებელს, ცივს სივრცეში მოცურავენი.

ვინ იცის კიდევ ჯერეთ ძალნი რამდენთ მათგანთა
ცხოველ-მცენარეთ სიცოცხლეთა აგვირგვინებენ,
მხოლოდ ცეცხლის მთათ აღმოხეთქა და ძვრა მიწათა
უწინდელის დროს მოძრაობას მოასწავებენ.

ვინ იცის კიდევ რამდენს მათგანზედ ნოე აშენებს თვის კიდობანსა;
რამდენზედ ქრისტე ჩაგრულთა შორის ჰქადაგებს წმინდა სახარებასა;
იქნება ზოგზედ ჩინგის-ყეინი ქრისტიანთ ქვეყნებს მტვერს ადინებდეს,
ანუ რუსთველი ვეფხვის-ტყაოსანს თამარ-დედოფლის წინ კითხულობ-
დეს?

იქნება იყოს იმისთანა ვარსკვლავი ცაზედ,
რომლისა ბედი ამ მიწის ბედს არ ერჩევოდეს;
იქნება ეხლა ჩემებრ კაცი სცხოვრობდეს მაზედ
და რასაც ვფიქრობ ეხლა, ისიც იმას ჰფიქრობდეს!

მაშინ იმის თვალს წარმოუდგება ცისა კამარა სხივ-მოფენილი,
ცისა კამარა უღრუბლ-უმთვარო, ვარსკვლავებითა აჭრელებული;
იქნება ქვეყნის მანათობელი მზე იმის თვალში მკრთალათ ბჟუტავდეს
და დედა-მიწა უშველებელი თვით ვარსკვლავათაც კი არა სჩანდეს.

მჯერა, არიან ზოგიერთნი სხეულნი ცისა,
რომელნიც უქმათ, უსულოთა მიმოძრაობენ
ყოველი კვალი გაჰქრობიათ მათ სიცოცხლისა;
მათზედა ძალნი ბუნებისა არარაობენ.
მნათობთა შუქნი უდაბურთ ველთ არ დასცქერიან;
უდაბურება და მწყვდიადი რომ გაანათონ
და მოზუზუნე ქარიშხალნიც იქ არა ჰქრიან,
რომ ვაება სიკვდილისა მათზედ მოჰქვითინონ
მჯერა მე კიდევ, რომ ურიცხვთა ვარსკვლავთა შორის
არის ვარსკვლავი, რომელსაცა ჰხდომია ხვედრათ
იმის ახდენა, რაც ჩვენთვის ჯერ სიზმარი არის,
რაიც მრავალთა მიაჩნიათ შეუსრულებლათ:
იქა მტარვალთა მბრძანებელთა ხმა შეწყვეტილა,
იქ აღარ არის უსწორობა, შური და მტრობა,
იქ ათი მცნება ერთს მცნებათა გადაქცეულა.
ეს მცნება არის: „საუკუნოთ ყოველთა ძმობა.“

მ...

1878 წ.

* * *

ოც-და-ერთის წლის ბიჭი ვარ, წვერ-ულვაშ ახლათ აშლილი,
მკლავ-მარჯვე, მხარ-ბეჭ ჩასხმული, მარმარილოებ გათლილი;
ჩემს ტოლს ბიჭებში ვერავინ ვერა მჯობს თვალათ-ტანათა;
ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედა-მიწა ქალამნათა.

ჩოხის კალთას ლოთიანათ რომ გადავიგდებ მხარზედა,
„მადლი შენს გამზრდელს მუმუსა" ბუტბუტებენ ზედი-ზედა;
გოგოებს წინ რომ ჩავუვლი, თავს ვახრევინებ მორცხვათა;
ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედა-მიწა ქალამნათა.

ჩრდილის ქვეშ ლხინში ბიჭს ვეტყვი, ვინც კი მაჯობებს სმაშია,
ვინც „ლოთებოს" უკეთ იტყვის, მომპარსოს ეს ულვაშია;
სიფიცხეც მაშინ მინახეთ, ცხენს რომ ვახტები მარდათა;
ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედა-მიწა ქალამნათა.

ტყეში ხეს ცულს რომ შემოვკრავ, ნპერწკლებს გავაყრევინებ;
ზვარში მიწას ბარს რომ დავკრავ, მტვრის ბუქსა ავადენინებ;
გოგოს რომ ჩავეხუტები, . . . . . . . . . . . .
ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედა-მიწა ქალამნათა.

ძმებთან მიყვარს მე ქეიფი, შექცევით დროს გატარება,
მაგრამ თუ ძმობას სჭირია, არც სიკვდილი მეზარება;
ერთის დღესა დავბადებულვარ, ერთივ მაქვს ბედის წერათა;
ცა ქუდათ არ მიმაჩნია, დედა-მიწა ქალამნათა.

მ.

1878 წ.

# წერილი კახეთიდამ

(კორრესპონდენცია „ივერიისა“)

სოფ. ყვარელი ეკუთნის თელავის მაზრას და მდებარეობს უმთავრესის კავკასიის მთების ერთს კუთხეში ორის მდინარის შუა: დურუჯისა, რომელიც ჩამოუდის დასავლეთით და ბურსისა — აღმოსავლეთით. ვის არ სმენია ქება ყვარლისა და მის მამულებისა, რომლებითაც ეს სოფელი აგრე მდიდარია! საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ვენახების რიცხვით კახეთს პირველი ადგილი უჭირავს ყველა საქართველოს ნაწილებში. რაც შეეხება მთა-ტყე-მინდორს, არც ამით ჩამორჩება კახეთი სხვა საქართველოს ნაწილებსა. ჩემის მხრით მე ვიტყვი, რომ კახეთში მამულებით — (ვენახებით) ყვარელს არც ერთი კახეთის სოფელი არ შეედრება: ვენახები აქ ისე გამრავლებულია, რომ რაც უნდა ღარიბი იყოს, ყვარელ კაცს ორი-სამი დღიური ვენახი მაინც ექნება; მომეტებულს ნაწილს მცხოვრებლებისას კი 10-12 დღიური ვენახი მაინცა აქვთ. ყვარელში ისეთნი გლეხებიც მოიპოვებიან, რომელთაც 30—40 დღიურის ვენახები ჰქონდეთ. ერთის სიტყვით, რაც ყვარელში ვენახებია, 5—7 სხვა კახეთის გამოღმა მხრის სოფლებს არ ექნებათ... ღვინო?! ვის არ სმენია, თუ არ სმევია, ყვარული ღვინო! აქაური ღვინო კახურ ღვინოებში უკეთესთაგანია; ასე რომ გლეხის კარგი ღვინო ურემი 50—60 თუმნამდის ისყიდება, თავადების ხომ უფრო ძვირადაც. თუ სხვა სარჩო-საბადებელს ავიღებთ: პურსა, ფეტვსა, სიმინდსა, ქერსა — ყველა ესენი კარგად ხეირობენ ყვარლის მინდვრებში. საქონელიც: კამეჩი, ძროხა, ცხვარი, ღორი და სხვები, რომლებიც ზაფხულში ყვარლის და შილდის იალაღებზედ მიუდით, ყველა ესენი მეთქი საკმაოდ ჰყავთ. წყალიც უხვადა აქვთ; ასე რომ

სოფელზე ორპირად მომდინარეობს დურუჯის ხევი, რომელიც თითქმის 60 წისქვილს აბრუნებს შიგ სოფელშივე. თვით ყვარლის შენობებიც ამტკიცებენ, რომ ყვარელში შეძლებული უნდა იყოს ხალხი. სამი მეოთხედი ყვარლის შენობებისა ქვით-კირით არის ნაშენნი, კრამიტით დახურულნი და ქვით-კირის გალავანით შემოზღუდულნი. ყვარული სახლი წარმოადგენს ერთს უფანჯრო დიდს დარბაზსა, რომელიცა სდგას გომურზე. სახლის მორთულობას შეადგენენ: ორსავე მხარეს დიდი ტახტები; ტახტების ბოლოს სკივრები, კიდობნები, ფუთები და სხვა ამ გვარები. კედლებზედ ჩხების ჩამოკიდებული, რომლებზედაც ჩამოკიდებულნი არიან: ტანისამოსი, იარაღი, ჯამბარა, ჭაპანი და სხვა ამ გვარი. სახლის თავში „თაროა" გამართული სამ-ოთხ სართულად გაყოფილი, რომელზედაც აწყვია ჭურჭელი და სახლის ავეჯულობა. შუა სახლში „დედა-ბოძია", რომლის წინ ანთია უშვლებელი ცეცხლი. სახლის გვერდით არის წამოჭიმული მარანი ქვით-კირისაგან და კრამიტით დახურული, რომელშიაც 20—30 ურმის ქვევრებია ჩადგმული და საწნახელი ან ნავი ყურძნის დასაწურად. მეტად მშვენიერი სამყოფია ზაფხულში ყვარული მარანი, რადგანაც მეტად გრილია. ეზოში სდგანან: სასიმინდე, საზამთრო ბეღელი ([illegible]), გვერდით არის ბაღჩა სხვა და სხვა ხეხილებისა სავსე. აი ეს შეადგენს ყვარულის გლეხის კარმიდამოსა. ეს შენობები თვისის გალავანით აშენებულან იმ დროს, როდესაც ყვარული ხალხი მართლა რომ მდიდარი ყოფილა. აგრეთვე სახლ-კარის გამართვა ღირს არა ნაკლებ ორას-სამასის თუმნისა. გარეგანი აღწერა ყვარულის ხალხის სიმდიდრისა უნებურად ათქმევინებს მკითხველს: „ყვარული ხალხი, შენმა მზემ, რომ მდიდარი ყოფილა!" აბა ახლა, მკითხველო, ყვარლის გლეხის შინაგანი ყოფა-ცხოვრება გასინჯე, გამოიკვლიე! რას დაინახავთ?! ჩვენდა საუბედუროდ გაი-ვაგლახის და სიღარიბის მეტს არაფერს! უწინდელი ყვარლის მცხოვრებლების მნახველი, რომ ყვარელში შევიდეს, ველარ ნახავს მათ: მნახველს ეგონება ყვარლელების მაგივრად სხვანი გადმოსახლებულანო. ყვარლის გლეხი ამჟამად დაფუქრებული და გულ-ხელ დაკრეფილია. ყვარული გლეხი თუ უწინ მამაცი და გულადი იყო, ამ 15—20 წლის განმავლობაში [illegible] მოთხარა მხდალი, შეიქმნა ასე რომ პირის-პირ ვერც კი უყუ-

რებს უცხო კაცსა. აღარც უწინდელი სიპატიოსნე და ერთ-გულობა ქვარელთა შორის. დიდი ნივთეულობაც გამოსცლიათ ხელიდგან; ასე, რომ დიდს სიღარიბეში იმყოფებიან და ზნეობითაც დამხობილნი არიან. თავი და თავი მიზეზი ყველა ზემოხსენებულისა არის ვალი, რომელიც ყვარლის უმეტესს მცხოვრებლებს კისერზედ აწევსთ, როგორც ერთი ძრიელ მძიმე ტვირთი. მკითხველს გაუკვირდება, რომ ამოდენის მამულისა და სულადის მქონნი ვალში ჩაცვივნულან; მაგრამ დავაკვირდეთ და გავიგებთ რაშიაც არის საქმე.

ყვარლის ვენახები ორგვარნი არიან: „შემუშავებული ვენახები“ და „ხელ აღებული“. უკანასკნელის გუნდის ვენახებში რომ ჩაიაროთ გული მოგიკვდებათ: დაინახავთ შეუსარავს, გაუსხლავს და შეუყელავს კაზებსა! ამ გვარ ვენახებში კაზები ზოგი დამტვრეულია, ზოგი გამხმარი მოუვლელობისა გამო და ზოგს კი პატრონივით ჩამოუკიდნია შავი თავი თითქოს გლოვობენ თავის პატრონების ვალიანობასაო. ამ გვარის ვენახების მნახველს გულ-ჩვილ კაცს გული ამოუჯდება და უნებურად მწარედ იტყვის: „ნეტავი იმ დროს, როდესაც კაზებს ხვინ-ჭასავით მტევნები ესხა და ყვითელ ქარვასავით ღვივოდა კაზებზედ ყურძენი“! გავიაროთ ახლა „შემუშავებულ“ ვენახებისკენ: თუმცა პატრონს ბევრი ოფლი ჩაუღვრია აქა, მაგრამ ვერც აქ ნახავთ სიკეთესა; საცოდავათ გაშავებულან მტევნები ნაცრისაგან, რომელმაც დაამხო ყვარელი ხალხი. ის ვენახი, რომელიც აძლევდა პატრონს 10—15 ურემს ღვინოსა, ახლა აძლევს 4—5-ს ურემს ყურძენსა (ისიც იშვიათად), რომელიც თითქმის სრულიად გაშავებულია ნაცრისაგან. ერთმა შეძლებულმა ყვარელმა გლეხმა მითხრა, რომ ერთს ჩემს ვენახში, რომლისგანაც ვრჩებოდი უწინ 10—15 ურემს ღვინოსა, წელს (1877-ში) მხოლოდ თერთმეტი გოდორი ყურძენი მოვკრიფეო!... ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს, თუ რამდენად უკლია ყურძნის მოსავალს ყვარელში, როგორ ახდენს ნაცარი ყვარლის ვენახებსა. ამ გვარი ყურძნის მოუსვლელობა ყვარელში (ვგონებ მთელს საქართველოშიაც) ეს 20-25 წელიწადია რაც არსებობს; მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არსად არ ხმება ვენახები ისე, როგორც ყვარელში, უმეტესად მე დურუ-

ჯის მხარე. რადგანაც უვარელებს ბევრი ღვინო მოსდიოდათ, ბევრსა ჰყიდდნენ და შეძლებულნიც იყვნენ. როგორც იცით, ჩვენის ვაჭრების სურვილი ის არის, რომ სხვის ხარჯზე თვითონ კი გასუქდნენ და გამდიდრდნენ, თორემ „თუნდ ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო". უვარელების, როგორც მსუქანის ლუკმისა, ხელში ჩაგდება მოინდომეს ვაჭრებმა და ჩვენდა საუბედუროდ, კიდევაც აღასრულეს თავისი აზრი და ხალხი „კახეთის თვალისა" — როგორც უწოდებს უვარელს ჩვენი პოეტი, — თფილისელმა და სიღნაღელმა ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში; დაიწყეს ვაჭრობა უვარელში, თან და თან შეიჩვიეს და გააბეს თავის მახეში უვარლის ხალხი, რომელიც ღვინის მოსავლით გაქეჩებული, ისე ხელგაშლილად და იეფად აძლევდა ვაჭრებს ღვინოსა, რომ თითქმის მესამედს ფასსაც არ ართმევდა. ამოღების დროს ერთი საპალნე (30 ჩაფი) ჯაშნიკად მიჰქონდა ვაჭარს. ბოლოს და ბოლოს იმ რიგად შეიჩვიეს ვაჭრებმა ეს ხალხი, რომ წინადვე, ღვინის მოსავლამდე, აძლევდნენ ფულსა და დაიყუეთავდნენ ღვინოსა. ვისაც ფული მოუნდებოდა უვარელში, ჩავიდოდა თფილისში, ან იქავ ვაჭართან მივიდოდა და ეტყოდა: „ერთი ასიოდე მანეთი მომეცი და შემოდგომაზედ ღვინო წაიღეო". ის კი არ იცოდნენ იმ საცოდავებმა, რომ „კოკა ყოველთვის ვერა ზიდავდა წყალსა" და თავის წინ დაუხედაობის გამო იღუპებოდნენ! — ვაჭრებიც სიხარულით აძლევდნენ ფულსა და, რადგანაც იცოდნენ უვარულის ხალხის პატიოსნება (თვისება ქართველის ხალხისა), თამასუქს არც კი დაუწერდნენ — მხოლოდ სახელ გვარს ჰკითხავდნენ. შემოდგომა რა კი მოვიდოდა და ვაჭრები იღროვებდნენ, რომ ღვინო დაყენებული იქნებაო, წავიდოდნენ და მიცემულის ფასის დაკვალად ღვინოს ერთი-ორად წამოიღებდნენ ხოლმე, გარდა იმისა რაც ჯაშნიკად ეძლევოდა. თუ რამოდენად ჰქონდათ ვაჭრებს ნდობა უვარლელებისადმი, გვიმტკიცებს შემდეგი (არ ვიცი მოგონილი თუ მართალი) არაკი: ერთი უვარული კაცი წასულა ტფილისში, მისულა სირაჯთანა და უთქვამს — „მომეცი ასიოდე თუმანი და შემოდგომაზედ ღვინო წაიღეო". სირაჯს მიუცია ფული უთამასუქოდ და უკითხავს სახელ-გვარი გლეხისათვის, რომელსაც უთქვამს — „სახელად ბურსა (მდინარეა) მქვიანო, გვარად დუ-

რუჯიშვილი (მდინარეა) ვარო", და წამოსულა შინისაკენ. შემდეგო-მაზედ თურმე მივიდა სირაჯი ყვარელში იმ იმედით, რომ ღვინოებს წამოვიღებო და უკითხავს ხალხისათვის — „ბურსა დურუჯიშვილი სადა სცხოვრობსო?" ხალხს გაუცინია და უთქვამს: აგე, ის (უჩვენებია მდი-ნარეზედ) ბურსაა, ესეც (მიუთითებია დურუჯის ხევზედ) დურუჯი; ამათი შვილი კიდევ შენ იპოვეო". სირაჯს დაუნახავს, რომ მოტყუებულია და ცივად გამობრუნებულა შინისაკენ...

აი, ამ გაცხარებულს ვაჭრობის დროს მოვიდა „ნაცარი", რომელმაც ისე ნაირად გააფუჭა ვენახები, რომ გლეხებმა ვერც აღებული ვალი მოიშორეს, ვერც იმდენს გამორჩნენ ვენახებსა, რომ მეორე წლისათვის ვენახები გაეკეთებინათ. ამისა გამო აიღეს ვალად კიდევ ფულები ვენახების გასაკეთებლად იმავე ვაჭრებისაგან. რასაკვირველია უკანასკნელებს ფრიად იამათ, რომ თვისი აზრი სისრულეში მოუყვიდათ და არამც თუ ისე უთამასუქოდ მისცეს ფულები, არამედ წინანდელი ფულების თამასუქიც დაუწერეს ერთი-ორად და მიაჩეჩეს ხელში თამასუქების პირები, როგორც „მებილეთეებს" შვრებოდნენ ტფილისში. ნაცრის მოსვლის შემდეგ დაიწყო ყვარელში ვალი, რომელიც რამდენი დრო გადიოდა, უფრო და უფრო მრავლდებოდა. ვაჭრებს უხაროდათ ეს ამბავი, რადგანაც წლისა და წლის თავს ერთი-ორად აწერდნენ ფულს გლეხებსა. იმ ვალის გადახდა ძრიან ემძიმებოდათ გლეხებსა, ამისათვის ვაჭრები იღებდნენ ვენახებიდგან საპალნეს 5—10 მანეთამდინ, მაგრამ ამით, რასაკვირველია, ვაჭრები ვერ დაიბრუნებდნენ მთლად გაცემულ ფულს. ამისათვის ვაჭრები სხვა ღონისძიებასა ხმარობდნენ. ისინი პრისტავების და სხვა მოხელეების შემწეობით უყიდდნენ გლეხებს მამულებსა „ტორგით" და თვითონვე ინარჩუნებდნენ ღირებულის მეხუთედ ფასად, ასე რომ ყვარელში ბევრი სახელმწიფო მამულები დაიჭირეს ვაჭრებმა, რომელნიც ახლა-ყამადაც მეფობენ ყვარელში. ვინ იცის რამდენი დამწვარი და თავისგან შედგენილი თამასუქები გაასაღეს ვაჭრებმა! საკვირველი ის იყო, რომ ყვარელი ვაჭრები თამასუქებს კი არ უჩვენებდნენ მოვალეებსა და ხელიდგან მა-

მულებს კი აცლიდნენ, არ ვიცით რა საფუძვლით. ზოგს გლეხს ვენახები ჩამოართვეს, ზოგს საწისქვილე, ზოგს წისქვილი, ზოგს სახლი. ვისაც მხოლოდ დროებით ჩამოართვეს ვენახი სრულიად გაუოხრეს, ასე რომ ერთი ვაზიც აღარ დაუგდიათ.

როგორც გავიგე, თ. იასე ნ. ჭავჭავაძე დაუნიშნავთ გამოსაძიებლად, თუ რომელს გლეხს გაჰყიდვია ან ჩამორთმევია სახელმწიფო მამული. თუ კარგად გამოიკვლია თ. იასე ჭავჭავაძემ ეს საქმე — ცხადია, რომ ბევრს დამალულს უკანონოდ საქციელს ვაჭრებისას გამოაშკარავებს და დაუბრუნებს გლეხებს არამც თუ მხოლოდ მამულებსა, არამედ ზვრებსაც აშენებინებს ვაჭრებს გლეხების სასარგებლოდ. იმედია, რომ თ. იასე ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს შვილი და ყვარელში დაბადებული, მიუდგომელად გაარჩევს საქმეებს და მიანიჭებს ყველას თვის კუთვნილებას. ვისურვებთ, რომ ეს საქმე, როგორც საწადელია ჩვენთვის, ისე დაბოლოვდეს. ამ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, თ. იასე ჭავჭავაძე — დაუვიწყარი იქმნება შთამომავალთაგან.

მადლობა ღმერთს, რომ ეს შვიდი-რვა წელიწადია ნაცარმა ცოტა არ იყოს იკლო და ვალიც ცოტ-ცოტად შემცირდა; ასე რომ ზოგს გლეხს ერთი მეხუთედიღა ჰმართებს ეწინდელის ვალისა, ზოგმა სრულიად მოიშორა თავიდამ და, ცოტა არ იყოს წელში გაიმართა."

გარდა სიღარიბისა სხვა ფრიადაც დაცემულნი არიან ყვარლელები: შურისძიება, ღალატობა ერთი-ერთმანეთის, გარყვნილობა, ქურდობა და სხვა ამ გვარი შეადგენენ ყვარლის მცხოვრებთა მომეტებულის ნაწილის თვისებას. ამის მიზეზი, მგონია, ორი უნდა იყოს. პირველი ის, რომ ვაჭრების უსინდისოდ ქცევამ ხასიათი გაუფუჭა ხალხს; მეორე ის, რომ ყვარელში მეტად ბევრია სხვა-და-სხვა წრის ხალხი: იმერლებიც, სომხები, ქიზიყელები, დუშელები, ქართლელები ბუზსავით ირევიან ყვარელში. დიდი ცდა და დრო უნდა, რომ ყვარლის ხალხს ხასიათი გაუსწორდეს და ზნეობა აღემაღლოს.

თუ როგორა ჰყვლეფენ სომხები და ცრუ-ადვოკატები გლეხებსა — გვიმტკიცებენ შემდეგი მაგალითები: ერთს ყვარულ გლეხს დავა ჰქონდა გავაზურს კაცთანა მამულის შესახებ. უკანასკნელს ადვოკატად (ვექილად) თელაველი სომეხი ჰყვანდა, სახელად სტეფანა სტეფანოვი. თელავის მომრიგებელ-მოსამართლემ გარდაუწყვიტა მათ, რომ მედიატორები ეშოვათ და გაეყოთ მამულები. რა შეიტყო ეს გარდაწყვეტილება ადვოკატმა სტეფანამ, მივიდა მოწინააღმდეგე მოდავესთან და უთხრა, რომ თუ ხუთს თუმანს არ მომცემ არ მოგრიგდებიო და არც მედიატორებს ამოგარჩევინებო. საწყალს ყვარულ გლეხს ერთის თუმნის მეტი არა ჰქონოდა და დაფაცურდა ოთხის თუმნის საშოვრად. ჰაი აქეთ ჰაი იქით, — როგორც იყო იშოვა ოთხი თუმანი და ჩააბარა სტეფანას. ერთი მიბრძანეთ, რომლის კანონის ძალით გამოართვა სტეფანამ ხუთი თუმანი საწყალს გლეხსა? თუ მომრიგებელ-მოსამართლემ გარდასწყვიტა მამულების გაყოფა, სტეფანას რაღა ძალა ჰქონდა მედიატორების ამორჩევისა და ამოურჩევლობისა? თუ გარდასწყვიტა სამართალმა გაყოფა — მე მგონია, რომ მოსამართლე ვალდებულია დარიგებაც მისცეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ შემთხვევაში ერთი ან მეორე მხარე. მაგრამ, მანუასი (ანტონოვის კომედიაში „განა ბიძიამ ცოლი შეირთო!") არ იყოს, „აქ რაღაცა ამბავია"... ხუთი თუმანი ხომ მისცა გლეხმა; მაგრამ საქმე როდის დაბოლოვდება, ან დაბოლოვდება გლეხის სასარგებლოდ თუ არა — ღმერთმან უწყის.

თუ ამ საქმის განხრჩენაც ისე მალე შეადგინა უფ. ყარანგოზოვმა, როგორც ზოგიერთის საქმისა ე. ი., 3—4 წლის შემდეგ... მაგრამ აქაურს მართლ-მსაჯულებას, ბატონებო, მეტად ბევრი საქმეები აქვს, ასე რომ ღამე სრულიად არა სძინავს და, აბა, თქვენგან არ მიკვირს, როდის-ღა მოიცლის განაჩენების შესადგენლად? იგი „მტოსისტების" თავს-მჯდომარეც გახლავთ და თუ სალამოდამ დილამდის არ ითამაშა — ჯარიმას გადაახდევინებენ. აბა, საქმე როგორ არა აქვს!...

ჰო, სტეფანაზე ვლაპარაკობდი. ამავე სტეფანამ ამ სამის წლის წინად ისეთი საქმე ჩაიდინა, რომელმაც ცხადად დაგვიმტკიცა, რომ

ამის დავთარში „სინიდისი არ სწერია“. ერთის ჭიკაანურის გლეხის—გრიგოლ გიუნაშვილის საქმე აიღო, ფულები და ორი ურემი შური გამოართვა და ცარიელზედ დასვა. აი საქმე რაში მდგომარეობდა: ხსენებულს გლეხს ჰყავნდა სხვა სოფელში დიაკვნად ბიძა (მამის ძმა), რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველს მამულის გამოსავალს ძმის-წულებს უთმობდა. როდესაც პრიჩეტნიკი დაწვრილ-შვილდა—ძმის-წულს უთხრა, რომ მხოლოდ ვენახში მიეცა წილი. ძმის-წულმა პასუხი არ მისცა და გამოეშურა თელავისაკენ. საუბედუროდ სტეფანა ადვოკატი შეეხეჩა წინ. სტეფანამ რა სცნა საქმის გარემოება, უთხრა გრ. გიუნაშვილს: შენ წინადვე ამდენი ფული და პური მომეცი და საქმეს, როგორც გაგითავებ, მე ვიცი. თუ მოსამართლემ გკითხოს რამე შენს მოდავეზე—უთხარ: „მე მაგას (ბიძას!) ვერ ვიცნობ-თქო; თუ ბიძა იყო, აქამდინ სად იყო-თქო?“...გაბრიყვდა საწყალი გლეხი და, აბა, თქვენგან არ მიკვირს, ვენახი კი არა, გაჯავრებულმა ბიძამ ყოველის სარჩოდგან წაართვა ნახევარი. სტეფანამაც მიიღო შრომის ფასი—რვაოდე თუმანი! მაშ ვერა ყოფილა კაი ადვოკატი! კარგი მიეცეს სტეფანას, რომ კარგი ადვოკატი ეს არის! აბა რა სინიდისს უნდა მოველოდეთ იმ კაცისაგან, რომელმაც თებერვლის უკანასკნელს რიცხვებში თელავის ბულვარზე საზოგადოდ სთქვა: „მოვიგებ თუ წავაგებ საქმესა—ჩემთვის სულ ერთია. მე რა მეკარგება?—ფულს წინადვე ვართმევ და ვიდებ ჯიბეში!“... ამ გვარის ადვოკატებით მდიდარი გახლავთ ჩვენი სხვაფრივ ღარიბი თელავი: ისეთ ნაირად ჰყვლეფენ ხალხსა, რომ ისე ალა-მაჰმად-ხანსაც არ გაუცარცვავს ტფილისი.

ყოველი „თელაური“ ადვოკატი იმავე აზრისაა, როგორისაც პირველი—სტეფანა. როგორც მოგეხსენებათ ადვოკატების საქმე—ამათ შორის დიდი კავშირი და თანხმობა სუფევს; არამც თუ ამათ შორის მხოლოდ,—ამათივე მომხრეა (როგორც ქვემოდ დავრწმუნდებით) ადგილობრივ მომრიგებელი-მოსამართლე, გარდა ერთისა, რომელსაც ცოტად მაინც ულვივის ხალხისადმი „გულში ცეცხლი სიყვარუ-

ლისა." რომ მომრიგებელი-მოსამართლე მეგობარი და მფარველია თელაველ ადვოკატებისა, ვამტკიცებ ჯერ იმ გარემოებით, რომ თუ მომრიგებელ-მოსამართლისა და ადვოკატების შორის რაიმე საზოგადო თანხმობა, ან სხვა ამ გვარი არ იყოს, უფ. მოსამართლე კანონს არ დაარღვევდა და ადვოკატებს სასამართლოში დამცველებათ არ მიიღებდა. მოწერილობაცა აქვს უფ. მოსამართლეს, რომ ამ გვარი ადვოკატები არ მიიღოს დამცველებათ. მაშ რად იღებს დამცველებად სასამართლოში ამ გვარ პირებს უფ. ყარანგოზოვი? რად არ უკრძალავს მათ დამცველობასა?

რ. ძამსაშვილი—ც.

# ცხოვრება და კანონი

## (წერილი მეექვსე)

### მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში

ბატონ-ყმობის გაუქმებას და სოფლის სამმართველოს დადგენას ზედ მოჰყვა ცვლილება ღვინისა და არაყის ხდის თაობაზედ. თუმცა ამ საგანს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ეკონომიურის ვითარების შესახებ და თუმცა ამან დიდი ზედ მოქმედებაც იქონია ჩვენის ხალხის ქონებითს მეტ-ნაკლებობაზედ, მაგრამ მაინც მაგის გამოკვლევას ამჟამად ვერ შევუდგებით: თავის დროზედ მაგ დარგს შესანიშნავს საგანზედ ისევ დავუბრუნდებით: ეხლა კი ჩვენ უფრო გვეხერხება სოფლის სამმართველოს გამოკვლევიდამ პირ-და-პირ გადასვლა განსამართლების წესზედ. თუმცა ამით ქრონიკული ჯაჭვი ირღვევა, მაგრამ რჩება შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მმართველობის და განსამართლების წესთა შორის საზოგადოდ. ჩვენ აქ სახეში გვექნება მხოლოდ ერთი ნაწილი განსამართლების წესისა, რომელსაც ჩვენის ხალხის ცხოვრების ძირზედ უდგას ფეხი, სახელდობრ, ის ნაწილი, რომელიც შეეხება მომრიგებელ მოსამართლეობის დაწყობასა და მოწყობილებასა.

რომ ჩვენ და ჩვენნი მკითხველნი ერთნაირად სწორეთ შევუდგეთ ჩვენში დადგენილ მომრიგებელ მოსამართლეობის ავ-კარგიანობის აწონვასა, საჭიროა გავიცნოთ ის აზრი და საფუძველი, რომელზედაც არის დამყარებული მომრიგებელ მოსამართლეობის წესი საზოგადოდ და

საწადელი, რომელიც დაუნიშნავს კანონ-მდებელს მისაღწევად. ეს მით უფრო სარგო იქნება ჩვენთვის, რომ იგი აზრი, საფუძველი და საწადელი, რომელიც ამ შემთხვევაში წინ წაჰსძღომია კანონ მდებელს, არის ჭეშმარიტი ნაყოფი მეცნიერებისა და ევროპიის ცივილიზაციის გამოცდილებისა. არც ერთს კანონ-მდებლობას რუსეთში ისეთი კარგვეული და ჭეშმარიტი აზრი არ ჩაჰრთვია, როგორც განსამართლების წესს საზოგადოდ და მომარიგებელ მოსამართლობისას ცალკედ; არც ერთს კანონ-მდებლობას არ შეჰხვედრია იმისთანა კაცნი, რომელთ ცოდნა და გონებითი ძალნი ესე შესაფერად შეჰსწდომოდეს ამისთანა მაღალს, უაღრესს და რთულს საქმეს, როგორც განსამართლების წესის დადგენაა. კანონ-მდებლობა რუსეთში სხვას არც ერთს საქმეს ასე ცნობიერად, გულმოდგინედ და ჭეშმარიტების სიყვარულით არ შეჰსჭიდებია. ამიტომაც განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი და ამაზედ უფრო მოსაწონია მომარიგებელ მოსამართლობის დაწყობილებაც, გარდა ზოგიერთის ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვა და სხვა გარემოებისა გამო. ეს სიკეთე რუსეთის განსამართლების წესისა და კანონ-მდებელთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უჭკუესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც.

მას შემდეგ რაკი გამოკვლეულ იქმნა და აღიარებულ უწინდელის წესის უვარგისობა და ბოროტი, ახალის წესის შემოღების წინააღმდეგ სამი საბუთი წარუდგინეს კანონ-მდებლებს. ერთი ისა, რომ ხალხი, თუ საზოგადოება ჯერ მომზადებული არ არისო, რომ შეიშვნიოს ეგ ახალი წესიო და ამიტომაც ვერ მოიხდენსო; მეორე ისა, რომ ხაზინას იმოდენა თავისუფალი ფული არა აქვსო, რომ მაგ ახალის წესის ხარჯს გასწვდესო; მესამე — ვერც იმოდენა კეთილ-სინიდისიანს და მცოდნე კაცებს ვიშოვნითო, რომ ეგ ახალი წესი რიგიანად ამოქმედონო.

ამ საბუთებმა არ დააფთხეს იგინი, ვისაც მინდობილი ჰქონდათ ახალის წესის დაწყობა და აგება, და ასე მიუგეს მოპირდაპირეებს:

თუ კანონი ჭეშმარიტს და სწორეს აზრზეა დამყარებული და ნამდვილის მიზეზისაგან წარმომდგარი, იმას დროს და ადგილის შერჩევა არ უნდაო, იგი ყოველთვის და ყველგან საკეთილოა და გამოსადეგიო. ძნელი საფიქრებელია, რომ სადმე, ანუ როდისმე ადამიანი ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელიო. გონიერი კანონი თავის დღეში ცუდს არ მოახდენს. იქნება რომლისამე მიზეზით, ან იმით, რომ კანონი ახალია, კანონმა რამდენსამე ხანს ღირსებისამებრ არ იმოქმედოს, მაგრამ უფრო ადვილად დასაჯერია, რომ იგი დაუყოვნებლივ ღრმად გაიდგამს ფესვებს და შეიქმნება ქვეყნის მშვიდობიანობის და კეთილ-დღეობის დედა-ბოძათაო.

ფულის ნაკლებობა ხაზინაში წარმოსდგება ეკონომიურ ვითარებისაგან საზოგადოდ და გარდა ამისა საკუთრივ იმისაგანაცაო, როცა არსებითნი ორღანონი მართლ-მსაჯულებისა რიგიანად აგებულნი და მომართულნი არ არიანო. ეგ ურიგობა ამხობს კრედიტსაც და სულსა ჰხუთავს ყოველს ხელთ-მოქმედებას და წარმოებასაო. სადაც კრედიტი ფრთას არა ჰშლის, იქ ფული არ შეადგენს თანხას მომქმედს და მწარმოებელს, იქ ფული სიმდიდრეს არა ჰქმნის, იქ ფული უქმიაო. ამიტომაც, თუ მართლა ხაზინა ფულის ნაკლებობას ჰგრძნობს, განკარგება განსამართლების წყობილებისა არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებააო.

რომ ამბობენო, იმდენს კეთილ სინიდისიანს და კანონების მცოდნე კაცს ვერ ვიშოვითო, რამდენიც საჭირო იქნებაო ახალის წესის გამოო, არც ეს არის საბუთიანი სიტყვაო. კანონი კაცს არა ჰქმნისო. ხოლო ეს კია: თუ კანონი ისეთია, რომ კაცი პოულობს მასში ღონისძიებას ცუდი საქმე ჩაიდინოსო, მაშინ კანონი ჰრყვნის ადამიანსაო; თუ კანონი ისე ბნელია რომ კაცს არც ესმის და ვერც გაიგებს, მაშინ ადამიანს არც ეცოდინება კანონიო; თუ კანონი იმისთანაა, რომ თვით კეთილ სინიდისიანს კაცსაც არ ძალუძს მისი აღსრულება უნაკლულოდ, მაშინ კანონს ადამიანი არც ასრულებსო. და თუ

მართლა იმისთანა კაცები ცოტანი არიან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საკმაო კეთილ სინიდისიანობა, საკმაო ცოდნა და გულმოდგინება ახალის წესის რიგიანად ასრულებისათვის, — უწინდელის წესის უვარგისობის ბრალიაო და ამიტომაც განკარგებს კანონებისა ამ მხრითაც არამც თუ სასარგებლოა, აუცილებელი საჭიროებააო *).

ამ სახით ახალის წესის შემადგენელთა სახელი არ წაიხდინეს და სრულიად უარ ჰყვეს ის მიზეზი, რომლის მიხედვითაც შესაძლო იყო უწინდელი ყანგი ჩაჰყოლოდა ამ ახალს წესსაც და მით მოეწამლათ ქვეყნის ჯან-მრთელობისათვის მოსაზრებული საქმე. უარ-ჰყვეს და ამიტომაც რუსეთისათვის მიღებულ წესს განსამართლებისას ან სულ არ ეტყობა, ან თუ ეტყობა ძალიან ცოტად, იმ სამთა მიზეზთა ზედ-მოქმედება.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით იმ განსამართლების წესზედ, რომელიც ჩვენში გადაასხვაფერეს, ვითომ შეუსწორეს აქაურს გარემოებას და ისე დაადგინეს. ჩვენს წესდებაში იმ სამსავე უარ-ყოფილ მიზეზს უპირატესი ადგილი დაუჭერია, ამ სამს მიზეზს შეჰსწირეს უკეთესნი თვისებანი და ღირსებანი ახალის წესისა, ამ სამს მიზეზს ანაცვალეს ის აზრიც, ის საფუძველიც, ის საწადელიც, რომელიც სულია და ხორცი ამ ახალის წესისა. თუმცა ეს არსად არ არის გამოთქმული თვითონ წესდებაში ცხადად, მაგრამ რაც მინდა კაცმა ჰსთქვას მე ასეთი ვარო, როცა მისი მოქმედებაც მაჩვენებს რაც არის. ნაყოფისაგან იცნობება ხე იგიო, ნათქვამია.

რასაკვირველია, ნამდვილად ცნობილს და გამოკვლეულს ადგილობრივს გარემოებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველს მთავრობითს განკარგულებაში საზოგადოდ და კანონ-მდებლობაში საკუთრივ, მაგრამ როცა უმთავრესნი და არსებითნი საფუძველნი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდე-

*) Сооб. Госуд. Конц.

ნია და თუ აქ ცვლილებამ უნდა დაუთმოს რამე ადგილობრივს გარემოებას, თვით უმთავრესი და არსებითი საფუძველი კი არ უნდა გამოაცალოს საქმეს, არამედ საქმის მარტო წვრილმანი კუთვნილებანი უნდა შეურჩიოს და შეუფეროს გარემოებასა. რასაკვირველია, ჩვენში არც აქაური გარემოება იყო ნამდვილად ვისგანმე ცნობილი და გამოკვლეული, არც უმთავრესი და არსებითი საფუძველი ცვლილებისა იყო პატივ-ცემული. მას სრულიად ჩამოათალეს, რაც მის უცილო თვისებას და ღირსებას შეადგენდა.

ეგ უმთავრესი და არსებითი საფუძველი განსამართლების ცვლილებისა საკმაოდ კარგად და ვრცლად არის ცნობილი და აღიარებული მათგან, ვისაც რუსეთში მინდობილ ჰქონდა ახალის წესის შედგენა. რადგანაც ჩვენ საგნათა გვაქვს გარჩევა მარტო მომრიგებელ-მოსამართლობის წესდებისა, ამიტომაც მარტო ამ საგანზედ მოვიყვანთ კანონ-მდებელთა აზრსა. მას შემდეგ ჩვენ ცხადად დავინახავთ რამოდენად შეშალა ის აზრი იმ სამმა მიზეზმა, რომელიც ზემოდ წარმოვსთქვით და რომელიც წინ წაიმძღვარეს ჩვენში „ადგილობრივს გარემოებას“ სახელითა.

რაც უნდა მარტივი წესი იყოს განსამართლებისა, კანონ-მდებელთა აზრით, თუ თვითონ სასამართლო შორს არის მოდავეზედ, ან იმ ადგილზედ, საცა მყუდროება დარღვეულ იქმნა, ანუ ზიანი და წანახდენი მოხდა და სხვა ამ გვარი, მაშინ წესი თვის საგანს ვერ მიჰსწვდება, რადგანაც, მოდავისათვის არც ანგარიშია და ხშირად არც ღონისძიებაა შორს წავიდეს მცირე საფასურის საქმისათვის. სამართალი თვის მნიშვნელობას აუქმებს, როცა სამისა თუ ათის მანეთის მაძიებელი იძულებულია ასს ვერსტზედ წავიდეს, ანუ როცა საქმე იმისთანაა, რომ დაუყოვნებლივ მოხელვა უნდოდეს და, მინამ მაძიებელი შეატყობინებდეს სამართალს და მინამ სამართალი ადგილობრივ გამოძიებისათვის მოვიდოდეს, ყოველივე კვალი საქმისა წაშლილი იყოს. საბუთები მყუდროების დარღვევისა, ანუ უძრავის ქონების წანახდენისა მარტოდ ადგილობრივ შეიკრიბება და მხოლოდ მაშინ, როცა სი-

მართლის დარღვევის უმალვე დაუყოვნებლივ შეუდგებიან საქმეს: უამისოდ სამართლიანი გადაწყვეტა საცილობელის საქმისა ძნელდება ხოლმე და ხშირად შეუძლებელიც ხდება.

ამიტომაც საჭიროა საზოგადო სასამართლოების გარდა ცალკე ადგილობრივი სასამართლოც დაწესდესო, ამისთანა სასამართლო, რომელიც მოდავისათვის მახლობლად იყოსო და ისეთი მარტივი საქმის საწარმოვო წესები ჰქონდესო, რომ შეეფერებოდეს უმრავლესის ხალხის საჭიროებასაო.

საჭიროება და მიუცილებლობა ამისთანა მარტივის და ადგილობრივის სასამართლოსი აღიარებულია ყოველს კეთილად განწყობილს სახელმწიფოში. მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსიო, ამიტომაც მას ჰქვიან: მომრიგებელი სამართალიო.

მომრიგებელ-მოსამართლეს მინდობილი აქვს გარჩევა იმ წვრილმან საქმეებისა, რომელნიც ყოველ-დღე თითქმის წარმოდგებიან ხოლმე ხალხის ცხოვრებაში. უფრო მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ კანონები არ იცის, მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს ჰსცემს მარტო ნამდვილს სიმართლესა და უფთხილდება დროს, ამისათვისაც ხალხისათვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გაუთავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თვითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლეთ არის ცნობილი. უფრო ბევრს წილს ამ საქმეებისას მომრიგებელი-მოსამართლე ჰსწყვეტს საბოლოოდ და ამასთანავე საქმეს არჩევს და ჰსწყვეტს მარტო თვითონ ერთად-ერთი. უმთავრესი დანიშნულება ამისთანა მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლ-მსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის-მყოფელ შუა-კაცად ექმნეს მოდავეთა და მათ შორის მორიგება ჩამოაგდოს. რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეული იქმნეს, ამისათვის საჭიროა რომ ადგილობრივ მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ-მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა

ხალხის აზროვნობისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა, ერთის სიტყვით ყოველ იმისა, რითაც გარე-მოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ, — და ამასთანავე საჭიროა საკუთრივ კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უბიწო ყოფა-ცხოვრება. მომარიგებელ-მოსამართლის მრავალ-გვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველს შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება. ამ მიზეზითაც იგი უნდა სანდო და სარწმუნო კაცი იყოს მცხოვრებთა თვალში; ამ მიზეზითაც ადგილობრივ ვითარების ავიცა და კარგიც უფრო საჭიროა იცოდეს, მოსამართლემ უფრო საჭიროა ჰქონდეს შინა-კაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონიერობის ცოდნა და მოსამართლობის გამოცდილება. რადგანაც მოვალეობა და თანამდებობა მომარიგებელ-მოსამართლისა სხვა-და-სხვა გვარია და რადგანაც თვითონ მისი მოღვაწეობაც მრავალ საგნიანია, ამიტომაც ის მხარე, ანუ ნაწილი რომელიც მას უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სამართლის საწარმოებლად, რაც შეიძლება, პატარა უნდა იყოს სივრცით, იმიტომ-რომ იგი, როგორც ადგილობრივი მოსამართლე ყველასათვის ყოველს ჟამს საჭირო კაცია. ამის გამო მომარიგებელ-მოსამართლეს უპირატესი ზედ-მოქმედება უნდა ჰქონდეს საყოველთაო წესიერების და მშვიდობიანობის დაცვისათვის და დამყარებისათვის. ამ მიზეზითაც საჭიროა, რომ იგი ადგილობრივ მცხოვრებთაგანი იყოს, ესე იგი, იმათგანი, რომელთაც არამც თუ მარტო თავიანთი მხარე იციან, არამედ საკუთარი ინტერესიცა აქვსთ, რომ საერთო წესიერება და მშვიდობიანობა არ იქმნას შერყეულ.

ამ მრავალ-გვარს მოვალეობას და საჭიროებას რომ მივხედოთ, ცხადი იქმნებაო, ამბობენ კანონ-მდებელნი, რომ მომარიგებელი-მოსამართლე უნდა დანიშნულ იქმნას ადგილობრივთა მცხოვრებთა არჩევანითაო. ამის წინააღმდეგ ეს წარუდგინეს კანონ-მდებლებს, რომ სამართალი საზოგადოდ იმისთანა თვისების საგანიაო, რომ არჩევანით დანიშნულ კაცით ვერ წარიმართებაო, იმიტომ-რომაო უფლების და მოვალეობის ახსნა და გარჩევაო შეუძლებელიაო, თუ მოსამარ-

თლეს რჯულიერება ზედ-მიწევნით შესწავლული არა აქვსო და განსა-მართლების საქმეში ზედ-მიწევნით გამოცდილი არ არიო. ამის გამო მოსამართლეებს ვერ ამოირჩევს თვის შორის ვერც სოფლისა და ვერც ქალაქების მცხოვრებიო და თვითონ თავად-აზნაურობაც ბევრს აგრე მომზადებულ კაცს ვერ იპოვნის ადგილობრივ მცხოვრებთა შორისო. ეს საბუთიო, დაასკვნეს კანონ-მდებელთა, სრულიადაც არ შეეხება მომრიგებელ-მოსამართლესაო, რომლისათვის ზედ-მიწევნით რჯულიერების ცოდნა კი არ არის საჭირო, არამედ დამსახურებული ნდობა და ადგილობრივის ვითარების ცოდნაო. მომრიგებელი-მოსა-მართლე უველაზედ უწინარეს უნდა იყოსო ადგილობრივ მოსამარ-თლეთ და მშვიდობიანობის დამცველთათაო. საზოგადო ნდობა ადგი-ლობრივ მცხოვრებთა მიერ მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს მა-თის დანიშნულებისასაო.

ამიტომაც რუსეთის წესდებაში შეტანილია, რომ მომრიგებე-ლი-მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შვილი უნდა იყვეს, სადა მო-სამართლობა უნდა და გარდა ამისა იქაურ მცხოვრებთაგანვე ამორ-ჩეული.

ამ სახით ეხლა ჩვენ ვიცით, რა აზრი ჰქონია უმაღლესს მთავ-რობას რომ მომრიგებელი-მოსამართლობა დაუწესებია და რა ღო-ნისძიება მიუღია რომ ის აზრი უნაკლოდ აღსრულებაში მოსულიყო. მოკლედ განვიმეოროთ ზემოთქმული, რომ უფრო გარკვევით გზა გავიგნოთ და უფრო ცხადი აზრი წავიმძღვაროთ წინ ჩვენს გამოკ-ვლევაში.

უმაღლესმა მთავრობამ უარ-ჰყო უწინდელი გასამართლების წე-სი და მის მაგიერ საჭიროდ დაინახა, რომ უფრო მომეტებულ ხალხს სახელმწიფოისას იმასთანა სამართალი ჰქონდეს, 1) რომელიც მახლობ-ლად უნდა იყოს ხალხზედ — ასე რომ უველაზე ყოველს ჟამს რაც უნ-და პატარა გაჭირება ჰქონდეს მიემართოს ხოლმე და დაუყოვნებლივ სწრაფად განსამართლდეს; 2) რომელსაც ისეთი მარტივი წესი წარ-მოებისა ჰქონდეს, რომ უცოდინარმა კაცმაც თავისი საქმე აწარმოოს.

3) რომელსაცა რამოდენადაც შესაძლოა, ფორმალობა არ უშლიდეს, რომ ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს; 4) რომელსაც წინ უნდა მიუძღოდეს ადგილობრივის ვითარების ცოდნა, ცოდნა ხალხის ზნისა, ხალხის ჩვეულებისა და ერთმანეთზედ დამოკიდებულებისა; 5) სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალი პატივსა-სცემს და რომელსაც, როგორც ადგილობრივს მოსახლეს და მცხოვრებს, თვითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელოში; მშვიდობიანობა, უშიშროება არ იქმნას დარღვეული; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი დაუსჯელად არ ჩაივლის; წანახედი, ზიანი უზღვევლად არ დარჩება. ხოლო უკეთესი მხარე, უმაღლესი მნიშვნელობა ამ გვარის მოსამართლობისა მორიგებით გათავებაა საქმემისა. აქაც დანახულია და ცნობილი, რომ თუ მოსამართლე ხალხის თვალში სანდო, სარწმუნო კაცი არ არის, მოსამართლე ამ მომრიგებელ შუა-კაცობას ვერ აღასრულებს. როგორც ამის გამო ისე იმ მიზეზებით, რომელნიც ზემოდ მოგვიხსენებია, მტკიცე და მიუცილებელ საჭიროებათ აღიარებულია და დადგენილი, რომ მომრიგებელი-მოსამართლე თვითონ მცხოვრებლებმა აღმოირჩიონ ხოლმე თვის შორის.

ჩვენდა სამწუხაროდ, ვიტყვით კიდევ, თითქმის ყოველივე ესე ცნობიერად ქვეყნის სიკეთისათვის წამდად გამოკვლეული, ეს არსებითი სახსარი სამართლის ჭეშმარიტს გზაზედ დაყენებისათვის, ჩვენში სრულად შეიცვალა, შეიცვალა მეთქი!... შეიცვალა კი არა, ქერქი დარჩა და გული კი გამოეცალა სულ იმ ოთხ-კედელ შუა ნასიზმრევის გამო, რომელსაც „ადგილობრივს ვითარებას" ეძახიან და რომელიც სწორედ ხმა-ამოუღებელი სახედარია: ვისაც რა უნდა იმას აჰკიდებენ და გადაჰკიდებენ ხოლმე. ეს უბედური, ყველასაგან დაბრიყვებული, უტყვი „ადგილობრივი ვითარება" სასაცილო ყოფაშია ჩვენში, არავის არამც თუ შეუსწავლია რა ფერისა და ზნისაა, არც კი ცდილა, რომ შეესწავლა. იციან კი რომ რაღაც „ადგილობრივი ვითარება" უნდა იყოს, რომელიც სულ მზად არის სამსახურისათვის, როგორც

შეკაზმული სახედარი: უნდათ ზედ მოაჯდებიან და დადიან, არ უნდათ, ჭიტლაყს ჰკვრენ და ეტყვიან, წადი და ნარი ჰგლიჯეო.

მეტად ღირს საცნობია, რა გამომსჭვირვალებს ჩვენს გადასხვაფერებულს წესდებაში „ადგილობრივის ვითარების“ სახელითა? ჩვენის აზრით, სხვა ახალი არაფერი გარდა იმ სამის მიზეზისა, რომელიც სახეში ჰქონდათ თვით კანონ-მდებელთ რუსეთში და რომელიც იქ სრულად უარ ჰყვეს კიდეც და ჩვენში კი უპირატესი ადგილი მიანიჭეს. სამდვილი ჩვენი ვითარება კი დავიწყებულ და განგდებულ იქმნა.

ჩვენის წესდებით არ არის საჭიროდ ცნობილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ ადგილობრივი მცხოვრებთაგანი იყოს; ამისგამო ხშირია ჩვენში რომ იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ანუ ფშავ-ხევსურებს მოსამართლეთ ენიშნება იმავე „მომრიგებელის მოსამართლის“ სახელითა, რომლის შესახებ უმაღლესმა მთავრობამ საქვეყნოდ საბუთიანად აღიარა, რომ თუ ადგილობრივი მცხოვრები არ არისო, მოსამართლეობას ვერ იზამსო. რა მიზეზით უნდა აიხსნას ეს მართლა და გაუგებარი განკარგულება, რომელმაც მომრიგებელ მოსამართლეობას გული გამოაცალა და მარტო ქერქი შეარჩინა? სხვა არაფრით, ჩვენის აზრით, გარდა იმისა, რომ აქაურთ კანონ-მდებელთ ჰგონებიათ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ღირსეულ კაცებს ვერ ვიშოვნითო მაგ თანამდებობის აღსასრულებლათო. ნუ თუ ეს მართლა და ადგილობრივი მიზეზია? რა უნდა შეადგენდეს მიუცილებელს ღირსებას მომრიგებელ მოსამართლისას? ამის პასუხი თვითონ უმაღლესმა მთავრობამ საქვეყნოდ აღიარა ამ რიგად: მომრიგებელი მოსამართლე უფრო იმისთანა კაცი უნდა იყოს, რომელმაც ზედ მიწევნით უნდა იცოდესო ადგილობრივის ხალხის ავი და კარგიო, ზედ მიწევნით უნდა იცოდეს ხალხის ზნე, ჩვეულება, ერთმანეთზედ დამოკიდებულებაო, შინაური-კაცის სიბრძნე უფრო უნდა ჰქონდესო, ვიდრე რჯულიერობის ცოდნით და განსამართლების გამოცდილებით განვითარებული იყოსო. ნუ თუ ამისთანა კაცის შოვნა

და პოვნა იაროსლავში უფრო ადვილი იყოს საქართველოსათვის, ვიდრე თვით საქართველოში? იქნება მიპასუხონ, რომ მარტო მაგ ღირსებით იოლად ვერ წავაო მოსამართლე; გარდა მაგისა მოსამართლეს გამჭრიახი გონიერება უნდა ჰქონდესო, პატიოსანი ხასიათი და უბიწო ყოფა-ცხოვრებაო. ნუ თუ „ადგილობრივი ვითარება“ ისეთია რომ პატიოსანი, უბიწო ყოფა-ქცევის პატრონი, გამჭრიახ გონებიანი კაცი არ მოიპოვება საქართველოში და იაროსლავში კი პანტასავითა ცვივა? ამას ვერ იტყვიან და ამას საბუთად ვერ გაგვიბედვენ წარმოგვიდგინონ ჩვენ.

თუ მართლა ჩვენ შორის ძნელი საშოვნი იყო იმისთანა კაცი, რომელიც გასწვდენოდა მთელს მოედანს მომრიგებელ-მოსამართლობისას, მაშინ ლოღიკა ამას ითხოვდა, რომ იგი მოედანი შეემცირებინათ ისე კი რომ ძირეული თვისება ამ გვარის მოსამართლეობისა არ შეერყიათ. ამის მაგიერ რა ჰქმნეს? აქაო და პატარა მოედნებისათვისაც კაცი არ არისო, მოედანი უფრო გააფართოვეს. რუსეთში მომრიგებელ-მოსამართლეს ექვემდებარება სამოქალაქო საქმე არა უმეტეს ორმოცდა-ათის თუმნის საფასურისა, ჩვენში — ორასის თუმნისა; რუსეთში მომრიგებელი მოსამართლე ვერ შეეხება უძრავის ქონების საკუთრებათ ძიებასა, რა ფასისაც უნდა იყვეს, ჩვენში კი — ყოველ უძრავის ქონების საქმე ორასის თუმნის საფასურისა მომრიგებელ მოსამართლემ უნდა გაასამართლოს; რუსეთში მას ექვემდებარება მარტო წვრილმანის დანაშაულობის და ბრალეულობის საქმე, ჩვენში კი ყოველი დანაშაულობა, რომელსაც რაიმე უფლების ჩამორთმევა, პატივისა და ღირსების აყრა არ მოსდევს ამ სახით რუსეთში, ესე იგი იქ, სადაც ჟიური არ ათხოვეს რომ კაცები არა გვყავსო, მოსამართლეებს საქმე შეუმსუბუქეს, აქ კი, სადაც ეკაცურობა შეჰსწამეს, საქმე უფრო დაუმძიმეს. ეგ, ჩვენის ფიქრით, იმასა ნიშნავს, რომ ამ უადგილოდ მოყვანილს „ადგილობრივს ვითარებას“ ვიღაც ხანგრძლივ ხელზე მოკლესაც შემთხვევაში.

ამ ადგილზედ დაუხედნელმა „ადგილობრივმა ვითარებამ“ ამ ბოლოს

დროს უფრო გაიდგა ფეხი, ვიდრე უწინ. წესდების შემოღების პირველ ხანებში ცდილობდნენ, რომ ესე გაურჩევლად მიღებულმა, ძლიერ-რედ მოგონილმა და არა ნამდვილმა „ადგილობრივმა ვითარებამ“ თვისი ეკლები არ გამოაჩინოს და ნიშნავდნენ მომრიგებელ მოსამართლეებათ უფრო აქაურებს, რომელნიც თუმცა აქაურები არ იყვნენ, საცა ინიშნებოდნენ, მაგრამ ხალხის ენა მაინც იცოდნენ. ეხლა სრულიად ამის წინააღმდეგსა ვხედავთ და თუ ეგრე არა ამ საქმეშ დრო მოვა, რომ მომრიგებელი მოსამართლე ისევ იმ უწინდელ დიამბეგათ გახდება, რომელსაც ხალხი ერიდებოდა როგორც ჭირს. ეხლაც კი ცხადი ნიშნებია, რომ ჩვენებურს ხალხს როგორც სიკვდილი ისე ეჯავრება მომრიგებელ მოსამართლესთან სიარული და თუ ძალიან არ გაუჭირდა, ყელში თოკი არ მოუჭირა, ძნელად თუ ჰბედავს მომრიგებელ მოსამართლის ხელში ჩავარდნასა.

ჩვენის წესდებით უარ-ყოფილია ის მეორე არსებითი კუთვნილებაც მომრიგებელ მოსამართლობისა, რომელიც მიღებულია ფრანციაში, საზოგადოდ, ისა რომ ადგილობრივ მცხოვრებელთა უნდა თვითონ ამოირჩიონ თავიანთი მომრიგებელი მოსამართლე. ამისა მიზეზი სხვა არა მოგვისმენია რა გარდა იმისა, რომ ხალხს ვერ ენდობიან, ჰგონებიათ, რომ ხალხი ვერ ამოირჩევს რიგიანს და ღირსეულს კაცსა, ერთის სიტყვით. ხალხი მოუმზადებელია და ამიტომ ამ უფლებას ისე ვერ მოიხმარებს, როგორც სანატრელია. თუმცა არც ეს არის საბუთიანი სიტყვა, მაგრამ სხვა მხრით არჩევანის უფლების უარ-ყოფა შეუძლებელია, იმიტომ რომ მეცნიერების თვალით დააკვირდებით ამ საგანს, თუ გამოცდილების თვალითა, არც ერთი იგი, არამც თუ ეწინააღმდეგება მომრიგებელ მოსამართლის არჩევანით განწესებას, არამედ უფრო ემხრობა, უფრო ხელს უწყობს. ამაზედ რამე ლაპარაკი არის ბოლოს მეცნიერებაში, მერე იმაზედ ცილობა, რომ უმაღლესი მოსამართლენიც, როგორც მაგალითებრ წევრნი ოლქის სასამართლოსი, პალატისა, თუ სენატისა, არჩევანით უფრო კარგია რომ განწესდნენ, თუ მთავრობის განკარგულებითა.

რუსეთში, როგორც ვნახეთ ზემოდ, განათლებულნი შემადგენელნი განსამართლების წესისა იმ აზრზედ დადგნენ, რომ მომარიგებელ მოსამართლეობას თვისი სიკეთე მთლად ჩამოერთმევა, თუ არჩევანით განწესება უარ-ყოფილი იქმნებაო. ხალხის მოუმზადებლობას იქ ყური არ ათხოვეს. მართლა და დასაჯერი არ არის, რომ ხალხი სადმე და როდისმე ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელი. ხოლო არჩევანით განწესება მომარიგებელ მოსამართლისა რომ კარგი რამ არის, — ამაზედ ეხლა ეჭვი აქვთ მარტო ბრმებსა და რეგვნებსა. ყოველს მოსამართლეს საერთოდ და მომარიგებელს საკუთრივ უნდა ხალხის მიერ ნდობა ჰქონდესო, უნდა ხალხისაგან ცნობილი იყოს როგორც ღირსეული და სარწმუნო კაციო. ნუ თუ სადმე ხალხი საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ იმისთანა ტყვის ნადირა იყოს, არ ესმოდეს ვისზედ მიენდობა უფრო გული, ვინ უფრო ღირსეული და სარწმუნო კაცია მის ახლო-მახლოთ, რომ მას წაავლოს ხელი და იგი დაიყენოს მოსამართლეთ? აქ მომზადებულობა და მოუმზადებულობა რა შუაშია? საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში, [illegible] ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერებისას სრულიად არ მიჰკარებოდა და თვითაც არ დადგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველ მხრივ მოუმზადებელი იყო, ჯერ მაშინ მეთქი მოსამართლეს თუ არ არჩევანით სხვაფრივ არ განიწესებდა. ჰსჩანს, აქ ხალხის მოუმზადებლობას, თუ განათლებას ადგილი არა აქვს; ჰსჩანს ხალხის მოუმზადებლობა საბუთი კი არ არის წინააღმდეგ მომარიგებელ მოსამართლის არჩევანისა, არამედ უქმი სიტყვაა უქმის კაცისა.

ამას თავი დავანებოთ, ვჰსთქვათ რომ მომარიგებელ მოსამართლის არჩევანისათვის ხალხი ცოტად, თუ ბევრად მომზადებული უნდა იყოსო. მითამ ამით რაო? თუ რუსეთის ხალხი იცნეს მომზადებულად, რომ არჩევანით განაწესოს თვისი მახლობელი მომარიგებელი მოსამართლე, ჩვენ ხალხს რაღა ღმერთი გაუწყრა. ნუ თუ რუსეთის ხალხის უმრავლესობა მეტი უკობს ჩვენის ხალხის უმრავლესობაზედ — გლეხობაზედ [illegible] და მიხვედრილობით, გონების [illegible]

ურით, რომ იქ მუჟიკობა მომზადებულად ჰსცნეს და მიანიჭეს სხვებთან ერთად უფლება მოსამართლის არჩევანისა და აქ კი გლეხობა — მოუმზადებლად და ამიტომაც ეგ უფლება ჩამოართვეს? თუ ამ შემთხვევაში განსხვავება რამ არის ამ ორთა ხალხთა უმრავლესობათა შორის, ის განსხვავებაა, რომ სასწორი სიკეთისა ჩვენის ხალხისაკენ უფრო დაიწევს. ჩვენი გლეხი გაცილებით წინ არის რუსის მუჟიკზედა ზნეობითაც, გონების თვალითაც და მიხვედრილობითაც.

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადო; სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“, ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი. ნუ თუ ის ხალხი, რომელიც სამართალს ამისთანა სასწაულთ მოქმედების ძალას აძლევს, რომ ხმელს ხესაც განედლებსო, ხელს მოჭრის და არ ატკენსო, — ნუ თუ ხალხი, რომელსაც ამისთანა ძალა სამართლისა ჰსწამს, რჯულად აქვს მიღებული და ეგრე ცხადად აღიარებული — ნუ თუ ის ხალხი მეთქი მოუმზადებელი უნდა იყოს წესიერად აგებულის სამართლის კეთილად წარმართებისათვის და ის ხალხი კი, რომელიც იმით ნუგეშობს, რომ сила салому ломитъ, მომზადებულია!...

ეხლა ვჰსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი ვითომ მართლა მოუმზადებელია. მაშ ვინც მოუმზადებელია, თავის დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება, იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელ-ფეხს ვუკრავთ და ვეუბნებით კი ჭიდილი ისწავლეო; ხალხს მოსამართლის ამორჩევის ნებას არ ვაძლევთ და ვეუბნებით კი, ისწავლეო კაი მოსამართლეების ამორჩევაო. ეს იმასა ჰგავს: ცურვა ისწავლეო და წყალში კი ნუ შეხვალო; გზა გაიარეო და შინიდამ ფეხს კი ნუ გასდგამო. ამ სასწაულთ მოქმედებას ხალხი ვერ იზამს, თუნდაც იმისთანა კეტითა ჰსცემოთ თავში, რომელსაც ჩვენდა საუბედუროდ ადგილობრივს ვიღაცეებსა“ ეგრე წინ დაუხედავად ქმახიან.

ხალხისათვის მოუცილებლად საჭიროა, რომ მის საყოველდღეო წვრილმან საქმეებისათვის მომარჯვებული მოსამართლე რაც შეიძლება

მახლობლად ჰყვანდესო, ჰსთქვეს რუსეთის კანონ-მდებელთა. არც ამ მიუცილებელმა საჭიროებამ გაჰსჭრა ჩვენში.

არა გვგონია, ჩვენს კანონ-მდებლებს არ ჰსცოდნოდათ, რომ იმისთანა სამართალი, როგორიც მომარიგებელ-მოსამართლეს მიენდობა, ძალიან მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ. უამისოდ მომარიგებელს-მოსამართლობას უკეთესი ღონისძიება ერთმევა, რომ გაჭირებულს თავის დროზედ მიეშველოს, ვნებულს თავის დროზედ მიხედოს, დარღვეული უფლება სწრაფად აღადგინოს და ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს. სხვა დანიშნულება არა აქვს მომარიგებელ-მოსამართლეს, როგორც ადგილობრივს მოხელეს და სამართლის ადგილობრივს წინამძღვარს. ხალხთა უმრავლესობა ყოველ ცისამარა დღეს იმდვენს წვრილმანს, უფასურს საქმეს აღმოაჩენს ხოლმე თავის ყოფა-ცხოვრებაში, რომ თუ ამ საქმეებისათვის მახლობელი გამრჩევი არა ჰყავს, მითამ მოსამართლე სულაც არა ჰყოლია. შეუძლებელია, ამ წვრილმანს, თითქმის უფასურს საქმეებს ყური არ ათხოვოს კაცმა, იმიტომ რომ ცხოვრებაში უფრო ამისთანა საქმეებია, რომელნიც შეადგენენ საკუთრივ ხალხის ზნეობითსა და ქონებითსა სიმდიდრეს. ერთსაც და მეორესაც როგორც არსებითსა კუთვნილებას და საჭიროებას ხალხისას მუდამ, მახლობელი მფარველი უნდა ჰყვანდეს. უამისოდ ხალხს ზნეობაც შეერყევა ხოლმე და ქონებითი სიმდიდრეც დღე მუდამ განსაცდელშია. სიიეფე სამართლისა განა მარტო იმისაგან წარმოსდგება, რომ სამართალი განთავისუფლებულ იყოს ყოველ სახელმწიფო ბაჟისა და ხარჯისაგან, არამედ იმისაგანაც, რომ გაჭირებულს შორი სატარებელი არა ჰქონდეს თავის გულის დარდის ასაყრელად, თავის ზიანის შესავსებლად, თავისის და თავის ოჯახის პატივისა, ადამიანობის დასაცველად. შორი სატარებელი ბევრს ხარჯს, ბევრს დროს ითხოვს ხალხისაგან, ხალხს ეს ძალიან ძვირად უჯდება ასე, რომ ხშირად იძულებულია ხოლმე თავი დაანებოს საჩივარს, ოღონდ კი არ მოჰსცდეს თავის შინაურს საქმეს და ხარჯი არ გასწიოს წასვლა-მოსვლაში. სადა მთავრობა რომელისამე მიზეზით ამ ყოფაში

ჩააგდებს ხოლმე ხალხს, იქ ხალხის თვალში სამართალიც, რომელსაც სიშორით ვერ მიჰკარებია, მოსამართლეც, რომელსაც შორიდამ ვერ მიჰსწვდენია, ის არის სწორედ, რაც მაღლა დაკიდებული ძეხვი კატისათვის. მეტი რა გზა აქვს, რომ კატასავით არა ჰსთქვას: დღეს არ მეჭმევა, პარასკევაო. ამ ყოფაში ხალხს სამართალი თვის მფარველად აღარ მიაჩნია და ამის გამო ამბობს გულში: რაც ჩემთვის არ არის, თუნდა იყოს, თუნდა არაო. ყველამ ვიცით, რომ ჩვენში ჯერ პირველად თვითო მომრიგებელი-მოსამართლე დანიშნეს თვითო მაზრაში. წარმოიდგინეთ იმისთანა მაზრა, როგორც თელავის, რომელიც იწყობა თითქმის ანანურიდამ ლაგოდეხამდე, ცოტა რომ ვჰსთქვათ ას ორმოც-და-ათი ვერსტი, თუ არ მეტი, მაინც იქნება სიგძით; ანუ დუშეთის მაზრა მცხეთიდამ ლარსამდე, ანუ გორისა — მცხეთიდამ ბექათ-უბნამდე, ანუ ტფილისის თვალ-გაუწვდენელი მაზრა და სხვანი. მერე ჰსცნეს, რომ შეუძლებელია ამოდენა ქარგლით მიზომვა სასამართლო ნაწილისა და ეხლა თვითო მაზრაში ორ-ორი სამოსამართლო ნაწილია. ჩვენ ვამბობთ, რომ მაინც იმოდენა დიდი ნაწილებია, რომ ხალხისათვის სამართალი მეტად შორს არის; ხალხს უჭირდება სამართალთან მისვლა.

რამ აიძულა აქაური კანონ-მდებლობა, რომ ხალხს მომრიგებელი-მოსამართლე არ დაუახლოვა? სხვა არაფერმა, ჩვენის ფიქრით, გარდა ფულის ანგარიშისა. სამართალი და განათლების საქმე ასეთი უაღრესნი და არსებითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სამართლის ურიგოდ მოწყობილება სვავია, რომელიც ჰსნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია, რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელო-მოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. ფული ორმოში იმალება იქ, სადაც იმედი გაწყვეტილია, რომ ჩემი ნაწარმოები ჩემი იქნება, თუ ვინმემ გაბედა და შემეცილებაო, და იგი ფული არ მუშაობს, თუ ხალხში თანხა უშიშარად არა ტრია-

ლებს, თუ ხალხში მკვიდრთ იმედი არ არის დამყარებული, რომ ყო-
ველს ცილებას ადვილად გადამარჩენს სამართალიო, ყოველს დანაკარგს
ადვილად და სწრაფად დამიბრუნებსო, მაშინ სიმდიდრე ხალხისა და
აქედამ სიმდიდრეც სახელმწიფოისა ძმალ ნატვრაა. მაშინ ურთი-ერთ-შო-
რისი ნისია, ესტიპარი (კრედიტი), ნდობა გატეხილია და სადაც ეს არ არის
ვაჭრობა გაშლილი და ფეხ ადგმული, იქ სიმადლეც რომ ამოჰსცხოთ ხალხის
სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის მხოლოდ-ერთობითი წყარო ხალხის
სიმდიდრეა, — ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ წავადგმევინებთ. კანონის სიმტკი-
ცე სიმკვიდრე მიუდგომელობა, დადგრომილება არამც თუ დიდი რამ
არის, — ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწი-
ფოს სიმდიდრისათვის და ეგე ყოველი-ფერი მაშინ არის, როცა სამარ-
თალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ
უნდა იცოდეს მეთქი გულდაჯერებით, რომ შე ჩემი მალე დამიბრუნდება,
მე ჩემი არ დამეკარგება, ერთის სიტყვით, სამართალი და კანონი უნდა
ყველას ჰსწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად. თუ სამართალი
და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი ჰსჯერათ და არც ავი, მაშინ,
ვიმეორებთ, ყოველივერი ამაო. მამასადამე ამისთანა საქმეში, რო-
გორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის დაზოგვა ხარჯის შიში
დიდი შეცდომა და შეუვსებელი ნაკლია.

ან განა მართლა აქაური ხაზინა ისეთს მდგომარეობაშია, რომ სა-
მყოფს ფულს ვერ შოულობს სამართლის რიგიან მოწყობისათვის? თვი-
თო მაზრაში რომ ოთხი მომრიგებელი მოსამართლე მაინც ყოფი-
ლიყო, მომრიგებელ მოსამართლესათვის რომ იმოდენა ტვირთი არ
აეკიდნათ როგორც ჩვენში და ის ეგმარებინათ, რაც რუსეთშია მიღე-
ბული, მომრიგებელი მოსამართლე რომ აქაურ მცხოვრებთაგანი და-
ენიშნათ, მაშინ სრულად საჭირო არ იქმნებოდნენ იმოდენა კანცელია-
რიები, მთარგმნელები, რამოდენანიც ეხლა არიან და ჯამაგირებსა ჰსჭა-
მენ. მაშინ უსარგებლოდ იმოდენა ხარჯი არ წავიდოდა, რამოდენაც
ეხლა კანცელარიებზედ და მთარგმნელებზედ მიდის და იქნება გასწვ-
დენოდა კიდეც იმ ხარჯს, რაც ოთხ ოთხს მომრიგებელ მოსამართ-

ლეს თვითო მაზრაში მოუნდებოდა. თუნდ ესეც არ იყოს, განა სხვა რაიმე სახელმწიფო გასავლის შოკლება არ შეიძლებოდა, რომ ამ უაღრესის საქმისათვის ფართოდ ხელის გაშლა არ დაბრკოლებულიყო. რატომ არ უნდა მოისპოს ეხლა ჩვენში მაგალითად თუნდა ის „დობავოჩნი", რომელიც სრულად უმიზეზოდ და უსაბუთოდ ეძლევათ ჩვენში სხვიდან მოსულს მოხელეს ყოველ ხუთს წელიწადში? ამას წინად რუსულ გაზეთებში ნაჩვენები და დასახელებული იყო ის გასავალი, რომელიც ტყუილ-უბრალოდ ტვირთად აწევს აქაურს ხაზინასა. იმ უსამართლო გასავლის მოსპობა არა სჯობდა, სამართლის ფესვების დაჭრასა?

ამ სახით, არც ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელიც „ადგილობრივ ვითარების" სახელით სარჩულად დაუდვეს ჩვენს მომარიგებელს მოსამართლეობის წესსა, ჭკუაში მისაღები არ არის. ამ სახით სრულად ტყუილ-უბრალოდ ჩვენი ხალხი გამოაკლეს იმ სიკეთეს, რაც განსამართლების წესმა რუსეთს ცოტად თუ ბევრად მიანიჭა. ამ გამოკლებას ის შედეგი მოჰყვა რომ ჩვენში მომარიგებელი მოსართლობა ცარიელ ღეროთ დარჩა, იმისთანა ღეროთ, რომელსაც ფესვებიც დაჭრილი აქვს და ფოთლებიც დაბღერტილი. შემდეგ წერილში შეძლებისამებრ ვეცდებით ეს დავამტკიცოთ.

ილია ჭავჭავაძე.

# ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე

(ნეკროლოგი).

6 მარტს გარდაიცვალა ქუთაისში იმერეთის თავად-აზნაურთა ბანკის გამგე, ბესარიონ ღოღობერიძე. თუმცა მრავალი რამ თქმულა გაზეთებში მიცვალებულის შესახებ, ასე რომ ჩვენგან ახალს ვერას უნდა მოელოდდეს მკითხველი, მაგრამ იმისთანა კაცის დაკარგვა, როგორც იყო განსვენებული ბესარიონი, იმ გვარი საზოგადო უბედურებაა, რომ ჩვენ ვალად ვრაცხთ ჩვენს თავს რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიოთ განსვენებული და მით ჩვენი მწუხარებაც ჩავურთოთ საზოგადო გლოვას და გოდებას; რამდენიმე სიტყვით მეთქი, რადგანაც ვრცელი ბიოგრაფია ბესარიონ ღოღობერიძისა, დაწვრილებითი აღწერა მისის ცხოვრებისა შემდეგ იქმნება დაბეჭდილი „ივერიაში“. — ბესარიონ ღოღობერიძე იყო ღარიბის აზნაურის შვილი, თითქმის ჩვიდმეტ წლამდე შინაობაში გამოზრდილი, თვის სამშობლო სოფელს ჯიხაიშში. აღსავსე ცხოვნის-მოყვარეობითა, მწყურვალი სწავლისა და ცოდნისა, — ბესარიონი შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც სწავლობდა მხოლოდ მეხუთე კლასამდე; შემდეგ გადავიდა ტფილისის გიმნაზიაში კურსის შესრულების შემდეგ რამდენიმე ხანი მასწავლებლად იყო იმავე გიმნაზიაში, რადგანაც იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ იმ წამსვე წასულიყო რუსეთის უნივერსიტეტში შესასვლელად. მოიხელთა თუ არა საკუთარის შრომით ნაშოვნი ორიოდ გროში, მაშინვე გასწია პეტერბურღის უნივერსიტეტში, სადაც შევიდა მათემატიკის ფაკულტეტზედ. დიდი გაჭირება და ვაი-ვაგლახი გამოიარა

საწყალმა ბესარიონმა პეტერბურღში; არა ერთხელ უფიქრია თვის სტუდენტობაში ხვალ რა ვჭამოთ, ან რა ჩავიცვა-დავიხუროთ. ეს გაჭირება მით უფრო საგრძნობელი უნდა ყოფილიყო ბესარიონისათვის, რომ იგი იმ დროს თუმცა ხანში შესული არ იყო, მაგრამ არც ისე ყმაწვილი იყო, რომ მსუბუქად, თითქმის უგრძნობელად აეტანა ნაკლებობა, სიღარიბე. მაგრამ რასაც არ აძლევდა წლოვანობა, აძლევდა განუსაზღვრელი სიყვარული სწავლისადმი, გაუქრობელი ნაპერწკალი უმაღლესის მიდრეკილებისა საყოველთაო სიკეთისადმი. აი, ამ გვარად, მშიერ-მწყურვალი გულ-მოდგინედ შრომობდა, ბეჯითად სწავლობდა და არა მარტო იმას, რაც პირ-და-პირ მის ფაკულტეტს შეეხებოდა: მას მიუძღოდა წინ არა მარტო დიპლომის მოპოვება, როგორც მრავალ სხვა მოსწავლეს, რომელიც ფიქრობს — ოღონდ კი დიპლომი მივიღოვო და სხვას ჯანი გავარდესო: ბესარიონი მარტო ეგზამენიისათვის არა სწავლობდა, არამედ მის სტუდენტობის მიდრეკილების დროშაზედ წარწერილი იყო: ცოდნა, ცოდნა ყოველისფრისა, რისაც კი შეიძლება, ცოდნა ვრცელი და საფუძვლიანი, შემკული გაუქრობელის სიყვარულით საყოველთაო ბედნიერებისადმი. რომ ბესარიონის სწავლა და ცოდნა აძლევდა საზრდოს არა მარტო ჭკუასა, არამედ თან გულიც უთბობდა, ამას ამტკიცებს ბესარიონის თავ-გადასავალი სტუდენტობის დროს... რომ თვის ფაკულტეტისათვის კარგად სწავლობდა და ბესარიონი, ამას თქმა არ უნდა. კურსი რომ შეასრულა პროფესორებმა სთხოვეს უნივერსიტეტში დარჩიო და პროფესორათ მოგემზადეთ. მაგრამ ბესარიონმა არ ინდომა. რატომ? მისი ხალისი შრომისათვის უეჭველია: ერთთავე უეჭველად მისი სიყვარული ცოდნისა და მეცნიერებისადმი. გარდა ამისა პროფესორობას მოსდევს სახელი, დიდება, მაღალი ადგილი საზოგადოებაში, მეტადრე იმისთანა პროფესორს, როგორიც, უეჭველია, იქმნებოდა ბესარიონ ლოლობერიძე. მაშ უარი რად ჰყო პროფესორობაზედ და რატომ არ ინდომა უნივერსიტეტში დარჩენა? ცოდნისა და მეცნიერების სიყვარულის გარდა ბესარიონს გულში უღვივოდა კიდევ არა ნაკლები სიყვა-

რული თვის სამშობლოისა. მას მოაგონდა დავარდნილი, დაცემუ-
ლი ხალხი, მსხვერპლად მიცემული უმეცრებას, შკუით და ზნეობით
სიბნელეს, ჩავარდნილი სხვა-და სხვა ბოროტ-მომქმედთა ხელში... მო-
აგონდა და გულმა ვეღარ მოუთმინა: დასტოვა სახელი, მაღალი სა-
მეცნიერო სამსახური; დასტოვა გულით საყვარელი სფერა მეცნიერე-
ბისა, გამოსწია თვის სამშობლოსაკენ და მიეცა ცხოვრების აყალ-
მაყალს. აქ უჩემოდ სხვანიც ბევრნი იქნებიანო, ფიქრობდა განსვენე-
ბული ბესარიონი, მაგრამ იქ, ბედკრულ საქართველოში კი, წატიო-
სანი კაცი და მოღვაწე ერთი ათასათა ღირსო. 1863 წ. ჩამოვიდა
ბესარიონ ღოღობერიძე ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლად. რა იყო
მაშინ ტფილისის გიმნაზია, რა ადგილი დაიმსახურა ბესარიონმა
მოსწავლეთა და მასწავლებელთ შორის — ამას მკითხველი ამ წიგნის
სხვა ადგილას წაიკითხავს. ხუთის წლის შემდეგ ბესარიონი გამოვიდა
გიმნაზიიდამ და გახდა ინსპექტორად ტფილისის საქალებო ინსტი-
ტუტისა. რა სახელი დაიმკვიდრა აქ ბესარიონმა — ამას ცხადად გვი-
ჩვენებს არა ერთი ცხარი ცრემლი, რომელიც დაიღვარა მის გარდა-
ცვალების თაობაზედ. არა ერთ ქალს განუღვიძა განსვენებულმა ნამდვი-
ლის სწავლისა და შრომის წყურვილი; არა ერთ ქალს ჩააგონა ბე-
სარიონმა, რომ ქალის დანიშნულობა არ არის მხოლოდ ხალხში გა-
მოსვლა და არშიყობა, არამედ მას მოსდევს მაღალი დანიშნულება, და
ამის დაგვარად ქალს უნდა ეჭიროს მაღალი ადგილი საზოგადოებაში; ამ
დამსახურებისათვის საჭიროაო სწავლა და ცოდნა, ცოდნა ნამდვილი,
საფუძვლიანი და არა მარტო გარეგანი ნიშანი ვითომ-ცოდნისა, არა
მარტო ზიზილ-პიპილები განათლებისა,

1874 წლიდამ დაარსებულ იქმნა სახალხო შკოლების დირექტო-
რობა, და ქუთაისის გუბერნიის შკოლების დირექტორათ დანიშნეს
ბესარიონ ღოღობერიძე. უკეთესს კაცს ამ საქმისათვის მთავრობა,
რასაკვირველია, ვერ იპოვიდა. საქართველოს შკოლების გამგე უნდა
ყოფილიყო საქართველოისვე შვილი, მცოდნე თვისის ხალხისა, მი-
სის საჭიროებისა და მიდრეკილებისა; გარდა ამისა საჭირო იყო კაცი,

რომელიც საქმეს ბეჯითად მოჰკიდებდა ხელს არა მარტო იმიტომ რომ სამსახურის მოვალეობა თხოულობსო, არამედ იმიტომ რომ თავი დასდვა ხალხის განათლებისათვის; იმიტომ რომ გული სტკიოდა ხალხისათვის, რომლის კალთაშიაც თვითონ გამოზდილა.

ამ გვარი კაცი იყო ბესარიონი, რომელმაც მართლა და ბეჯითად მოჰკიდა ხელი შკოლების საქმეს. მოიარა ქართლი და კახეთი; საკუთარის თვალით დააკვირდა ხალხის განათლების საქმეს, გამართა რამდენიმე შკოლა (საგარეჯოს, ყვარელს, ენისელს, გურჯაანს და სხვ.). ხალხის განათლების საქმეს ბესარიონმა დაართვა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის საქმეც. იგი კარგად გრძნობდა თუ რა მჭიდრო კავშირი სუფევს ეკონომიურის მდგომარეობისა და განათლების შორის; კარგად ჰხედავდა, რომ ხალხი დიდ გაჭირებაშია, სხვა და სხვა ვაჭრების ხელშია ჩავარდნილი ხელ-ფეხ შეკრული, და თუ კი კუჭსაც ვერ გაიძღობს რაღა სწავლა უნდა მოაგონდეს. ყველა ეს კარგად იცოდა მეთქი ბესარიონ ღოღობერიძემ, და ამიტომაც მიჰყო ხელი მომძღვრებას შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დაარსებისათვის და დაარსა კიდეც რამდენიმე. ამ ამხანაგობათა გამგეობა ჩააბარა თვით სოფლის მასწავლებელთ და მით თითქო აღიარა ხალხის წინაშე ის ურთიერთობა სწავლისა და ეკონომიურის მდგომარეობის შორის, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ. ჩვენდა სამწუხაროდ დიდხანს ვერ მოუხდა ბესარიონს შრომა ხალხის განათლებისათვის, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც დაიმკვიდრა მან ხალხში კეთილი სახელი და გულითადი სიყვარული. „ამას დიდხანს არ დაივიწყებს ხალხიო", იწერება გაზეთის „კავკაზის" სიღნაღელი კორრესპონდენტი.

დიდხანს ვერ გასტანა მეთქი ღოღობერიძის დირექტორობამ. იმერეთის თავად-აზნაურობა შეუდგა საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას, რომლის წესდება ბესარიონმავე შეადგინა. ამ ახლად დაწყებულ საქმისათვის საჭირო იყო თავდარიგიანი კაცი, მხნე, მცოდნე, პატიოსანი, საქმისათვის თავდადებული, მარტო საქმისათვის და არა მიმყოლი ტყუილ-უბრალო ლაქლაქისა და ცილაობისა საკუთარის პირადის, სარგებ-

ლობისათვის. ამ გვარ კაცათ გამოჩნდა ისევ ბესარიონ ღოღობერიძე. „მართალია, მსხვერპლად უნდა დავდვა ჩემი გულით საყვარელი შრომა და მოღვაწეობაო, — ფიქრობდა ბესარიონი, — მაგრამ ისიც (თავად-აზნაურთა ბანკი) დიდი საქმეაო ჩემის ქვეყნისათვისაო, და საჭიროაო, რომ დასაწყისშივე კარგ გზაზე დადგესო".

ბანკის გამგეთ ამოირჩიეს ბესარიონ ღოღობერიძე, რომელმაც უშველებელის შრომით მიჰყო ხელი მის საქმეს და ზედ შეაკვდა გიდეც.

გარდა ამ საჯარო და ყველასთვის აშკარა მოღვაწეობისა ბესარიონს არა ერთი სიკეთე მოუხდენია საიდუმლოდ ქართველ ახალგაზრდობისათვის, ჩვენის ქვეყნის მოსწავლე ყმაწვილ-კაცებისათვის: ვისაც გროში არა ჰქონია სწავლისათვის — უშოვნია ბესარიონის შემწეობით; ვისაც წიგნი დაჰკლებია — იმავე ბესარიონს მიუწვდენია. ამგვარი შემწეობა არავის არ ეთაკილებოდა, რადგანაც ბესარიონის გულწრფელობა ყველასთვის უეჭველი იყო; წიგნს მიაწვდენდა თუ ფულსა — მიაწვდენდა ისე ალალად, ძმურად, რომ წყენას ან თაკილობას არავითარი ადგილი არა ჰქონდა. „ერთი ცის ქვეშა ვართ დაბადებულნიო, ერთისა და იმავე ქვეყნის შვილები ვართო და რად უნდა გვწყინდესო ერთი ერთმანერთის შველა და შემწეობაო; დღეს მე გშველიო, ხვალ შენ მიშველიო", ასე ამბობდა განსვენებული ბესარიონი.

ბესარიონ ღოღობერიძე გარდაიცვალა ორმოცდაშვიდის წლისა, ჯერ ისევ მხნე, ისევ ბეჯითი მშრომელი, აღსავსე ძალითა და ღონითა. მართალია დღეს თითქმის მთელი საქართველო გლოვობს ამისთანა შვილის დაკარგვას, მაგრამ განსვენებულმა დაუნერგა თვის სამშობლოს ერთი ნუგეშიც: სჩანს სიცოცხლისა და წარმატების სახსარი არ გასწყვეტია იმ ქვეყანას, რომელსაც ებადება ამისთანა სახელოვანი შვილი! —

მოგვყავს ის ორი სიტყვა, რომელნიც წარმოთქმულ იქმნეს — ერთი იმერეთის ეპისკოპოსის მიერ, მეორე — ნ. დ. ყიფიანისა ძლ-

ზორის მოედანზედ მრავალი ხალხის წინაშე, რომელსაც მიცვალებული ბესარიონი გამოასვენეს ეკკლესიიდამ.

სიტყვა თქმული ქუთაისის სობოროსა შინა შემდეგ წესის აგებისა მიცვალებულის ბესარიონ დოდობერიძესა ზედა.

„ძმანო ქრისტიანენო!

„ვგონებ, რომ დღეს მთელ ჩვენ ქალაქში არ არის არც ერთი კაცი, რომელიცა არ გრძნობდეს მძიმე მწუხარებასა, მხედველი ამის კუბოისა და მას შინა მდებარისა მიცვალებულისა. არა თუ მისნი ნათესავნი და მეგობარნი, არამედ ყოველნი, რომელთაც გაეგონილი ჰქონდა, ვინ იყო იგი და რა კაცი იყო, დღეს არიან ღრმად შეწუხებულნი მისის სიკვდილისაგან.

„მართლადაც, ვინ არ შეწუხდება მხედველი ასე უდროვოთ მისის გარდაცვალებისა! ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება სამწუხაროთ ფრიად ღარიბია ამისი მსგავსი პირებით. არა თუ ღარიბი ვართ, თითქმის არავინ არა არის ჩვენ შორის ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს მთელი საზოგადოების ყურადღების და მინდობილების მიზიდვა. მიცვალებული კი იყო ერთი ესრეთი პირი. იგი იყო შემკული მაღალი ჭკუითა და სხვათა სულიერთა ნიჭთაგან, რომელნი იყვნენ დამუშავებულნი ღრმა და საფუძვლიანი სწავლითა. ამასთანავე ცხოვრება და საქმენი მისნი ყოველთვის იყვნენ ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი ქვეყნისათვის. საზოგადოებისაგან მას ჰქონდა მინდობილი დიდი საქმე, რომელსაც იგი მართავდა ჭკუით და წარმატებით.

„და აჰა, ესე რა იგი გარდაიცვალა უცაბათ, უდროვოთ, და ვერ მოასწრო მან მისი საქმისა სისრულეში და სიმწიფეში შეყვანა. ვინ არ შეწუხდება, ვინ არ დაღონდება და არ დაფიქრდება მხედველი ასე უდროვოთ მისი გარდაცვალებისა.

„გარნა, ძმანო ქრისტიანენო! თუმცა იგი მართლა უდროვოთ გარდაიცვალა, თუმცა მას კიდევ მრავალი სიკეთის და სარგებლობის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თავი ვანუგეშოთ მით, რომ მან მაინც მრავალი სიკეთე და სარგებლობა

მოიტანა თავის ქვეყნისათვის, მაინც დიახ პატიოსანი სახელი და ქება დასტოვა, მაინც ბევრი კარგი მაგალითი გვიჩვენა ჩვენ. არ ვიტყვი და საჭიროც არ არის აქ ვახსენო რამდენი შრომა მიუძღვის მას თავიდგანვე შემდგომ სწავლის დასრულებისა და სამსახურის დაწყებისა ქვეყნის განათლებისათვის. მარტო ერთს და ისიც უკანასკნელს მისის სიცოცხლის გარემოებას გავიხსოვნებ. თამამათ ვიტყვი, და ყოველთა მისთა მახლობელთა იციან ესა, რომ მან თვისი სიცოცხლე დალია და შესწირა იმ საქმეს, რომელიც მას ჰქონდა მინდობილი საზოგადოებისაგან, — იგი გადაჰყვა, ანუ დაბეჯითათ ვიტყვი, გადააკვდა მის სამსახურს.

„კარგი ხანია იყო იგი ავათ, თან-და-თან სუსტდებოდა, მაგრამ არ იშლიდა ჩვეულებრივ შრომას. მისი მეგობარნი და ნათესავნი ურჩევდენ და სთხოვდენ, რომ ცოტა ხანს მოისვენოს, დაეთხოვოს სამსახურს, წავიდეს სადმე მოსარჩენათ, მაგრამ არ დაუჯერა, ეშინოდა რომ საზოგადო საქმეს არ მიეცეს რაიმე ზარალი მისი განშორებით.

„ისე თავ-გადადებული იყო და მოყვარული მისი საქმისა, რომ ლოგინზედაც დაწოლა არ მოინდომა, თუმცა ძლივს დადიოდა, თითქმის ფეხზე მდგომარე გარდაიცვალა; უკანასკნელს სულის ამოფშვენამდი იყო შრომაში და მუშაობაში.

„დიდია ეს მაგალითი, დიდია ამისთანა თავ-გადადება სამსახურისთვის, მეტადრე ახლა ამ ჩვენ დროებაში, როდესაც თითქმის ყოველნი სამსახურში მყოფნი ცდილობენ რაც შეიძლება, ერთი მხრით, თავის გაუჭირვებლად გაატარონ მათი სამსახური და მეორე მხრით, რაც შეიძლება, მომეტებული სასყიდელი და სარგებლობა გამოიტანონ სამსახურიდგან.

„ძმანო! როდესაც მხედარი თამამათ სდგას გაცხარებულ ომში, გარემოს მისა ათასნაირი სიკვდილი ფრინავს, მაგრამ მას არ ეშინიან, უშიშრად შეებმება მტერსა, ხან-და-ხან დაკოდილიც არ ეშორება ბრძოლასა და მიიღებს სიკვდილსა, მას ყოველი კაცი აქებს, გმირს

ქმნის. მაგრამ ვგონებ, რომ უდიდესი ქების ღირსი არის ის კაცი, რომელიც მსგავსად საბრალოისა ამის მიცვალებულისა, თავის სიცოცხლეს შესწირავს ასე თავ-დადებულად საზოგადო საქმეს, ჩუმათ, მოთმინებით, არა მომლოდინე, რომ მას ვინმე უყურებდეს და აქებდეს, არამედ კიდეც ესმოდეს მრავალი უკადრება, ცილის წამება მტერთაგან და მოშურნეთა. მტერი, მოშურნე თვით უკანასკნელს, არა რაით შესანიშნავს კაცს ჰყავს: მიცვალებულს, რასაკვირველია, ვითარცა გამოჩინებულს და შესანიშნავს პირს, მრავალნი მტერნი და მოშურნე ჰყავდა, რომელნიც მასზედ მრავალს უსამართლოდ კიდეც სწერდენ და კიდეც იტყოდნენ და უმეტესად უმძიმებდენ მის შრომას.

„გარნა რაიცა აქამომდე ჩვენ ვსთქვით, ის იყო სოფლიური, ხორციელი საქმე, რაც მას ჩვენ უქეთ აქამომდე ისიც ხორციელი იყო და სოფლიური. მართალია, ვინც ისე თავ-გადადებით და ნაყოფიერად ასრულებს მის მოვალეობას, როგორც მიცვალებული, იგი ღვთის ნებას ასრულებს, ღმერთს ემსახურება; რადგანაც ღმერთიც ამას გვიბძანებს და ამას მოითხოვს ჩვენგან, რომ დაუცხრომელი შრომითა და მეცადინეობითა ვატარებდეთ ჩვენსა ცხოვრებასა.

„გარნა, ძმანო, ქრისტიანენო! რაც გინდა შესანიშნავი იყოს კაცი, თუ გინდ მთელ ქვეყანას აკვირვებდეს თავის ჭკუითა და საქმითა, თუ სარწმუნოება ღვთისა არ ჰქონდა, იგი იქნება მხოლოდ ამ სოფლის შვილი და მუშაკი, იგი სილაზე აშენებდა მის სახლს, მისი ქება და სახელი იქნება მოკლე, ვითარცა ეს სოფელი და აქაური წუთიცხოვრება და იმასაც ვფიქრობ, რომ ყოველი მორწმუნე, ღვთის მოყვარე კაცი, როდესაც კუბოში დაინახავს მიცვალებულს, უპირველეს ყოვლისა იმას იკითხავს თავის გულში — როგორი ქრისტიანე იყო იგი, ჰქონდა თუ არა სასოება და სარწმუნოება? ახლა ამ ჩვენ დროებაში უმეტესად საჭიროა შევიტყოთ — მორწმუნე კაცი იყო თუ არა ეს მიცვალებული?

„ახლა ერთი ახალი და შესანიშნავი გარემოება წარმოებს ჩვენს საზოგადოებაში, ის რომ ჩვენ ქვეყანაში ყოველნი არაკოვანნი მოხუ-

ცვნულნი—მველებულნი ქრისტიანები ეჭვით უყურებენ ახალ-გაზდა თავის შვილთა და შვილის-შვილთა, მეტადრე მათ, რომელთა რაოდენიმე განათლება მიუღია დიდ თუ მცირე სასწავლებელში, და არა თუ ეჭვით უყურებენ, თითქმის არ სწამთ, რომ იგინი ქრისტიანენი იყვნენ, სარწმუნოება ჰქონდესთ, მეტადრე თუ მაღალი სასწავლებელიდგან გამოვიდა ვინმე, არავის დაიჯერებს რომ იგი იყო მორწმუნე კაცი. სამწუხაროდ ჩვენდა და ყოველის თავის მამულის მოყვარის კაცისა ეს ეჭვი უსაფუძვლო არ არის, ცხადად ხედვენ მველებულნი კაცნი, რომ ახალ-გაზდობათა შორის სუსტდება და ეცემა სარწმუნოება ღვთისა და ქრისტიანობა. როგორი იყო ამ კერძოით მიცვალებული? მორწმუნე ქრისტიანე იყო თუ არა? თუ მას სარწმუნოება არ ჰქონდა, არასოდესრი არ ჰქონია, ყოველი მისი ქება და შრომა აქვე გაქარდება ამ კუბოში. რისთვის მოიკლა მან თავი? უმჯობესი არ იყო, რომ დრიოდე დღე კიდევ ეცოცხლა ამ ქვეყანაში? გარნა, ძმანო, ჩემნო! სანუგეშოდ ჩვენდა, ჩვენ გვაქვს მიზეზი და საფუძველი ვსთქვათ, რომ იგი იყო მორწმუნე, ქრისტიანე კაცი. ხოლო ეს გარემოება რომ ესრეთი განათლებული კაცი არ იყო ურწმუნო, არამედ ჰქონდა ცხოველი სარწმუნოება და ქრისტიანობა კიდევ ერთხელ ცხადათ ამტკიცებს იმ ჰაზრს, რომ ურწმუნოება არ არის ნაყოფი სწავლისა და მეცნიერებისა, არამედ უმეტესად უსწავლელობისა, ანუ ზედა პირი უსაფუძვლო სწავლისა. მართლა, ვინ იყო და ვინ დარჩა ჩვენ ქვეყანაში ისე ღრმად და ვრცელად სწავლული და მეცნიერი, როგორათაც მიცვალებული ესე? გარნა მისმა სწავლამ და მეცნიერებამ არ გააქარვა მისი სარწმუნოება, არამედ უმეტესად დააღრმავა და გაამაგრა. არა უსაფუძვლოთ იტყვის ერთი უდიდებულესთა ფილოსოფოსთაგანი, რომ ღრმა მეცნიერება კაცს მიიყვანს ღვთის სარწმუნოებისადმი, ხოლო ზედა პირი, უსაფუძვლო სწავლა—ურწმუნოებისადმი.

„ხოლო შენ, საბრალო მოხუცო, მამავ ამა მიცვალებულისა, ჭეშმარიტად განუზომელი უბედურება გეწია დღეს. ამისთანა შვილი ჯერეთ არავის არ დაუკარგავს! გარნა მხნეთ იყავი. ჩვენ მოხუცებულ-

-თა კაცთა სახე და მაგალითი უნდა ვუჩვენოთ ახალ-გაზრდობასა. ღვთის მორჩილებით უნდა მოვითმინოთ უბედურება და მწუხარება!“

სიტყვა უფ. ნ. ღ. ყიფიანისა:

„ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს კაცი იყო საფუძვლიანად ნასწავლი, მრავალი ცოდნის და მტკიცე და ბეჯითი ხასიათის პატრონი მუშა კაცი, მუდამ მშრომელი და ყოველთვის ჯაფის მოყვარე. სწავლის შეძენა, ცოდნის მითვისება და მაგარი ხასიათის შემუშავება არ შეიძლებოდა, თუ არ დაუღალავის მეცადინეობით.

„ბევრი წელიწადი გაატარა ამ კაცმა სწავლაში, მუდმივ შრომაში და დაუდგრომელ ჯაფაში.

„რისთვის და ვისთვის? რა ჰქონდა მიზნად ამ კაცს, როდესაც სხვილი წიგნების გროვაში იყო ჩამჯდარი სტუდენტობის დროს, ან მანამდის, ან შემდეგ ყოველთვის? ამის ასახსნელად გადავკრათ თვალი ამის მოქმედებას, როდესაც სწავლის გათავების შემდეგ მობრუნდა საქართველოში.

„თავდაპირველად ამან აირჩია ასპარეზი, რომელსაც ეტრფოდა მრავალი ჩვენთაგანი სტუდენტობის დროს, ასპარეზი ახალი თაობის სწავლებისა, პედაგოგის. მეც ვიყავი ერთ დროს ამის მოწაფეთ და დღესაც ბედნიერად ვსთვლი იმ დღეებს, როდესაც ვისმენდი ამის გონივრულს თავდარიგიანს სიტყვას, რომელიც იმ დროს მინერგავდა სიყვარულს სწავლისადმი.

„შემდეგ ამან მოჰკიდა ხელი უფრო დიდს საქმეს, შეუდგა უფრო ფართო გზას: ხალხში სწავლის გავრცელების საქმე მიანდო ამას მთავრობამ. ჩვენ ვხედავდით იმ დროს ბესარიონს, რა მაგრად და რა ენერგიულად ასრულებდა თავის მოვალეობას და რა ბედნიერად სთვლიდა პირველ დროს თავის თავსა, რომ ამისთანა საქმის მმართველად გახდა.

„როგორ დაიმსახურა ამან იმ დროს ჩვენი მადლობა, ამის პატივს ჩვენ მივიღებთ, აზრით რომ გადვიდეთ იმ სოფლებში, სადაც ამან თავის ხელით გამართა სახალხო სასწავლებლები, თუ ვკითხავთ

იმ სოფლელ ყმაწვილებს, რომელნიც იმ დროს სწავლობდნენ იმ სასწავლებლებში.

„მაგრამ აკმაყოფილებდა ამას ეს საქმე თუ არა, შეეძლო მას თავის საკუთარის აზრით და თავის საკუთარის რჯულ რწმუნებით ემოქმედნა თუ არა, ამაზედ ახლა ჩვენ არ გვაქვს ნება ვილაპარაკოთ,— რატომ, ამას თქვენ თითონ მიხვდებით

„ბოლოს დროს ამ კაცმა გადმოიტანა თავისი ძალა და ღონე თავის სამშობლოში, აქ, სადაც დაიბადა და სადაც გაიზარდა, და ეს ძალა და ღონე თვისი შესწირა სა-ზო-გა-დო-ებას.

„ხელმწიფის სამსახურში დამსახურებულმა და მმართებლობისაგან პატივნაცემმა, იმ დროს, როდესაც სახელმწიფო სამსახურში დაწინაურებაც შეეძლო და ჩინოვნიკურ კეთილ-ცხოვრების მოპოვებაც და შემატებაც ამან სა-ზო-გა-დო-ებას უძღვნა თავისი სწავლა, ცოდნა, ღონე და მრთელი სიცოცხლე. საზოგადოებისათვის, ხალხისათვის, ქვეყნისათვის უნდა ვიმუშავოთო, იტყოდა ხოლმე ხშირად ეს ჩვენი მოძღვარი და ნამდვილი შვილი თვისი მშობელი ქვეყნისა.

„სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენ შორის ძალიან ნაკლებად ვხედავთ ბესარიონისავით საერთო საქვეყნო და საზოგადო საქმისათვის მოღვაწე კაცებს.

„ესეც უნდა ვსთქვათ, რომ არავის, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედს, ჩვენში არ გამოუცდია იმ გვარი წყენა და იმდენი უსიამოვნება ზოგიერთ განცალკევებულ პირთაგან, რასაც უსიამოვნობას იტანდა გამაგრებული გულით ეს მშრომელი კაცი.

„იმდენი მოღვაწეობა, რაც სიყრმიდგან მოყოლებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში თვით უკანასკნელ დღემდინ გასწია ამ მშრომელმა კაცმა ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის და თვის მოძმეთა წარმატებისათვის იტვირთა, უნაყოფოთაც არ ჩაუვლია შენს მხნეობას და შენს ღვაწლს, ჩვენო დაუვიწყარო ბესარიონ.

„ღმერთმა მოგვანიჭოს ჩვენ საქართველოს ახალ-თაობას, ამ ყამად სხვა-და-სხვა ნაირი ნისლით მობურულ მდგომარეობაში — იმ ნა-

თელი გზის გარკვევა, რომელზედაც გხედავდით შენ ბეჯითის და საფუძვლიანის ნაბიჯით მსვლელად და ღმერთმა მოგვცეს ღონე ამ შენგან ნავალ გზაზედ მსვლელობისა ჩვენც შენზედ მგლოვიარე საქართველოს ყმაწვილ-კაცობას

„დღეს ვეთხოვებით ბესარიონს, მაგრამ სახელი ამ პატიოსანი კაცისა დარჩება ჩვენ შორის. ვისურვოთ, რომ სახელი ამ საუკუნოთ მიძინებულის კაცისა განგვაღვიძებდეს ჩვენ, საქართველოს ახალთაობის კაცებს, საშრომელათ ქვეყნის კეთილ-დღეობისადმი და ამ ქვეყნის ერთგული კაცის წადილების აღსასრულებლად.

„დაისვენე ორმოც-და-ათის წლის ნაშრომმა კაცმა და შენმა შეუწყნარებელ შრომაში განვლილმა სიცოცხლემ თვისის მაგალითით გაგვამხნეოს ჩვენ, ვინც დღეს შენზედ ვსტირით...“

# ფიქრი და შენიშვნა

გლოვა ბესარიონ ღოღობერიძის გარდაცვალებაზე. ზოგიერთი რამ ჩემის ნახსომიდამ. ბესარიონის უმთავრესი ღვაწლი ჩემის აზრით. სულიერი საზრდო ღოღობერიძისა და ერთი ხანა რუსეთის ისტორიისა და ლიტერატურისა.

საზოგადო გლოვა და მწუხარება, რომელიც მოჰყვა ბესარიონ ღოღობერიძის სიკვდილს, არის, ჩემის აზრით, მოვლენა ყოვლად ღირს-შესანიშნავი, ღირსი ყურადღებისა და დაკვირვებისა; ამ მოვლენის წინაშე ზურგის მიბრუნება შეუძლებელია მომდინარე ცხოვრების მემატიანესათვის. ამიტომაც ორიოდე სიტყვა უნდა მომისმინოთ ამ გარემოების შესახებ.—ბევრჯელ გვინახავს მე და შენ, მკითხველო, დიდის ამბით მისვენება მიცვალებულისა; გვინახავს მრავალი გამცილებელი და დიდი გროვა საფლავზედ. ვინ ყოფილა, ამ შემთხვევაში, მიცვალებული? თითქმის ყოველთვის ეს ყოფილა დიდი-კაცი, მაღალის თანამდებობის მქონე, უმაღლესთაგანი მოხელე. მის საფლავზედ მოგროვილან, ნაცნობთა გარდა, უთვალავი მოხელენი, პირ-და-პირი ხელქვეითნი ან ასე თუ ისე დამოკიდებულნი განსვენებულის თანამდებობაზედ: ხელქვეითობა მაღალ თანამდებობაში ხომ შორსა სწვდება! ან მიცვალებული ყოფილა კიდევ დიდის სიმდიდრის პატრონი, რომლის მწყალობელთა რიცხვი, ამის გამო, ყოფილა უთვალავი. იქნება ესა თუ ის წარჩინებული მიცვალებული მართლა ყოვლად პატიოსანი და პატივ-საცემი კაცი იყო? იქნება. მაგრამ, რა წილი ჰქონია იმ გლოვაში ერთის მხრით—გულითადს, ალალს მწუხარებას, და მეორეს მხრით—პირმოთნეობას, ვალდებულობას და სხვ., ღმერთმა უწყის. ამიტომაც ამ გვარ გლოვისათვის არავითარი საზოგადო მნიშ-

ვნელობა არ მიგვინიჭებია. მაგრამ, როდესაც მიცვალებული არ ყოფილა არც სიმდიდრის პატრონი, არც მაღალის თანამდებობის კაცი, და როდესაც მას დაჰსტირის ათასი, ათი-ათი ხალხი, ქვეყანა დიდიდამ პატარამდე, მაშინ გულ-წრფელობა ამა გლოვისა უეჭველია; მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ თვითონ კაცი ყოფილა დიდებული, თვითონ მის შინაგან თვისებაში უნდა მოიძებნებოდეს მიზეზი მისდამი ქვეყნის პატივის-ცემისა. იმისას კი აღარას მოვახსენებთ, რომ ამ გვარი გლოვა პატივსა სდებს თვითონ ხალხს, საზოგადოებას, ქვეყანას, რომელიც ასე ესალმება თვის საყვარელს შვილს; ცხადად გვიჩვენებს თუ რა ღირსეულად იცის დაფასება საზოგადოებამ ნამდვილის ღვაწლისა, მის სარგებლობისადმი მიმართულისა. ამ მხრით ბესარიონ ღოღობერიძის დასაფლავება ყოვლად ღირს-შესანიშნავია: იყო კაცი უბრალო, ჩუმი მშრომელი თავის ხალხისა და ქვეყნისათვის; იგი არცა ყვიროდა, არც ტრაბახობდა ქუჩა-ქუჩა დიდი რამე ვარო. მაგრამ, დახე ხალხის ბუნებითს გონიერებას (მას ხომ დიდი-ხანია გაუნათლებლობისა და ბრიყვობის სახელი აქვს დავარდნილი!); დახე მის განვითარებულ გრძნობიერობას, მის უცილავ გულის ძგერას სიმართლისადმი! იგი რას დასდევს — მიცვალებული დიდი-კაცი იყო თუ პატარა, გული ვარსკვლავებით ჰქონდა მოჭედილი თუ არა, ჯიბე სავსე იყო, თუ ჯიბე — ცარიელი? საკუთარი ჭკუა უჭრის, საკუთარი გული უთქვამს, თუ სად არის ნამდვილი ღირსება და დიდება, და ჰსცემს კიდეც თაყვანს... აბა, მაშ, ვნახოთ რა იყო ბესარიონი და რით დაიმკვიდრა სახელი და დიდება.

ეხლაც ნათლად მახსოვს ის დრო, როდესაც ბესარიონი ჩამოვიდა ტფილისის გიმნაზიის მასწავლებლად. რა იყო მაშინ ტფილისის გიმნაზია — ამაზედ არა მგონია, რომ გრძელი ლაპარაკი იყოს საჭირო, მით უფრო რომ აწინდელი მდგომარეობა გიმნაზიისა ბევრად არ დაშორებია ძველობისას: ყაზარმასავით მოწყობილი სასწავლებელი; წამ-და-უწუმ ფორმით ბრძანებლობა, ერთის მხრით, და გვარად თვალ-ახვეული ფორმით მორჩილობა, მეორეს მხრით

თავიდამ ბოლომდე თვალ-გაუწვდენელი სიბნელე, რომელშიაც არავი-თარ ცოცხალ სხივს არ ჰქონდა ადგილი. რას მიქციოდა ზნეობითი განვითარებას, ჭკუა-გონების გახსნილობას? თავი და თავი საქმე იყო ეგზამენია, განაკვეთისა და სახელმძღვანელოს ჩაბულბულება. ამ გვარი სიმშრალე ფორმით სწავლისა, რასაკვირველია, ვერაფერი თამასუქი იყო ნიჭის განვითარებისათვის, ვისაც ნიჭი დაბადებიდგანვე ჰქონია შეყოლილი, ან საზოგადოდ ჭკუა-გონების განცხოველებისათვის. მე ვი-ცი დაფიქრდებოდა ვინმე, რომ მშრალი გაზეპირება განაკვეთებისა ბავშვისათვის საკმარისი არ არის; რომ მისი ნორჩი ბუნება მოითხოვს უფრო ცოცხალს, უფრო უკეთეს საზრდოს სუ-ლიერს. მე ვიცი დაფიქრდებოდა ვინმე, რომ თესლი, დანერ-გილი ბავშვის გულში, გაჰყვება კაცს ბოლომდე...... ვინ იცის რამდენი გონება და ნიჭი დახშულა ამ გარემოებაში და რამდენი ცო-ცხალი და ჩვილი გული დაჩაგრულა. ნეტავი იმ ყმაწვილს, ვისაც იმდენი ბუნებითი ძალა ჰქონია, რომ თავის-თავად გახსნია გონება, თა-ვის-თავად აუხილავს თვალი და აჰსუყებია გული გარემოცულ სიმშრა-ლით. მაგრამ, მეორის მხრით, კაი ამავე ყმაწვილს თუ თვის მასწავ-ლებელთა შორის არ ჰყოლია არავინ, რომელსაც შეჰძლებოდეს მის-თვის ხელის მიწვდენა, გზის მომართვა, — რომელსაც ჰსცოდნოდეს პასუხის მიცემა მაზედ, რაც აღძრულია ბავშვის გულში და აღძვრა, გაღვიძება ამისა, რაც მიძინებულია. ყმაწვილი ელის ამისთანა კაცს ვით ანგელოზს ციდამ მოვლენილს. ამ გვარი ანგელოზი ტფილისის გიმნა-ზიისათვის იყო კესარიონ დოლიძე. იგი მოევლინა გიმნაზიას ვით მფრინველი ზეცით მის ადგილზედ, ვით მნათობი გარემოცულ წყვდიადში. არა ერთ ყმაწვილს დაუწყნარა გულმა ფრთოლვა, არა ერთმა აცქვიტა ყური, არა ერთს უფიქრია — „აი, ეს მეტყვის ახალსა და ცოცხალ სიტყვას, ამას გადუშლი ჩემს გულის პასუხს, მას შევჩივ-ლებო ჩემს მწუხარებასა და ვკითხავ რაც არ ვიცი; ეს სხვებსავით არც გამწყრება, არც დამცინებს, გზას დამანახვებს ცხოვრებისას და მეტყვის რათა ვარ, რისთვისა ვარ, ვის უნდივარო“. მართალს

და არც გაუცრუვებია ბესარიონს ყმაწვილობის მოლოდინი. „ჩემი სახლი ყველასთვის ღია არისო, — ეუბნებოდა ბესარიონი, — რაცა გნებავთ, როდესაც გნებავთ მზათა ვარო". კარგად იგრძნეს ყმაწვილებმა ბესარიონის გულწრფელობა და უშიშრად მიაწოდეს ხელი, უშიშრად გადუშალეს მას თვისი გული. ამ გვარად ჩამოვარდა მჭიდრო მეგობრობა ბესარიონისა და მის მოწაფეთა შორის. ეს მეგობრობა სწავლის საქმეს, რასაკვირველია, არამც თუ არ ახდენდა, არამედ უფრო აცხოველებდა, ანაყოფიერებდა. ვინც ყოფილა ბესარიონის მოწაფე და ახლო მდგარა მასთან, არას დროს არ დაავიწყდება ის ტკბილი ბაასი, რომელიც არა ერთხელ გაუწევია ბესარიონს; არ დაავიწყდება ის გულის ძგერა, რომლითაც მიდიოდა იგი ბესარიონთან და ის აღტაცება, რომლითაც ისმენდა იგი ყოველს მის სიტყვას. ბესარიონმა იცოდა ლაპარაკი გულახდილად, ისე რომ არც დააფთხოს ჩვილი ბუნება ყმაწვილისა და თან მტკიცე განვითარება მისცეს მის ჭკუა-გონებას. ნეტავი იმას ვინც იცის ამ გვარი ლაპარაკი! ამისათვის საჭიროა ნათელი და მტკიცე რწმენა, საჭიროა გული აღსავსე განუსაზღვრელის სიყვარულით კაცობრიობისადმი, საჭიროა მჭიდრო კავშირი, ერთობა ჭკუის მოთხოვნილობისა და გულის მიდრეკილების შორის... თქვას კაცმა სიტყვა და მსმენელს ყრყოლა მოჰგვაროს, თქვას სიტყვა და შეაძულოს ამა მსმენელს რაც უყვარდა, ან შეაყვაროს რაცა სძულდა — ეს ისეთი თვისებაა, რომელსაც, ჯერ-ჯერობით, ყველა არ ჰღირსებია. ნეტავი იმას, ვისაც ჰქონია ეს ბედნიერი თვისება! ნეტავი იმასაც, ვისაც თვის სიცოცხლეში ერთხელაც არის ჰსმენია იმისთანა სიტყვა, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ! ბესარიონმა იცოდა ამ გვარი მოძღვრობა და ლაპარაკი, და მისის სულის სიმაღლეც ამაშია. მის სახელის სადიდებლად ის ღვაწლიც საკმარისია, რომელიც ამ მხრით დასდვა ბესარიონმა. პირად ლაპარაკი და მით ზედ-მოქმედება და გავლენა დიდი რამ არის; იგი ძალაა არა ნაკლები სხვაზედ; იგი არის არა მარტო სიტყვა, არამედ საქმე სხვა საქმეთა შორის. ამისათვისაც არა ნაკლებად საჭიროა, როგორც ზე-

მოდ მოგახსენეთ, ცოდნა ვრცელი და მრავალ-გვაროვანი, რწმენა მტკიცე და საფუძვლიანი, სიყვარული თუ ძულვა მკვიდრი და განვითარებული.

საიდამ გამოჰყვა ბესარიონს მისი რწმენა, მისი სულიერი განვითარება—ამის გამოსაკვლევლად საჭიროა მოვიხსენიოთ ის დრო და ხანი რუსეთის ლიტერატურისა, რომელსაც დაესწრა ბესარიონ ღოღობერიძის სტუდენტობა. ეს იყო დრო, რომელიც მოჰყვა ყირიმის ომიანობას, უკეთესი დრო რუსის საზოგადოების და ლიტერატურის განვითარებისათვის; ეს იყო დრო, როდესაც ლიტერატურაში უპირატესობა ეჭირა „Современникъ"-ს და მის უკეთესთა მოღვაწეთ; როდესაც საზოგადოება, თითქო ძილ-გაკრთობილი, აღტაცებით მიეცა იმედს—უკეთესის კეთილ-ცხოვრებისას; ეს იყო დრო ბატონ-ყმობის მოსპობისა და სხვა მრავალ-გვარ ცვლილებათა დასაბამისა. საზოგადოება თითქო პირს უბრუნებდა და სამუდამოდ ესალმებოდა თავის წარსულს, უწყალოდ ჰკიცხავდა აწმყოს და პირმღიმარე შეჰსცქეროდა მომავალს. მიყრუებულმა ცხოვრებამ გაიხმაურა, ყოველს კუთხეს დაეტყო მოძრაობა. მეცნიერება, ლიტერატურა, უკეთესი ნაწილი საზოგადოებისა,—ყველანი ერთად, ძმურად, ხელი-ხელს გაყრილნი ადგნენ ერთსა და იმავე გზას წარმატებისას. ლიტერატურა გრძნობდა თავის მაღალს დანიშნულებას და მისი უკეთესი მოღვაწენი ღირსეულად ასრულებდნენ ამ უმაღლესს თანამდებობას. საზოგადოება, თავისის მხრით, დიდის პატივით ისმენდა ლიტერატურის ნაუწყს და ბანს აძლევდა მის გულის ძგერას. ამ მსმენელთა შორის უპირველესნი იყვნენ, რასაკვირველია, მოსწავლე ყმაწვილები—ნუგეში და იმედი საზოგადოებისა მის მიდრეკილებაში უკეთეს მომავალისადმი...

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, ეს იყო დრო, როდესაც საზოგადოება სამუდამოდ ესალმებოდა წარსულს, მაგრამ ჯერ კი არ ჰქონდა გამონახული ფორმები მომავალის ცხოვრებისა. ამისათვის საჭირო იყო სწავლა, ღრმა ფიქრი და დაკვირვება; საჭირო იყო ვრცე-

ლი, თეორიული შრომა და მოღვაწეობა. ამ მოღვაწეობას ადგა იმ დროის ლიტერატურა და ამ მოღვაწეობაზედაც გამოზრდილა იმ დროის უმაწვილ-კაცობა, რომელსაც ეკუთვნოდა ბესარიონ ღოღობერიძეც...

ნ. დავითიშვილი.

---

# ქუთაური მიმოხილვა.

ბესარიონ ღოღაბერიძის დასაფლავება — ერთით ნაკლები — ხალხის წინ მალაყს ვერ გაუჭრია — განკითხვის დღე — ხალხის უცნაური განაჩენი — რის ნუგეშია — უფ. ღოღუა — ურიების საქმე — თხა ადვოკატობს, ხურჯინი ბრალმდებელობს — ახალი თეორია საბუთებისა — რა უფრო საშიშია.

15-ს მარტს ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჯიხაიშში დაასაფლავეს ერთი იმისთანა კაცი, რომელსაც სამართლიანად ჰგლოვობენ ეხლა მთელის საქართველოს უკეთესნი წარმომადგენელნი, დიდი თუ პატარა. დაასაფლავეს ბესარიონ ღოღაბერიძე, კაცი თავისის ხალხისა და ქვეყნისათვის თავ-დადებული. პატარა ღარიბი ეკკლესია სწორედ გაჭედილი იყო ხალხითა, ქალებითა თუ კაცითა. ზოგიერთნი მოსულიყვნენ ტფილისიდამაც უკანასკნელის პატივის მისაცემად. ქუთაისის ეპისკოპოზი ბრძანდებოდა მწირველად. როცა წირვა და პანაშვიდი დასრულდა და ეპისკოპოზი საკურთხევლიდამ გამობრძანდა, საცოდავი სანახაობა ვნახეთ, იმისთანა სანახაობა, რომელიც მნახველს თავის დღეში არ უნდა დაავიწყდეს.

კუბოს გვერდით იჯდა სკამზედ თავიდამ ფეხამდე სულ შავებით მოსილი სამოც-და-ცამეტის წლის, მწუხარებისაგან წამებული და ღონე მიხდილი მოხუცი მამა ბესარიონ ღოღაბერიძისა, თეთრ-წვერა, თვალებ ჩაცვივნული, ლოყებ ჩაცვივნული, ფერ მიხდილი და გაფითრებული. იჯდა და უღონობით თავი კუბოზედ ესვენა. როცა ეპისკოპოზი მობრძანდებოდა და კუბოს დაუახლოვდა, წამოდგა ის მოხუცებული კაცი და საცოდავის გოდების ხმით მიმართა ეპისკოპოზს სხვათა შორის ამ სიტყვით:

„ცხრა დღეა და ცხრა ღამე არ მისვამს და არ მიჭამია, ცხრა დღეა და ცხრა ღამე ჩემს თვალს ძილი არ უნახავს, ცხრა დღეა და ცხრა ღამე სულ ამ კუბოს დავყურებ. ვეხვეწები, ვემუდარები ჩემს შვილს, დამიბრუნდი მეთქი... არ დამიბრუნდა... მიშველეთ! დამიხსენით!“ ჰსთქვა ესა თუ არა (და რა რიგად ჰსთქვა!), მთელი ეკკლესია ერთ ქვითინის ხმად გადაიქცა. დიდი, პატარა, ერი, ღვდელი სულ ჰგოდებდა. როცა განსვენებული საფლავში ჩაასვენეს უბედურმა მამამ პირველმა წამოავლო ხელი ნიჩაბს და ჰსთქვა: „შვილო ღარიბი ვიყავ, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, შენთვის არა დამიკლია რა რაც კი შემეძლო და მებადა, და აჰა ღმერთმა ინება რომ ესეც ჩემგან მიგეღო!... მიიღე ეს უკანასკნელიცა!“ ჰსთქვა ეს და მიაყარა მიწა. ერთი რაღაც საშინელის მტკივნეულობით აუნაოჭდა სახე და ორი დიდრონი ცრემლი გადმოჰსცვივდა დროულ თვალთაგან. მე მგონია რომ ის უკანასკნელი ცვარილა იყო, რომელიც მამის მკვდარის გულიდამ გამოსწურა იმ ჟამად საშინელმა საქაჯავმა მწუხარებისამ. როცა სამძიმრის სათქმელად წარვსდეგით ჩვენ, მამამ აღარ დაგვაცალა და გვითხრა: „ამაოა ყოველივე სამძიმარი, ჩემთვის ნუგეში აღარ არის ქვეყანაზედ. მე დღეს ჩემის ხელით დავმარხე ჩემი დიდება, ჩემი სახელი. შვილის საფლავიდამ ამოვიღე ცეცხლი და აქ, გულში ჩავიდე. ამ ცეცხლს ვეღარავინ გამიქრობს, ვეღარავინ!“

მართალი ხარ, უბედურო მამავ! შენ იმ დღეს იმისთანა შვილი დამარხე, რომელიც ყველა მამისათვის დიდება და სახელი იქმნებოდა, მაგრამ განა მარტო შენ დაჰკარგე შვილი? შენ შვილთან ერთად ჩვენმა უბედურმა ხალხმაც დამარხა თავისი უკეთესი შვილი, შენ შვილთან ერთად ჩვენმა უბედურმა ქვეყანამაც დამარხა თავისი უკეთესი ნაყოფი; დავმარხეთ ჩვენ ყველამ და ყველაც ჰსტირს და გლოვობს!...

ჩვენ არას ვიტყვით განსვენებულის ჭკუა-გონებაზედ — ეგ ყველასაგან ცნობილია; არას ვიტყვით მის ცოდნაზედ — ყველასაგან აღიარებულია. ჩვენ ვიტყვით მასზედ რაც სხვასათვის უჩინარი იყო. ჩვენ ვიტყვით მასზედ რაც უკეთესი საწყაო კაცისა, რაც ცივს ჭკუას

ათბობს და ორპირად სახმარს ცოდნას მარტო საქვეყნო საკეთილოდ მიჰმართავს ხოლმე. ჩვენ ვიტყვით მასზედ თუ რა გულის კაცი იყო განსვენებული. მართალია, ის მისთანა კაცი იყო, რომ ყოველს გამვლელს და გამომვლელს არ ჩაახედებდა ხოლმე გულში და ამის გამო ბევრს ეგონა, რომ გული მისი ცივია როგორც ყინული. მაგრამ ძალიან სცდებოდნენ. იმ თვალად-ყინულს კაცში იყო გული მხურვალე, გული კაცური. მას გულში ჰქონდა ის წმინდა ნაღვერდალი ქვეყნის სიყვარულისა, ხალხის ტრფიალებისა, კაცთ მოყვარებისა, რომელთაც ღმერთი მიანიჭებს ხოლმე მარტო თვისთა რჩეულთა და რომელიც ამ სუსტ ორ-ფეხ ცხოველს ადამიანს სასწაულთ აქმნევინებს ხოლმე. დიახ, ის იყო ღვთისაგან რჩეული კაცი, პატიოსანი სულ-გრძელი და მტკიცე ყველგან და ყველასფერში. ვიცი, ჩვენო ერთგულო და უანგარო მუშაკო, რა ტკივილიც გაიყოლიე საიქიოს, ვიცი რა იმედი გინელებდა იმ წვავს ტკივილსა, რომელიც გაგიძლიერდებოდა ხოლმე, როცა ავი რამ მოელოდდა შენს ქვეყანას, ისე უანგაროდ და თავ-განწირვით შენგან შეყვარებულსა, როცა რაიმე უბედურება შორიდამ თუ ახლო შავ ნისლად ზედ დაჰსტრიალებდა შენს ხალხს, რომელსაც შენ შესწირე შენი უკეთესნი დღენი. ვიცი და შენი დამკარგველნი მით ვნუგეშობთ, რომ ის ტკივილი და ის იმედი ანდერძათ ექმნებათ უკეთესთა შვილთა შენის საყვარლის ქვეყნისათა, რომელნიც უშენოდ მართლა რომ ერთით ნაკლებნიღა არიან.

ამის დამწერიც ერთი იმათგანია, რომელსაც შენ დაავალე და ჩაახედე შენს გულში ამ უკანასკნელს სამს ოთხს წელიწადში. ჩავიხედე და ჩემი უტყუარი, პირ-უთვნელი, გამკითხველი იქ ვიპოვე შენდა უნებურად. ბევრი დაგვიშავებია შენს წინაშე, დაგვიშავებია არ ცოდნით, მაშასადამე არ ცოდვით. შეგვინდე და მოგვიტევე. დარწმუნებული ვარ, ამ საჯაროდ გამოთქმულს სინანულს ეხლა ყოველნიც ხმას ჩაურთავენ ზოგიერთ გარდა. მაგრამ ის პატივი რაც შენმა ხალხმა შენ მოგცა უკანასკნელად გამოსალმების დროს, ის მწუხარება და გლოვა საქვეყნო, დიდისა თუ პატარისა, მცნობისა და უცნობისა

ცხადი მაგალითია, რომ შურის ძლებას მოშურნეობისას, ცილის წამებას უსინდისო მტრობისას, წიწლაკიანობას გულღვარძლიანობისას, სიმუხთლეს გულმრუდობისას, სიკაპასეს სულდაბლობისას და ცოდვის გაათავხედებულის ავაზაკობისას გზა არა ჰქონია ხალხის უტყუარ და შეუცდომელ გულამდე. შენი დასაფლავება განკითხვის დღე იყო შენთა მტერთათვის. შენ, უანგარო ანგარება შეგწამეს, პატიოსანს — უპატიოსნება, უდანაშაულოს — დანაშაულობა; კაცურს - კაცს — უკაცურობა, ქვეყნის მოყვარეს — ქვეყნის მტრობა და შენის ხალხისათვის შენი საკუთარის ბედის უაწირვა ცოდვის ფერით დაჰფერეს; შენ ელოდდი ერთის კაცის განაჩენსა სიმართლის აღსადგენად და ეხლა მთელმა ხალხმა თავისი უტყუარი განაჩენი წარმოჰსთქვა, — თუ განაჩენი პირ-უთვნელი, ლიტონი, დიდებული, სადღესასწაულო, როგორც ყოველივე რაც კი ხალხის თავისუფალის ნებით ნამოქმედარია. დეე შენთა მტერთა ამ განაჩენში ამოიკითხონ თავისის მარცხვინოს საქციელის სახელი! დეე ეს მაგალითად ჰქონდეთ ყოველ მათ, ვინც თავის ფულამს ამოაწყობს ხოლმე თავის ტალახიან გულის სწრებლში და სიტყვას, ამ უდიდეს ნიჭსა ადამიანისას, თავის საკუთარს გულ-ღვარძლობას და სულ-დაბლობას ამსახურებს. ინუგეშეთ ამ მაგალითით, თქვენც პატიოსანნო, მამულის ერთგულნო მუშაკნო! კეთილს და მადლს თავისი პატივი ჰქონია; ხალხის გულამდე კეთილს და მადლს თავისი გზა არ დაჰკარგვია; ცილის-წამებას, მტრობას ის გზა ვერ გაუფუჭებია და ვერ შეუკრავს. ხალხის გული უმადური არ არის; უტყუარი გამკითხველი იგია ამ ქვეყანაზედ; ყველას თავისას მოგიწყობთ ყველგან ჩაგრულთ, მაგრამ ყველგან გულ-პატიოსანი ხალხი. სახელი და დიდება ჩვენს ემაწვილ-კაცობას, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს, რომელთაც დიდის პატივით მოიხსენეს თავისი უკეთესი კაცი და მიაცილეს უკანასკნელ სადგურამდე გლოვით და მწუხარებითა, ამას თქვენ ვინ შეგვწამებს, რომ ჩვენში კაცის დაფასება არ იციან!...

როცა ჟამმიმრის სათქმელად მივედით, ბესარიონის უბედურმა

მამამ დაგვიყენა წინ პატარა ძმა განსვენებულისა და გვითხრა: „ვისაც ბესარიონის ნამდვილი პატივის-ცემა და სიყვარული გაქვთ, ამ პატარა ბავშვს უპატრონეთო. ისა ჰზრდიდა, ის ინახავდაო.“ ნუ თუ ქართველობა არ უპატრონებს, არ გაუზრდის ძმას იმ კაცს, რომელმაც თავისი სიყმაწვილე, თავისი სიცოცხლე ქართველობაზედ გადაგო? ნუ თუ ტფილისის და ქუთაისის ბანკები ჯერამც თუ ძმას არ გაუზრდიან, ჯერამედ სხვა სტიპენდიასაც არ დანიშნენ იმ კაცის სასახელოდ, რომელმაც თვისი სახელი და ბედნიერება დაივიწყა თავისის ქვეყნის და ხალხის სახელისა და ბედნიერებისათვის! სირცხვილი იქნება, სირცხვილი, რომ ამ ორმა ბანკმა ეგ არა ჰქმნას.

ამ საერთო გლოვას იმ კაცზედ, რომელიც არც ჩინებით, არც დიდ-კაცობით, არც სიმდიდრით, არც ჩამომავლობით თითით საჩვენებელი არ იყო, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. აქ ჩვენი საზოგადოება გამოგვესახა თვალ-წინ იმ მხრით, რა მხრითაც ჩვენ მას თითქმის არ ვიცნობდით. ჩვენ აქამომდე გვეგონა, ჩვენი საზოგადოება, თავის შვილებს თვალ-ყურს არ ადევნებსო. ჩვენ გვეგონა, ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს ხალხს საწყაოც კი, საზომიც კი არა აქვს ჯერ ხელშიო, რომ თავისი შვილი, თავისი მოღვაწე ასე თუ ისე აწყოს, გაზომოს და დააფასოსო. თურმე ნუ იტყვით, ჩვენს საზოგადოებას, ხალხს თვალ-ყური ჰსჭერია თავის შვილებზედ, თვალ-ყური უდევნებია მის მოქმედებისათვის და უტყუარი საწყაოც ჰსჭერია ხელში, რომ კაცი მართლა მართლ მის კაცურის ღირსების კვალობაზედ დააფასოს და ამ ღირსებისავე მიხედვით თავისი პატივის-ცემა გამოაცხადოს საქვეყნოდ. სახელი და დიდება ჩვენს საზოგადოებას, რომ ამდენს უბედურებაში, ამდენს ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალში თვისი მართლ-მსაჯულების ნიჭი, თვისი ზნეობითი მოვალეობა თვისთა შვილთა მიმართ არ დავიწყებია, არ დაჰკარგვნია. ეს ერთი დიდი ნუგეშია ყოველ იმისათვის, ვისაც თავისი ბედი ხალხის ბედზედ გადუბამს, ეს ერთი იმისთანა მაგალითია, რომელმაც გარემოცულს მწუხარებისას შუქი იმედისა მოჰფინა; ეგ იმის საბუთია, რომ

დღეს აქამომდე კაცურ-კაცობას; ჭეშმარიტს ღირსებას კაცისას არამც თუ მარტო ფასი ჰქონია ჩვენში, არამედ პატივიც და ხსენებაცა. დიდი საქმეა მეთქი, როცა თვისთა შვილთა ნამოქმედარის გამკითხველი თვითონ საზოგადოებაა, თვითონ ხალხია. ხალხისათვის წამებულთა და წვალებულთათვის ჯილდო ამაშია, ამაშია ის სასყიდელიც, რომელსაც უტყუარი მსაჯული—ხალხი დაჰსდებს ხოლმე ავ-კაცს, სიკეთისა და პატიოსნების გამაუპატიურებელსა. დრო მოგვივა და ღმერთმაც ჰქნას მალე მოვიდეს, რომ ხალხის უკეთესნი შვილნი ხალხისავე ყოვლად შემძლებელ მფარველობას ქვეშ იქმნებიან; დრო მოგვივა, რომ ჩვენი ხალხი თვისის უკეთესის შვილის უსამართლოდ გაუპატიურებას თავის საკუთარ გაუპატიურებათ მიიღეს და ვაი მაშინ ცილის მწამებელთა და მეშურნეთა! ისინი ისე თამამად ვეღარ იფარფარებენ როგორც ეხლა, ისე გაბედვით ვეღარ გადაასხმენ თავის გულის ჩირქს მას, ვინც პატივის ცემა დაიმსახურა ხალხისაგან, რომელსაც ვერა მანქანებით თვალს ვერ აუბმენ ჩხავანა-მაწანწალენი.

ამ ახლო-ხანში ჩვენმა საზოგადოებამ გამოიჩინა თავი მითაც, რომ არამც თუ მარტო კარგის პატივი იცის, არამედ ავისა და ბოროტის გაკიცხვაცა. ესეც დიდი სანუგეშო მოვლენაა. ესეც სხვათა შორის ნიშანია, რომ ჩვენში ზნეობის მოთხოვნილობას გზა ეხსნება და ავალა ეძლევა; ნიშანია, რომ ჩვენში ზნეობის კანონებს თვითონ საზოგადოება უდგება თავდებათ, მფარველად და მცველად. ამ მხრით განვითარება და წარმატება ჩვენის საზოგადოებისა სანატრელი უნდა იყოს ყოველის კაცისათვის, რომელსაც კი ქვეყნისათვის კეთილი უნდა. პირველი მაგალითი ავ-ზნეობის სამართლიანად განკითხვისა და განკიცხვისა ჩვენ გვაჩვენეს ჩვენმა ყმაწვილ-კაცებმა, რომელნიც ქუთაისში ადვოკატობენ. აი რა მიზეზი იყო: ქუთაისის ადვოკატმა უფ. ლოლუამ თურმე ერთი ცუდი საქმე ჩაიდინა. ურიების საქმის თაობაზედ ერთს ბრალდებულს ურიას ადვოკატად დაუდგა, ასი თუმანი წინ გამოართო და როცა განსამართლება იყო, უფ. ლოლუამ დაივიწყა თურმე თვისი არსებითი მოვალეობა. სასამართლოში გამოძიე-

ბის დროს რამდენჯერმე არ დაესწრო, არ მოისმინა ზოგიერთის მოწმის ჩვენება და ბოლოს ისე ილაპარაკა თურმე სამართლის წინაშე, რომ არამც თუ ჩვეულებრივი მეტყველება და ხერხი გამოიჩინა, არამედ უარ-ჰყო მისთა მომხრე ადვოკატთაგან წარმოდგენილი ზოგიერთი საბუთები გამართლებისა. ეს ამბავი შეამცნიეს ამხანაგებმა უფ. ლოლუას. აწერეს მისი საქციელი, გაჰკიცხეს ავ-ზნეობა საქციელისა და წერილი დაჰბეჭდეს „Тифлисскій Вѣстникъ"-ში. ამ სახით უფ. ლოლუას, მართლა და გასაკიცხავი საქციელი საჯაროდ გაამხილეს და ურჩიეს, რომ ეგრე უსამართლოდ აღებული ფული კეთილს საქმეს მოახმაროს უფ. ლოლუამ და თვითონ არ დაისაკუთროს. განზრახვა გამკიცხველთა, ამ ფულის შესახებ, როგორც ხედავთ, უბრყვილოა და წმინდა, როგორც ანკარა წყარო, მაგრამ ჩვენმა „Тифлисскій Вѣстникъ"-მა თვითონ გამკიცხველთავე შეჰსწამა მტაცებლობა და ანგარობა იმ საბუთით, რომ უფ. ლოლუამ დააშავაო, ურიასი რა გადასახდელია, რომ ფულს პატრონს არ უბრუნებთ და კეთილს საქმეს გინდათ მოახმაროთ. ეგ მართალია, თვითონ გამკიცხველნიც უფ. ლოლუას საქციელისა ამას უარს არა ჰყოფენ და ამბობენ, რადგანაც ურია ამ ფულს აღარ მოითხოვს, იმიტომ მივმართეთ ის ფული კეთილ საქმეზედაო. თუნდ ეგეც არ იყოს, განა აქ აშკარა არ არის რა წმინდა განზრახვით მოქმედებენ ამ შემთხვევაში გამკიცხველნი? რა ჭეშმარიტი საბუთი აქვსთ თვალ-წინ, როცა მაგისთანა რჩევას აძლევენ უფ. ლოლუას? რა უცილო ზნეობითი კანონი მიუძღვით წინ, როცა კაცს უუბნებიან უზნეო საქციელით მოგებული ფული შენი არ არისო. განა კეთილ-სინიდისიანის გამჩხრეკისათვის საკმაო არ იყო, რომ გამკიცხველნი საჯაროდ აღიარებენ, რომ ავის საქციელით მოგებული ფული მომგებისა არ უნდა იყოსო? განა აქ მართლად თუ უმართლოდ დასახელება იმისი, ვისაც ეგ ფული უნდა ეკუთნებოდეს, რაიმე საბუთს აძლევს კაცს, რომ ჩირქი მოჰსცხოს კაცს, რომელიც ამბობს, რაც გინდათ უყავით მაგ ფულსო ოღონდ იმას კი ნუ აკუთნებთო ვინც უზნეო საქციელით ფული ხელში ჩაიგდოო? გამკიცხველ-

და საქციელში ორს პატიოსანს საგანს ვხედავთ ჩვენ: ერთს იმას, რომ მართალი და უზნეო მოქმედება საქვეყნოდ ამხილეს და გაჰკიცხეს და მეორე იმას, რომ უზნეო მოქმედებით ნაშოვნი ფული, მშობლის არ უნდა ეკუთნებოდეს, თუნდაც საქმე ისე იყოს დაწერილი, რომ თვითონ კანონმაც ხელი ვერ შეჰმართოს. არც ერთი ამათგანი ახალი ამბავი არ არის. ყველამ იცის, რომ უზნეობა განსაკიცხავია, რომ ავის საქციელით მონაგარი ფული არაშია, მაგრამ აქ ახალი ის არის, რომ ეს ორი უცილო ჭეშმარიტება, ყველასაგან ცნობილი, ყველასთვის ცხადი აქამომდე მარტო ლექსიკონებში იყო ჩართული ბავშვებისათვის გასაზეპირებლად. ცხოვრებაში არც ერთი იგი არავის საჯაროდ არ უმოქმედებია, თუმცა დღე ყოველს ჩვენს გარეშემო უზნეო ქცევასაც ვხედავთ და უზნეოს მოქმედებითაც ვხვეჭავთ ფულსა და ქონებასა და ყოველს ამას დაუსჯელად ვიჩემებთ. დღეს კი ქუთაისის ადვოკატების პროტესტმა გვაჩვენა, რომ ზნეობის კანონს თავისი გზა და უფლება უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაშიც და მისი დამრღვევი უნდა განიკიცხოს საზოგადოებისაგანაო, რადგანაც ზნეობითის კანონით გამკითხველი მარტო საზოგადოებაა. ჩვენის ფიქრით, ამ სამაგალითო მოვლენის წინაშე, როგორც ქუთაისის ადვოკატების პროტესტია უფ. ლოლუას საქციელის თაობაზედ, ყოველივე გამოლაშქრება უადგილოა, ნამეტნავად იმისთანა გამოლაშქრება, რომელსაც მხოლოდ აქვს არა ცხადი, ხელ-შესახები საბუთი, არამედ მარტო ერთი გულისთქმიერება საზოგადოდ, მგონიარობით განკითხვა კაცის სინიდისისა და განზრახვისა არ უნდა იყოს შეწყნარებული არსად და არცას დროს.

ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ მაგ შეუწყნარებელმა მგონიარობამ ამ ბოლოს დროს უცნაურად განზედ წაიდგა ფეხი, არ დაჰსჯერდა კერძო ცხოვრების ადამიანობასა და მისს სამზღვარს გადააბიჯა. ეგრედ წოდებული „ფურიების საქმე“, ამ მოკლე ხანში ქუთაისში გარჩეული, ამისი ცხადი მაგალითია. ეს საქმე, რომელმაც მიიზიდა თითქმის მთელის ქვეყნის ყურადღება და რომელსაც ფხალ-ყურს

ადევნებდნენ განსამართლების დროს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთები ჩვენში თუ სხვაგან, მარტო მგონიარობაზედ იყო აგებული, მგონიარობით შემოზღუდული, მგონიარობით თავ-დასხურული და მგონიარობითაც გათავებული. რვა კაცის პატიოსნება, ღირსება, თავისუფლება, ადამიანობა საფათერაკოდ იყო გამხდარი მაგ მგონიარობის წყალობით. ეგ კიდევ არაფერი: მთელის საქართველოს ურიების ყოფა-ცხოვრება, მშვიდობით-მყოფელობა ბეწვის ხიდზედ იყო დაყენებული ჩვენში. ჩვენ, რასაკვირველია, იმის გარჩევას არ შევუდგებით, თუ ეს რვა კაცი ბრალდებული ურია მართალნი არიან, თუ მტყუანნი. იქნება სწორედ მართალნიც იყვნენ, იქნება მტყუანნიცა; მაგრამ საქმე იმაშია, რომ კაცი ბრალდებულთა სკამზედ უნდა დასვას მგონიარობამ კი არა, არამედ უცილობელმა, უეჭველმა საბუთმა. ადამიანის პატივი, ღირსება, მშვიდობით-მყოფელობა, თავისუფლება, ისეთი რამ არის, რომ მას კაცმა საზოგადოდ და კანონმა საკუთრივ უნდა შეჰბედოს მხოლოდ უეჭველი სიმართლის ფარ-ხმლითა და სხვა არაფრით. ურიების საქმეში, სადაც არამც თუ მარტო რვა კაცის ბედი ჰსწყდებოდა, არამედ ბედიც თითქმის მთელ ჩვენებურ ურიებისა, არც სიმართლის ფარსა ვხედავთ, და არცა ხმალსა; დასასრულ გაამართლებენ, თუ გაამტყუნებენ ბრალდებულთა, — ავ-კაცობით აღშფოთებული სინიდისი საზოგადოებისა გულ-ნაკლულად რჩება ორივე შემთხვევაში. გამართლება ბრალდებულისა მარტო იმითი, რომ გამტყუნებისა საბუთი არ არის, საზოგადოებას ვერ აკმაყოფილებს და უსამართლოდ გამტყუნება ხომ თავ-ზარსა სცემს. ჩვენის ფიქრით, ეს ურიების საქმე სწორედ ამ მხრით არის შესანიშნავი.

4-ს აპრილს სამხრობისას დაიკარგა მცირე წლოვანი ქალი სარრა მოდებაძისა. დედ-მამამ და სოფლის ხალხმა ძებნა დაუწყეს და ვერსად იპოვეს. 6-ს აპრილს მკვდარი სარრა ჰპოვეს სოფლის ბიჭებს ღობის ძირას. ატეხილიყო, რასაკვირველია, ლაპარაკი მასზედ, თუ ვინ მოჰკლა და რად მოჰკლა უბედური ბაშვი. შეიტყვეს, რომ იმ დღეს და იმ ჟამს ურიებს გაევლოთ სწორედ იმ გზაზედ, სადაც უნდა გაე-

-არნა სარრას. ურიების პასეკის დღეც მოდიოდა. ამაზედ გააბეს ქსელი და გაიმართა საქმე. რასაკვირველია, ამ საქმეს ფრთა გაუშალა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ხალხი დღემდე ცოტად თუ ბევრად დარწმუნებულია, რომ ურიები, რჯულის მოთხოვნილობით, საჭიროებენ ქრისტიანების სისხლსა. შეჰსწამეს ურიებს პატარა სარრას მოტაცება და სიკვდილი. ეგ არაფერი, რომ ხალხმა შეჰსწამა, არც ის არის საკვირველი რომ გამომძიებელმა ყური ათხოვა ამ შეწამებას, რადგანაც გამომძიებელმა ყოველის ფერი უნდა გამოიკვლიოს. საკვირველი აი რა არის: თუ მართლა ურიებმა მოჰკლეს პატარა ბაშვი, აჰ აშკარაა, რომ მტრობის საქმე არ იქმნებოდა: შვიდის წლის ბაშვს რა ისეთი მტერი ეყოლებოდა, არც გაცარცვისა: სარრას, ღარიბ გლეხ-კაცის პატარა გოგოს, რა ექმნებოდა ზედ სახარბიელი, არც გაუპატიურებისა, მაშ თუ მოჰკლეს და მოჰკლეს ურიებმა მარტო ერთი მიზეზი იქმნებოდა, სახელდობრ, ისა რომ ქრისტიანის სისხლს ითხოვს იმათი რჯული. არც გამომძიებელმა, როგორც ჰსჩანს ბრალმდებელ ოქმიდამ, არც პროკურორმა ამ მიზეზს ყური არ ათხოვეს, ეს მიზეზი არ გამოიკვლიეს, საზოგადოებას, რომელსაც ეს უსაბუთო, თუ საბუთიანი მიზეზი დღესაც გულს უშფოთებს, არ უთხრეს ამ საგანზედ არც ჰო და არც არა. საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ საქმისა იმაშია, რომ აესხნათ, მართლა რჯულად აქვთ ზოგიერთ წყობას ურიებისას ქრისტიანის სისხლის დალევა, თუ არა. ამ საგანზედ „ჰო“, თუ „არა“ მთელს საქმეს ისე გაანათებდა როგორც მზე. ბრალ-მდებელი ოქმი რომ წაიკითხოთ, მაშინვე მიხვდებით, რომ თუმცა პროკურორი თითქო მორცხვობსო ქრისტიანების სისხლის დალევა ურიების რჯულის ანდერძად აღიაროს, მაგრამ ცხადი კია, რომ იგი ანდერძი უცილობელ ჭეშმარიტებათ ჰსწამს. ნუ თუ მართლა ესეა? და თუ ესეა, ნუ თუ ეს საგანი იმისთანა ცუდ-უბრალო რამ არის, საზოგადოდ და ნამეტნავად ამ საქმეში, რომ მთელი გულმოდგინება, მთელი ღონისძიება ამაზედ არ მიაქციეს გამომძიებელმა პროკურორმა და ისე წინ დაუხედავათ გზა აუქციეს? ჩვენ გვჯერა, რომ ბნელი რამ არის ამისთანა საგნის

გამოკვლევა და გამოძიება, ხოლო ისიც გვჯერა, რომ სწორედ აქ იხსნებოდა ის კვანძი რომელიც, ამ საქმემ გამოჰკვანძა. და ამიტომაც რაკი ეჭვი ურიებზედ მიიტანეს, ყველაზედ უწინარეს მაგ სიძნელეს უნდა შეჰსდგომოდნენ და ამ საგანზედ უნდა მოეგროვებინათ ყოვე-ლის ფერი, რაც ადგილობრივ აღმოჩნდებოდა, რაც სადმე თქმულა და რაც დაწერილა. მთელი საქმე ამ საგანზედ უნდა აშენებულიყო და ამ საგანზედ დატრიალებულიყო, რაკი ურიების შეწამება შესაძლოდ დაინახეს. თუ ადგილობრივ ვერას აღმოაჩენდნენ, განა ცოტა რამ დაწერილა ქვეყანაზედ ამ საგანზედ, საიდამაც შესაძლო იყო გამომძი-ებელს, თუ პროკურორს ან „ჰოს“ საბუთი ეპოვნა, ან „არასი“. ამ გვარი საქმე ბევრი სხვაგანაც მომხდარა, ამ გვარი ეჭვი ურიებზედ ბევრგან სხვაგანაც ყოფილა, მაგრამ არსად არავის აღმოუჩენია, რომ ეგ ეჭვი გამართლებულიყოს. აი ამ საგანზედ რას ამბობს ერთი გა-ზეთი: „შვიდი საუკუნეაო, რაც ეგ ეჭვი სულს უმძიმებს ქრისტიანებ-საო. „ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში წარმართთა პირველად ეგ საშინელი ბრალი თვითონ ქრისტიანებს შეჰსწამეს. პირველ ქრის-ტიანთა საიდუმლო კრებამ და დიდმა საიდუმლოებამ ზიარებისამ ფრთა შეასხა აღვირ აშვებულს ფანტაზიას გაბოროტებულ წარმართებისას და ის წარმართნი ამტკიცებდნენ, რომ ყოველმა ახლად შემდგარმა ქრისტიანმა უნდა დაჰკლასო, ისე რომ თვითონაც არ იცოდეს, ფქვილ მოყრილი ახლად შობილი ბავშვი და მას შემდეგ ყველა ქრისტიანებმა უნდა შესვან მოკლულის სისხლიო.

„სწორედ ამისთანა ბრალი შეჰსწამეს მერე ურიებსაც მას შემდეგ, როცა მეთორმეტე საუკუნეში ერთმა ისპანიელმა ბერმა წამოაყენა ამისთანა ბრალი ებრაელთა წინააღმდეგ. მას აქედ დაიწყო ათასი ტყუილი დაბიზღება ურიებისა, ტყუილი გამხილება, რომელთა გამოც რამდენიმე ასი ათასი ურია სიკვდილით დაისაჯა. ებრაელთა აწამებდნენ, ცეცხლში ჰსწვავდნენ, ჰხოცდნენ, არ კითხულობდნენ ნამდვილ გარე-მოებას საქმისას და ჰსჯიდნენ მარტო იმისთანა კაცის სიტყვით, რომლის მოწმობასაც სხვა დროს არც რამე ფასი ექმნებოდა და არც

რაიმე მნიშვნელობა. დამასკის პროცესის შემდეგ, როცა გამოჩენილი კრემიე საკუთრივ ამისთვის წავიდა დამასკში, ებრაელებზედ მიტანილს ბრალს ერთა მოეკვეცა. მას შემდეგ მთელს ებრაელობას კი აღარ ჰსწამობდნენ მაგ ბრალს, არამედ მარტო ერთს წყობას, რომელთაც „ხასსიდებს" ეძახიან და ის კი დაავიწყდათ, რომ ხასსიდების წყობა სულ ასი წელიწადია რაც შეჰსდგა მაშინ, როდესაც მას აქედ, რაც მაგ ბრალს ჰსდებენ ებრაელებს, შვიდასი წელიწადია".

ბრალდებულთა ოქმი რომ წავიკითხეთ ურიების თაობაზედ, ჩვენ ბევრმა სხვა რამემ გაგვაკვირვა. ჯერ ერთი იმან, რომ ოთხს აპრილს დაკარგული უბედური ბავში და ნაპოვნი ქქვს აპრილს მარტო ოც-და-შვიდს, ესე იგი, ოც-და-ერთის დღის შემდეგ, შეამოწმებინეს ექიმსა. ექიმის დანიშნულება ამ შემთხვევაში ის იყო, რომ აღმოეჩინა რისაგან არის მკვდარი საწყალი სარრა. რატომ არავინ კითხულობს, ან მაღლა, ან დაბლა; ასეთი სისწრაფე შემოწმებისა რისაგან მოხდა? ოც-და-ერთი დღე მკვდარი მიწაში იდოს და რაღა გარეგანი ნიშნები უნდა შერჩენოდა, რომ ნამდვილი და უეჭველი მიზეზი სიკვდილისა გამოეცნო ექიმსა? 16-ს მაისს, ესე იგი, ოც-და-შვიდმეტ დღის შემდეგ ხელმეორედ შეამოწმებინეს ექიმს. აბა აქ უფრო რას იპოვნიდნენ და აღმოაჩენდნენ? ამიტომაც ის მოხდა, რომ ერთი შემოწმების ოქმი ალთას მიდის და მეორე ბალთას. ამისთანა საქმეში აღმოჩენა სიკვდილის ნამდვილის მიზეზისა მეტად ძვირფასი რამ იყო მართლ-მსაჯულებისათვის. იქნება ის მიზეზი ისეთი ყოფილიყო, რომ ან სრულად დაერღვია ბრალდებულება, ან განემძლიერებინა გამტყუნების საბუთი. ეხლა კი ვერც ერთს ვიტყვით და ვერც მეორეს. გამომძიებამ დრო დაჰკარგა, არ ვიცით კი რად და ამის გამო ხელიდამ იქნება ისეთი საბუთი გაუსხლტა, რომელიც ასე თუ ისე გაანათებდა საქმეს. ამის შემდეგ რად უნდა გვიკვირდეს, რომ თხასა ჰრჩება ხოლმე ადვოკატობის მოედანი და სურჯინს კიდევ (8 п. об. акта) ბრალდებისა. საზოგადოდ უნდა ვჰსთქვათ, რომ მთელს სისტემას გამომძიებლობისას ყურადღების მიქცევა უნდა. ჩვენამდე მოახწევს ხოლ-

მე მხოლოდ იმისთანა საქმენი, რომელნიც რითიმე შესანიშნავნი არიან და მარტო ამ საქმეებიდამ ვცნობულობთ გამომძიებლობის ნაკლულოვანებასა. ახლა იფიქრეთ, რამოდენად ძლიერი უნდა იყოს ეგ ნაკლი სხვა საქმეებში, რომელნიც ჩვენამდე არ მოახწევენ ხოლმე. არ ვიცით რად, და დღეს ჩვენებური გამომძიებლობა იმ აზრს ემსახურება, რომ თუ რომელსამე დანაშაულობაში დამნაშავე არ აღმოჩნდა, იფიქრებენ, გამომძიებელი არ ვარგებულაო და ამის გამო ზოგჯერ მცირედი რამ შემთხვევითი გარემოება სამყოფია ხოლმე, რომ გამომძიებელმა ხელი წაავლოს კაცსა და მთელი უსიხარულო გზა განსამართლებისა გაატაროს. ხშირად ისე რომ მძიმე ტვირთი ბრალისა ზურგზე ბოლომდის აჰკიდოს.

ამას გარდა ბრალდებული ოქმი ურიების თაობაზედ ახალს თეორიას ჰქადაგებს: უსაბუთობაც საბუთიაო, თუ კაცის გამტყუნება გინდათო. მართალია, თუ გული გულობს ქადა ორის ხელით იჭმევაო, მაგრამ კაცის ადამიანობა ხომ ქადა არ არის, რომ კაცმა აიღოს და შეჭამოს. აი მაგალითი: ბრალმდებელი ოქმი ამბობს; „რომ კანონისამებრ განისაზღვროს ნიშნები ავ-კაცობისა ამ საქმეშიო და გამოცხადდეს ბრალდებულნი რამოდენად არიან დამნაშავენი, საქმეში შემდეგი მეტად მძიმე საბუთებიაო."

ამ მძიმე საბუთებთა შორის ესეც არის მოხსენებული, რომ წინასწარმა გამოძიებამ არ აღმოაჩინა ნამდვილი მიზეზი სარრას სიკვდილისაო. ეგ უფრო იმით მოხდაო, რომ ექიმმა თავის დროზედ არ შეამოწმა გვამი სარრასიო, თავის დროზედ არ შეადგინა შემოწმების ოქმიო და გარდა ამისა ამ ოქმში არ არის სწორე და სამყოფი ცნობები ნამდვილის მიზეზის აღსახსნელადაო. (п. Е. обв. акта).

მეორე მძიმე საბუთიც ეს არის სხვათა შორის მოხსენებული: არ შეიძლება ზედ-მიწევნით იმისი განსაზღვრაო თუ თვითეული ბრალდებული რამოდენად არის დამნაშავეო, რადგანაც მეტად მაგარზედ დგანანო და უარობენო.

გამოძიებამ ნამდვილი მიზეზი სიკვდილისა არ აღმოაჩინა, შეუძლებელია რომ განისაზღროს რამოდენად არის თვითეული ბრალდებუ-

ლი დამნაშავეო, მაშ ესენი რაღა მეტად მძიმე საბუთები ყოფილა ავ-კაცობის ნიშნების განსაზღვრისა და ბრალდებულთა დანაშაულობის მეტ-ნაკლებობის აღმოჩენისათვის. ნუ თუ უსაბუთობა აქ საბუთია? ეს რომ სამწუხარო არ იყოს, სიცილს არა დაიჭერდა რა. ვაი ჩვენი ბრალი!...

კიდევ ვიმეორებთ: ჩვენ ამით იმისა თქმა კი არ გვინდა, რომ ბრალდებულნი სწორედ მართალნი იყვნენ, თუ მტყუანნი. ჩვენ ამას ვამბობთ, რომ ადამიანი ბრალდებულთა სკამზედ უსაბუთობამ კი არ უნდა დასვას, უეჭველმა საბუთმა. თუ ამისთანა საბუთი გამოძიებული და ნაპოვნი არ არის, მეცნიერებაც და საზოგადოების განწმენდილი სინიდისი ამას ითხოვს, რომ ადამიანი თავისუფალ იქმნას თავის ცხოვრებაში ყოველის ხელ-წაწვდისაგან, ყოველის მოსევისაგან. საზოგადო უშიშროებისათვის ისე ავაზაკის კერძო მოქმედება არ არის საშიში, როგორც უფლების და მოხელეობის მეტიჩრობა, თვით-ნებითი დაცემა ადამიანის თავზედ, ადამიანის მყუდრო ცხოვრებაზედ. ავაზაკს კაცი გულ-და-გულ მაინც დახვდება, გაუძალიანდება, ან ისე მოიგერიებს, ან ესე, ან მოჰკლავს თუ გაუჭირდა, ან შეაკვდება, ხოლო აღვირ აშვებულს კაცს, უფლების სახელით ზედ-მოსეულს, საიდამ და რით მოუაროს! მეტყვით სამართლითაო. მართალია, მაგრამ მინამ სამართალი, საზოგადოდ მეტად ფეხ-მძიმედ მოარული, მე გამამართლებს, ვინ დამიბრუნებს დაკარგულს დროს, დაკარგულს ხარჯს, ვინ გამიმთელებს დაწყლულებულს გულს, ათასის ეჭვისაგან გვემულსა და წამებულსა, ვინ შემივსებს იმ ზარალს ზნეობითსა, თუ ქონებითსა, რომელიც მე ციხეში გდებით, ჩემის მყუდრო ცხოვრების ამღვრევით და შეწყვეტით მე მომევლინება, დასასრულ, რას მომცემენ იმის სამაგიეროს, რომ ოჯახს, ცოლ-შვილს, თავისუფლებას მოკლებულ ვიყავ ტყუილ-უბრალოდ და ხშირად დიდ-ხანსაც! თუნდ ყოველს ამას ყურსაც ნუ ათხოვებთ, რადგანაც ეგ მძიმე წამება და წვალება თვითეულს კაცს შეხვდება ხოლმე კერძოდ. თვით-ნებითი მისევა უფლებისა ადამიანზედ საზოგადო შიშსა ჰფენს მთელს ქვეყა-

ნაზედ. ყველა მართალი და მტყუანი ერთს ტაფაში იწვიან, ერთნაირად შიშობენ, რომ აი ერთი უბრალო რამ მიზეზი და თავს დამეცემიანო, ხელს წამავლებენო, ჩამითრევენ საქმეშიო და ვინიცის დასასრული როგორი, ან როდის იქნებაო. ეს შიში საერთო მშვიდობიანობისათვის, უფრო ძლიერ მავნებელია, უფრო გამჭრიახია, უფრო ამაშფოთებელია, ვიდრე შიში, რომელიც მოსდევს ავ-კაცობას, ავაზაკობას კერძოდ: ის სახელმწიფოა მარტო მაგარს ნიადაგზედ დამყარებული, საცა ყოველი კაცი დარწმუნებულია, რომ თუ არ უცილობელის, უეჭველის საბუთით ჩემს ადამიანობას, ჩემს მშვიდობიანობას, ჩემს პატივს, ღირსებას, თავისუფლებას კანონი და უფლება არ შეეხებაო. ამ საჭიროებიდამ არის წარმომდგარი ის სახელოვანი აზრი, რომ ჰსჯობს ათი მართლა დამნაშავე გამართლდესო, ვიდრე ერთი მართალი გამტყუნდესო; ამ დიდა აზრზეა დაფუძნებული მეცნიერების კანონი, რომ ბრალდებულს ყოველი ღონისძიება უნდა მიეცეს თავი იმართლოსო და ყოველივე საეჭვო საბუთი მის სასარგებლოდ უნდა აღსნილიყოს და აღიარებულიო.

# პოლიტიკა.

საქმე 16 მაისის სამინისტროისა დეპუტატთა პალატში.—სწავლა-განათლების საქმე საფრანგეთში და ახალი კანონი.—წინა-დადება შესახებ პარლამენტის გადატანისა ვერსალიდამ პარიჟში.— გერმანიის რეიხსტაგი და ელზას-ლოტარინგია.—ბოლგარიის წარჩინებულთა კრება კონსტიტუციის აგებისათვის.

— თავის დროზედ „ივერიაში“ ბევრი რამ იყო თქმული ბროლჯი-ფურტუს სამინისტროზედ, მის თავხედობაზედ და ბოროტ-მოქმედობაზედ. გარდა ამისა მკითხველს კარგად ეხსომება, რომ მას შემდეგ, რაც ამ სამინისტროს მოუცდა თვისი გულის-წადილი და საფრანგეთმა ხელმეორეთ სარესპუბლიკო პალატი ამოირჩია, დანიშნულ იქმნა გამომძიებელი კომმისია 16-მაისის მინისტრების მოქმედობის გამოსაკვლეველად. წელს ამ კომმისიამ დაასრულა თვისი საქმე და შეიტანა პალატში წინადადება რომ ბროლჯი-ფურტუს სამინისტრო სასჯელს უნდა მიეცესო, რადგანაც მის მოქმედებაში მრავალი რამ კანონის წინააღმდეგი აღმოჩენილაო. გაცხარებული ბაასი ასტყდა პალატში ამის თაობაზედ. ზოგი იძახოდა, რომ 16-მაისის სამინისტრო უსათუოდ სამართალს უნდა მიეცესო, სხვის სამაგალითოდ მაინცაო. მთავრობა თვისის ქვეყნის მოღალატე იყოო, პირ-და-პირ ძირს უთხრიდა კანონით დადგენილს მმართველობასაო და სამაგიერო სასჯელი როგორ არ უნდა გადუხადოთო. ზოგი კი ამბობდა—ყვე-ლა ეს მართალიაო, მაგრამ ამ ჟამად მინისტრებისათვის არ გვცალიანო; ეხლა რომ მინისტრების საქმეს შევუდგეთო, გზა დაგვეხლართებაო იმ მრავალ მძიმე საქმეთათვის, რომელსაც შესდგომია ჩვენი ახლად დამკვიდრებული რესპუბლიკაო. პალატის უმრავლესობაც მიუდ-

გა ამ აზრს და უარ-ჰყო კომმისიის წინადადება. ამავე დროს პალატმა გადასწყვიტა ძრახვა გამოუცხადოს საჯაროდ 16-მაისის მთავრობის მოქმედობის თაობაზედ, რათა არ ეგონოს ქვეყანას ვითომ უარყოფა პალატისა კომმისიის წინადების შესახებ ნიშნავდეს პატიობას, ან იმას ვითომ მინისტრები, პალატის აზრით, დასასჯელნი არ არიან. რაღა თქმა უნდა, რომ 16-მაისის მინისტრებს რამდენადაც იამათ პალატის გარდაწყვეტილება სასჯელის შესახებ, იმდენად ეწყინათ მეორე განჩინება შესახებ განკიცხვისა. მინისტრებმა იმ წამსვე გამოაცხადეს გაზეთებში ჩივილი — პალატი უკანონოდ მოიქცაო; ამ გვარი განაჩენი მარტო მსაჯულს (ე. ი. ამ შემთხვევაში სენატს) შეუძლიან დაადგინოსო, და რა კი პალატმა სამართალს არ მიგვცაო, აღარცარა ნება აქვსო განკიცხვის გამოცხადებისაო. მინისტრების ჩივილმა, რასაკვირველია, ამაოდ ჩაიარა. პალატმა კი თავისი გაიტანა: საქვეყნოდ აღიარა 16-მაისის მინისტრების ბოროტ-მოქმედობა, ყველას დაანახვა თუ რა კაცების ხელში იყო ჩავარდნილი საფრანგეთი, რა განსაცდელი მოელოდდა ქვეყანას, ცოტა-ხანს კიდევ რომ გაეტანა თავი უწინდელ მთავრობას. მეტი რაღა უნდოდა? გამარჯვებულმა რესპუბლიკამ ფეხ-ქვეშ მოიქცია დამარცხებული მტერი და ნიშნად გამარჯვებისა არც კი გაისარჯა სამაგიეროს გადახდისათვის. ამით რესპუბლიკამ დაანახვა ქვეყანას, რომ იმდენად ძლიერი ვართ, რომ დასჯა დავარდნილის მთავრობისა საჭირო არ არისო; საქმე მტრის მოშორება იყო და რა კი მოვიშორეთ საკუთარ საქმეს უნდა შევუდგეთ და სხვისთვის არა მცალიანო.

ამ შინაგან საქმეთა შორის ყველაზედ უფრო ღირსშესანიშნავი და თვალ-საჩინო არის სწავლა-განათლების საქმე, რომელსაც ბეჯითად დაადგა ახალი მინისტრი ჟიულ-ფერრი. ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ იმ წინადადებათა, რომელნიც ამ ჟამად არიან მინისტრის მიერ წარდგენილნი პარლამენტის წინაშე, მოჰყვა საშინელი კიჟინა კლერიკალების მხრით, — კიჟანა, რომელიც, მოსალოდნელია, გარდიქცევა ხანგრძლივ ბრძოლათ ეკკლესიისა და სახელმწიფოის შო-

რის. სწავლა-განათლება ხალხისა საფრანგეთში დიდი ხანია თითქმის მთლად კლერიკალების ხელშია ჩავარდნილი. კლერიკალებმა კარგად იციან თუ რა გვარი ძალაა სწავლა და განათლება ხალხისა და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ როგორმე დაბადებიდგანვე ჩაეგდოთ ხელში საფრანგეთის შვილები და ხელიდგან არ გაეშვათ ვიდრე თავისებურად არ გასწვრთნიდნენ. მონარხიული მთავრობაც ხშირად ხელს უმართავდა ხოლმე კლერიკალებს ამ საქმეში, რადგანაც მრავალ შემთხვევაში მათი მიდრეკილება ერთი და იგივე იყო. ეს საერთო მიდრეკილება დაერთვოდა მეტადრე სწავლა-განათლების საქმეს. კლერიკალების სწავლაში ყველაფერს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ნამდვილს განათლებას და გონების გახსნას კი არა. კლერიკალები ცდილობდნენ, რომ ბავშვებმა ქვეყნიერობისა რაც შეიძლება ნაკლები გაიგონონ, რაც შეიძლება ნაკლები ცოდნა შეიძინონ,—ცოდნა, რომელიც თვალს აუხელდა ბავშვს, გონებას გაუხსნიდა და დაანახვებდა თუ რა არის კარგი და ავი, ბოროტი და კეთილი. ზნეობით განვითარებაზედ ხომ რაღა თქმა უნდა: თვითონ გამწრთვნელნი ცალის თვალით ზეცას შესცქეროდნენ და ცალის თვალით დაჰყურებდნენ თვის სააქაო საქმეთა მომართვას, და ამის და გვარად ბავშვებსაც აგონებდნენ პირ მოთნეობას, თვალ ახვეულ მორჩილობას, მადლიანობას—ცალის ხელით და პირადის სარგებლობის შეძენას—მეორეთი. მონარხიული მთავრობაც ხელს უმართავდა მეთქი ამ საქმეში; იმასაც დიდად იამებოდა, რომ ხალხს ბევრი არა სცოდნოდა რა და თვალი არ აეხილა ქვეყნიერობის ავ-კარგიანობაზედ; იამებოდა მეთქი და ამიტომაც არ აცლიდა კლერიკალებს ხელიდამ სწავლა-განათლების საქმეს. კლერიკალებიც ამით სარგებლობდნენ და იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ 1875 წელს კანონად მიაღებინეს პარლამენტს (რამდენად გულწრფელი რესპუბლიკელნი იყვნენ იმ დროს მთავრობა და პარლამენტის უმრავლესობა—კარგად მოგეხსენებათ) წინადადება, რომლის ძალით უმაღლესი სწავლა თავისუფალ უნდა ყოფილიყო, ესე იგი, კერძო უნივერსიტეტებს იგივე ძალა და უფლება

უნდა ჰქონოდათ, როგორიც აქვსთ სახელმწიფოის უნივერსიტეტებს. კლერიკალებს, რასაკვირველია, თავისუფლებისა ბევრი არ ენაღვლებოდათ რა; მათ ჰსურდათ მხოლოდ ჩაეგდოთ ხელში თვის მოწაფეთა უმაღლესი სწავლაც, მათთვის დიპლომების დარიგება და სხვ. ერთის სიტყვით, მათ ჰსურდათ, რომ კლერიკალური სული კაცს ბოლომდე გაჰყოლოდა. რაკი უმაღლესს სწავლასაც ჩაიგდებდნენ ხელში კლერიკალები და გამოუშვებდნენ უმაწვილ-კაცებს იმ გვარივე დიპლომით და უფლებით, როგორიც უპყრიათ სახელმწიფოის უმაღლესს სასწავლებელთ, მრავალი კაცი კლერიკალობის სასწავლებლიდამ კლერიკალებისავე უნივერსიტეტში შევიდოდა და ამ გვარად ასცილდებოდა სხვა გავლენათა მაცდურობას. რა წამსაც დადვენილ იქმნა ზემოხსენებული კანონი, იმ წამსვე კლერიკალებმა დაარსეს თვისი საკუთარი უნივერსიტეტი. ეხლა, როდესაც რესპუბლიკა შესდგომია წარსულის დროიდგან შეყოლილ ტკივილების მორჩენას, ახალმა სწავლა-განათლების საქმის მინისტრმა ჟიულ-ფერრიმ წინადადება შეიტანა პარლამენტში, რომლითაც კლერიკალებს გამოეცლებათ უწინდელი უფლება ხალხის განათლებაში. ამ კანონის ძალით დიპლომების დარიგება ისევ მხოლოდ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს; გარდა ამისა ამ კანონის ძალით კერძო სასწავლებელში მასწავლებლად უნდა იყოს მხოლოდ ის, ვისაც მთავრობისაგან აქვს მინიჭებული უფლება მასწავლებლობისა, და სხვ. ყველა ეს კლერიკალებს, რასაკვირველია, ვერაფრად მოეწონათ და მოჰყვნენ კიჟინას — გვიშველეთ ყელსა გვჭრიანო; ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე თავისი გაიყვანონ, ასტეხონ რაიმე არეულობა და მით ჩამოაცილონ რესპუბლიკელთა მოწადინეობა, კლერიკალები მით უფრო გაბრაზებულნი არიან, რომ მთავრობის თაოსნობა შეეხება არა მარტო უმაღლესს სასწავლებელს, არამედ ხალხის განათლებას, მთლად, თავიდამ ბოლომდე. მაგალითებრ, მომზადებულია კანონი, რომლის ძალით ყოველ დეპარტამენტში დაარსებულ უნდა იქმნეს საოსტატო სემინარია, ერთი ვაჟებისათვის და ერთი ქალებისათვის. ამ სემინარიიდამ უნდა გამოვიდნენ სასოფ-

ლო შკოლების მასწავლებელნი. ამ ჟამად მასწავლებელთა შორის უმეტესი ნაწილი გამოდის კათოლიკების სასწავლებლებიდამ. მასწავლებელნი უმეტესად ქალები არიან, გაზრდილნი კლერიკალების ხელში და ამიტომ უმეცარნი და არაფრის მცოდნენი. მასწავლებელთა რიცხვი საფრანგეთში არის 110,709, რომელთა შორის ნახევარზე მეტი ქალია (59,200). ეხლა რესპუბლიკელი მთავრობა თვითონვე მოჰკიდებს ხელს მთლად ხალხის განათლების საქმეს. გარდა ამისა რესპუბლიკის უკეთესნი მოღვაწენი ცდილობენ, რომ სწავლა შკოლებში იყოს მხოლოდ საერო, და სასულიერო ნაწილი კი მიენდოთ თვითონ დედ-მამას ბაშვებისას. სარწმუნოება იმ გვარი საქმე არისო, რომელიც საკუთარს, კერძო სვინიდისზედ უნდა იყოს დამყარებულიო და სახელმწიფოს არავითარ არ შეეხებაო. გარდა ამისა სწავლა (პირველ-დაწყებითი) და განათლება ხალხისა უნდა იყოს კალდებულიო და მაშასადამე მუქთიო, ესე იგი, ხარჯი ამა სწავლისა მთლად სახელმწიფომ უნდა იკისროსო. ყველა ამის შემდეგ რაღა თქმა უნდა, რომ კლერიკალები გაბრაზებულნი არიან და ცდილობენ დაბრკოლება აღმოუჩინონ მთავრობას. ღონისძიება კი ბევრი აქვსთ, ღვთის წინაშე. ნივთიერი და სულიერი ძალა კლერიკალებისა განთქმულია. გარდა ამისა, რაც კი რამ ემტერება აწინდელს რესპუბლიკას სულ კლერიკალებს მიუდგება. ამ მხრით ბევრი განსაცდელი მოელით რესპუბლიკელთ და აწინდელს მთავრობასაც. ეპისკოპოსებს საჩივარი შეაქვთ პარლამენტში ჟიულ-ფერრის წინადადების შესახებ. ამ საჩივარზედ ხელს აწერინებენ ყველა მათ მომხრე კათოლიკებს. ამ წინააღმდეგობაში რომის პაპიც ახალისებს თურმე ეპისკოპოსებს.

ჟიულ-ფერრის მიერ წარდგენილი კანონი არსებობს ამ ჟამად სენატის კომმისიაში და თვითონ სენატი განიხილავს მაისის ნახევარს, როდესაც პარლამენტი, ვაკაციის შემდეგ, ხელახლად შეიკრიბება. როგორ გადასწყვეტს საქმეს სენატი, ღმერთმა უწყის, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ ამ საქმეში სენატი მიუდგება პალატს თუ არა — ეს ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია. იმ უთან-

ხმოების დაბოლოვებაზედ, რომელიც ატეხილია ამ ჟამად სენატისა და დეპუტატთა პალატის შორის. ეს უთანხმოება ასტყდა პარლამენტის (სენატისა და დეპუტატთა პალატის) ვერსალიდამ პარიჟში გადატანის თაობაზედ. საფრანგეთის აწინდელი კონსტიტუციის ძალით (მეცხრე მუხლი) სენატი და დეპუტატთა პალატი უნდა იმყოფებოდნენ ვერსალში და არა პარიჟში, როგორც უწინ იყო. რევოლიუციით დაშინებულმა ნაციონალურმა კრებამ ეს მუხლი ჩაურთო კონსტიტუციის 1875 წ. იმ იმედით, რომ ვინიცობაა მოუსვენარ პარიჟელებმა ასტეხონ რამე, გარედამ უფრო დავამშვიდებთ და დავიმორჩილებთო, ვიდრე შიგ პარიჟშიო; გარდა ამისა თვითონ პარლამენტიც ვერსალში უფრო უშიშრად იქმნებაო.

ამასთანავე, მონარხიელნი, რომელთაგანაც იყო შემდგარი უმეტესი ნაწილი იმ დროის ნაციონალურის კრებისა, რასაკვირველია, ფიქრობდნენ — ვერსალში უფრო მალე ავაგებთ მონარხიელ მმართველობასაო, ვიდრე პარიჟში. გავიდა დრო რევოლიუციის ხსენება აღარსად არის; პარიჟის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს საკვირველი ხერხი და ცოდნა თავის დაჭერისა; რესპუბლიკა მკვიდრად დამყარდა საფრანგეთში და მტკიცედ დაიპყრა მთელის ხალხისა და აგრეთვე პარიჟელების ნდობა. მაშასადამე არავითარი მიზეზი აღარ არის, რომ რესპუბლიკაც თავისის მხრით არ ენდოს პარიჟს და უკანვე არ დაუბრუნოს რაც ეკუთნოდა და უნდა ეკუთვნოდეს მას სამართლიანად. რესპუბლიკას მოაქვს თან განახლება საფრანგეთისათვის ყოველის მხრით. ხმარებულ უნდა იქმნეს ყოველი ღონისძიება, რომ ძველის ტკივილის ხსენებაც არ იყოს; რომ უბედურნი დღენი სრულიად დავიწყებულნი იყვნენ. პარლამენტის მოღვაწეობის გადატანა პარიჟიდამ ვერსალში არის ნაშთი მრავალ უბედურებისა; ეხლა ეს ნაშთიც უნდა გაქრეს თუ რესპუბლიკას არ უნდა შეურაცხ-ყოფა პარიჟისა და მასთან საფრანგეთისაც. ასე ფიქრობენ რესპუბლიკის მოღვაწენი, როდესაც თხოულობენ პარლამენტის ისევ პარიჟში დაბრუნებას. რასაკვირველია, სხვა მრავალი საბუთიც არის ამ თხოვნისათვის. ეხლა მრავალი დრო ტყუილ-უბრალოდ იკარგება პარიჟიდამ წასვლა-მოსვლაში როგორც

სენატორებისა და დეპუტატებისათვის ისე მინისტრებისათვის, რომელთაც ზოგჯერ კაგონში აქვთ ხოლმე სჯა სახელმწიფოის სხვა-და-სხვა მძიმე საქმეზედ. სხვა-და-სხვა კომმისიების მოღვაწეობასაც მრავალი დაბრკოლება უხვდება წინ იმის გამო, რომ პარლამენტი პარიჟის გარედ იმყოფება. ყველა ამ მიზეზის გამო დეპუტატთა პალატამ გარდასწყვიტა, რომ პარლამენტი ისევ პარიჟში უნდა დაბრუნდესო. მაგრამ რადგანაც, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, პარლამენტის ვერსალში ყოფნას თხოულობს კონსტიტუცია, ამიტომ მარტო პალატის სურვილი ამ შემთხვევაში საკმარისი არ არის. ამისათვის საჭიროა განხილვა კონსტიტუციისა და იმ მუხლის გაუქმება, რომელიც შეეხება პარლამენტის ბინას. კონსტიტუციის განხილვისათვის კი საჭიროა კონგრესი, ე. ი. საერთო კრება დეპუტატთა პალატისა და სენატისა. ამის და გვარად პალატამ განუცხადა სენატს თვისი გარდაწყვეტილება — თქვენ რაღას ფიქრობთო. სენატმა გადასცა ეს საქმე კომმისიას, რომელმაც გადასწყვიტა პალატის წინააღმდეგ და მოახსენა სენატს. ამ მოხსენების თაობაზედ სენატში სჯა და ბაასი უნდა მომხდარიყო, მაგრამ პალატის გარდაწყვეტილობის მომხრეები იმდენი ეცადნენ, რომ ეს ბაასი გარდაადებინეს იმ დროისათვის, როდესაც სენატი ხელახლად შეიკრიბება ვაკაციის შემდეგ. ასე მოახდინეს იმ იმედით, რომ აგენი როგორმე სენატის უმრავლესობას დაგვიყოლიოთო. უნდა მოგახსენოთ, რომ მინისტრებიც იმ აზრისანი არიან, რომ პარლამენტი ისევ პარიჟს უნდა დაბრუნდესო. ამით, რასაკვირველია, მთავრობა აცხადებს, რომ მშვიდობიანობას არავითარ შიში არ მოელისო პარიჟელების მხრით და თავდებათ მე დავდგებიო. თუ სენატმა არ შეიწყნარა პალატის (მაშასადამე მთავრობისაც) სურვილი, მაშინ სენატისა და პალატის განხეთქილებას მოჰყვება აგრეთვე სამინისტროის გადადგომაც, თუ მართლა აწინდელი სამინისტრო, მეტადრე მისი მოთავე ვადდინგტონი, გულ-წრფელად ემსახურება რესპუბლიკას. თუ ამ საქმეში სენატი და დეპუტატთა პალატი ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, მაშინ საჭიროა სენატი სხვა

საქმეშიაც (მაგალითებრ სწავლა-განათლების შესახებ) აღმოუჩენს პალატს დაბრკოლებას თუ არა.

ახალი სესსია გერმანიის რეიხსტაღისა უმთავრესად სულ ერთსა და იმავე საგანს დასტრიალებდა — სოციალისტების ქადაგობას და საშიშრო მოღვაწეობას... სხვა საგანთა შორის, რომელნიც განხილულ იქმნენ რეიხსტაღში ღირს-შესანიშნავია ახალი განწყობილობა ელზას-ლოტარინგიისა. მას აქეთ, რაც ეს ქვეყანა წაერთვა საფრანგეთს მისი მდგომარეობა გერმანიის იმპერიის წინაშე მტკიცედ არ იყო განვითარებული. გერმანიის იმპერია, როგორც მოგეხსენებათ, არის სხვა და-სხვა სახელმწიფოთა კავშირი, რომელთაგან თვითოეულს აქვს საკუთარი წყობა და მომართულობა, საკუთარი კონსტიტუცია. რადგანაც ელზას-ლოტარინგიას არ ჰქონდა ამ გვარი საკუთარი მომართულობა, ამიტომ სხვა სახელმწიფოებს (გერმანიისას) ვერ მიუდგებოდა როგორც თანასწორი ამხანაგი. გარდა ამისა ელზას-ლოტარინგიის მდგომარეობაზედ არაფერს არც გერმანიის კონსტიტუცია ამბობდა, რადგანაც ეს კონსტიტუცია დადგენილი იყო უწინარეს, ვიდრე გერმანია შეურიგდებოდა საფრანგეთს. ამიტომ ელზას-ლოტარინგიას მოახმარეს ერთის მხრით განგებ დადგენილი კანონი და მეორის მხრით საზოგადო კონსტიტუცია გერმანიისა. ყველა ეს, რასაკვირველია, საკმარისი არ იყო: გერმანიის კონსტიტუცია დაერთვის მხოლოდ იმ საგნებს, რომელნიც შეეხებიან სხვა სახელმწიფოებს საერთოდ; თვითოეულის სახელმწიფოს შინაგანი განწყობილობა და მმართველობა კი მინდობილი აქვს თვითონ ამ სახელმწიფოს. ელზას-ლოტარინგიას მიეცა უფლება დეპუტატების გაგზავნისა რეიხსტაღში; სხვაფრივ კი სრულიად დამოკიდებული იყო იმპერატორის ნება-ყოფლობაზედ. ეხლა ელზას-ლოტარინგიას ეძლევა საკუთარი, ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი მმართველობა, რომლის ძალით ერთის მხრით დაედრება სხვა მოზავე სახელმწიფოს გერმანიისას. ელზას-ლოტარინგიას ექნება თავისი მთავარ-მართებელი (იმპერატორის მოადგილე), პასუ-

ხის-მგებელი სამინისტრო, საკუთარი პარლამენტი (ანუ მსგავსი პარლამენტისა). რა გვარი იქნება ახალი მოწყობილობა ელზას-ლოტარინგიისა დაწვრილებით—ჯერ ვერას ვიტყვით. არც იმაზედ ითქმის არაფერი თუ რამდენად კმაყოფილნი იქმნებიან და არიან თვითონ ელზას-ლოტარინგიელნი. თაოსნობა ამ საქმეში ეკუთვნით ელზას-ლოტარინგის დეპუტატების ერთს გუნდს, სახელდობრ იმ დასს, რომელიც ელზას-ლოტარინგიის დამოუკიდებლობას ქადაგობენ. გარდა ამ დასისა ელზასიელ დეპუტატთა შორის არიან იმისთანანიც, რომელთა გულის წადილი არის ისევ საფრანგეთთან შეერთება, ან არა და გერმანიასთან გაყრა მაინც. ამ დეპუტატებს ვერაფრად ეჭაშნიკებათ ახალი წყობა ელზას-ლოტარინგიისა,—წყობა, რომელსაც ასე შეჰყითად ნდომობს თვითონ ბისმარკი. მათის აზრით—თუ ელზას-ლოტარინგიას თვით-მმართველობა უნდა მიეცესო, მაშასადამე მას უნდა მიეცესო სრული საკუთარი დამოუკიდებელი პარლამენტი, ამორჩეული საყოველთაო არჩევანითაო. მაგრამ ბისმარკი, რასაკვირველია, არ მოინდომებს ამას,—ბისმარკი, რომლის გულის წადილი ბოლოს და ბოლოს ის არის რომ სრულიად გააგერმანიოს ელზას-ლოტარინგია.—

თითქმის ორი თვეა რაც ბოლგარიაში (ქ. ტირნოვში) შესდგა წარჩინებულთა კრება კონსტიტუციის დადგენისათვის, მაგრამ მარტო ეხლახან შესდგომია ბოლგარია საქმესა. რუსეთის მიერ გამონახული კონსტიტუცია გარდაცემული იყო ცალკე დანიშნულ კომმისიაში, რომელსაც ამ ჟამად დაუსრულებია და კრებისათვის მოუხსენებია თვისი განაჩენი. შესახებ ამისაც შეგვიძლიან მხოლოდ ვაჩვენოთ თვითონ საგანი და მოსაზრება კი შემდეგისათვის გადავდვათ, როდესაც დაწვრილებით გვეცოდინება ახალი კონსტიტუციის შინაარსი. ჯერ-ჯერობით კი ცნობილია შემდეგი: კომმისიის აზრით ორი პალატი უნდა იყოს ბოლგარიაში—სენატი და დეპუტატთა პალატი. პალატის სესსია დაიწყება პირველ ოკტომბერს და გათავდება პირველ დეკემბერს, ესე იგი პალატი იმოქმედებს წელიწადში მხოლოდ ორ თვეს. ამ ხნის განმავლობაში ბევრს კი ვერას მოასწრობს, სწორედ მოგახსენოთ. სენატი

იქმნება შემდგარი 20-25 წევრისაგან, რომელთა შორის 10-15 დანიშნულ უნდა იქმნენ მთავრის მიერ, სამი — უმაღლეს სამღვდელოიდგან (ამ სამში ერთი სენატის თავმჯდომარეთ უნდა იყოს), დანარჩენი წევრნი სენატისა მსაჯულთა შორის იქმნებიან ამორჩეულნი. ვიმეორებ: ჯერ-ჯერობით არავითარი მოსაზრება ბოლგარიის თაობაზედ არ შეიძლება ვიდრე საქმე არ დაბოლოვდება.

---

# ივერია

გამოდის თვეში ერთხელ, თითო წიგნად.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის ქვემოდამ, და აგრეთვე თვით რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4; ქუთაისში, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფ ა ს ი:

| | | |
|---|---|---|
| ტფილისში მცხოვრებთათვის: | მთელის წლით — | 11 მან. |
| | ექვსის თვით — | 5 მ. და 50 კ. |
| გარეშე მცხოვრებთათვის: | მთელის წლით — | 12 მან. |
| | ექვსის თვით — | 6 მ. და 50 კ |

# ი ზ ა

(რომანი ბუვიესი.)

## ნაწილი პირველი

## ძალდატანებული ქორწინება

### თავი I.

უცნაური საქციელი საპატარძლოსი ქორწილის წინა დღეს.

კლოდ ტიუსსოს პარიჟში, სენ ფრანსუას ქუჩაზედ ბრონზის ქარხანა ჰქონდა. ხმა გავარდა თუ არა, რომ ამისი ქალი ლამაზი სუსილა თხოვდება და ირთავსო აწოწვილს გუდარს, რომელსაც მეტს სახელს „ჯაგლაგს" ეძახდნენ,—ყველას მთელს მარეს უბანში გაუკვირდა და გულიც აუმღვრია. არავის არ ჰსჯეროდა, რომ ეს ხმა გამართლდება. მთელი ათი წელიწადი იყო, რაც ლაპარაკობდნენ რომ ტიურსსოს ქარხანა გუდარის ფულით რსებობსო და გუდარი ფულს აძლევსო იმიტომაო რომ ტიუსსოს ცოლთან ძალიან დაახლოებულიაო. ყველანი იმ აზრისა იყვნენ რომ მარტო ქმარმა არ იცისო თავისი შესარცხვენი ამბავიო.

ყველაზედ მეტათ ისა სწყინდათ, რომ თვითონ ტიუსსოს ცოლს მოუწადინებია ეს ქორწინებაო.

მარეს უბნელები საზოგადოდ ძალიან მეჭორეები იყვნენ და ამის გამო ჭორიკანაობას ქორწინების თაობაზედ ბოლო არა ჰქონდა.

ზოგი ამბობდა, რომ ტიუსსოს კუტრობაში ეჯხი უდგასო და ქალს აძლევს იმიტომაო, რომ სიძე ამხანაგად გაიხადოსო და ამით თავის სახელს უშველოსო. მეორენი ამბობდნენ, რომ ტიუსსოს ცოლი ათხოვებს ქალსა მარტო იმისთვისაო, რომ თავისი საყვარელი თავისთან იყოლიოსო. მესამენი ამბობდნენ, რომ ლამაზს სესილს გაგიჟებით უყვარსო მორისი, თავის მამის შეგირდი და თავის ამხანაგი პატარაობისა; რომ დედ-მამა იძულებულ იყვნენო გაეგდოთ მორისიო როცა მოიზარდა და ქარგლად შეიქმნაო და ქალის გათხოვებაც უნდა დაეჩქარებინათო, რადგანაც ყოველს დღეს ფათერაკი მოსდევდაო. ბევრს რასმეს უბედობდნენ კიდევ მეზობლები. ხოლო ჩვენ ვიტყვით მას, რასაც ისინი არ ამბობდნენ, სახელდობრ, მართალსა,

მართალია კლოდ ტიურსსოს სახლში ქორწილისათვის მზადება იყო და ჩვენი ამბავი იწყობა იმ დღიდამ, რომლის მეორე დღეს ანდრე გუდარს, მეტის სახელით „ჯაგლაგს“, უნდა ჯვარი დაეწერა ახალგაზრდა და მშვენიერს სესილაზედ.

რადაც შემთხვევით სესილას დედა მარტოდ დარჩა გუდართან და დაბლა ხმით უთ...რა:

— ბოლოს თქვენი სურვილი გაიყვანეთ. ღმერთმა შეგინდოსთ.

გუდარმა კი მხიარულის ღიმილით ხმა მაღლა უპასუხა:

— თქვენი ქალი, დედავ ტიუსსო, ყველა ქალზედ უბედნიერესი იქმნება.

თვითონ საპატარძლო კი სრულიად გულ დამშვიდებული იყო და მისი მკახე სახის მეტყველება ყველას აოცებდა. სესილა იყო თექვსმეტის წლის ქალი, ბრწყინვალე შავი, როგორც გიშერი, თმა ჰქონდა, ცისფერი თვალები, რომელნიც სხივსავით გამოკრთოდენ ხშირის წარბწამწამის ქვეშ, სწორე ცხვირი და წვრილი, უმაწვილური ტუჩები. როცა გაიღიმებდა ხოლმე, რასაკვირველია არა ...ხლა, გამოაჩენდა ხოლმე მშვენიერს თეთრს პატარა კბილებს. ერთის სიტყვით სესილა მეტად ლამაზი და ტურფა რამ იყო. ხოლო ჯვარის წერის წინა დღეს სესილა ისე იყო, თითქო სულ მარტოდ-მარტოაო, თუმცა მის გარეშემო დიდი

მზადება და ფაცა-ფუცი იყო; გულგრილად უყურებდა ყოველს ამ მზა-დებასა, თვითონ არაფერს ხელს არა ჰკიდებდა, ზიზღით ორიოდე სიტყვას გადუგდებდა ხოლმე თავის საქმროს და დედ-მამის ყოველს კითხვაზედ, ამას ეუბნებოდა:

— რაც გნებოთ იგი ჰქენით... მე აკი გითხარით, რომ თქვენი მორჩილი ვიქნები მეთქი.

სადილს უკან, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სტუმრები ქორ-წინების მოწმად, ტიუსსოს ცოლმა მოურიდებლად ჰსთქვა:

— ბატონებო, ჩვენ ძალიან დაღალულნი ვართ ამ ფაცი-ფუცისაგან, გთხოვთ ნება მოგვცეთ პატარა შევისვენოთ. აი ხომ ხედავთ, საწყალს სესილას ისე უნდა ძილი, რომ მთელს საღამოს ხმაც არ ამოუღია და ხვალაც ადრე უნდა ავდგეთ.

ყველას გაეცინა, მეგობრულად გამოეთხოვნენ სახლის პატრონს და მერე დღის ლხინი და სადილი რომ აგონდებოდათ, ტუჩებს ილოკდნენ. აწოწვილი გუდარი, მეტის სახელით „ჯაგლაგი", მივიდა სესილთან და მოეხვია. ხოლო ქალმა ხელი ჰკრა და მოირიდა, ეშინოდა რომ სხვა რამ უფრო უარესი კადნიერება არ გაბედოსო.

— ახლა რაო სესილ? უთხრა მან: მტკიცედ დაგიდვია თავი იმა-ზედ, რომ მე თავის დღეში ღიმილით არ შემომხედო?

— მე თქვენთვის მითქვამს, ბატონო გუდარ, რომ სიყრმითვე და-ჩვეული ვარ დედ-მამის მორჩილებას და მას ვიქმ, რასაც ჩემს სასარ-გებლოდ ისინი დაინახვენ. რა გრძნობითა ვარ თქვენზედ, ეს მე პირ-დაპირ მითქვამს თქვენთვის და არ დამიმალავს. თქვენ ჩემს ნათქვამს ყურს არ ათხოვებთ...... თქვენ გაჰსცემთ პასუხს ყოველს მასში, რაც მო-ხდება.

ბოროტმა ღიმილმა გაუმრუდა სახე ჯაგლაგს და თვალებმა გა-მოუელვეს გაბრაზებით, ხოლო წუთის შემდეგ მხრები აიწია, სულე-ლურად ჩაიცინა და ჰსთქვა ძალად მოვლენილ მხიარულებით:

— სესილ, მე შენ პატარაობითვე გიცნობ, მახსოვს რომ ყო-ველთვის თვით-რჯული, ბუტია და ჟინიანი იყავ. მაგრამ მე იმ ნაი-

რად დავუყვავებ და მოვუვლი ჩემს ლამაზ ცოლსა, ისეთის სიმდიდრით შევამკობ, რომ ეხლანდელს თავის სიტყვებს შეინანებს... და მე შემიყვარებს.

ამ სიტყვებზედ ასეთის უცნაურის თვალით შეხედა ყმაწვილმა ქალმა, რომ გუდარმა წარბი შეიკრა.

ეს პატარა ამბავი მოხდა გარედ კარებთან და სტუმრები ჩამოეცალნენ, რომ საქმროს არ დაუშალონ თავის საცოლოს გამოეთხოვოს. გუდარი წავიდა და ძლივს იკავებდა თავის ჯავრსა და სუსილი კი გულ აუმღვრევლად დაბრუნდა თავის ოთახში.

ვიდრე თავის საწოლში შევიდოდა, დედ-მამამ ტკბილად ჩაჰკოცნეს ქალი. მამამ დაუწყო ალერსი და უთხრა:

— ჩემო გვრიტიკო, სუსილ! ჭკვიანურად მოიქეც, წადი კარგად გამოიძინე და ეგრე გაბუტვით ნუღარ იქნები. მე იმედი მაქვს, რომ ხვალ აგრე ცხვირ-პირ ჩამოშვებული არ იქნები.

— ოჰ, არა, არა, მე ხვალ ისე აღარ ვიქნები, როგორც დღეს ვარ, უპასუხა რაღაც უცნაურის ხმითა.

— რასაკვირველია, შენ უნდა გულდადებით იყო; შენი გათხოვება ჭკუის საქმეა და არა სიყვარულისა; ჩემო კარგო, შენ არ იცი, რა ცოტას რასმეს ნიშნავს ცოლ-ქმრობაში სიყვარული. ბედნიერება მოსვენებასა და სიმდიდრეშია. შენ სიღარიბისას არაფერს შეიტყობ, სუსილ, და აბა ჰკითხე დედა-შენს რა საშინელი დღენი გამოგვივლია იმიტომ რომ ჩვენ ერთმანეთს მზითვად სიღარიბე მივუტანეთ. ბედნიერებისათვის რომ სიყვარული საკმაო იყოს, მაშინ ცოლ-ქმრობაც მეტი იქნება: სიყვარული ჯვარის-წერის იქით ვეღარა ჰსძლებს.

— მამა-შენი მართალს ამბობს, ჩემო შვილო, შენიშნა დედამ და კიკინები გაისწორა.

ყმაწვილმა ქალმა კისერი მოიღერა, შედგა დედ-მამის წინ და ნელის ხმით ჰსთქვა:

— მე რომ მაინც არ დავემორჩილო და ხვალ ვსთქვა არა მეთქი.

კლოდმა და ცოლმა ერთმანეთს შეხედეს იმ სახით თითქო ელ-და ეცათო.

— რაო, შე უბედურო! უპასუხა მამამ: — არ დაგვემორჩილები... მაშინ შეჩვენებულ და დაწყევლილ იქნები ჩემგან... მე მაშინ დავი-ღუპები... მე აღთქმა მიმიცია ანდრესათვის...

— მაშ თქვენი სარგებლობა ყველაზედ წინ ყოფილა ამ საქმე-ში, უპასუხა მკვახედ სესილმა: — მაგას ჩემი სიკვდილი შეუძლიან.

— მაგისაგან არ იხოცებიან, დაიძახა მრისხანედ ტიუსსომ და გაბოროტებისაგან აინთო: — ეხლა კი დროა ყველაფერი გქსთქვათ პირ-და-პირ. მე ქვეყნის წინაშე გიცხადებ, რომ მირჩევნია მოჰკვდე, ვიდრე შენი სულელური სიზმრები ასრულდეს...

— დაჩუმდი, კლოდ, გაიყუჩე, თუ რა დაგემართა! უთხრა ცოლმა, თუმცა ქმარს გულში ის არა ჰქონია, რასაც ამბობდა: — დეეხსენ, სესილს, კონფერებას ჯერ გადუძღება და ურჩობასაც არ გაგვიწევს.

დედამ აკოცა ქალს და როცა სესილი მოშორდა ამათ და თავის ოთახისკენ წავიდა, ცოლმა უთხრა ქმარს:

— როგორ არ გესმის, კლოდ, რომ საწყალს ბავშვს ემძიმება გამოესალმოს ყოველს თვის ნატვრას და იმედებსა, მერე ამასთანაც იგი ჩვენს ნებას არ ეურჩება და მარტო იმას ამბობს საწყალი, რომ თქვენი ნება ჩემთვის კანონიაო.

— ეგეები ხომ არ იქნებოდა, თუ რომ შენ ნება არ მიგეცა მორისსა და მაგას ჭაერში ციხეები ეშენებინათ.

— განა წინადვე შესაძლოა მცოდნიყო... რაც ბოლოს მოხდა.

ამის შემდეგ ცოლ-ქმარნი თავის საწოლში შევიდნენ.

სესილი კი გამოეთხოვა თუ არა თავის მშობლებს, ავიდა მაღ-ლა თავის ოთახში და ქვეშაგებზედ ჩამოჯდა. მთელი საათი უძრავად იჯდა და ერთსა და იმავე ადგილისაკენ მიემართა თვალები.

— თავის დღეში... არა, არასოდეს..., ნამეტნავად მაგას! დაიძახა უეცრად და მთელის ტანით აკანკალდა; თითქო ერთს საზარელს და საზი-ზღარს რასმეს შეეხოო.

ადგა, ფეხ-აკრეფით, მივიდა შკაფთან, წამოისხა წამოსასხამი, ნელა ჩამოვიდა ძირს, ქარგლების ოთახი გაიარა და გავიდა ქუჩაში.

გარედ რომ ნახა თავისი-თავი, ფეხი აუჩქარა, ტიურენის ქუჩის ყურეში სარდაფი იყო ღვინისა, ჩაიხედა, დაინახა საათი და გასინჯა.

— თერთმეტი საათია! წაიჩურჩულა თავის-თავად: უსათუოდ მელის.

უფრო ჩქარა წავიდა, თითქმის სირბილით. ბასტილიის მოედანზედ რომ მივიდა, დადგა, ბურდონის საწყლიპიროს ყურეში. იმავე წამს ერთი ყმაწვილი-ქალი მოვიდა ამასთან.

— რაო? უთხრა მან და გამოუწოდა ხელი.

— სულ ყველაფერი გათავდა! უთხრა ქალმა გულ-დაწყვეტით.

— ახლა შენ რას ჰფიქრობ? ჰკითხა ჭაბუკმა საშინლად აღელვებულმა.

— დიახ, დიახ, მეც თანახმა ვარ, თანახმა, ჰსთქვა ქალმა გულის კდომითა და დაეცა ჭაბუკს გულზედ.

რამდენსამე წუთს მაგრად იყვნენ ერთმანეთზედ გადახვეულნი და მწარედ ტიროდნენ. ბოლოს ქალმა დაიმორჩილა გულის მღელვარება, გამოეცალა ჭაბუკს ხელიდამ, სწრაფად მოიწურა თვალთაგან ცრემლი და ჰსთქვა:

— მე თანახმა ვარ, მე მინდა სიკვდილი, გესმის?

— რისთვის?

— მისთვის, რომ მე შენ მიყვარხარ და აღთქმაც დამიდვია, რომ შენი ვიყო... სიცოცხლეს ჩვენი გაყრა უნდა, სიკვდილი კი შეგვაერთებს; მაშ ჰსჯობს დავიხოცნეთ.

— მევე მეშინიან ეხლა, რომ ეგ აზრი მოგეცა.

— მე ჩავიდგამ ვაჟ-კაცობის სულს. ყური დამიგდე, მორის. ჩვენ ერთმანეთს პატარაობითვე ვიცნობთ. შენ დედ-მამა და თვისტომი არა გყვანდა, ერთი და გყვანდა, ჩემი მეგობარი ამელი. შენ ჩვენს ოჯახში გაიზარდე, მე და შენ და ძმანი ვიყავით. ჩვენდა გაუ-

გებრად ჩვენს შორის უფრო ღრმა შემსჭვალულობა დაიბადა, ხოლო ჩვენ ორივეს ნამუსი გვქონდა და იმოდენად პატივ-ვცემდით ერთმანეთს, რომ ჩვენი კავშირი ბოროტ-მოქმედობით არ წავბილწეთ. ჩვენი ნატვრა ცოლ-ქმრობა, ჯვარის-წერა იყო და შენ ცდილობდი კარგ ქარგლად გამხდარიყავ და მე კარგ სახლის პატრონად. შენ შენი განზრახვა აისრულე, მე კი ხელი შემიშალეს. ჩვენს დედ-მამას — ჩემს დედ-მამას შენც შენად ხადი — არა ჰქონდათ ფიქრად რომ ჩემით თავისი საკუთარი საქმე გაეკეთებინათ და ამიტომაც ჩვენს ნატვრას და იმედს ხელს უწყობდნენ. ჩვენი სიმართლე ამაშია, მორის, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი და ნებაც გვქონდა სიყვარულისა.

უმაწვილს კაცს თვალთაგან ცრემლი ჩამოსდიოდა.

— ნუ ჰსწუხარ, მორის, განაგრძო სესილმა მწუხარის ღიმილით: დღეს ჩვენის ჯვარის-წერის დღეა... ერთხელ ჩვენს სახლში ერთმა ავმა სულმა შემოდგა ფეხი... მამი ჩემის მეგობარია... მეგობარია... შენც იცი... მეგობარია დედი ჩემისა... ხომ გახსომს რა რიგად ვიწოდი მე, იმ თავზედ ლაფ-დასხმას რომ ვხედავდი; იმან ფული მიჰსცა მამა-ჩემს და დღეს მარტო იმას შეუძლიან დაიხსნას მამი ჩემის სახელი კუტრობისაგან... რა უნდა მექნა? მეთქვა მამი ჩემისათვის რა ფასადაც ყიდულობდა იმ საძაგლის მეგობრობას... ხომ დედა ჩემს მაშინვე გააგდებდა, თავზედ ლაფს დაასხამდა, შეარცხვენდა საქვეყნოდ, მერე სწორედ იმ დროს, როცა დედა-ჩემი ნანობს თავის წარსულსა... ყველაზედ საზარო ის არის, რომ დედა-ჩემმიც თანახმაა იმ კაცს მიმცეს. ამ ერთის თვის წინად დამპირდა უარს ვეტყვიო, მეორე დღეს მე ტანისამოსს ვალაგებდი დედი-ჩემის ოთახის გვერდით. გუდარი დედასთან შევიდა. წიგნი მიელო დედი-ჩემისაგან, რომელშიაც დედა-ჩემი ჰსწერდა, რომ მე თავის დღეში არა ვიქმ იმ საძაგლობასაო, რასაც ჩემგან თქვენ ითხოვთო: რომ იცოდე, მორის, რები გავიგონე... ხომ ძალიან დაბლა დაცემულია დედა-ჩემი; მაგრამ იმ დღეს სწორედ შემებრალა. საწყალი დედა-ჩემი! იმისთანა უნამუსო კაცის მონად ყოფნა საშინელია! რა მძიმედ დასჯა ბედმა საწყალი დედა! გუდარმა გადაათქმევინა დედას სიტყვა და

პირობა ჩამოართვა, რომ ხმა აღარ ამოიღოს... ამის შემდეგ მოგ-წერე, რომ ჩვენ იმედი ბედნიერებისა არ უნდა გვქონდეს... მამა-ჩემი — ერთი ბრმა მსხვერპლია. იგი მარტო ერთს ჰფიქრობს, რომ ჩემის გათხოვებით მისი ქარხანა ისევ ფეხზედ დადგება და მეც დაბინავე-ბული ვეყოლები. რა ვქნა? ვუთხრა მამას, დედასა და ქარხანას დავ-ღუპამ... ვუთხრა დედას, რომ ყველაფერი ვიცი... უარესია... ვუთხრა თვითონ იმ კაცს... ღონე არა მაქვს... ღონე, რომ ხმა გავცე. როგორც გველი ისე მეზიზღება, ისე მძულს. თავიდამ ფეხამდე სულ ჩირქია... ყოველსფერში საძაგელი რამ არის, ქცევაში, მიხრა-მოხრაში... იმის-თვის ქვეყანაზედ არც სიუმწიკვლეა, არც უმანკოება; ყოველს ქალს ისე ექცევა როგორც ქუჩის მაწანწალა გოგოსა... მე არ ვიცი რას არ ვიზამ, ოღონდ იმის ხელში არ ჩავარდე! აი ხომ ხედავ, მორის, რა უნუგეშო უბედურებაში ვართ.

— შენ სულ იმ აზრს დაუბრუნდები ხოლმე, რომელიც მე წა-მომცდა სასო-წარკვეთილების დროს.

— მორის, მე დღეს შენთან მოვედი... მე შენი საცოლე ვარ... მე შენი ცოლი ვიქნები... და ხვალ კი ჩვენ აღარ გავიღვიძებთ...

მორისი შედგა. სესილის ორივე ხელი ხელში ეჭირა და თვა-ლებში შეჰყურებდა.

— მომკვლები და სიცოცხლე არ დაგენანება, ისე უდროოდ გინდა გამოესალმები სიცოცხლეს...

— სიხარულით, სიხარულით!...

— მალ-გული არ გიღალატებს?

— მე შენ მიყვარხარ.

ცეცხლ-მოკიდებული გადეხვია მორისსა და მხურვალედ ჩაჰკოც-ნა.

— მორის, უთხრა სესილმა: მე მინდა შენს გულზედ დავლიო სული და ტკბილად გეუბნებოდე: მიყვარხარ, მიყვარხარ.

მერე თავი დაასვენა მის მხარზედ და ხმა-დაბლა უთხრა:

— ჩქარა წავიდეთ, მორის, შენთან... თორემ ღამის ღონე მიმეხადოს.

მორისმა ხმა არ გასცა, მაგრა მოუჭირა ხელი და ორნივ ჩქარის ნაბიჯით წავიდნენ კონტრ-ესკარპის საწყალ-პიროსაკენ. მორისი გულ-მაგრად იყო და შეურყევლად, მაგრამ ამასაც კი უნდოდა რითიმე გათავებულიყო ეს უნუგეშო მდგომარეობა.

ღამე მშვენიერი იყო; ზაფხულის სიცხეს გრილი ნიავი აგრილებდა; ცა მოკირწყლული იყო ვარსკვლავებით, რომელნიც წყალში როგორც სარკეში კამკამებდნენ. კარგი რამ იყო სეირნობა, ტკბილი რამ იყო სიცოცხლე ამისთანა მადლიან ღამეს.

სესილა და მორისი ხმა ამოუღებლივ მიდიოდნენ, ჭადეხვიათ რა ხელი ერთმანეთისათვის. თვალები უცნაურად უნათიდნენ და ტუჩებზედ ღიმილი უთამაშებდათ.

— უველაფერი მზადა გაქვს? ჰკითხა უცბად სესილმა შეწუხებულის ხმითა.

— დიახ.

— ქაღალდი გეწვალებით?

— არა... ჩვენ დაგვჭირდება... და თავის დღეში აღარ ვამოვიღვამებთ.

მორისმა იგრძნო, რომ სესილი თრთოდა თითქო გაცივდა; მაშინ უფრო აუჩქარა ფეხი და სთქვა:

— ჩქარა წავიდეთ, ჩქარა.

წინ გაუარეს სახლს, საცა ყოველ დღე საჯარო ბალი იყო ხოლმე. მუსიკის ხმა მოესმათ. სესილმა მწუხარედ გაიღიმა.

— ეს ჩვენი ქორწილის დღეა... სტუმრები ტანცაობენ.

— მე სწორედ ამ სახლის გვერდით ვდგევარ; მუსიკა და ხმაურობა არ მოგვასვენებს.

— პირიქით, გაგვართობს კიდეც.

ღუმილი ჩამოვარდა. შეუხვიეს უკანასკნელ ქუჩას, აუტერლი-

ცის ხიდის პირდაპირ საწყალ-პიროზედ. მეორე სახლის წინ მორისი შედგა.

— მივედით, ჰსთქვა მან.

შევიდნენ ძლაყათის კარებში, მეორე სართულში ავიდნენ, უმაწვილმა კაცმა გააღო კარი განათებულის ოთახისა, სესილი შევიდა და გაოცებით გადაავლო თვალი გარეშემოს.

— მე ყველაფერი მომზადებული მაქვს, ჰსთქვა მან.

— ეს რაღა არის? ჰკითხა ქალმა და დაანახვა ბოთლი, ჭიქები და შაქრის პურები.

— ჩვენის ქორწილის ვახშამია, უპასუხა მან ღიმილითა.

— ესა? დაუკატა ქალმა და განკალით დაანახვა ბოთლი.

— საწამლავია.

სესილი სკამზე ჩამოჯდა და მორისმა წინ დაუჩოქა.

— საწყალო სესილ! პატარები რომ ვიყავით ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ ამით გაგვითავდებოდა საქმე?

— რაო? ნანობ თუ?

— არა.

— მე შენ გითხარ, მორის, რომ მე შენი ვიქმნები მეთქი... იმათ არ უნდათ რომ მე შენი ვიყო, ნამუსი კი ნებას არ მაძლევს საყვარლად დაგიჯდე... სიკვდილმა დაგვწეროს ჯვარი...

ამ სიტყვებზედ წამოავლო ხელი ბოთლს და ბედის-წერის სასმელი დაასხა ჭიქებში.

— არ მეზიზღება, ტკბილი ყოფილა, ჰსთქვა სესილმა, როცა ტუჩებით დაეწაფა ჭიქასა.

მორისმაც დალივა და ერთმანეთს აკოცეს. მორისი ჯერ კიდევ დაჩოქილი იდგა; ქალი თმაზედ ხელს უსვამდა და უალერსებდა. ერთმანეთს შეჰსცქეროდნენ დიდხანს ცეცხლით ანთებულ თვალებითა. ისინი სიკვდილზედ არ ფიქრობდნენ, ისინი ფიქრობდნენ მარტო თავიანთ სიყვარულზედ.

— რა რიგად მიყვარხარ, რა რიგად, ტიტინებდა ქალი.

— ზოგი მე მკითხე, მე!... უპასუხა მორისმა და დაუწყო ხელებზედ კოცნა.

ფანჯარა ღია იყო ნახევრად. ფანჯარა გადაჰყურებდა ბაღს, საცა საჯარო ბალი იყო. მუსიკა კადრილის დასაწყისს უკრავდა, ტანციობის გამგე ხმა მაღლა ყვიროდა:

— ბატონებო, თქვენ თქვენს ადგილებზედ დაბძანდით; უკანასკნელი კადრილია.

— გესმის, უთხრა სესილმა მორისს: უკანასკნელიაო...

ქალმა ხელ ახლად მოსვა ჭიქა.

— მგონია ათრობს, ჰსთქვა სესილმა.

— განგებ არის ეგრე შეზავებული.

— მაშ ჩქარა დავლიოთ და მოვრჩეთ.

— ჭიქები ერთმანეთს შეატკუცეს და პირთან მიიტანეს.

— ადეგ, უთხრა სესილმა რიხიანად და ხმა მაღლა.

მორისი დაემორჩილა. ქალმა მიიყვანა ფანჯარასთან, ხელი ხელში ჩაუდო, ახედა ვარსკვლოვანს ზეცას და თავ-მოწონებით ჰსთქვა:

— წინაშე ღვთისა, რომელთანაც განსაკითხველად ჩვენ მალე წარვსდგებით, მე აღვიარებ, რომ ქორწინების საიდუმლოებას შევურაცხვყოფდი, თუ შევირთავდი ჩემგან შეძულებულს კაცს, და ვირთავ ქრმად მორის ფერანსა, ჩემგან სულით და გულით შეყვარებულსა...

მორისმაც განიმეორა იგივე სიტყვები. ქალმა იგრძნო, რომ მორისმა ხელზედ ბეჭედი გაუკეთა, ქალმა ბეჭედს აკოცა და ჰსთქვა სისწრაფით, თითქო უნდაო მალე მოუღოს ყველაფერს ბოლოო.

— ჩვენ შევუუღლდით ერთმანეთს საუკუნოდ; დავლიოთ დანარჩენიც.

ჭიქები დაასცარიელეს.

— ყოველივე გათავდა, ჰსთქვა სესილმა მწარის აღმოკვნესით. ცოტა ხანს დამანებე მორის თავი და მალე კი მოდი ისევ. მე შენ გელოდინები, ჩემო ქმარო.

უმაწვილი კაცი დაემორჩილა და გავიდა ოთახიდამ.
— შენა ხარ? ჰკითხა სესილმა, როცა კარის ჭრიალი მოესმა.
— მე ვარ, ჩემო სესილ, მე.
— ჩქარა მოდი, ჩქარა... მე ვშიშობ უშენოდ არ მოვკვდე.

## თავი II.

### დასასრული ქორწინების ღამისა.

ქარი, რომელიც ჯერ მლივს უბერავდა, თან და თან ძლიერდა; ხმა ამოუღებელი მყუდროება დაირღვა ფოთლების შრიალითა და მძიმე დატვირთულ ნავების ჭახა-ჭუხითა, რომელნიც ხიდის წინ დაბმულნი იყვნენ. ავდარის ნიშნები იყო.

მორისის პატარა ოთახში ჩურჩულიც არ ისმოდა, ხოლო ფანჯარა ჭრიალებდა, ქარი რომ ათამაშებდა. დილის ორი საათი და ნახევარი იქნებოდა. მორისს და სესილს ეძინათ. ბოლოს ერთმა მათ შორის ტოკვა დაიწყო. ეგ სესილი იყო. წამოჯდა, შუბლზედ ხელი გადისო, უკან გადაუყარა თავისი საუცხოვო შავი თმები და გაოცებულის თვალით გადახედა ოთახს. თავი დამძიმებოდა და ფიქრები ვერ მოეკრიფნა. ვერ გაიგო რა მისი, რასაც ხედავდა. სად ვარო? როგორ? სიზმარში ხომ არა ვარო? მოინდომა ფეხზედ წამოდგომა. უეცრად ხელი მოახვედრა მორისის ტანს, რომელიც იქვე იწვა. ხელი შეახო თუ არა, უნდა დაეკივლა, მაგრამ ხმა გაუწყდა. ორივე ხელი წაივლო თავზედ. ერთი მძიმე კვნესა აღმოხდა მისის გულიდამ. ყოველივე მოაგონდა... ცოცხალი როგორღა გადავრჩიო? რა მოხდაო? ნუ თუ მორისმა მომატყუაო? ნუ თუ საწამლავის მაგიერ სხვა სათრობელი სასმელი რამ შემომატყუაო? არა, მაგისთანა საშინელს საქმეს როგორ იქმოდაო! სესილმა დახედა თავის საყვარელს და ხმა მაღლა დაიძახა:

— მორის! მორის!

მორისი არც კი იძროდა. სესილმა ხელი გადუსო პირის სახეზედ. კანი გაციებული ჰქონდა და სიკვდილის ფერი ედო. მთელის ტანით ათრთოლდა, ჰკანკალდა; წამოჰსწია ასაყენებლად. მორისი როგორც უსულო მკვდარი, ისე დაეცა ქვეშაგებზედ. ელდა ცემულმა ქალმა საშინლად შეჰკივლა: მორისი მოკვდა, მე კი ცოცხალი ვარო!

დიახ, თვითონ ცოცხალი იყო და მისი თითქმის შიშველი, მთრთოლარე და ცეცხლ-მოკიდებული ტანი ყოველს მოძრაობაზედ გრძნობდა სიკვდილის სიცივესა.

მოიკრიფა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და გადმოხტა ქვეშაგებიდამ თმა გაშლილი, გონება დაბნეული ვაებისა და უიმედობისაგან. დაეცა მუხლებზედ ქვეშაგების წინ, წაავლო ხელი მორისის თავსა და დაუწყო კოცნა.

— მორის! ჩაჰსძახოდა საწყალი ქალი: არა, შენ მკვდარი არა ხარ! ხმა გამე, ხმა! შენ მე არ მამატყუებდი, მარტო არ მოკვდებოდი! მორის გევედრები, გაიღვიძე, ხმა ამოიღე!...

წასქდა თვალებიდამ ცრემლთა ნაკადული.

— ღმერთო! ღმერთო! იძახოდა სესილი: რა წყეული რამა ვარ! ღმერთო, შენ მართმევ ერთად ერთს კაცს, რომელიც მე მიყვარდა და მე კი აქ მიშვებ. უმაგისოდ მე სიცოცხლე არ შემიძლიან! მორის, ჩემო ქმარო, მარტო არ გაგიშვებ, მარტო არ მოჰკვდები. მეც უნდა, მეც მინდა შენთან მოვკვდე.

ამ სიტყვებზედ დასწვდა და თავისის ბზგით ზედ დააკვდა გაყინულს ბაგეს უმაწვილ-კაცისას თითქო უნდა ამოჰსწოვოსო სიკვდილი მის გვამიდამ თავის საწილოდაცაო. მერე წამოხტა, მივარდა სტოლს და გიჟსავით შეჰკივლა:

— მეც მინდა, მოვკვდე, მეც!

მივარდა ბოთლს, ბოთლი ცარიელი დახვდა. თვალით დაუწყო ძებნა დანას და გადიჭრას თავისი ნორჩი, მშვენიერი მკერდი! მაგრამ

ვერა იპოვა რა. ფანჯარა ღია იყო, მივარდა ფანჯარას. ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა და ნახა რომ აქედამ გადავარდნას შეიძლება სიკვდილი არ მოჰყვეს. გრილმა ჰაერმა შეამცივნა. იგრძნო რომ თითქმის შიშველია, მოჰსცილდა ფანჯარას. ქალწულობის კდემამ და მორცხობამ აიტაცა, მსწრაფლვე ჩაიცვა ტანისამოსი. მერე ისევ ხელახლად მოუბრუნდა უსულო გვამს თავის საყვარლისას.

— მორის! ჰსთქვა მან: მე ეხლა შენი ცოლი ვარ... ცოტა მომითმინე, და მე, ჩემო ქმარო, თან გამოგყვები!

საწოლის ფარდებს ქარი ათამაშებდა; ქალმა დაასვენა მორისი. ქვეშაგების შუა. ფარდას ასწია და მივარდა ფანჯარას რომ დაეხურა. უეცრად ორთქლ-მავალას შტვენის ხმა მოესმა. გადიხედა და ასს ნაბიჯზედ ბურუსში თვალი მოჰკრა ცეცხლის გემს და სიხარულით გული აევსო. მოაგონდა რომ მდინარე სენა აქავ ახლოა და მაშასადამე სიკვდილი ეხლა მის ხელშია. ამისთანა სისხამ დილაზედ საწყალპირო და ხიდი უკაცურია ხოლმე. სესილმა ფანჯარა მოკეტა და მივიდა რა მორისის გვამთან, წამოიჩურჩულა:

— შენც თან მოგდევ, ჩემო კარგო! ჩვენი სულები ისევ ერთად შეიყრებიან... ნახვამდის!

კიდევ აკოცა, გამოვიდა ოთახიდამ და აჩქარებით ჩამოვიდა კიბეზედ. ქუჩაში რომ გამოვიდა, ღონე მიეხადა, თავ-ბრუ დაესხა და ალაყაფის კარს მიეყუდა. საწამლავი კიდევ მოქმედობდა და ქალს ეგონა, რომ სადაცა არის დავეცემიო; სიკვდილის სიცივემ დაურბინა ტანში; საწყალმა თვალები დახუჭა. ხოლო ეს ყოფა სულ ერთის წუთის საქმე იყო. მერე აიხედა და თვალი მოავლო გარემემოს. ქუჩაზედ, ხიდზედ და წყლის ნაპირას არავინ არა ჰსჩანდა.

ძველი რაპეს უბანი ძალიან ცოტად ჰგავს მხიარულის პარიჟის ნაწილსა, ნამეტნავად ამისთანა სისხამ დილის დროს; კაცი ადვილად იფიქრებს, რომ სოფელია დიდის მდინარის პირასაო. ავდარის ნიშნები აღარ იყო, ქარიც ჩავარდა და გარემემოს მყუდროებს და დუ-

მილს არღვევდა, მხოლოდ ხმაურობა ცეცხლის გემის ბორბლებისა. ტყვიის ფერი ბურუსი ზედ დასდებოდა ქალაქს. თვალთ-საწედავზედ ჭი ერთგან გამომჭვირვალებდა პატარა ლაჟვარდი ზოლი ცისა. მდინარის მეორე ნაპირიდამ, რომელიც ჯანღში იყო დამალული, ისმოდა ცხენის ფეხის თქაფა-თქუფი, ჭრიალი პოვოსკებისა და გინება მეპოვოზკებისა.

თავ-ბრუ დასხმამ გადუარა თუ არა, ჰესილი გამოფხიზლდა, იამა, რომ ჯანღი ხელს უმართავს წადილის შესრულებას, გადაჭსჭრა ქუჩა და წყლის-პირს ამაღლებულის ფეხით აჰყვა.

— არა, აქედამ ვერ არის სახერხო, ამბობდა თავის-თავად: ტალღა მაშინვე ნაპირზედ გამომიტანს, თუ ფორთხალობაც დავიწყე წყალში.

აუსტერლიცის ხიდზედ მივიდა და ზედ შუაზედ შედგა. აი კაი ადგილი. ჯანღში წყალი ძლივსა ჩანდა, გარშამოც, რამოდენაზედაც თვალი ჰსწვდებოდა, არავინ იყო. ხიდის შუაჯარს გადვიდა, შედგა. გაისწორა იუბკები და ასე დასაღუპავის ადგილის პირზედ მდგომარემ ერთი კიდევ უკანასკნელად მიიხედა იქით, საცა ეხლახანს თავისი ქორწილი იდღესასწაულა.

— ჩემო კარგო! ჩაიჩურჩულა ღიმილით: აი მეც მოვიველ!

დაიფარა თვალებზედ ხელი, იშვირა ფეხი და გადავარდა ხმაამოუღებლად, დაუკვნესავად. მოისმა წყლის შხლაპუნი, ჯანღი გადიუარა და უთვალავი წრეები გაკეთდა მდინარის წყლის ზედა პირზედ იმ ადგილას, საცა დაიღუპა საწყალი ყმაწვილი-ქალი.

თითქო დღე და ადამიანის სიცოცხლე ამ წუთს ელოდნენო, რომ თავი გამოეჩინათ. ერთბამად ყველამ გაიხმაურა, ფრინველები გალობას მოჰყვნენ, მამლებმა თავის ხრინწიანის ხმით ყივილი დაიწყეს. თან-და-თან მდინარე სენა ჯანღებიდამ გამოვიდა. ცა, ქვეყანა, წყალი გამოჩნდა ლურჯს ჰაერზედა. ბოლოს, მზემაც ამოჰყო თავი

მეორე ნაპირას ძახილი შეიქმნა: ყოველმხრიდამ, დუქნებიდამ, ბემებიდამ, ნავებიდამ გამოცვივდა ხალხი ხიდზედ; ზოგი ნავით შე-

ვიდა შუა წყალში. ყღრიამული ასტყდა, ასტყდა ფაცა-ფუცი. ყვიროდნენ:

— აი მანდ, მანდ მესამე კამარის ქვეშ!

ერთის ნავიდამ ვიღაც კაცი გადახტა წყალში და აჩქარებით წავიდა ცურვით იქით, საითაც უჩვენებდნენ.

## თავი III.

### გადადებული ქორწილი.

დილის შვიდი საათი არ იყო ჯერ, რომ კლოდ ტიუსსოს სახლში ყველანი ფეხზედ იდგნენ. ხოლო ტიუსსოს ცოლმა ნება არავის მისცა, რომ სესილი გაეღვიძებინათ.

— ნუ, ნუ, ჰსთქვა მან: დეეხსენით გამოიძინოს. ყველაფერი მომზადებული აქვს. დეე, რაც შეიძლება გვიან ადგეს.

არავინ არ ეწინააღმდეგა: სესილი თავის ანაბარას დააგდეს, სახლში კი დიდი ფასი-ფუსი გაიმართა. დუქნებიდამ მოჰქონდათ ნავაჭრები, პარიკმახერი ტიუსსოს ცოლს თავზედ უკეთებდა უშველებელს მეგლს თმებისას; ყოველი კუთხე და ტახტები სავსე იყო ქალის სამკაულებითა; ყველგან ყვავილების თაიგულები მოჩანდა. გარედ კარებწინ იდგნენ დაქირავებულნი ეტლნი, რომელთ გამგეობა მიეცათ მეჯვარისათვის. მეჯვარე უნდა თვითონ წასულიყო მახლობელ ნათესავების მოსაყვანად.

— მე დალაქს აღარ მოვუცდი, თვითონ წავალ იმასთან, ჰსთქვა კლოდ ტიუსსომ, რა კი ნახა რომ ამ არევ-დარეულობაში კაცი არა ჰყავს, რომ დალაქის დასაძახებლად გაჰგზავნოს.

მაშინვე გამოვიდა და წავიდა. რამდენიმე ხანის შემდეგ ისევ მობრუნდა პირ-მოპარსული. ცოლს უნდოდა ეკოცნა ლამაზს ნიკაპზედ და ქმარმა შორს დაიჭირა.

— ნუ, ჰსთქვა კლოდ ტიუსსომ: დღეს ყველაზედ უწინარეს პატარძალმა უნდა მაკოცოს.... სად არის სესილი?

— ჰსძინავს.

— ხომ არ გაგიჟდი! რატომ არ გააღვიძებ! როდისღა მოემზადება, აი სადცაა სტუმრებიც თავზედ დაგვესხმიან.

— ყიული, დაუძახა ცოლმა მოახლეს: წადი მოახსენე ბატონის ქალს, რომ დროა გაიღვიძოს. პარიკმახერი დიდი ხანია ელის.

მართალიც იყო. პარიკმახერს გაეთავებინა ძეგლის აშენება ტიუსსოს ცოლის თავზედ და ეკითხებოდა კიდეც:

— თქვენ იმედი გაქვსთ, ბატონო რენო, რომ მაგრად იქნება და თმა არ ჩამომეშლება?

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, უპასუხა პარიკმახერმა: შეგიძლიანთ იტანციოთ რამდენიც გსურთ, ერთი ბეწვიც არ დაიძვრის თავის ადგილიდამ.

მოახლე დაბრუნდა და მოახსენა, რომ კარი სამჯერ დავუკრახუნე სესილიას, მაგრამ პასუხი არ მომცაო.

— რაო? ჰკითხა ტიუსსომ: განა დღეს შინიდამ გავიდა სადმე?

— არ მგონია. უსათუოდ დიდს ძილშია და ყიულის ძალიან არ ურახუნებია კარი.

— აბა ერთი შენ თვითონ ნახე და უთხარი, რომ აჩქარდეს. ეტლები მზად არიან და თუ ჩვენ პირველნი არ მივედით მერთან, ჩვენი საუზმე შუადღის ერთს საათზედ წინ ველარ მოხერხდება.

— კარგი, ცოტა კიდევ მოიცადეთ, ბატონებო, ახლავე ჩამოვა.

თვითონ ჩარბოდა. სტუმრები მოდიოდნენ კიდეც და ტიუსსო ალერსით ეგებებოდა ხოლმე. მაინც კი დრო ჩაიგდო, რომ სმენოდა, — მისი ცოლი გულ-მოდგინებით არახუნებდა ქალის ოთახის კარებსა.

— სესილი! ქა, სესილ!... იძახოდა ტიუსსოს ცოლი: სესილ, შვილო, ხმა ამოიღე და!...

ერთს წუთს შემდეგ გაფითრებული ჩამოვიდა ძირს და ქმარს უთხრა:

— ოთახში არ არის. კაი თუ...

— რა კაი? ჭკუიდამ ხომ არ შეჰსცდი... ჰსძინავს დღეს არის.

— ოთახში არავინ არის, ქვეშაგებიც ხელ-უხლებელია.

— ტყუილია! უსათუოდ წავიდა სადმე. მუდამ თვითონ აიღა-გებს ხოლმე თავის ქვეშაგებს, ჰსთქვა ტიუსსომ და ეტყობოდა კი, ელდათ ეცა ეს ამბავი, ხოლო ცდილობდა დაემშვიდებინა ცოლი და სტუმრები.

ყველამ ვინც კი იყო ერთმანეთს გადახედეს გაოცებით. ტიუს-სოს ცოლს ტირილი წასქდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! ჩემის შვილის თავზედ რაღაც უბედურებაა!

— კარგი, კარგი, ადელ, ჭკუაზედ იყავი... მარტოკაცი ხომ არა ჰყავს... აბა მომეც მეორე გასაღები იმის ოთახისა.

— მართლა, მართლა, დაიძახა ცოლმა, შევარდა ქვაბჯინაში და მოიღო ყუთიდამ გასაღები.

ქმარი და ცოლი სწრაფად ავიდნენ კიბეზედ. ქმარმა კარი გააღო და შევიდა ოთახში, ყველაფერი თავის რიგზედ ეწყო ხელ-უხლებლად. ცოლი ქმარს ზურგში შეჰსცქეროდა და ელდით ხმა ვერ ამოეღო.

— ყველა თავის რიგზეა... ეწორედ ეკკლესიაში წავიდოდა... ან იქნება სასეირნოთაცა.

ჩამწყდარის და აკანკალებულის ხმით ამბობდა ამას ქმარი და თვითონაც თავის თვალებს არ უჯერებდა. უეცრად თავი მაღლა აიღო და წერილი შენიშნა, თვალი მოჰკრა რაღაც ბარათს კომოდზედ. ორი სტრიქონი იყო ქაღალდზედ დაწერილი. მოხუცს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ხელი გაიწვდინა, ორივ ბარათი აიღო, ცოლი თვალს ადევ-ნებდა უფრო მის მოძრაობას და ბოლოს ცრემლით თვალში წა-მოიძახა:

— ღმერთო! რა მოსვლია?

ქმარმა ბარათი აიღო. მაშინვე იცნა თავის ქალის ხელი, გა-

რდა და დაეშვა სუქზედ. ხმა არ ამოიღო, ხოლო სხვილი ცრემლი გადმოუცვივდა თვალთაგან. ცოლი მივარდა, რომ შეიმაგროს.

— გლოდ, რაო, რა სწერია?

— ვაი უბედურო!... ჩვენ ქალი აღარა გვყავს.

ადელმა ჩამწყდარის ხმით ამოიკვნესა, გამოჰგლიჯა ხელიდამ ბარათი და ეს წაიკითხა:

„ღამის თერთმეტს საათზედ.

შემინდევით, ვით მე შეგინდევით. მე თქვენზედ ვითხარით: „მოვკვდე-ბი და მაგ კაცს არ შევირთავ მეთქი." მე თავს ვიკლავ. მშვიდობით,"

„სესილ."

რამდენსამე წუთს ცოლი გონზედ ვერ მოვიდა, ისე იდგა გაშეშებული თითქო მეხი დაეცაო. ხელები უცნაურად უთრთოდნენ: გულში ბაგა-ბუგი დაუწყო, თითქო სიკვდილის ზარიაო, ღონე მიეხადა და პირქვე დაეცა ქმრის ფეხთა წინაშე. შეუძლებელია აღწეროს რა ყოფაშიც იყო უბედური მამა. ერთი საშინელი, აუტანელი აზრი ჩაუჯდა თავში: „ჩვენ მოვკალით ჩვენი შვილი, ჩვენ."

ქვევით სტუმრებმა გაიგონეს ადამიანის დაცემის ხმა და ამოცვივდნენ მაღლა. ზოგმა ტიუსსოს ცოლი წამოაყენა, ზოგი კიდევ გარს ეხვეოდა ქმარსა.

— რა მოხდა, რა? კითხულობდნენ.

გლოდ ტიუსსო გონება მიხდილსავით გაშტერებული იყურებოდა აქედ-იქით, თითქო ეხლა გაახილაო თვალიო საზარელის სიზმრის შემდეგაო.

— სესილი, ჩემი პაწაწა!.. თავისის ხელით მოუკლავს თავი.

— ღმერთო, ეს რა გვესმის!

უბედური მამა ფთხილად ჩამოიყვანეს ძირს. სტუმრებმა წაიკითხეს სესილის წიგნი თუ არა, ურჩიეს, წადი ეხლავ ძებნა დაუწყეო, ხოლო ტიუსსოს არა გაეგებოდა რა, ისეთი თავ-ზარი დასცა ამ მოულოდნელმა ამბავმა. მის სასახელოდ ვიტყვით რომ იტანჯებოდა

ვითარცა მამა და არა რაიმე საკუთარის სარგებლობის ფიქრს ადგილი არა ჰქონია მის გულში. ორი სტუმარი გაჰყვა და პოლიციის პრეფექტურაში წავიდნენ დიდის ეტლითა, რომელიც ექირავნათ საქორწილოდ და რომელიც მორთული იყო შიგნით თეთრის აბრეშუმით, თეთრი ცხენები ებნენ და ფაფრებში ყვავილები ჰქონდათ. ცხენების გამრეკსაც გულზედ ყვავილი ერჭო და თავ-მოწონებით უჯდა ეტლს, სადავეები ეჭირა თეთრ-ხელთათმანით მორთულ ხელში. დაინახა თუ არა, რომ ეტლში პატარძლის მამა და ორი სტუმარი ჩასხდნენ, მხიარულად წარმოჰსთქვა:

— საით გვიბძანებთ, ბატონებო?

ვერ წარმოიდგენთ რა რიგად შეეცვალა სახე, როცა ერთმა სტუმართაგანმა უთხრა დაბლის ხმით:

— ჯერ მორგს... და იქიდამ პოლიციის პრეფექტურაში.

კინაღამ გადმოვარდა თავის ადგილიდამ ამის გამგონე, მაგრამ თავი შეიმაგრა და ცხენებმაც გასწიეს ჩორთითა. უქმი ხალხი, რომელიც ქუჩაში მოგროვილიყო, ჰკვირობდა ამ ამბავს და ვერას გზით ვერ აეხსნათ რომ პატარძლის მამა ორის მოწმით საქორწილო ეტლში ჩასხდნენ.

საწყალი დედა კი წამოაყენეს და დასვეს სესილის ქვეშაგებზედ. ქალების გარდა სხვა ყველანი დაითხოვეს ოთახიდამ, მოახლემ გაუჭრა კორსეტი, რომელიც ისე მოჭერილი ჰქონდა, რომ ტიუსსოს ცოლი კინაღამ დაიხრჩო. რამდენსამე წუთს შემდეგ გული მოიბრუნა და წარმოუდგა რა თვალწინ თავისი უზარმაზარი უბედურება, საშინელს სასოწარკვეთილებას მიეცა. კოცნა დაუწყო თავის ქალის ბალიშსა, კბილითა ჰგლეჯდა მის საღამურ თავზე მოსახვევსა, ხან იქით ეცემოდა, ხან აქედ, ტიროდა, ქვითინებდა, თავის-თავს აბრალებდა და ღმერთს უჩიოდა. დედა კაცები ცდილობდნენ ნუგეში ეცათ, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი. არავის ყურს არ უგდებდა და სულ ამას იძახოდა:

— ვაი, ჩემი საწყალი შვილი!, ჩემი სესილი!... შე კარ წყეულო,

მე!... მე მოვკალ, მე მოვკალ!.. მე, უბედურმა მოვკალ ჩემი ქალი!... ჩემი კარგი შვილი!... ნუ თუ იმ კაცს ვერა ვნახავ... არ იქნება, უნდა ვნახო, უნდა!

უფრო და უფრო გულ ამოჯდომით ტიროდა, ხელებს იმტვრევდა და სინიდისის მხილება ჰქენჯნიდა. ამ დროს ქვევიდამ უცნაური ხმაურობა მოესმათ. ტიუსსოს ცოლმა ყური დაუგდო... თვალები აუზრიალდნა, ლოყებზედ ზაფრანის ფერი დაედო. იცნა ანდრე გუდარის ხმა. შეატყო რომ საჩქაროდ ამორბის კიბეზედა. გუდარისათვის ყველაფერი უამბნათ, არა ჰსჯეროდა, უნდოდა თვითონ თავის თვალით და ყურით ნამდვილი შეეტყო. დაინახა თუ არა, ოთახში შემოსული ტიუსსოს ცოლი ისე გაღელალი წამოვარდა ქვეშაგებიდამ და ორივე დედა-კაცს უბძანა იქიდამ წასვლა.

— მაშ მართალი ყოფილა? იკითხა გუდარმა და აიმრიზა.

ტიუსსოს ცოლმა ჯერ ხმა არ გაჰსცა; მივიდა, ხმა ამოუღებლივ მოხურა კარები, მერე მუშტებ მოღერებული მივარდა გუდარს და შეჰკივლა:

— უი მე საძაგელო, ფლიდო, უნამუსოვ!... სულ შენი ბრალია ეს ამბავი! შენ მომიკალ შვილი, შენ. შენ დაასხი თავზედ ლაფი ამ ოჯახს, შენ მორთე ეს ოჯახი უბედურობით... მე დავიღუპები და შენც კი დაგღუპავ, შენც. მე ვეტყვი კლოდს, ვეტყვი ყველას რა კაციც ხარ. შეგარცხვენ, ყველასაგან საზიზღარი იქნები, პირში ჩაგაფურთხებენ, შე უნამუსოვ, შენა!

გუდარი ისე არ მოელოდდა ამ ამბავს, რომ პირველ ხანში შეკრთა და უკან დაიწია, არ დამკრასო. მაგრამ ადელი კი უფრო წინ იწევდა, ლანძღავდა, ათრევდა და ასეთი საქმე დააყენა, რომ ზედ კარებზედ მაამწყვდია. მაშინ კი შეკრთომისაგან ცოტად გამობრუნდა, წაავლო ხელი ადელს, მიათრია ქვეშაგებთან და ბურთსავით მიაგდო ქვეშაგებზედ.

— გეყოფა, გესმის თუ არა!

— წინადაც ძალით დამიმხე ნამუსი, ძალით, ჰსთქვა ადელმა და წამოიწია.

— მე ყოველთვის შემიძლიან პირში ბურთი ჩავჩარო და ხმა გაგიწყვიტო.

— რაღას უყურებ, მცემე კიდეც რაღა, შე არამზადავ!... ხომ პირველი არ იქნება, შე უნამუსოვ!...

— გეყოფა მეთქი, განიმეორა გუდარმა და პირზე ხელი მიაფარა ისეთის ძალით, რომ ადელი პირ აღმა დაეცა ხელახლად ქვეშაგებზედ და შიშით ხმა გაკმინდა.

გუდარი ეცა კარებს, გააღო, გაიხედა ყურს ხომ არა ვინ გვიგდებსო, და დაავდო რა კარი ღია, მშვიდობიანის ხმით და გულგრილად ჰსთქვა:

— ქალბატონო, თქვენი ქალის წიგნი მაჩვენეთ.

ადელს გული ამოუჯდა და არა პასუხი არ მიჰსცა.

გუდარმა მუშტები მოიკუმშა, მოჰყვა კბილთა კრაჭუნს ზარდაცემულმა ჯერ იმით, რომ საცოლო დაეკარგა და მერე მით, რომ ამოდენი ლანძღვა ესმა საცოლოს დედისაგან. ძლივს შეიკავა თავი. ჯერ ორიოდ ჯერ გაიარ გამოიარა ოთახში, მივიდა, კიდევ გაიხედა კარებიდამ და რაკი გული დააჯერა, რომ ახლო არავინ არის, მოუბრუნდა ადელსა, რომელსაც თვალებზედ ხელები აეფარა და ტიროდა. მისი გადაღეღილი მკერდი მტკივნეულად ადიოდ-ჩამოდიოდა.

— ადელ, უთხრა ბოლოს გუდარმა: ერთი დაიხედე, რას მიგვა-გავს თავი... აქ რომ შემოსულიყო ვინმე... ვინ იცის რას არ იფიქრებდა...

ადელმა გაისწორა ტანისამოსი და ქინძისთავით დაიმაგრა მკერდზედ კაბა.

— ერთი რიგიანად მოვილაპარაკოთ, განაგრძო ანდრემ: გუშინ მე რომ წავედი, რა მოხდა?

— განა გონება კი მაქვს მახსოვდეს! დაიძახა ადელმა და წამოხტა რომ კარებში გავიდეს და მოშორდეს: მე ჩემი შვილის მეტი სხვა არა მახსოვს რა.

— შენ მაგ ყოფით ძირს არ გაგიშვებ, — უთხრა გუდარმა ბძანებლობის ხმით და ძალად დასვა ისევ ქვეშაგებზედ.

— ვაი, ღმერთო! ჩემი საწყალი შვილი, ჩემი საწყალი ბავშვი! ჰბოდავდა უბედური დედა-კაცი, სლოკინით, ქვითინით თვალებზედ ხელებ აფარებული.

ანდრო გუდარი, ჯავგლაგად წარბშეკრული, ფანჯრისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, ჰგრძნობდა კი რომ ამისთანა უბედურობაში არავინ დაეხმარება, მით უფრო რომ მიზეზი თვითონ იყო. ბოლოს გაოცებით მხრები აიწია, და იმაზედ დადგა რომ მინამ აქედამ ცოტად მაინც გული დაუმშვიდდება, მოთმინებით მივიდა ფანჯარასთან, გააღო, გადიწია და ძითამ ყურება დაუწყო მეზობლის ბაღსა, ჩუმად კი გულში მარტო ამ ამბავზედ ჰფიქრობდა. რადგანაც ეს გუდარი ერთი იმათგანია, რომელზედაც ჩვენი მოთხრობა ტრიალებს, ამიტომაც ვიხილოთ ეს მყუდრო დრო და აგწეროთ მისი თვალ-ტანადობა.

გუდარი გახლდათ ერთი ჯანმრთელი, ღონიერი კაცი, ექვს ორმოცის წლისა. არავინ არ შეამცნევდა, რომ ხუთიოდე წელიწადი დაუკლო, კარგად და ლამაზად მოყვანილი სწორედ თავის დონეზედ იყო სასიმოდ მორთული. მოდიდო თავი, ძარღვიანი ხელები, მოხდენილი სიარული, მოგძო სახე, წაბლის ფერი თმა, ქერა წვერი, ნიკაპზედ შუა გაყოფილი, განიერი პირი შემკული მშვენიერის თეთრის კბილებით, რომელნიც ყოველთვის მზად იყვნენ გამოღრღნან რამე, სხვილი ტუჩები, მუქი თვალები, ხშირი წამწამი და უცნაური, რაღაც მკვახე თვალთ-ცქერა — ყოველივე ეს უმთავრესი ნიშნები იყვნენ მისის თვალთ-ტანადობისა. მაგრამ მანის ფერისა იყო და სახის შეტყველება იყო ჰქონდა თითქო დაღალულიაო და გულ ასუფებული. ქალები ამბობდნენ: „ურჩხულია, არ ვის გაქელვინება“. მეზობლები უმატებდნენ: „გუდარი ლამაზი კაცია, მაგრამ სწორედ ჯაგლაგია“. ქალები კი რომელნიც დასხლდებით იცნობდნენ, იტყოდნენ ხოლმე: „ოჰ, მაგ კაცზედ რომ ჭორს ლაპარაკობთ, ყველაფერი ტყუილია, ჯერით საძაგელია!“ დასა-

სრულ მისს მეგობარს კლოდ ტიუსსოს ყველაზედ კარგი აზრი ჰქონდა:

— ანდრე, კეთილი გვამია, მე კაცი არ მინახავს მაგაზედ უკე-თესი და კეთილი. მე ძალიანა ვარ მისგან დავალებული.

რამდენიმე ხანი გავიდა და გუდარმა მოიწადინა ერთი სასტიკად გამოჰკითხოს ამ საქმის ვითარება ადელს, რომელსაც ტირილი შე-წყვიტა და ჩაეკიდა რა ძირს თავი, გულ ამოჯდომისაგან სლოკინებდა. ამ დროს ქვევიდამ ხმა მოისმა:

— აი ისინიც მოდიან! მოდიან!

ანდრე ოთახიდამ გავარდა, ჩაიჭრა სასტუმრო ოთახში სწო-რედ იმ წუთს, როცა შემოდგა ფეხი ტიუსსომ და ორმა სტუმარმა. მაშინვე შეატყო სახეებზედ, რომ კაი ამბავი არ მოუტანიათ. დაინახა-თუ არა თავისი სასიძო, ტიუსსომ გაუწოდა ხელი და ცრემლით თვალში უთხრა:

— კაი უბედური ანდრე! შეიტყე ჩვენი უბედურება! ჩემი შვილი მომიკვდა.

კლოდ ტიუსსომ თავი მაღლა აიღო და თითქო რაღაც იმედის სხივმა გაუნათლა სახე.

## თავი IV.

რა მოუვიდა ჭაბუკსა, რომელსაც უყვარდა ამომავალი მზის ცქერა.

მივბრუნდეთ ისევ ასტერლიცის ხიდისკენ, სენის პირას მზის ამოსვლის დროს, როცა ყოველი იღვიძებს სიცოცხლისათვის და ათასი სხვა და სხვა ხმა ერთს უზარ-მაზარს ხმაურობას შეადგენს ხოლმე.

პატარა სამიკიტნოში, რომელსაც ერქვა „მენავეთა შესაკრებიო", და რომელიც იმის პირ-და-პირ იყო, საცა სარეცხსა რეცხდნენ ხოლმე

მთელი გროვა მენავეებისა, მუშებისა სვამდა, ხმაურობდა, ყვიროდა, უშვერობდა და კასკასებდა. ეს მზე მოკიდებულნი, გაუთლელნი დღის მუშანი, ხელებ დაბებრებულნი, ყურებ აწითლებულნი, უშველებელ ქუდებით და უფრო უშველებელ წაღებით მორთულნი, ისხდნენ და ქეიფობდნენ. მათ შორის დახტოდა და დაფასფასებდა მოკლეს კაბით მორთული გოგო, თვალ-მკვირცხლი და მხიარული, ტანად მომსხო, ტუჩ-წითელი, დიდ-მკერდა და ფეხთ ეცვა უშველებელი წუღები, რომელზედაც ჩამოფხატოდა წინდის ყელი; ყველაზედ მაღლა ყვიროდა, კასკასებდა, ყველაზედ ბევრს ყბედობდა და ყველას ზედ გამოჭრილს სახელს, ხშირად საწყენს, ეტყოდა ხოლმე და მარჯვედ უთავაზებდა ხოლმე მუჯლუგუნს, როცა მათგანი ვინმე თავს მეტს ნებას აძლევდა.

— ჟანნა, მომაწოდე ჭიქა და გასაღები ჩვენის ნავისა, შემოვიდა თუ არა უთხრა ერთმა მუშურად ჩაცმულმა ყმაწვილმა კაცმა; ეტყობოდა იგი ამ ხალხის უცნობი არ იყო.

— თქვენა ხართ არისტიდ, უპასუხა გოგომ და მალე მოუტანა ნაბძანები; ხვალ ხომ მობძანდებით?

— მოვალ და მარნაზედ წავალთ. დღეს კი ნავი უნდა გავარეცხო.

— გამარჯობა, შადიავ! მოდი, მობილოკ ერთი ფუნდაკრათ, დაუძახა ერთმა მუშამ, რომელიც ტაბლას წინ იჯდა.

— ძალიან კარგი. ჟანნავ, აბა მოგვიტა მალე.

— მაშ შენ დღეს სამუშაოზედ არ წახვალ. აი შეგიტყობს მამაშენმა ლებლანმა...

— რატომ არ წავალ. ესე ადრე ქარხანაში არ მუშაობენ. განგებ ავდეგ სისხამზედ, რომ ნავი გავრეცხო, მერე იქაც მივასწრობ. აბა, ჟანნავ, მარდად იყავ, დრო არა მაქვს გიცადო.

მიაჯახუნეს ჭიქები მეგობრებმა. მერე ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც არისტიდსაც ეძახდნენ და შადიასაც, გასწია დასტამალით და

ჯამით ხელში. მივიდა წყლისა პირს, ჩასტა თავის ნავში, გაიხადა ზევითი ტანისამოსი, გაიძრო წაღები და წინდები, აიკეცა შალვარი, დაიმკლავა იღლიამდე, მოუსო ნიჩაბი და გასწია ნავით ხიდის ქვეშ, რადგანაც იქ უფრო თავისუფლად გარეცხდა.

არისტიდ ლებლანი, შადიჯა წოდებული, ბრონზის ქარხანაში მუშად იყო. მის მამას ცოტაოდენი შეძლება ჰქონდა და დაეყენებინა შვილი ერთს ოჯახში, რომელიც იქავ აუსტერლიცის ხიდთან იდგა. ამიტომაც მეგობრებმა მიანდეს ნავის გარეცხა და ამიტომაც კარ-გად იცნობდნენ ყველანი, ვინც ზემოდ აწერილს სამიკიტნოში და-დიოდნენ.

მის თვალ-ტანადობის აწერას ბევრი დრო არ მოუნდება. იგი იყო ერთი ჭმუხი ბიჭი, უფრო დაბალის ვიდრე დიდის ტანისა, გა-ნიერ მხარ-ბეჭიანი, ძარღვიანი, არ იყო ძალიან ლამაზი, მაგრამ კე-თილი სული იყო, მიმზიდველი, მარილიანი, ქერა თმიანი, ლურჯ-თვალებიანი და სახის ფერი ჯანმრთელობით უღვიოდა. ყოველ დღე სისხამ დილაზედ იღვიძებდა და სამუშაოდ მიდიოდა, ქარხანაში მთე-ლი დღე მუშაობდა, ხელს არ დააყენებდა. ოსტატი მუშაკი არ იყო, ის იყო ვერის მცემელი, მაგრამ თავის ხელობას ისე შეჰჩვეოდა, რომ ერთნაირის სიამოვნებით და გულ-მოდგინებით ხმარობდა ვერს-საც, ქლიბსაც და შალაშინსაც. საღამოობით შინ რომ მოდიოდა, ძა-ლიან დაღალული მოვიდოდა ხოლმე; მაგრამ თავის დღეში არავის არ შეჰჩივლებდა და როცა მოცლილი იყო, ისეფისვე სიცხარით ქეიფს მიეცემოდა ხოლმე, როგორათაც მუშაობას. ყველაზედ მე-ტად ესიამოვნებოდა ხოლმე არისტიდს ნავის ტარება და ნიჩბის მოსმა.

ამის გამო სიამოვნებით ჰრეცხდა, ჰსწმენდდა, ჰფხეკდა, შიგნი-დამ და გარედამ თავის ნავსა, რომელსაც „ჭავლს" ეძახოდნენ. ერთ-რაღაც სიმღერაც ასწია, მაგრამ პირველ დაძახებაზედვე სიტყვა ენა-ზედ შეაკვდა. იქავ ახლო რაღაც მძიმე რამ დაეცა წყალში. წამოხტა

და მიიხედ-მოიხედა. ზურგთ უკან ხენის გატყეცილ ზედა პირზედ წყლის რგოლები დადიოდნენ. წყლის პირას იყო დაბანდებული და წყალი ისე უყვარდა, როგორც ნიუფაუნდლენდის ძაღლსა. წყალში ბანება მისთვის სწორედ აღდგომა იყო. „უთუოდ თავის დასახრჩობად ჩამოვარდა ვინმე, მაგრამ დამაცა, ძმობილო, მე მაგ სულელობამდე არ მივიშვებ", ჰსთქვა გულში არფსტიდმა, გადავარდა წყალში და ჩაიყურყუმელავა თითქო თევზიაო.

ძალიან კარგი მცურავი იყო და დიდ-ხანს შეეძლო წყალ ქვეშ ყოფნა. ერთს წუთს შემდეგ, ამოჰყო თავი, სული მოიბრუნა, მერე ისევ ჩაიყურყუმალავა და ამოიტანა სესილი; მაგრამ ასეთი მძიმე იყო, რომ ბევრს ეცადა და მაინც ვერ აიტანა ნავში. მაშინ ხმა-მაღლა და იმედ დაკარგვით დაიწყო ყვირილი: „მიშველეთ, მიშველეთ!" ყოველ მხრიდამ მოცვივდა ხალხი და ნავებით წავიდნენ მისაშველებლად.

## თავი V

## ძველი სიყვარული.

გუდარმა ერთის სიტყვით იმედი განუახლა უბედურს მამას. „იქნება მკვდარი არ არისო." ეს გუშინ რომ ეთქვათ, ტიუსსოს ბრაზი მოუვიდოდა, ეხლა კი გულში ნუგეშად ჩაესახა, ხოლო თავის სასიძოს კი არ ამცნო თავისის გულის ვითარება; „ჩემი ქალი, გაიფიქრა გულში: იქნება იმიტომ წავიდა დედ-მამის სახლიდამ, რომ ამ ჯაგლაგის შერთვა არ უნდოდა; იმას მორის ფერანი უყვარდა, იქნება იმასთან წავიდა და ჩვენ კი მოგვწერა თავს ვიკლამო, რომ მორისთან ძებნა არ დაუწყოთ. ეს ფიქრად წინადვე როგორ არ მომივიდაო? რაზედ შევშინდი ასე? სიყვარულისაგან არავინა კვდება. რა ვუყოთ რა კი ესრეა, შეირთოს მორისა, და გათავდა საქმე. თუმცა

სახარბიელო არ არის რა, მაგრამ რა კი მოჰსწონს, თავის ნებას, საქმე ის არის რომ „ქალი ცოცხალი მეყოლება და ბედნიერად იცხოვრებს“.

ამ ფიქრებით ნუგეშ ცემულს შუბლი გაეხსნა და სიხარულით უთხრა ცოლს, რომელიც ძირს გულ-მოკლული ჩამოვიდა:

— ნუ სტირი, ადელ, მე ეხლავ მოვიყვან სესილს.

გულდარმა გაოცებით შეხედა კლოდს, ხოლო კლოდმა აღარ აცალა, გავარდა სწრაფად გარეთ თავის ეტლის კეთილის-მყოფელითა და დაუძახა კუჩერს:

— ლაკუეს ქუჩაში, აუსტერლიცის ხიდთან.

ტიუსსო წავიდა თუ არა, გულდარმა დაავალა ერთს ნათესავს სტუმრების მიღება, თვითონ კი ხელი მოჰკიდა ადელს და ისევ კიბესთან მიიყვანა.

— სხვა რაღა გინდათ ჩემგან, იკითხა ძლივ-ძლიობით ადელმა.

— მე მინდა გულ-დადებით მოგელაპარაკო და გავიგო, ეს რა კომედიას მეთამაშებით; ჰა, ადი ზევით მეთქი!

გულდარმა ეს ბძანების ხმითა ჰსთქვა, თუმცა ისე ჩუმად კი რომ მარტო ადელმა გაიგო. ამ ხანად ადელი არ დაემორჩილა მის ჭირვეულს და გაუტეხელს ნებასა.

— მე აქ მინდა ვიყო, უთხრა ადელმა.

— კმარა მეთქი, ჰსთქვა გულდარმა, ხელში აიყვანა და ისე აიტანა კიბეზედ, შეიყვანა ოთახში და დაჰსვა ტახტზედ.

ამ გაბედულობამ ისეთი ელდა დაჰსცა საწყალს ქალს, რომ ხმა ვერ ამოიღო; შეშინდა, — არავის დაენახა რომ ეგეთის ძალით ექცევა ეს კაცი. დაწყნარდა, ხმა გაიკმინდა, თავი ჩაჰკიდა აღარ გაიხძრა, თითქო გაქვავდაო.

გულდარმა კარი მოიხურა, ფეხებით გაიშოტა სესილას უმანკო ქვეშაგებზედ, თითქო სამიკიტნოს ტახტიაო, და დაწყნარებით ჰსთქვა:

— აბა, ადელ, იმედი მაქვს შენ ეხლა გონზედ მოსული ხარ. ერთი გულდადებით მოვილაპარაკოთ. ეს რა კომედიას თამაშობთ ჩემ წინ? რას ნიშნავს ეს ყოველი ფერი? მე ფიქრად მომდის, იქნება სესილმა და იმისმა დედამ გამიმართეს მეთქი ეს სამხიარულო შესაქცევარი. თუ შენ შენს აღთქმას ეგრე ასრულებ, მე ეხლავ წავალ ჩემს ადვოკატთან და ოც-და-ოთხის საათის განმავალობაში კლოდ ტიუსსო გაკოტრებული იქმნება.

ადელმა უგრძნობელად, ცივად შეხედა თითქო არ ესმისო.

— იქნება შენა გგონია მე ბაშვი ვიყო? აქ რაღაც თავის-მოკვლის კომედიას თამაშობთ და გგონიათ იქა შეტოპილი ვიყო ამ საქმეში, რომ თქვენი თავის დანებება აღარ შემეძლოს, თუნდ ქორწილი არ მოხდეს. ფითამ, იმით მაშინებთ, რომ მეზობლები იტყვიანო: „აქ კაჭრობა ყოფილა და სხვა არაფერიო“, ერთის კაჭრობაა, სწორედ კაჭრობა და სხვა არაფერი. დეე ილაპარაკონ ჩემზედ, რომ მუხთარუკუნილი და ქეიფის კაცი ვარ. რაც უნდა იუბედონ, ჩემი რა საქმეა! პირიქით, მიამება გეხლეც. ტყუილად კი არ მეძახიან ჯაგლაგს! თქვენ კი გეგონათ, რომ რა კი ქორწილი არ მოხდება, მე მაინც თქვენს მეგობრობაზედ ხელს არ ავიღებ, განა? კაი, ჩემო საწყალო ადელ! განა ცოტა ხანია რაც მე და შენ შორის ყოველი ფერი გათავდა?

— არც იმოდენა ხანია, რომ ჩემი სირცხვილი ჩემი, შერცხვენა აღარ მახსოვდეს.

— მაგას გროშადაც არ ვიყიდი!... ეგ სულ ცარიელი სიტყვებია!... ნუ მოჰყვები, თუ ღმერთი გწამს, სულელურს კომედიას, როგორც იმ დღეს, შენი ქალი რომ გიხრჩოდა... ნუ დამემუქრები, რომ ყველაფერს გაუმჟღავნებ შენს ქმარსა. ძალიან კარგი, მითამ რა გამოვა მაინდამ? ვჰსთქვათ ქმარს ეტყვი: „კლოდ, შენ გეგონა, რომ შენი ცოლი და შენის შვილის დედა პატიოსანი დედა-კაცია, ტყუილია, შენის უკეთესის მეგობრის ხასაა.“ იქნება ფიქრობ, რომ ძა-

ლიან გამიგულისდეს? სულაც არა, იგი მარტო ხმას იტყვის, რომ შენ... თვითონ შენ იცი რასაც იტყვის, იგი იფიქრებს რომ შენ თვითონ გადამეკიდე.

— კაი! დაიძახა ადელმა: მე უნამუსოვ, პირ-მოხეულო!... ხმას როგორ იღებ, ხმას...

— ეხლა შენი წივილ-კივილი აინუნშიაც არ მომდის. მე თავი გადამიდვია, რაც მომივა, მომივიდეს. თუნდა მეზობლებმაც შემიტყონ, რომ ტიუსსოს ცოლი ხასად მყავს, მერე რაო? განა ისეთი თავისუფალი კაცი, როგორიც მე ვარ, სიყვარულს აქ არ ჩასჭედებს ხოლმე ბულს, სადაც კი იპოვის. ეგ არის თავისუფალის კაცის ცხოვრების საგანი: კაცი მოვალე არ არის დაიცვას თავისი სიწრფოება და ცოლ-ქმრობის ერთგულება, ეგ დედა-კაცის საქმეა. ეხლა ხომ გესმის, რომ ეგ შენი ტოლდვის მომწყენებელი მაგდალინას ცრემლი არავის წარბსაც არ შეუხრის.

— მაშ თქვენ არაფრის პატივი არ გცოდნიათ, თქვენ მე შემაცდინეთ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ძალით დამიმორჩილეთ და ეხლა თქვენვე მასხამთ თავზედ ლაფს და მემუქრებით კიდეც. თუ იმის გაგება არა გაქვთ, რომ კაცი, რომელმაც გააუპატიურა ქალი, უნდა პატივს სცემდეს გაუპატიურებულს, მაშ ის მაინც შეიბრალეთ, რომელსაც თქვენ მეგობარს ეძახით.

— მე მგონია, საბუთი მაქვს მეგობრად ვსთვლიდე შენს ქმარს, უთხრა გუდარმა უწმაწურის ღიმილით: მე დიდი ფული მივეცი მას მეგობრობაში, თუ აქამომდე შიმშილით არ დაიხოცენით, ჩემი მოწყალება იყო. შენი სიყვარული მეტად მცირე სარგებელია იმ თანხისა, რომელიც მე თქვენზედ გავფლანგე.

— ღმერთო! ღმერთო ჩემო! შეჰკივლა საწყალმა დედა-კაცმა, — მწარედ მომტირალემ ცალკე სირცხვილისაგან და ცალკე სასოწარკვეთილებისაგან: მემუქრებით განა! ნუ თუ უნდა დაგლოცოთ რომ ნამუსი დამიმხეთ და თავზედ ლაფი დამასხით.

— დროა მგონია, მიცნოთ რა კაციცა ვარ. მე ძალიან კარგად ვხედავ, რაც ამბავია: თქვენ გიფიქრიათ, რომ ამისთანა ამბის შემდეგ ჯვარის წერაზედ უარს ვიტყოდი. ლამაზად აასრულეთ კი თქვენი გულსაკლავი წარმოდგენა. ეხლა მამა მოიყვანს სესილსა, თქვენ ჩემ წინ ბოდიშს მოიხდით და ქალს მიჰსცემთ იმ თქვენს ქერუბიმს, რომელიც......

— ნუ იტყვით, ნუ! ევედრებოდა ადელი, რომელსაც გუდარის სიტყვებზედ იმედი მოეცა, რომ ქალს უპოვნიან და ამ უნამუსო კაცის ცოლად აღარ იქნება.

— ახლა, ლამაზო ტიუსსოვ, როგორც ამ უბანში ეძახიან, მაგისთანა ხუმრობას მოკლე ფეხები აქვს. ჯაგლაგი მოახერხებს, რომ ეს საქმე თავისებურად მოატრიალოს.

— მითამ რა უნდა ჰქმნათ?

— აი რა: როცა მამა მოიყვანს სესილსა, მე წავალ და თან წავიყვან მერთან. თუ გამიძალიანდება და არ გამომყვება საქორწილო ეტლში ჩავჯდები, წავალ კომერციის სასამართლოში და გამოვაცხადებ რომ ტიუსსო კუტრია მეთქი.

ადელმა ხმა არ გაჰსცა. იგი მარტო თავის ქალზედ ჰფიქრობდა, საკუთრივ მასზედ თუ, იქნება მართლა და ცოცხალი იყვეს.

— ვერ გაიგე რა გითხარ? შეჰსძახა გუდარმა.

— გავიგე

— რას იტყვი შენ მაგაზედ?

— იმას ვიტყვი, რომ ჩემის ქალის ბედნიერება იმათ ღირს, რომ მთელი სიცოცხლე მის გულისათვის გავიმწარო. თუმცა ჩვენ გავღატაკდებით, მაგრამ ჩვენს ქალს ქრმად ის მაინც ეყოლება, რომელიც თვითონ აირჩია.

— იმან კი არა, შენ აურჩიე.

— თუ სხვა ფრივ ბედნიერებას ვერ მოვუპოვებ ჩემს ქალს, თუ არ მით რომ ჩემი თავი შევსწირო — მე მაგაზედაც მზათა ვარ.

— შენ შენს თავზედ ლაპარაკობ, შენიშნა გულსატკენად გუდარმა: ჩემი მეგობარი კლოდი, როცა შეიტყობს, რომ მე ფულს ვაძლევდი მარტო იმისათვის რომ...

— რისათვის? ჰკითხა ადელმა თავი მაღლა აიღო და თვალები დააბრიალა.

— იმისათვის, რომ შენი საყვარელი მეძლეოდა...

— თქვენ ეტყვით მაგას, თქვენ, თქვენ?

— ისე დაწყნარებით და გულგრილად როგორც ეხლა ვლაპარაკობ.

— მაშ ჩემის ქალის თავსა ვფიცავ, მე ჩემს ქმარს ვეტყვი: იტყუის, ჩემი ჯავრის ამოყრა უნდა და თუ, კლოდ, ჩემი საყვარელი ჰყავს, ჩემი პატივისცემა მოჰკალ ეს უნამუსო კაცი მეთქი. მე დამიჯერებს, ვიცი იმის ამბავი და ჩემს ხვეწნას ამისრულებს. გულ-კეთილია, გულ ლბილი, მაგრამ თავ-გამომდები და შეუბრალებელი, როცა ან ცოლს, ან ქალს ცუდად უხსენიებენ, ეგეც რომ არ იყოს,—თუ საჭიროა, მეც მივეშველები, მეც გესმის თუ არა, უფალო გუდარ!.. თავის დღეში, თავის დღეში ჩემს დამხობას არ გავუშვებ. მწუხარებისაგან ველარ იცოცხლებს და თუ სასიკვდილოა, ისა ჰსჯობია მოკვდეს როცა თავს გამოიდებს, რომ გაუპატიურებული ნამუსი ცოლისა დაიფაროს.

ყოველივე ეს იყო თქმული ხმა აუმაღლებლივ, დინჯად ლიტონად, მაგრამ ყოველი სიტყვა თითქო შოლტიაო ისე უსერავდა ლოყებს გუდარსა. როცა ადელმა სიტყვა დაასრულა, გუდარი წამოდგა ფეხზედ, მთლად გაფითრებული. მიხვდა, რომ ქალი არა სტყუოდა, ტყუილად არ იმუქრებოდა და შიშისაგან ისე მოეჩვენა, მითამ ადელს ხელში დანაც უბრწყიალებს.

— შენ ამბობ, რომ შენ ჩემის მძლავრობის სხვერპლი შეიქმენ, უთხრა გუდარმა და რადგანაც ცდილობდა არ გამოეჩინა გულის ღელვა ხმა მოურბილა: მაშინაც ხომ შეგეძლო ეგრე მაგრად მდგარიყავ და ცაგისთანავე ფარი ეხმარი

XII. შინაური მიმოხილვა

ბესარიონ ღოღაბერიძის დასაფლავება—ერთით ნაკლები—ხალხის წინ მალაყს ვერ გაუჭრია—განკითხვის დღე—ხალხის უტყუარი განაჩენი—რის ნუგეშია—უფ. ღოღუა—ურიების საქმე—თხა ადვოკატობს, ხურჯინი ბრალმდებელობს—ახალი თეორია-საბუთებისა—რა უფრო საშიშა. . . . . . . . . . . . . . . 135

XIII. პოლიტიკა

საქმე 16-მაისის სამინისტროისა დეპუტატთა პალატაში.—სწავლა-განათლების საქმე საფრანგეთში და ახალი კანონი.—წინადადება შესახებ პარლამენტის გადატანისა ვერსალიდამ პარიჟში.—გერმანიის რეიხსტაგი და ელზას-ლოტარინგია.—ბოლგარიის წარჩინებულთა კრება კონსტიტუციის აგებისათვის . . . . 150

XIV. დამატება: იზა, რომანი ბუვიესი (ნაწილი პირველი) . . . 1

ი 383
1879

## ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

**დედა-ენა,** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფ ა ს ი ე ქ ვ ს ი შ ა უ რ ი. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

**ბუნების კარი,** ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფ ა ს ი ხ უ თ მ ე ტ ი შ ა უ რ ი. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ჰსურს ყდაში გადაკრული იყიდოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი,** მეშვიდე გამოცემა, ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი. ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდთან, ბაღის პირდა-პირ.—

**საყმაწვილო კონა,** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფ ა ს ი ე ქ ვ ს ი შ ა უ რ ი.

**პატარა ბიბლიოთეკა,** პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი.

---

რედაკტორი და გამომცემი ილია ჭავჭავაძე.